

1952 ₹.

აკაკი თოფურია

ლომე ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1977

8Г2
899.962.1.092 [ქარჩელი]
თ 776

წიგნში საარქივო წყაროების გამოყენებით აღწერილია გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პროზაიკოსის ლეო ქიაჩელის (ლეონ შენგელაიას) ბიოგრაფიის ზოგიერთი ბუნდოვანი და შეუსწავლელი ეპიზოდი, რომლებიც დაკავშირებულია მისი ბავშვობისა და გიმნაზიაში სწავლის ხანასთან, 1905-1907 წლების რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობასთან, ქუთაისის ციხიდან გაქცევის შემდეგ მოსკოვში არალეგალური ცხოვრების, საზღვარგარეთ ემიგრანტად ყოფნის და სამშობლოში დაბრუნების პერიოდებთან; მოკლედ გარჩეულია ქართული საბჭოთა პროზის ამ ერთ-ერთი ფუძემდებლის შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა მის საინტერესო და ბობოქარ თაკგადასავალთან მჭიდრო კავშირში.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტ-ფილოლოგებისათვის დამხმარედ სპეცკურსებსა და სპეცსემინარებში, აგრეთვე პედაგოგ-ლიტერატორთათვის.

რედაქტორი **შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.

T 70202
M 608 (08) 77

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲒᲖᲐ

პირველი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში ქართული საბჭოთა პროზიდან მსოფლიო ლიტერატურის დიდ გზებზე გავიდა, იყო ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა“. 1946 წელს იგი გამოიცა ლონდონში ინგლისურ ენაზე, ხოლო 1949 წელს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში — ესპანურ ენაზე. ამ უკანასკნელის ტირაჟი შეადგენდა ასიათას ცალს.

შემდეგ ქართული ჩოხა-ახალუხით შემოსილი გვადის მოგზაურობა წარმატებით გრძელდებოდა სხვადასხვა ქვეყნის (ავსტრალია, რუმინეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, ჩინეთი და სხვ.) ლიტერატურულ სამყაროში. არაფერს ვამბობთ იმ იშვიათ პოპულარობაზე. რაც ამ ნაწარმოებს წილად ხვდა საბჭოთა მკითხველებს შორის. მარტო 1940—1941 წლებში მოსკოვში იგი სამჯერ გამოიცა 335 ათას ეგზემპლარად. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, სადაც თავიანთ ენაზე არ გადაეთარგმნოთ ქართული საკოლმეურნეო ცხოვრების ეს მხატვრული მატიანე. მწერლის ნაწარმოების ყოველი თარგმანი მის ახალ დაბადებას ნიშნავს. საქართველოს მიწაზე ერთხელ დაბადებული ქიაჩელი მრავალჯერ დაიბადა სხვადასხვა კონტინენტსა და მატერიკზე (აზია, ავსტრალია, ამერიკა, ევროპა).

იმ ეპოქიდან, რომელიც „გვადი ბიგვაშია“ გამოსახული, დიდი დრო გავიდა — თითქმის ნახევარი საუკუნე. დღევანდელი თაობა მას აღიქვამს როგორც ისტორიულ წარსულს და ბევრი რამ, სავსებით კანონზომიერად, ანაქრონიზმად წარმოუდგება. ის, რაც ტიპიური და დამახასიათებელი იყო 1930-იანი წლებისათვის, იმ დროის ახლად დაწყებული საკოლმეურნეო მოძრაობისათვის, დღეს უკვე ცხოვრების დანალექებად იქცა, დაიფარა და სხვა ახალი მოვლენებით შეივსო.

მაგრამ დარჩა ადამიანური ხასიათების ის მშვენიერი „პანორა-

მა“, ის თავისებური კოლორიტულობა, რომელიც მწერლის დიდი გამომსახველობითი უნარის წყალობით დღესაც ინარჩუნებს თავის წინანდელ მხატვრულ მიმზიდველობას. ეს მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების თვისებაა. ადრე თუ გვიან იგი ყოველთვის არღვევს ვიწრო ეროვნულ ჩაკეტილობას და საერთო-საკაცობრიო კუთვნილებად იქცევა. ამით ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები ეროვნულ სიმდიდრესთან ერთად ხდება ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ სიმდიდრედაც. ერებს შორის კულტურული ურთიერთობის ის ფორმები, რაც მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმანებით ხორციელდება, ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მათი დაახლოებისა და ურთიერთგაცნობისათვის, საერთო ლიტერატურული პროცესების განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ლეო ქიაჩელი დიდი ხანია გახდა ამ საერთო ლიტერატურული პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. „ამ წიგნში. — ნათქვამია ესპანურ ენაზე ბუენოს-აირესში გამოცემულ „გვადი ბიგვას“ ანოტაციაში, — მსოფლიოს საუკეთესო იუმორის ღირსი ფერადოვნებით, უაღრესად ჭეშმარიტი გონებამახვილობით დახატულია გვადი ბიგვას ხასიათის თვისებები და ეს თვისებები ბრწყინვალედ ყალიბდება მის პიროვნებაში“[1]. ამავე რომანის 1948 წლის ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში კი ვკითხულობთ: „ლეო ქიაჩელი — ქართველი მწერალი — აღჭურვილია საკუთარი ორიგინალური სტილით და წარმტაცი იუმორით. მისი წიგნი მდიდარია ოსტატური ხასიათებით“[2].

„საკუთარი ორიგინალური სტილი“ — ეს სწორედ ის ნიშანთვისებაა, რომელიც ლეო ქიაჩელს ყოველთვის გამოარჩევს როგორც ქართული საბჭოთა პროზის, ჩვენი ნაციონალური კულტურისა და ლიტერატურის ღირსეულ წარმომადგენელს, მაგრამ ამავე დროს სწორედ ამ „წარმტაცი იუმორით“ და „ოსტატური ხასიათებით“ იგი ცილდება ნაციონალურობის ფარგლებს და უერთდება იმ მაგისტრალურ ესთეტიკურ ტენდენციებს, რომლებიც ჰუმანიზმის ელფერით საერთოა ყველა ქვეყნისა და ხალხის ლიტერატურისათვის.

თანამედროვე ეტაპზე მწერლის როლი და ადგილი, მისი ნაწა-

---

[1] გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, № 13.

[2] იქვე.

რმოების საზოგადოებრივი ღირებულება განიზომება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა შესძინა მან თავის ეროვნულ ლიტერატურას, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა წვლილი შეიტანა მან მრავალეროვანი საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის საერთო საგანძურში. თავისთავად ცხადია, ეს პროცესი ეროვნული ძირიდან იწყება, მხოლოდ ეროვნული სიდიადის მეშვეობით ერწყმის ჯერ მთლიან საბჭოურს, შემდეგ კი მისი არხების გავლით საერთო ლიტერატურულს, საერთო საკაცობრიოს ისე, რომ ყველგან და ყოველთვის რჩება ეროვნულ საყრდენზე, ეროვნულობის ფუძეზე.

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორული ნიშნების დახასიათებისას, წერილში „ერთიანობის სათავე“, ამ პრობლემის გამოჩენილი მკვლევარი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გ. ი. ლომიძე სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „კულტურათა დონის გათანაბრება ნიშნავს არა უარის თქმას ნაციონალურ სპეციფიკაზე, არა მათ გაუპიროვნებულობას, არამედ მაქსიმალურ განვითარებას სოციალისტური იდეოლოგიის ბაზაზე... საქმე ეხება არა ნაციონალურ კულტურათა დონის უნიფიკაციას, არამედ მათ გათანაბრებას («выравнивание»)[1].

ახალი დროის ქართველი კაცის ხასიათი, მისი ფსიქიკა და განცდები ლეო ქიაჩელის შემოქმედების მეოხებით ისეთივე ნაცნობი და ახლობელი გახდა ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ ინგლისელი, ესპანელი, გერმანელი მკითხველებისათვის, როგორც ჩვენთვის საუკუნის წინ დასაელეთ ევროპის საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებების სულისკვეთება. საკუთარის სხვა ენაზე გადატანის ისეთი მდიდარი შესაძლებლობა, როგორიც დღეს არის, არასოდეს გვქონია. საბჭოთა ეპოქის ეს ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი დღეს სრულიად ახლებურად აყენებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგამდიდრების პრობლემას.[2]

---

[1] Г. Ломидзе, Исток единства, „Вопросы литературы“, 1972, № 12, стр. 115—116.

[2] ამ ფაქტობრივი მეტად საყურადღებო აზრებია გამოთქმული მ ი ხ ე ი ლ ქ ე ს ე ლ ა ვ ა ს სტატიაში „ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „მნათობის“ 1973 წლის მეათე და 1974 წლის მესამე ნომრებში (იხ. გვ. 143—158, 157—170).

აქედან გამომდინარე, ჩვენი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ფართო არენაზე გასვლის ყოველი კონკრეტული შემთხვევა, ბუნებრივია, მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული მათი ყოველმხრივი, კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი შესწავლის ამოცანებთან.

კვლევის ეს გზა ყველაზე გამართლებული გზაა ლიტერატურისმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ამ მხრივ, ომის შემდგომ პერიოდში ქიაჩელის მაგალითი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკვირვების ერთ-ერთ პირველ ობიექტად გვევლინება.

მაგრამ დაკვირვების ყოველი კონკრეტული საგანი წინასწარ მოითხოვს ზოგიერთი პრინციპული ასპექტის გათვალისწინებას.

კვლევის პრინციპი

ჩვეულებრივ ამა თუ იმ მწერალზე კრიტიკულ-მონოგრაფიულ ნარკვევს მისი ცხოვრების ბიოგრაფიით იწყებენ. ჩვენში ეს ტრადიცია დამკვიდრებულია იმ დროიდან, როცა მწერლების შემოქმედების შესწავლას მეცნიერული ხასიათი მიეცა. ამ საქმეს სათავე დაუდო ილია ჭავჭავაძემ თავისი სახელგანთქმული წერილებით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. 1894 წელს მანვე შექმნა და გამოაქვეყნა „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა“, რომელშიც მისთვის ჩვეული სიღრმითა და სიმახვილით გაუშუქებულია ბიოგრაფიის უდიდესი როლი და მნიშვნელობა მწერლის შემოქმედების შესაცნობად. ილიას აზრით, ის უკაფავს, უხსნის გზას მკითხველებს მწერლის შემოქმედების გაგებისაკენ.

„კერძო ცხოვრება და თავგადასავალი პოეტისა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ამხსნელია და გამომრკვეველი მისის პოეზიისა. ხოლო იმისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად გამონათლდეს კაცის თვალწინ პოეტის სულიერი სახე, სათავე და მიზეზი ეპოვოს მის ჩანგის სიმთა ძვრას, სულთა სწრაფვას, გულთა ძგერას, ძარღვის ცემას, მის ჭირსა და ლხინს, მის გზას და მიმართულებას, — არა ნაკლებ სამსახურს გაუწევს მას პოეტის გარე-ცხოვრების ავ-კარგიანობა, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს საზოგადო ყოფა-ცხოვრებას, ჟამთა-ვითარებას, ჭირ-ბოროტს ქვეყნისას, პოეტის ოჯახს, პოეტის მახლობლობას და ნაცნობობას“[1].

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 234—235.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ ილიასეული შეხედულებების ხორცშესხმის ნიმუშს იძლეოდა იონა მეუნარგია, რომელიც ჩვენს სინამდვილეში „პირველად შეიჭრა თავის თანამედროვე მწერალთა შინაურულ ცხოვრებაში“, „ფანქარმომარჯვებული დასდევდა ყველა დიდ მოღვაწესა და მწერალს“ და მათზე საინტერესო ფაქტების შეგროვებით ქმნიდა შესანიშნავ ბიოგრაფიულ ნარკვევებს და მოგონებებს ალექსანდრე ჭაქვაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა შესახებ. მართალია, იგი ძირითადად იზიარებდა და ემყარებოდა ცნობილი ფრანგი ლიტერატორის იპოლიტე ტენის მცდარ მეთოდოლოგიას და მისი გავლენით მწერლის შემოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორად ზოგჯერ ანთროპოლოგიურ, გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემოებებს მიიჩნევდა (ტენის „გარემოს და მომენტის“ თეორიის მსგავსად), მაგრამ მის ნარკვევებში მოცემული დიდძალი ფაქტობრივი მასალა მაინც სრულ საშუალებას იძლეოდა იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა აღნიშნული მწერლების ცხოვრებასა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

თავისთავად როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ბიოგრაფია, იგი მაინც უძლურია მოახდინოს ლიტერატურის ისტორიაში მწერლის სახელისა და დიდების დამკვიდრება. შეიძლება ნაწილობრივ დაეთანხმოთ კ. გ. იუნგის აზრს, რომელიც გადმოცემულია მ. ვერლის წიგნში „ზოგადი ლიტერატურისმცოდნეობა“: „მხატვარი უნდა განვსაჯოთ, — აღნიშნავს იგი, — მხოლოდ მისი შემოქმედების მიხედვით და არა მისი ნატურის სისუსტით ან იმ პირადი კონფლიქტებით, რომლებიც სამწუხაროდ შედეგებს წარმოადგენენ იმისა, რომ ის არის მხატვარი... გოეთემ კი არ შექმნა „ფაუსტი“, არამედ ფაუსტის სულიერმა კომპონენტებმა შექმნეს გოეთეს პიროვნება“[1].

ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის წარმომადგენლის ამ მოსაზრებაში აშკარად გამოხატულია მწერლის პიროვნებაში ადამიანისა და შემოქმედის დაპირისპირების მცდარი თვალსაზრისი, მაგრამ მისი მთავარი თეზისი ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია. ყოველი დიდმნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების სულიერი კომპონენტე-

---

[1] М. В е р л и, Обшее литературоведение, М., 1957, стр. 161.

ბი მას შემდეგ, რაც იგი შეიქმნება და საკაცობრიო კუთვნილებად იქცევა, თვით ხდება მისი ავტორის განდიდების წყაროდ.

ქართული ლიტერატურის ცის ტატნობზე მეტეორისებურ გაელვებას ჰგავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოჩენა. და მაინც მისი გენიის გამონათებამ ღრმა კვალი გაავლო. გაფაციცებით იკვლევენ ბარათაშვილის „ოქროს ზოდების“ საუნჯეს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდომიან სავსებით მის „ფსკერს“. მწერლის შრომის ნაყოფი — უპირველეს ყოვლისა, ამ ნიშნით ინახავს ისტორია შემოქმედთა სახელებს, ამ ნიშნით მიუჩენს მათ ადგილს ცალკეული ქვეყნის თუ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. ამავე დროს შემოქმედს ყოველთვის ღირსებას მატებს პირად ცხოვრებაში მაღალი მოქალაქეობისა და დიდი ადამიანობის მაგალითები.

მაშასადამე, მწერლის ბიოგრაფია უნდა გვესახებოდეს მისი შემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ ისეთ ფაქტორად, რომლის გარეშე არ არსებობს თვით შემოქმედება. ეს ოდნავადაც არ ნიშნავს ბიოგრაფიის როლის უგულებელყოფას. პირიქით — მწერლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, იმ სოციალურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს, ოჯახური ყოფისა და ახლობლების გარემოცვას, ე. წ. „მშობლიურ კერას“, რომელშიც ყალიბდება მწერლის პიროვნება, მისი შეგნება და შემეცნებითი უნარი, უეჭველად ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირების საქმეში.

სუბიექტივიზმის ისეთი უკიდურესი გამომხატველიც კი, როგორიც იყო რევოლუციამდელ რუსეთში ლეონიდ ანდრეევი, თავის ერთ-ერთ ავტოპორტრეტულ პუბლიცისტურ ფელეტონში „მწერლის შესახებ“, იძულებული აღმოჩნდა ეღიარებინა სოციალური წრის, პირადი გამოცდილებისა და დაუღალავი შრომის როლი შემოქმედების მაღალი მიზნებისათვის. „მე არ ვლაპარაკობ, რომ ტალანტი არ არის საჭირო, — ათქმევინებს ის თავის ორეულს, რომელიც ეწინააღმდეგება პიროვნებაში ტალანტის გაიდეალების აზრს, — ის აუცილებელია, როგორც ოთხი ფეხი ცხენისათვის. მაგრამ როგორც ოთხი ფეხი ვერ გახდის ყოველ ცხენს თოხარიკად, ისე მხოლოდ ტალანტი ვერ გადააქცევს ადამიანს მწერლად“[1].

ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები, უკვდავი ლიტერატურული სახე მწერლის მხოლოდ ინტუიციის, მისი მხოლოდ ჰარბი

[1] Л. Андреев, Собр. сочинений, т. 1, 1911, стр. 318—319.

ფანტაზიის შედეგი კი არ არის, არამედ ამ ნაწარმოებსა და სახეზე მისი ხანგრძლივი, დაძაბული შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. 1864 წლის 17 ნოემბერს ლ. ნ. ტოლსტოი მის მეგობარ პოეტს ა. ფეტს სწერდა: „მე ვდარდობ და ვღრტვინავ და არაფერს ვწერ, მაგრამ ამავე დროს ვმუშაობ გამწარებით. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა ძნელია ჩემთვის მოსამზადებელი მუშაობა იმ ღრმად მოხნულ მინდორზე, რომელზედაც იძულებული ვარ დავთესო, მოვიფიქრო და გადავიფიქრო ყველაფერი, რაც შეიძლება შეემთხვეს მომავალი დიდი ნაწარმოების ყველა მოქმედ პირს: და მოიფიქრო მილიონობით შესაძლებელი შეხამებანი, რათა იქიდან ამოარჩიო ერთი მემილიონედი, საშინლად ძნელია და მომქანცველი, და ამჟამად ამით ვარ დაკავებული“[1].

ამ გაგებით, მწერლის ცხოვრება და შემოქმედება ერთი მთლიანი, ერთმანეთისაგან განუყოფელი კონკრეტულ-ისტორიული მოვლენაა, რომელსაც კონკრეტულ-ისტორიული ეპოქა წარმოშობს. ეპოქის ერთიანობა სრულიად არ ნიშნავს სხვადასხვა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთიანობას. ერთი ლიტერატურული მიმართულების რამდენიმე მწერალი თავიანთი ინდივიდუალური სტილითა და თავისებურებებით მუდამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რამდენადაც კონკრეტულ-ისტორიული ეპოქა, შექმნილი სოციალურ-საზოგადოებრივი ვითარება მწერლის შემოქმედებასთან ერთად თვით მის ბიოგრაფიასაც განსაზღვრავს, ამდენად პირველი მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად ედება მწერალთა ბიოგრაფიების მეცნიერულ დამუშავებას, არის კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა თითოეული ეპოქის მწერალთა ბიოგრაფიებისადმი, მათი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათებისადმი.

საბჭოთა ეპოქის მწერალთა ბიოგრაფიების თავისებურება განპირობებულია საბჭოთა ეპოქის სინამდვილით, მისი რადიკალური, ძირეული განსხვავებულობით რევოლუციამდელი ეპოქისაგან. მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ბიოგრაფიებში მკვეთრად არის აღბეჭდილი ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის, ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მომავლისათვის დაუცხრომელი ზრუნვის, მოწინავე. პროგრესული საზოგადოებრივ-დემოკრატიული იდეების გამოხატვის შედეგად მუდ-

[1] А. Ф е т, Мои воспоминанія, стр. 55.

მივი დევნისა და შევიწროების ფაქტები. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული მწერლობა ხალხის იდეური წინამძღოლის, მისი ავანგარდული როლის განსახიერებას წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის მეორე სასევრის პროგრესული ლიტერატურისაგან განსხვავებით, რომელიც ებრძოდა მისი დროის კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეს, საბჭოთა ლიტერატურის ძალა უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ იგი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებასთან და იბრძვის არა მის წინააღმდეგ, არამედ ამ ახალი საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

აქედან, ცხადია, თითოეული საბჭოთა მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის ანალიზს უწინარესად უნდა მივუდგეთ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პოზიციებიდან და საბჭოთა მწერლის პირადი ცხოვრება განვიხილოთ როგორც მისი შემოქმედებითი გზის, შემოქმედებითი განვითარების გამოხატულება, საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან განუყოფელ კავშირში.

კვლევის სიძნელე

ლეო ქიაჩელი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და კოლორიტული ფიგურაა.

მეოცე საუკუნის არც ერთ ქართველ მწერალს არ ჰქონია ასე საიდუმლოებით მოცული, მხოლოდ თარიღების უსინათლო ოთახებში „გამოკეტილი“ ბიოგრაფია.

თითქოს ყველაფერი ვიცოდით და ბოლოს — მისი პირადი ცხოვრებიდან ბევრი რამ, ფრიად საინტერესო, საჭირო და საგულისხმო, არათუ არ გვცოდნია, ვერც ვერასოდეს გავიგებთ.

მერედა როგორი მდიდარი, მრავალფეროვანი, ვრცელი და თავისებურია ის გზა, რომელიც მწერალმა განვლო.

საკუთარი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიიდან ქრესტომათიულ ცნობარად ქცეული მონაცემები მხოლოდ წვეთია „ოკეანეში“.

თვით „ოკეანე“ მას უნდა შეექმნა მემუარების, მოგონებების სახით.

ოთხმოც წელს მიღწეული კი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ

ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი, „ხელმოსაჭიდი“ არაფერი დაგვიტოვა.

თითქოს ძუნწობდა, იქით-იქით დებდა. თითქოს ბედს ემდუროდა, თითქოს შინაგანად დიდ სევდას ატარებდა.

შემოქმედებითი წარმატებით კმაყოფილს ღიმილიც გაორებული ჰქონია.

საოცრად უყვარდა ნიღაბსა და ბურუსში გახვეული თავისი ნამდვილი გვარი!

შვილის ლანდთან საუბრის ერთ ჩანაწერში პირველად ამხელს ამ გრძნობას. „გვარის წარმოშობა, ისტორია შემავალი ნაწილია საერთო ეროვნული ისტორიის. რაც დიდია გვარი, მისი ისტორია, მით უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა მცირე გვარების ისტორიასაც თავისი წვლილი შეაქვს ისტორიულ კვლევა-ძიებაში. შენგელაია არ არის დიდი გვარი, მას ჩვენს ისტორიაში მხოლოდ მე-15 საუკუნიდან ახსენებენ“[1].

მისი მოგონების ერთ-ერთი გეგმის ვარიანტში მეორე პუნქტად აღნიშნულია: „შენგელაიების გვარის ისტორია“. მასალებიც დაუძებნია ამ ისტორიისათვის, მაგრამ მისი ხორცშესხმა ვერ მოუსწრია.

რა იყო ის მძიმე, ფარული დარდი ესოდენ უხილავად რომ აწვა მთელ მის არსებას უკანასკნელი ოცდაერთი წლის განმავლობაში?

1942 წლის 5 ივნისს მწერლის ოჯახმა მიიღო ლეო ქიაჩელის ვაჟის — ოთარ ლეონის ძე შენგელაიასაგან უკანასკნელი ბარათი. ოთარი მაშინ 25 წლის ვაჟკაცი იყო და სევასტოპოლის დამცველთა რიგებში იბრძოდა. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის ასპირანტი იყო ოთარი, როცა 1940 წელს ცოლად შეირთო ეთერ ივანეს ასული ცაგარელი. 1941 წლის ივნისში მათ დაებადათ ქალიშვილი ნაია, ხოლო იმავე წლის 9 ივლისს ოთარ შენგელაია გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, როგორც უმცროსი ლეიტენანტი.

იგი იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ყირიმის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთ საარტილერიო ნაწილში 1942 წლის თებერვლიდან ივნისამდე, როცა უკანასკნელი წერილი გამოგზავნა მეუღლის სახელზე. ამ დროიდან უგზოუკვლოდ დაიკარგა. ომის დამთავრების შემდეგ მწერალი „დიოგენის ფარნით“ დაეძებდა შვილს

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.

ნაკვალევს სევასტოპოლის გაერანებულ ქუჩებსა და უბნებში, მაგრამ ამაოდ, ვერსად მიაგნო მის საფლავსაც კი. ოთარი იყო ლეო ქიაჩელისათვის არა მხოლოდ შვილი, არამედ მისი მხატვრული შემოქმედების უშუალო პირველი, პირველი კრიტიკოსი და დამფასებელი.

„ოთარ! მიმართავს ერთ-ერთ გვიანდელ ჩანაწერში მწერალი შვილის წარუშლელ სახებას, — შენ ხომ იმ ციხით იყავი დაჯილდოებული, რომელიც მე მქონდა,„ — მხატვრულით... გაინტერესებდა, თუ რას და როგორ ვწერდი... განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდი „გვადი ბიგვასადმი“ (ეს ხდებოდა 1935– 1936 წლებში, როცა ოთარი 18-19 წლის ჭაბუკი იყო — ა. თ.). გამოგიტყდები: არ მიყვარდა, როცა გაუმზადებელ ნაწერს ვინმე წაიკითხავდა, მაგრამ შენი თვალის ჩარევას ეურიგდებოდი. შენი შენიშვნები კი ჰკუაში მიჯდებოდა. სხვათა შორის მკითხავდი: მამა. გვადის ახალი თავი თუ დაამთავრე. წამიკითხეო. მე ვიცოდი შავად დაწერილი წაკითხული გქონდა. გინდოდა შენიშვნები გაგეკეთებინა, რადგანაც მეც ვაინტერესებდა ისინი. წაგიკითხავდი. რამდენჯერ დაგიწუნებია მოსმენილი: ენაც. მხატვრობაც. ათასი ნაკლი აღმოგიჩენია. ვაუსებდი შენს შენიშვნებს, რადგანაც ვიცოდი, რომ მოსმენის გარდა წინასწარ წაკითხულიც გქონდა დაკვირვებით. შენი შენიშვნების მოსმენა მოთხოვნილებად გადამექცა. მახსოვს, ბოლო თავის დაწერა გამიჭირდა და გამიჭიანურდა. არ მიბრალებდი — ვარიანტებს გიკითხავდი. არც ერთი არ მოგწონდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთზე შევჩერდი. შენ მითხარი: აი, ახლა კი კარგი რომანი გამოგივიდა, მამაო. ეს ნამდვილი შენი სიტყვებია. ამის შემდეგ აღარ დაებრუნებივარ იმ თავს“[1].

ასეთი იყო მამისა და შვილის — სახელგანთქმული მწერლისა და სრულიად ახალგაზრდა, მომავალი მეცნიერის — მეგობრობა.

და რაოდენ ტრაგიკული იყო მწერლისათვის მისი დაღუპვა!

ამას მოწმობს აკადემიკოს ვლადიმერ ჟღენტის მეუღლის — ქეთევან ფარეიშვილისადმი მწერლის მიერ მიძღვნილი ომისდროინდელი სურათი, რომლის უკანა გვერდზე მწერლის ხელით ომის შემდგომ წლებში ასეთი წარწერაა გაკეთებული: „ქეთო[2], ეს უჩა

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.

[2] აკად. ვლადიმერ ჟღენტის მეუღლე — ქეთევან ფარეიშვილი-ჟღენტი — ქიაჩელის ცოლის დისშვილი; იზრდებოდა მწერლის ოჯახში.

ჯაფარიძის მიერ შესრულებული ოთარის პორტრეტის ფოტოგრაფიაა. არ გიკვირს, რომ მისი შემყურე მამა ჯერ კიდევ ცოცხალი არის? ლ.“

წერილში „ლეო ქიაჩელის გახსენება“ სერგო კლდიაშვილი შესანიშნავი ფსიქოლოგიური მწვდომელობით ხსნის მწერლის ამ შინაგანი განწყობილების არსს. იგი წერს: „გულჩათხრობილიაო, იქნებ ასე იმიტომ ეგონათ, რომ არ უყვარდა, — არ უყვარდა კი არა, კიდეეაც თავს არიდებდა, — იმ დიდ ტკივილზე ლაპარაკს, რომელსაც გულში ატარებდა. არავისთვის არ უთქვამს მამას, ისე გაემგზავრა იმ ადგილის და გარემოს სანახავად, სადაც დალია სული ქართველმა ვაჟკაცმა. მამამ თბილისიდან ქართული მიწა წაიღო, მოაბნია იმ ადგილებზე, სადაც ვარაუდით დამარხული უნდა ყოფილიყო შვილი, შემდეგ თან წამოიღო სევასტოპოლის მიწა და თავის ოჯახში ჰქონდა შენახული.

ასეთ დიდ მწუხარებაზე არ უყვართ ლაპარაკი იმათ, ვინც ნამდვილად განიცდის მწუხარებას“[1].

ლეო ქიაჩელის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1974 წლის 8 მარტის ნომერში მწერლის ოჯახში დარჩენილი პირადი არქივიდან გამოაქვეყნა პატარა ფრაგმენტი მოგონებიდან „ჩემი ცხოვრების გზა და კვალი“, რომლისადმი დართულ ანოტაციაში რედაქცია მიუთითებდა, რომ „ეს ჩანაწერები, როგორც ჩანს, მონახაზია იმ წინასიტყვაობისა, რომელიც უნდა წამძღვარებოდა ლეო ქიაჩელის მოგონებებს, რომელთა დაწერა არ დასცალდა. დარჩა მხოლოდ დაწერილებითი გეგმა, რომელიც ეხება მის ბავშვობას, სიჭაბუკეს და ემიგრაციაში ყოფნის წლებს. წინასიტყვაობა დაწერილია თავისებური ფორმით — ლეო ქიაჩელი ესაუბრება სამამულო ომში დაღუპულ თავის ერთადერთ ვაჟს ოთარს, მას უამბობს თავის განცდილ ცხოვრებას“[2].

სინამდვილეში ლ. ქიაჩელმა დაგვიტოვა მხოლოდ თავისი ცხოვრების აღწერილობის მცირეოდენი „მონახაზები“. გეგმის და წინასიტყვაობის დაუმთავრებელი ვარიანტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დაახლოებით წარმოვიდგინოთ რა ადგილი შეიძლებოდა

---

[1] „ლიტერატურული საქართველო“, 1974, № 10.

[2] იქვე.

დაეკავებინა მწერლის დასრულებულ მოგონებაში მის „ბაეშვობას, სიჭაბუკეს და ემიგრაციაში ყოფნის წლებს“.

და რაკი თავისი ცხოვრების ეს პერიოდი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიაჩნდა მწერალს, რაკი მას ესოდენ სწადდა „დაწვრილებით“ გაეცნო იგი თავისი ნაადრევად დაღუპული მენკვიდრისათვის, რომლის ლანდთან გამუდმებულ ჩურჩულში კიდეც მიილია მისთვის „საწუთროს ჟამიც“, ჩვენ შევეცდებით, მიუხედავად არსებული სიძნელისა, ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ხარვეზი და გადმოვცეთ ზოგი რამ იმავე თანმიმდევრობით, როგორც ეს თვით მწერალს ჰქონდა მოფიქრებული.

მწერლისეული „გეგმა-ვარიანტები“

მაგრამ ჯერ გავეცნოთ თვით მწერლის გეგმას, მის ვარიანტებს, მისი დახვეწისა და ჩამოყალიბების პროცესს. ოთარ შენგელაიას ერთგულმა მეუღლემ, ობლად დარჩენილი მისი ერთადერთი შვილის — ნანას[1] აღმზრდელმა ეთერ ცაგარელმა, რომელიც მოწიწებით ინახავს და უვლის ქიაჩელის ბინაზე დარჩენილ მისეულ მასალებს, საშუალება მოგვცა არა მხოლოდ გაგვეცნო და გადმოგვეწერა ეს გეგმა-ვარიანტები, არამედ იგი დაგვეხმარა კიდეც გეგმის ზოგიერთი დეტალის დაზუსტებასა და საჭირო ცნობების შეგროვებაში.

აი, ქიაჩელის „ცხოვრების გზა და კვალის“ პირველი, ყველაზე ადრინდელი გეგმის ჩაყვითლებული ფურცელი. მას სათაურის გასწვრივ, კიდესთან, მწერლის ხელით მიწერილი აქვს: „დავიწყო და ვნახოთ რამდენი იქნება და რა გამოვა“. არავითარი თარიღი ფურცელს არ უზის. მაგრამ ეს მონაცემი, ვფიქრობთ, საკმარისია დავასკვნათ: ქიაჩელს გადაწყვეტილი ჰქონია მემუარული თხზულების წერა დაეწყო ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, როცა შედარებით ახლო იდგა მის მიერ განვლილ, საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენებით აღსავსე გზასთან. მაგრამ, შესაძლოა, იმ დროის გაბატონებულმა „რაპპულმა“ ტენდენციებმა ხელი ააღებინეს მას განზრახვის შესრულებაზე. მემუარი მაშინ ორ წიგნად ჰქონია განზრახული ქიაჩელს. აი, მისი გეგმა-მონახაზი.

[1] ნანა ოთარის ასული შენგელაია ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელია.

„წიგნი პირველი: დაბადება. ობუჯი. მამა. დედა — შენგელაიები: ბიჭია. ჯიჯი. კერანდუხი და სხვ. გაძიძაება. ჭაქვინჯი. ობუჯიდან ზუგდიდს გადასახლება. დედის მამული. ბუხარი. ზუგდიდი. ჩხოუში. ძმა აკაკი. ეარლამ ჩიქვანი. წისქვილი. ბეკო. მატო. მეზობლები. დარია. პირველი გატაცება ქალით, ტოლები — ხუბუ, გიო, სანდრო, ანდრია. გოგოები. მორების გადაზიდვა. მეფის წყალობა მამას. ნადიმი. ქუთაისს გამგზავრება. ბუკა იოსელიანის სახლში. მარიამ იოსელიანი. შეგირდები. გიმნაზია. პირველი ნაბიჯები. ნესტორ ბალანჩივაძე. პაპიროსი. გიმნაზიის მასწავლებლები: სტაიანოვი. ჩებიში. უფროსი კლასელები. მამის გარდაცვალება. წვერი. კანდელაკის სახლი. წრე. ჟურნალი. გასოციალდემოკრატობა. მუშაობა წრეში. მოთხრობა. სიყვარული. გიმნაზიის აჯანყება. გიმნაზიის დამთავრება. სოფელში. ხარკოვი. გაფიცვა. 1904—1905 წ. დაბრუნება. სამეგრელო. რევ. მოძრაობა. პარტიები.

წიგნი მეორე: 1905 წელი. რაზმების შედგენა. ანაკლიის იარაღი. ფედერალისტები. ლიხზე გალაშქრება. დამარცხება. რეაქცია. დამალვა. ვ. ალშიბაიას მოკვლა. მთებში. ვ. ჩიქვანი. ფიჩხაიები. სულუხია. ნორაკიძე. დაპატიმრება. ზუგდიდის ციხე. სოლომონ ალანია. ალ. ჩიქავა. ქუთაისის ციხე. ციხეში. წრე. ამხანაგები: ჯ. ასათიანი, პ. გოგიაშვილი, დ. სულიაშვილი, თომა ჩუბინიძე, სტეპანოვი და სხვ. გაქცევა. გოდოგანი. გელათი. ფოთი. გემი. მოსკოვი. ვ. კანდელაკი. სიყვარული. პირველი ნაბიჯები. ლექსები. პოემები. დრამები. ეპიზოდები. რეპეტიტორობა. საზღვარგარეთ წასვლა. შვეიცარია. ჟენევა. ომის წინ. ომი. წამოსვლა. გზა. ტ. გოლუა. რუსეთი, საქართველო“..[1]

მეორე ვარიანტი, პირველთან შედარებით, დასრულებული არ ჩანს, მაგრამ იგი უფრო დაკონკრეტებული, დეტალიზებული, უფრო მისახვედრი და ამოსაცნობია და თან მიახლოებული მიზნის შესრულების ცდასთან — განსაზღვრულია მოცულობა მოგონების ამა თუ იმ მონაკვეთისათვის.

ამ ვარიანტის მიხედვით, წინასწარი ვარაუდით, 6 თაბახი უნდა მოეცვა „ცხოვრების გზა და კვალის“ გეგმის შემდეგ საკითხებს:

„1. სოფელი ობუჯი. სადაც დავიბადე. შენგელაია: გვარი მისი წარმოშობა. თავდაპირველი შერგილაძე — მე-XV საუკუნის დოკუმენტი სიგელი (თ. ჟორდანიას ქრონიკებიდან). მე-XVII საუკ. დოკუმენტი — შერგელაია (ს. კაკაბაძის ისტ. საბუთებში). მე-XIX საუკ. შენგელაია. მეგრული წარმოქმით — შეგელაია.

2. პაპა — ზურაბი შენგელაია. გადმოცემანი. დახასიათება. სიკვდილი. ბებია — ანჯაფარიძის ქალი. ანჯა. დახასიათება. სიკვდილი. ტირილი — 2 ფორმა.

3. მამა — მიხეილ შენგელაია. დახასიათება. ისტორია. თავგადასავალი. დედა — მართა კეცხუა ხვიტიას ასული. დახასიათება.

4. ობუჯის პაპისეული სახლი. ეზო-კარი. ხუფინა. ლაფარა. ველობლები — აროსია, კაკაჩია, მირცხულავა, ფიფია და სხვ. ბიძაჩემი ბიჭია შენგელაია.

---

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.

5. დ.ბ.ღება. უთმო. მამა იძიებს, გაძიძაება სოფელ ჰაქვინჯში, სადაც ცხია.

6. ძიძაჩემი — თეკლათელი ქალი. მორდუ არაჩემია თედორე (ქესე). ძმები გიორგი, ანტონია, კაეინა. ეროიანი პატრიარქალური ოჯახი. არაჩემიები უმიწაწყლო გლეხები. სახლ-კარი. როგორ ვიზრდებოდი. — 2 ფორმა.

7. მამის გადასახლება ზუგდიდს, ცოლის მამულში. ოდის გადატანა. ჩემი ჩამოყვანა ჰაქვინჯიდან და ზუგდიდს წაყვანა. ახალ გარემოში. ძმა აკაკი. ძიძიშვილი პავლე. ვარლამ ჩიქვანი. მამას დაუბრუნდა ღირსება. ამის გამო ნადიმი. ჩემი წაყვანა ქუთაისში სასწავლებლად და ბუჯა იოსელიანის ოჯახში მიბარება. მაშა იოსელიანი. იოსელიანები. გიმნაზია. მეგობრები. ინტერესები. მასწავლებლები. უფროს კლასებში. მამის ავადმყოფობა და გარდაცვალება. რეეოლუც. მოძრაობა.

8. კანდელაკის ოჯახი. გაფიცვა და დემონსტრაცია. პრ. (ალ.) ჯაფარიძე, ნოქრების არალეგ. საორგანიზაციო კრება ჩემს ბინაზე. გიმნაზიის გათავება. ხარკოვის უნივერსიტეტი. 1904—1905 წწ. უნივერსიტ. გაფიცვები. არეულობა. რევ. მოძრაობაში მონაწილეობა. 1905 წელი. რეაქცია. დამალვა. დაპატიმრება. ქეთ. ციხე. გაქცევა. — 2 ფორმა"[1].

როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი მოსკოვსა და ჟენევაში ცხოვრების პირობებსა და პერიოდზე, მაგრამ მასში ბევრი ისეთი საგულისხმო მინიშნებაა, რომლებიც ნათელყოფენ სოფლიდან, ბავშვობიდან, სიჭაბუკიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებების სიუხვესა და სიმდიდრეს. ეს შთაბეჭდილებები შემდგომ მის შემოქმედებაში ათასგვარ ნაირსახეობად შეიჭრა და ახლაც ხელს გვიწყობს კვლავ გამოვიყენოთ ზოგიერთი მისი გამონასხივი ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდის შესავსებად. გეგმის ყველაზე დაწვრილებითი, მაგრამ ასევე არასრული სურათი მოცემულია მესამე ვარიანტში, რომელიც 55 პუნქტს შეიცავს. მოვიტანთ აქ მის მთლიან ტექსტს:

„1. გვარის მნიშვნელობა საზოგადოდ. 2. შენგელაიების გვარის ისტორია, 3. სოფელი ობუჯი. მოსახლეობა. შენგელაიები. აროსიები, კაკაჩიები, მესხიები, სონგულიები, გითოლენდიები, მირცხულავები. 4. პაპაჩემი ზურაბი — რაც მასზე გამიგონია (ვაჟკაცობა, სიკვდილი). 5. ბებია — ანჯა. მოვესწარი. მახსოვს (ცეცხლზე რომ გაჯავრდა, ის ამბავი მახსოვს). 6. გარდაცვალება. ტირილი. 7. მამა. ბიქია. ჯიჯი. მამიდა კაზიხანი. გრიგოლი, დავითის მოდგმა. ბურდუს მოდგმა. კერანდუხი. გიორგი. პაპა. 8. კიდევ შენგელაიები. ყოფა. გვარეული ხასიათი. ზოგიერთი დახასიათება. 9. დედა. სადაურობა. გოჩა ხვიტია. კეღუცა. მენიაზარი. კოტატი. როდის გაიცნო მამამ და როგორ შეირთო. უფროსი ძმა აკაკი. 10. ჩემი დაბადება. სრულიად უთმო ვყოფილვარ. მამას წიგნებში უძებნია, რისი ნიშანი არისო. გაუგია, კარგი ნიშანი გამოდგა. 11. გაძიძაება. 12. ჰაქვინჯი. არაჩემიები:

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.



1940 ჭ.



ლეო ქიაჩელი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ მეუღლე ვერა-ჯაკობაძესთან და ვერას დისშვილ — ქ. ფარეიშვილთან თბილისი, 1916 წ. (იბეჭდება პირველად)..

ქესე. თედორე, გიორგი, ცაკვა, ანტონია. მღვდელი, კაჟინა, ძარგუ, იაკობი, კარამხანი. ფატინე და მისი ცხენი. დიმიტრი ჩილაჩავა. 13. ძიძა — ოჯახი. პაველე, სამსონი, ბატუ, ჭვინტი, ყოფა-წესები. 14. ზუგდიდში გადასახლება. დედის მამული ზუგდიდში და რუხში. 15. მამის პროფესია — კერძო ვექილი. 16. მამის ისტორია. მოსამართლეს ცემა მოვალეობის ასრულების დროს. ცხუე. ღირსების აყრა. 17. მეფისადმი თხოვნის მირთმევა. 18. პატიება. 19. ნადიმი. ჩემი წაყვანა ქუთაისში. 20. ბუჭა იოსელიანის ოჯახში. 21. მარია — მაშო მასწავლებელი. 22. ჩემი მზადება. 23. გიმნაზია. 24. მამის გარდაცვალება ქუთაისში. ექიმი სამსონ თოფურია. 25. ზუგდიდში ჩასვენება, დიდი ტირილი. 26. სწავლის გაგრძელება გიმნაზიაში. 27. წრე. ნ. ბალანჩივაძე. კანდელაკები. მეგობარი ქალები. 28. მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალი „მომავალი“. 29. „სიზმარი“ (მოთხრობა). 30. მარქსისტობა. 31. გიმნაზიის აჯანყება. 32. არალეგალური მუშაობა — დათიკო მიქელაძე. 33. პროკ. (ალ.) ჯაფარიძის გაცნობა. 34. ნოჭართა ორგანიზაცია. 35. ერთი ზაფხული ზუგდიდში. 36. ჩემი რომანი დარიასთან. მძიეის ისტორია. 37. ჩემი მეგობარი ანდრია. 38. მატო. 39. გიმნაზიის დამთავრება. 40. ხარკოვი. 41. რევოლუციური მოძრაობა. 42. შინ დაბრუნება. 43. რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში. 44. თოლორდაევები. გეთია. 45. 1905 წელი. 46. დაპატიმრება. 47. ციხიდან გაქცევა. 48. მოსკოვი. 49. უცებ შენზე. 50. საიდანაა ქიაჩელი. 51. შემოქმედების ცეცხლი. 52. კალმის პირველი ნაბიჯები. 53. დაბეჭდვა პირველი მოთხრობისა. 54. 1912 წლის საახალწლო ნომერში ჩემი ქება. 55. საზღვარგარეთ წასვლა“[1].

ჩვენ სავსებით შეგნებულად მოვიტანეთ აქ გეგმის სამივე ვარიანტი იმისათვის, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა ჰქონოდა იმაზე, თუ რა დიდი გაანძი დაკარგა ქართულმა მემუარულმა ლიტერატურამ ქიაჩელის ჩანაფიქრის ხორცშეუსხმელობით. როდის უნდა იყოს შედგენილი გეგმის ეს უკანასკნელი ორი ვარიანტი?

ჩვენი აზრით, 60-იანი წლების იმ მცირე მონაკვეთში, რომელიც დევს მწერლის მიერ თავის თხზულებათა ხუთტომეულის მომზადების, გამოცემის და თვით სიცოცხლის დასრულების ჟამს შორის. მეხუთე ტომში მოთავსებული უკანასკნელი მასალა, რომლის დაწერის თარიღია 1960 წელი, მთავრდება სიტყვებით: „ამჟამად ვმუშაობ მოგონებებზე“. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ გეგმის ახალი ვარიანტების შედგენა წინ უსწრებდა მოგონებებზე მუშაობის დაწყებას, ხოლო თვით მოგონებას — წინასიტყვაობა. სამი მცირე ფრაგმენტული ვარიანტი გააჩნია მოგონებისათვის დაწერილ ამ წინასიტყვაობასაც, რომლის ყველა თავფურცელი იწყება შვილისადმი მიმართვის მწარე განცდების გადმოცემით.

„ოთარ! არ დამცალდა მეამბნა შენთვის, რაზაც აქ ვწერ“, ან „მინ-

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.

დოდა შენთვის მეამბნა ყოველივე, რაც აქ წერია. მე არ მინდოდა იგი დამეწერა. საკმარისი იყო შენ თუ გეცოდინებოდა... ვიცოდი, იმის დროც დადგებოდა, როცა იკითხავდი, ვინ ვარ, საიდან. აი სწორედ ამ დროისათვის ვემზადებოდი. მოკლედ მოცალების ჟამს მოგიყვებოდი შენ და ნათელას, თუ ვინ იყვნენ წინაპრები, ვინ ვიყავი მე, დედა, დაწერილებით გიამბობდი, რომ დაგმახსოვრებოდა და შენც შენი შვილებისათვის გადაგეცა მამისგან გაგონილი, მაგრამ"...[1]

მაგრამ ვერ დაბრუნდა ოთარი ომიდან, ვერ გაუძლო გულმა შინაგანი სევდის და მწუხარების ხანგრძლივ ტარებას, ვერ დაემორჩილა გონებას გრძნობა, ვერ ეყო ძალა და ნებისყოფა, ვერ მოიმწყვდია აზრი და ფიქრი საწერი მაგიდის კიდესთან, კალამი შეუჩერდა, ხელი გაუშეშდა, დარჩნენ ქაღალდის შეუვსებელი ფურცლები. ოცნებათა ბინდ-ბუნდში განიბნენ, გაიფანტნენ და დაიკარგნენ გეგმის მთელი ეს საინტერესო საკითხები, პრობლემები, ცნობები და მასალები მწერლის ცხოვრების, აღზრდისა და განათლების, იმდროინდელი საზოგადოებრივი ყოფის, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის მისთვის ხილული ისტორიიდან.

ჩვენი მოვალეობაა მიახლოებით მაინც განვჭვრიტოთ მოვლენების ის ურთიერთკავშირი, რომელმაც მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალში მოთავსებული პატარა მოთხრობის ავტორი დიდი მწერლის სახელით გაიყვანა ქართული საბჭოთა პროზის ვიწრო ბილიკებიდან საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის ფართო გზებზე.

ბავშვობა

უნებლიეთ გვაგონდება მწერლის სენტენცია: „თქმულა და მართალიც არის, რომ ბავშვობა და ყრმობა ადამიანის ცხოვრების უბედნიერესი დროა. მოგონებაშია იგი განსაკუთრებულად მომხიბლავი და წარმტაცი".

სად დაედო სათავე ამ „მომხიბლავ და წარმტაც" მოგონებას?

სად დაირწა მისი ბავშვობის პირველი აკვანი?

სად ჩაესმა „სისა ტურას" პირველი ჰანგი?

სად იგემა გარე სამყაროს გულუბრყვილო შეცნობის ის პირველი, სანეტარო სიხარული, რომელმაც სიკვდილის წინა ხანებში

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.

ღრმად მოხუცებული მწერალი საქართველოს დედაქალაქიდან კვლავ დააბრუნა თავის ყველაზე ადრინდელ, ყველაზე უმშვენიერეს, ყველაზე უბედნიერეს დროსთან? საიდან იწყება ამ დროის „წელთაღრიცხვა", ობუჯიდან, მისი დაბადების ისტორიული ადგილიდან, თუ?..

მუდამ ასე იყო, ასეა ახლა, ასე იქნება შემდეგ: ერთხელ საკუთრივ ნანახი და განცდილი სჯობს ათასჯერ სხვათა ნაამბობს, სხვათა გადმონაცემს, სხვათა განცდილის განცდას. დაუჯერებელში დაგაჯერებს შენივე თვალი, შენივე ხილვა, შენივე რწმენა. და ასე მოხდა იმ დღესაც, როცა პირველად ვნახეთ ზუგდიდის რაიონის ჯიხაშკარის სასოფლო საბჭოში შემავალი ის პატარა უბანი — ს ო ბ ო გ ა, ის ნაფუძარი, სანუკვარი, საარაკო ადგილები, საიდანაც თვალწინ გესახება მთელი ლაკადა — სამეგრელოს მთიანეთი, საქართველოს ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ქიაჩელის ბავშვობასთან?

• • •

კავკასიონის მარად თოვლიანი ქედებიდან მორაკრაკე ჴანისწყალი შუაში ჩაუდის სოფელ ობუჯს, მერე გვერდით უვლის ჯიხაშკარს, სობოგას და, კოლხეთის დაბლობზე გასული, ხობისწყალს უერთდება. სოფელი ობუჯი წალენჯიხის რაიონს ეკუთვნის და რაიონული ცენტრიდან ხუთიოდე კილომეტრით არის დაშორებული. ძველი დროიდან მას მხოლოდ ისტორიული ციხე-კოშკების ნანგრევებიღა შემორჩენია. ერთი მათგანი გზისპირად ამაღლებულ ბორცვზე დგას. ადგილობრივი მცხოვრებლები მას დღესაც „ნოჯიხურს" უწოდებენ. აქედან ხელისგულივით მოჩანს განახლებული ობუჯის მშვენიერი პანორამა — ჩაის მარადმწვანე პლანტაციებით დაფარული უსწორ-მასწორო ველ-მინდვრები, ჴანისწყლის გაღმა გორაკებზე შეფენილი ჯაღრის ტყე, ხეხილის ბაღებში ჩაფლული მეგრული ოდასახლები.

აქ, ამ სოფლის მაშინდელ შუაგულში, ობუჯის მთავარანგელოზის მონასტრის ათასწლოვანი ცაცხვების ახლოს, 1884 წლის 19(7) თებერვალს დაიბადა ლეონ მიხეილის ძე შენგელაია. მომავალი ქიაჩელი, წარმოშობით აზნაური. უცნაურად მოვლენია იგი თურმე სულ პირველად ქვეყნიერებას. შიშს შეუპყრია მამა. რას უნდა ნიშნავდეს ბავშვის უთმოდ დაბადება? რას უქადის ეს ახალშო-

ბილს? შეშფოთებით დაუწყია ყოველივე ამის რქვევა მიხეილს და მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდებულა, როცა გაუგია. უთმოდ დაბადება ბედნიერების და სიკეთის მაუწყებელიაო.

შენგელაიას გვარის გენეალოგია მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. თედო ჟორდანიას „ქრონიკებში“ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით, „აფხაზ-იმერთა“ მეფეს ბაგრატ დიდს 1554 წელს „სასისხლო სიგელით“ აზნაურობა მიუნიჭებია მის წინაშე „თავსდებით“ და ერთგულად „დიდად“ ნამსახურ ჯაკვა შერგილაძისათვის, მის შვილ მათესათვის და „მისთა“ შთამომავალთათვის[1]. ამ გვარიდან წარმოიშვა ჯერ შერგელაია, რომელიც გარკვევით იხსენიება მე-17 საუკუნის ისტორიულ საბუთში (ამის შესახებ ქვემოთ), ხოლო მე-19 საუკუნიდან მან მიიღო მისი თანამედროვე ფორმა — შენგელაია, რაც მეგრულად შეგელაიად წარმოითქმებოდა.

მამა — მიხეილ ზურაბის ძე შენგელაია იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტი იყო. მისი ოჯახი მაშინდელი მოწინავე ადამიანების საკრებულოს წარმოადგენდა. ერთ დროს სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ იგი დამთავრებული არ ჰქონდა. მუშაობდა ვექილად. ობუჯის მკვიდრთა გადმოცემით, მიხეილი ახალი აზრების მიმდევარი და თანამგრძნობელი კაცი იყო. იგი მართალი ადამიანის უდანაშაულოდ დასჯას არავის აპატიებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ერთხელ მოსამართლეს სცემა კიდეც, რის გამოც აზნაურის ღირსება აყარეს და ციხეშიც მოათავსეს. მეუღლის დაჟინებითი მეცადინეობის, იმპერატორისადმი თხოვნის მირთმევის და პატიების შედეგად მიხეილი კვლავ აღადგინეს თავის უფლებებში — მას დაუბრუნდა აზნაურის წოდება და წინანდელი მდგომარეობა. ასეთმა დევნა-შევიწროებამ ეკონომიურად დააქვეითა ოჯახი, მაგრამ ოდნავადაც ვერ შეულახა მის უფროსს საზოგადოებაში მოპოვებული კეთილი და სამართლიანი კაცის რეპუტაცია. მიხეილი გარდაიცვალა ქუთაისში 1902 წელს. იგი დაკრძალეს ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში.

შედარებით შეძლებული აზნაურის ოჯახიდან იყო მწერლის დედა — მართა კეღუცას ასული ხვიტია, რომელსაც მამულები

[1] თედო ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფილისი, 1897, გვ. 396—397.

ჰქონდა ზუგდიდსა და რუხში. იგი იყო სილამაზით და სათნოებით აღსავსე ქალი. სკოლაში ნამყოფი არ იყო, მაგრამ ქართული წერა-კითხვა, ქართული მწერლობა კარგად იცოდა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მართას დააწვა შვილების აღზრდის და მთელი ადგილმამულის, ოჯახის მოვლის ტვირთი. იგი გარდაიცვალა 1920 წელს. დაკრძალულია იმავე მაცხოვრის გორაზე, ქმრის გვერდით. 1955 წელს მწერალმა მშობლების საფლავზე დაადებინა საგანგებოდ გამოთლილი დიდი ქვა, რომელსაც ასეთი უბრალო წარწერა აქვს: „დაუვიწყარ მშობლებს მართას და მიხას — ლეო შენგელაია-ქიაჩელისაგან“. გარდა ლეოსი, მიხეილს და მართას კიდევ ორი შვილი ჰყავდათ. ერთი — ლეოზე სამი წლით უფროსი აკაკი, რომელიც გარდაიცვალა 48 წლის ასაკში, 1929 წელს და მეორე — ლეოზე უმცროსი ცაცუ, რომელსაც ქმრად ჰყავდა დავით ბახვას ძე ხვიტია, მაგრამ ადრე გაეყარა მას, მოუკვდა მისგან შეძენილი ვაჟიშვილიც. თვითონ გარდაიცვალა 1951 წელს.

სალიტერატურო კრიტიკაში ხშირია არევდარევა თანამედროვე, ჩვენს თვალწინ მოქმედ და მოღვაწე ზოგიერთი თვალსაჩინო პოეტისა და მწერლის ბიოგრაფიული ცნობების დათარიღებაში. ამავე დროს შორეული წარსულის მწერალთა ბიოგრაფიულ შტრიხებს მისხალ-მისხალ დავეძებთ! ქიაჩელმა თავიდანვე ერთგვარი სიცხადე შეიტანა ამ მხრივ. ყველა დაინტერესებულ პირს (ცხადია, კრიტიკოსთა რიგებიდან) თვითონ მიაწოდა საკუთარი ხელით შედგენილი, მანქანაზე გადაბეჭდილი და ხელმოწერილი მოკლე ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობარი, რაც შემდგომ თითქოს გადაულახავ ზღუდედ იქცა.

ამ გარემოების შედეგად კრიტიკოსთა უმეტეს წიგნებში, სადაც ქიაჩელის ბიოგრაფიაზეა ლაპარაკი, ყველგან უკომენტაროდ ეს ცნობარია გამოყენებული და გავრცელებული. ამიტომ ყველა თარიღი და ცნობა მწერლის ბიოგრაფიიდან აქ ერთნაირად, ნიველირებულად არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ამ თარიღებს და ცნობებს დიდი ხანია დაზუსტება, გავრცობა და შევსება სჭირდება. ამასთან გამორიცხული არ არის მომავალში ზოგიერთი ისეთი დოკუმენტის მოპოვება, რომელიც საეჭვოს და საკამათოს გახდის თვით დაბადების აქსიომად ქცეულ თარიღსაც კი.

აი, მაგალითად, 1925 წელს გაცემული პირადობის მოწმობის მიხედვით (№ 2878) ლეონ მიხეილის ძე შენგელაია დაბადებულია

1886 და არა 1884 წელს. ამასვე ადასტურებს დაბადების მოწმობა № 529589, შეესებული 1950 წლის 23 თებერვალს, რომლის საფუძველზე იგი თითქოს მართლაც დაბადებულია 1886 წლის 28 მაისს, რაზედაც მმაჩის ბიუროს ცნობით, 1887 წლის მაისის პირველ რიცხვებში ობუჯში მოხდენილია სათანადო ჩაწერა დაბადების შესახებ ეკლესიის დავთარში[1]. საკმარისია რომელიმე მაძიებელმა არქივში მიაგნოს ამ დოკუმენტს და უმალ განგაშიც ატყდება ლიტერატურულ კრიტიკასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში ვითომდა ჭიაჩელის დაბადების ყალბი თარიღის გავრცელების შესახებ.

სწორედ ამგვარი მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდანვე გასაფანტავად 1950 წელს შედგენილი და გავრცელებული ბიოგრაფიული ცნობარის ხელნაწერ ვარიანტში, რომელიც მწერლის ოჯახში დაცულ ერთ-ერთ პირად საქმეშია ჩადებული, ერთგან, სადაც ნათქვამია: „დავიბადე 1884 წლის 7 თებერვალს“ გაკეთებულია ასეთი ლაკონური განმარტება: „მეტრიკულ მოწმობაში ჩაწერილი 1886 სწორი არ არის. ის მონათლის თარიღია, როცა ეკლესიის დავთარში შემიტანეს“[2].

7 წლამდე ჭიაჩელის აღზრდა გაძიძავების იმავე ადათ-წესებით მოხდა, როგორც ეს დიდგვაროვანთა ოჯახებში იყო მიღებული ძველად, როგორც აკაკი წერეთლის ბიოგრაფიიდან არის საყოველთაოდ ცნობილი ჩვენთვის. სამეგრელოში, ისე როგორც აფხაზეთში, ეს წესი მაშინ ძალზე გავრცელებული იყო. აქედან წარმოიშვა კიდეც ძუძუმტეობის ერთგვარი კულტი ამ მხარეში.

„მიზეზი სამეგრელოში ბავშვის გაძიძავებისა, — წერს თედო სახოკია, — გახლდათ ისა, რომ იმ დროს „კეთილშობილ“ დედას ეთაკილებოდა თავისი შვილის აღზრდა მაშინაც კი, როცა ძუძუში რძე ჰქონდა და შეეძლო ეწოვებინა ბავშვისათვის. შვილის აღზრდა სირცხვილად, „კეთილშობილისათვის“ შეუფერებლად ითვლებოდა. საერთოდ მაშინ ბავშვის აღზრდა შესაფერი იყო იმისათვის, ვინც სოციალურ საფეხურზე ყველაზე დაბლა იდგა. მაგალითად, თავადი შვილს აღსაზრდელად აძლევდა აზნაურს, აზნაური გლეხს“[3].

ობუჯში აზნაურად დაბადებულმა უთმო ბიჭმა თვალის გახელაც

---

[1] მწერლის პირადი არქივი, საქმე № 4.

[2] იქვე.

[3] თედო სახოკია, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბილისი, 1955, გვ. 3.

ვერ მოასწრო მამისეული დიდი სახლის თბილ ოთახში, რომ ერთი კვირის შემდეგ იგი აკენიანად ჯიხაშკარის იმ უბანში წაიყვანეს, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ სობოგას სახელწოდებით. საურმე, საცხენე და საცალფეხო გზა ობუჯიდან სობოგამდე მაშინ, ჯიხაშკარის გავლით, ჭანისწყლის (წენწყარის) მარჯვენა ნაპირს გასდევდა. ახლა საავტომობილო გზა ცოტა ზემოთ უვლის. სულ რაღაც 5—7 კილომეტრია მათ შორის. ეს მცირე მანძილიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბავშვს ადრიდანვე ეგრძნო ის დიდი სხვაობა, რომელიც თავადაზნაურობასა და გლეხობას, მდიდარსა და ღარიბს, თანასწორობასა და უთანასწორობას, სამართლიანობასა და უსამართლობას შორის არსებობდა.

ისე როგორც აკაკი წერეთლის პიროვნების, მისი მოქალაქეობრივი და მსოფლმხედველობრივი მრწამსის, დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის საწყისი ელემენტების ფორმირებაში უდიდესი როლი შეასრულა სავანეში გატარებულმა ბავშვობის წლებმა, ასევე ლეო ქიაჩელის ხასიათის, ადამიანური თვისებების, საზოგადოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისა და მხატვრულ-ესთეტიკური კრედოს გამომუშავების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი გახდა სწორედ ის შვიდი წელი, რომელიც გაატარა მან ჭაქვინჯის ისტორიული ციხის კედლებთან, სობოგელ ღარიბ გლეხებთან, ჭანისწყლისა და მასთან შემდინარე ღელე-ნაკადულების ნაპირებთან. მხოლოდ ამ ფაქტის ღრმად გაანალიზების შემდეგ ხდება გასაგები ის, თუ რატომ გაბატონდა ქიაჩელის მხატვრული აზროვნების სამყაროში ასე ძლიერად ლაკადა, სოფელი, გლეხი და სიწმინდე.

ამიტომ ჩვენ ისევ სობოგას უნდა დავუბრუნდეთ, ოთხმოცდაათი წლის წინანდელ სობოგას.

* * *

...კუნაპეტი ღამეა. კოკისპირულად წვიმს. ტალახსა და ტლაპოში მიტოპავს მუხლამდე აკაპიწებული, თავზე ტომარა მოხურული მგზავრი. თარჩიას მიადგა[1]. გადასასვლელს ეძებს.

— ეუუუ! — ყვირის მგზავრი.

— ოუუუ! — სიბნელეში ისმის პასუხი.

---

[1] ღელე სობოგას თავთან, ჭანისწყალს უერთდება.

— სორე ბოგა?
— წყარქ მიდეღუ.
— აბა, მუბქიმინა?
— გინილი კუჩხით[1].

ასეთი ძახილ-მოძახილით შედის უცნობი სობოგაში, რომლის ტოპონიმი სწორედ ამგვარი დიალოგიდან არის წარმოშდგარი.

• • •

...ყავრით გადახურულ დაბალ სახლს 1884 წლის მარტის შუა ადგას. ცეცხლი გიზგიზებს კერიასთან. კვამლით შებოლილ ნაჭას კარდალი ჰკიდია. ჩაზელილი ღომი შიშინებს. ალაპლაპებული კუნძის თავთან, გახურებული მსხვილი ქვის ყურესთან, ლობიოს სავსე ქოთანია მიდგმული. ფართო კეციდან შემწვარი მჭადის სუნი იფრქვევა. კერიის ერთ მხარეზე, გრძელ ტაბაკს, აქეთ-იქით კველები უწყვია. მეორე მხარეს ორი აკვანი დგას. შუაში, ჯორკოზე, ზის ახალგაზრდა, სანდომიანი სახის ქალი და ორივე აკვანს ერთდროულად არწევს. „სისა ტურა“ — აყოლებს ერთი აკვნის რწევას დაბალი ხმით ელენე. „სისა სქუა“, აყოლებს მეორეს. ტკბილ ჰანგად იღვრება პაწაწინა არსებების თავზე მეგრული „ნანა-შვილოს“ მელოდია და ორივე აკვანში მწოლიარე ბალღებს ძილი ერევათ. რძე ტუჩებზე ჯერ კიდევ არ შეშრობიათ. ერთში, „სქუას“ რომ ეძახის, პავლე წევს, ელენეს ვაჟი, მეორეში — ლეონია — ობუჯიდან მოყვანილი. ჯერ ერთი თვეც არ შესრულებია მათ.

...ფეხს იდგამს პავლე, ფეხს იდგამს ლეონია. წაიქცევა ერთი, წაეპოტინება მეორე. ელენე თავს ევლება ერთსაც და მეორესაც.

...იწყება ჭიტას, ცხენობანას, ომობანას თამაში ერთად, თამაში სხვებთან, წენწყარში ჭყუმპალაობა, ღორჯოების ჭერა, ფეხშიშველი ტანტალი მინდვრად, დაბარტყება, გამაგრება, გაკაჟება.

...ბატონები მოდიან! ბატონები მოდიან! — ისმის სობოგას გორაკიდან ვიღაცის ხმა. ეს ბატონები ლეონიას მშობლებია. ჩამოდიან ლეონიას სანახავად და სახლში დროებით წასაყვანად. ლეონია იმა-

---

[1] სად არის ბოგირი?
წყალმა წაიღო.
აბა, რა ვქნა?
ფეხით გადადი.

ლება, პავლეს არ სცილდება, ტირის და დუდღუნებს ლეო-ლეონია, ლოვა-ლოვუშკა, შინაურებში ამ მეტსახელებით შემკობილი.

...თედორე ბრუნდება ობუჯიდან თავისი ფეხკავშა ცხენით. წინ ლეონია უზის. ჯიხაშკარის ცაცხვებს გამოსცდნენ და ამღერდა ბავშვი. ახლა ის უკვე სობოგაშია. მოდის, მოუხარია თავის გამზრდელ ძიძისკენ, პავლუშასკენ, მორდუს დაფეხვილ, კვამლით და ჭვარტლით გამურულ სახლისკენ. ეფერება გზაზე თედორე მორდილს, ეგებება სოფელი. ეხვევა ელენე. ეხვევა ყველა.

...ზამთრის გრძელი ღამეები. გიზგიზა ცეცხლი. კვამლი. მბეჟუტავი კვარი. ჰყვება ნავახშმევს ერთი ძმა ერთ საღამოს ერთ ზღაპარს. არაჩემიების მთელი „ჯალაბობა" სულგანაბული უსმენს მას. ურთიერთ რიდი, მოკრძალება. პატივისცემა სუფევს თედორეს ოჯახში. წესიერებას ეჩვევიან ბავშვები. და ასე გრძელდება ატმობის ყვავილობამდე, შემდეგ და შემდეგ.

...დედულეთში მიჰყავთ — რუხის ციხე აოცებს, საძიძეთში — ჰაქვინჯის, მამისეულში — მთავარანგელოზის მონასტერში დასვენებული ხატი ფრთიანი ანგელოზებით. არავინ იცის საით ეძახის შინაგანი ხმა. გაურკვეველობის ნისლშია გახვეული. რომელ ერთს მიაპყროს თვალი? რომელ ერთს მიაჩერდეს? რომელ ერთს მიენდოს? ირევიან, ირყევიან, ბარბაცებენ წარმოდგენები და შთაბეჭდილებები რუხისა, ჰაქვინჯისა და ობუჯის შემოგარენში...

ეს მინიატურული შტრიხები მხოლოდ მიახლოებით, ნაწილობრივ ავსებენ იმ სიცარიელეს, რომელიც არსებობს ქიაჩელის გაძიძავების ფაქტსა და ამ ფაქტის გამომსახველ მასალებს შორის. ერთი რამ მაინც დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს: მისი ძიძა იყო თეკლათელი ელენე (ლენა) ჟვანია, გამრჯე, შრომისმოყვარე ქალი, რომელიც ცოლად ჰყავდა სობოგაში მცხოვრებ თედორე არაჩემიას. ქიაჩელის ძუძუმტე იყო პავლე თედორეს ძე არაჩემია, რომელმაც შემდგომ ქიაჩელის მშობლების დახმარებით მიიღო საშუალო განათლება. იგი 1910-იან წლებში პედაგოგად მუშაობდა ზუგდიდის ექვსკლასიან სასწავლებელში, მერე საცხოვრებლად გადავიდა ახალსენაკში და იქ გარდაიცვალა. ელენესთან ცხოვრობდა მისი და ბაბულია, ის გაუთხოვარი დარჩა. იცოცხლა ას წელიწადზე მეტს, მოესწრო ქიაჩელის სიკვდილს და ზუგდიდში ცხარე ცრემლებით დაიტირა თავისი დის გაზრდილი.

თედორე და მისი ძმები: — გიორგი, ანტონია და კაჟინა უმი-

წაწყლო გლეხები იყვნენ. ამიტომ თავადაზნაურობასთან იყვნენ მიჯაჭვულნი როგორც თავისუფალი, მიწის იჯარით ამღები მშრომელები. ისინი ეკუთვნოდნენ სობოგას სამრეელოს, ცხოვრობდნენ სობოგას ეკლესიის გვერდით. მათ არ ჰქონდათ საკუთარი მიწა, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდათ უძვირფასესი სიმდიდრე — შრომის სიყვარული, მაღალი ზნეობა. გლეხური სიწმინდე და სინდისი. ამ გლეხების ყოფა-ცხოვრებიდან, ადათ-წესებიდან, ჩვეულებებიდან, სობოგაში გატარებული ბავშვობის წლებიდან ბევრი რამ წარუშლელ ხსოვნად შერჩა ქიაჩელის მეხსიერებას.

სობოგიდან გამოჰყვა ქიაჩელს თავისი გამდელის განუშორებელი და დაუვიწყარი სახე, სიკეთისა და სიმართლის რწმენა, თავისი შემოქმედების დაუშრეტელი მასაზრდოებელი წყარო და, რაც მთავარია, ის საოცარი სულიერი და ხორციელი სიჯანსაღე, რომელმაც ადვილად გადაატანინა შემდგომ ციხისა და ემიგრაციის საშინელი პირობები, სამამულო ომის დროს თავს დატეხილი მძიმე ხვედრი და ოჯახის წევრთა შორის ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე არგუნა.

სწორედ სობოგიდან — სამეგრელოს ამ პატარა კუნჭულიდან აფრენილმა ბავშვობამ დააბრუნა ქიაჩელი გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, 1961 წელს, თავისი მორდუსა და ძიძის — თედორე არაჩემიასა და ელენე ჟვანიას ნაფუძართან, იმ მიდამოში, სადაც პირველად აიდგა ენა, პირველად აიდგა ფეხი, პირველად დაიწყო საგნებისა და მოვლენების თავისებური, პრიმიტიული შეცნობა. წელში მოხრილი მხცოვანი მწერალი დიდხანს იდგა სობოგის გორაკზე, მდუმარედ დასცქეროდა არაჩემიების ნასახლარს და ფიქრებში ნეტარებით ელოლიავებოდა ყველაფერს, რასაც მისი ბედნიერი ბავშვობის ნატერფალი აჩნდა. იგი იგონებდა ძიძის ხმას, მის ტკბილ „ნანა-შვილოს“, მის სიტყვებს: დღას ვაგომჭყოლიდუა გოლუაფირო მა[1] და თითქოს ჩურჩულით, რიდით და მოკრძალებით ეუბნებოდა ძვირფას გამდელს: „არასოდეს დამვიწყებიხარ, ძიძავ, ყოველთვის გიგონებდი, გიგონებ, მოგიგ...“ და აქ უნებლიეთ გაუწყდა ფიქრი, თვალები ცრემლებით აევსო, მობრუნდა და გზას დაადგა.

ეს იყო უკანასკნელი გამომშვიდობება სობოგასთან, ლაკადის ზეცასთან, ბროლიას ნაპირებთან.

---

[1] არასოდეს დამივიწყო, შემოგევლე!

ნელ-ნელა ეშვებოდა გორაკის ფერდობიდან და მის უკან თით-ქოს ჩნდებოდა უფსკრული, წყვდიადი და ზღვა, რომლებშიაც თან-დათან იძირებოდა იმ წუთების ხილვები, ინთქმებოდა და იკარგებო-და ყველაფერი, რაც ასე განუყრელად აკავშირებდა თავის პირვან-დელ ბავშვურ გრძნობებთან, ლტოლვებთან, გატაცებებთან.

პირველი მგზავრობა

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველი არისტოკრატიული ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისა-ღებად პეტერბურგისკენ მიეშურებოდა. ამ ლტოლვის ძირითადი კე-რა თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები იყო. დასავლეთ საქარ-თველოს განაპირა მხარე იმ ხანებში ფაქტიურად მოწყვეტილი იყო სწავლა-განათლების ამ მთავარ კერებსაც კი. ტერიტორიულად შე-დარებით მასთან ახლოს იყო ქუთაისი, მაგრამ იქ სასწავლებლად შვილის მოწყობა და მისი რჩენა მაინც დიდ ხარჯებთან იყო დაკავ-შირებული, რაც საზოგადოების დაბალი ფენისათვის სრულიად მი-უწვდომელი იყო. ზედაფენის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ამიტომ არისტოკრატია ცდილობდა გამოეყე-ნებინა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა სახელმწიფო ხარჯ-ზე შვილების სწავლის უზრუნველყოფისათვის. ეს კი ძლიერ შეზ-ღუდულად და მეფის წინაშე რაიმე დამსახურების ნიშნით ხდე-ბოდა. ასე იქმნებოდა ბარიერები. ქუთაისში მოხვედრა მთიანი სამეგრელოს მოსწავლე ახალგაზრდობის სანატრელი ოცნება იყო.

1892 წელს ზუგდიდში მიხეილ შენგელაიას საცხოვრებლად გადასვლა და სობოგიდან რვა წლის ლეოს ზუგდიდში გადაყვანა და-კავშირებული იყო ციხიდან მიხეილის გათავისუფლებასა და წინან-დელი ღირსებისა და უფლების აღდგენასთან. მაგრამ ეს მაინც არ აძლევდა მას შვილის სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის უფლებას. ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად მიხეილმა დიდი ნადიმი გა-მართა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო მწერლის სადებიუტო ნა-წარმოებს „წარსული აწმყოში“. სწორედ ამ ნადიმის გადახდის შემ-

დეგ წაიყვანა ქუთაისში მამამ თავისი ვაჟი ლეონი, რომელსაც წიგნისადმი პირველი სიყვარული დედამ ჩაუნერგა.[1]

თითქმის ნახევარი წელიწადი გაატარა ობუჯსა და სობოგაში ცხოვრების შემდეგ პატარა ლეომ ზუგდიდში, მდინარე ჩხოუშიას პირას. აქ მისი შემეცნების საგანი გახდა სოფლისგან განსხვავებული გეოგრაფიული პუნქტის თავისებურება, ქალაქური წყობა, ადამიანების სხვანაირი იერი და საქმიანობა, ქუჩები და დუქნები, ბაზრის ხმაური, სამეგრელოს მთავრის სასახლე, მიურატისეული ტყე-პარკი, რაფიელ ერისთავის ინიციატივით გაშენებული ბულვარი.

...დედას დიდხანს ჰყავდა თავისი პირშო მიხუტებული მკერდზე. კოცნიდა და ეფერებოდა. უფროსმა ძმამაც გადაკოცნა. პატარა ცაცუ კი ამ დროს აკვანში იწვა. სათითაოდ ჩაკოცნეს მორდუმ და გამდელმა — მის გასაცილებლად სობოგიდან ჩამოსულებმა, ბიძებმა, მამიდებმა და დეიდებმა, მეზობლებმა და ტოლბიჭებმა.

მიხეილმა ლეო გვერდით მოისვა და ეტლის კოფოზე მჯდარ „ქუჩერს“ ბრძანების ტონით უთხრა: — აბა, წავედით!

თბილი დილა თენდებოდა. თბილ ალერსს ზედ მზის თბილი სხივები ეპკურებოდა, როგორც გასაშლელად ყელმოღერებული ვარდის კოკორს მაცოცხლებელი ცვარ-ნამი და არემარე თითქოს უცნაურ, ტკბილ ბურანში იყო გახვეული.

ბულბულები გალობდნენ მიურატის ბაღში.

ის იყო „ქუჩერმა“ მოზიდული აღვირები მიუშვა, მწუ-მწუო, დაუწრუპუნა ცხენებს, უეცრად კეღუცა ბაბუა (მამის მხრიდან ბაბუა ზურაბს ლეო არ მოსწრებია) ეტლს წინ გადაუდგა და ყალყზე შემდგარი ცხენები აღვირის დაჭერით შეაჩერა.

— ლექსი გვითხარი, ბაბუკა, ისე არ წახვიდე, დედამ რომ გასწავლა, ის ლექსი. — უთხრა მან შვილიშვილს.

ლეონია ახლა მიწაზე კი არ იდგა, თითქოს ტრიბუნიდან გადასცქეროდა ყველა იქ მყოფთ, თვალებით პავლეს ეძებდა, თავის ძუძუმტეს, მიყურებს თუ არაო, მასთან განშორება ყველაზე უფრო ეძნელებოდა.

---

[1] არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით ქიაჩელი პირველად ობუჯის ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდა (იხ. გაზეთი „მებრძოლი“, 1975, 22 მარტი, № 35). მაგრამ მწერალი თავის ავტობიოგრაფიაში არსად იხსენიებს ამ ფაქტს.

— თქვი, ლეონია, თქვი! — ემუდარებოდა დედაც.

ლეონია ეტლის სადგომზე ლარივით გაიჭიმა, ხელები შარვლის ჯიბეებთან მიიდო, როცა ირგვლივ ფუსფუსი შეწყდა, ხმამაღლა დაიწყო:

მახსოვს პირველად სასწავლებელში
წასაყვანადა რომ მომამზადეს,
მაშინ ანბანი მე მომცეს ხელში
და შორსა გზასა მე გამაგზავნეს.

უკანასკნელი ფრაზები ლეონიამ ისეთი აწეული ინტონაციით წარმოთქვა, ყველას გაუკვირდა, რაღაც მიუწვდომელ, ჩრდილოეთის ყინულოვან სივრცედ მოეჩვენათ ეს „შორი გზა“. ბავშვი ტაშით დააჯილდოვეს. მაგრამ სევდის მომგვრელმა ხმამ ყველა შეაკრთო. მაშინ არავის შეეძლო ეფიქრა იმაზე, რაც ამ ხმის ტონში იმალებოდა თურმე!

მამამ ისევ გვერდით მოისვა ლეონია.

— აბა, წავიდეთ, გვაგვიანდება! — უთხრა მან „ქუჩერს“.

— კეთილი იყოს შენი პირველი შორი გზა, ბაბუკა! — კიდევ ერთხელ ჩაკოცნა კეღუცამ შვილიშვილი, კიდევ ერთხელ წაუთათუნა ხელი მის გვერდით თავაწეულ წაბლისფერ ცხენს და გზის განაპირას დადგა.

ეტლი დაიძრა.

ზღვისპირეთის ნიავმა ქოჩორი აუშალა ბავშვს, შუბლი გაუგრილა, გონება გაუხსნა, თვალები აუციმციმა, გზა დაულოცა და. ჩხოუშიას ზვირთებში განბანილმა, ხის კენწეროებიდან დაუწყო ცქერა მანამ, სანამ ეტლი ზუგდიდის საზღვრებს გასცილდებოდა...

ასე დაიწყო 1893 წლის 25 აგვისტოს ცხრა წლის ბავშვის პირველი მგზავრობა ზუგდიდიდან ქუთაისამდე. მთა-გორაკებს შეჩვეული ბიჭუნა პირველად მოხვდა კოლხეთის ნესტიან დაბლობში. რამდენადაც მის ბავშვურ ცნობისმოყვარეობას ხიბლავდა ცაიშის. ხეთის, ხობის, სენაკის, აბაშის, იმერეთის ბუნების პეიზაჟები, იმდენად აღონებდა და აოცებდა გზებზე შეხვედრილი ჭაობები, ისლით გადახურული სახლები და მათ ფასადებზე თითქოს დროშებად გადმოფენილი სიღარიბე.

— მამა, ეს რა ქალაქია? — იკითხა ბავშვმა, როცა დაღამებისას ეტლი ეჟვნების ჟღარუნით რიონის თეთრ ხიდზე გადადიოდა.

— მოვედით, შვილო, ქუთაისში ვართ, შენს პეტერბურგში! —

უთხრა მამამ და ეტლი გეგუთის ქუჩაზე იმ სახლის ჭიშკართან გააჩერებინა, რომლის პატრონს მიხეილი ქუთაისში სწავლის პერიოდიდან იცნობდა.

ეს იყო ბუჭა იოსელიანის სახლი, პატიოსნებით, სიკეთით და სიწმინდით მთელ ქუთაისში განთქმული ოჯახი. აქ დაუდო მამამ ბინა შვილს. ამ დროიდან იგი ლეონ შენგელაიას მეორე მშობლიურ კერად იქცა.

„მაშო-მასწავლებელი“

ბავშვობიდან ორი მომენტი რჩება ადამიანის მეხსიერებას ყველაზე განუყოფელ, მუდმივ თანამგზავრად. ერთს „აკვნის დედას“ უწოდებენ, მეორეს „ანბანის“. ჩვენს პირობებში მათი დაცილება წარმოუდგენელია. გიორგი ჭალადიდელის სახელი, როგორც პოეტისა, ყველაზე მეტად იმ ერთმა ლექსმა შემოინახა ჩვენს ლიტერატურაში, რომლის სახელწოდებაა „მოგონება“. ეს არის მწარე გახსენება იმ დროისა, როცა ითიშებოდა ერთმანეთისაგან ბავშვობის ეს ორი უდიადესი მომენტი. მაგრამ რა მწვავეც არ უნდა ყოფილიყო ეს გათიშვა, ისინი მაინც ყოველთვის ერთდებოდნენ მოგონებებში, როგორც გამთლიანებული ბავშვობის მუდამ მიმზიდველი სახე.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საშუალო სასწავლებლებში, კერძოდ, კლასიკურ გიმნაზიებში შემსვლელ ქართველ ბავშვს მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ, რომელთა შესრულება უაღრესად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მას უნდა ჰქონოდა რუსული ენის გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნა. სამეგრელოს მთიანი კუთხიდან ჩამოყვანილ მოზარდს ასეთი ცოდნა, ცხადია, არ გააჩნდა. ამიტომ გადაუდებელ საჭიროებად დადგა გიმნაზიის ერთწლიან მოსამზადებელ განყოფილებაში შესასვლელად კერძოდ მომზადება

ქიაჩელის პირველი მასწავლებელი იყო მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი, რომელსაც თავის „გეგმა-ვარიანტში“ მწერალი „მაშო-მასწავლებლის“ სასიყვარულო სახელით იხსენიებს. ვინ იყო იგი?

მარიამ იოსელიანს დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის ლიცეუმი, შემდეგში სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტშიც. იგი ქუ-

თაისში ითვლებოდა ერთ-ერთ განათლებულ, სწავლა-აღზრდის ოსტატ პედაგოგად. შემთხვევითი არ იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ამ საგუბერნიო ცენტრში მან პირველმა დააარსა საბავშვო ბაღი და აქ პირველმავე დანერგა ე. წ. ფრებელის მეთოდი, როგორც იმ დროისათვის ბავშვთა სწავლა-აღზრდის სრულიად ახალი სისტემა. მისი მომხიბვლელი ტაქტი, ცოდნა, გულისხმიერება, ხასიათი, შეგირდებისადმი მიდგომა და დამოკიდებულება საყოველთაო ყურადღებას იქცევდა, იზიდავდა და იპყრობდა ბავშვთა ინტერესს, უვითარებდა და უმტკიცებდა მათ სასარგებლო ჩვევებს, უადვილებდა მასალის ათვისებას, რუსული ენის დაუფლებას. ამიტომ მასთან ბავშვის მოსამზადებლად მიბარება მშობლებისათვის ერთგვარი ბედნიერება იყო. ამ ბედნიერებისაკენ ბუჭა იოსელიანის ოჯახის მეშვეობით ქიაჩელს ქუთაისში მისი ჩაყვანის დღიდანვე გზა გახსნილი ჰქონდა.

ბუნებრივია, ანბანის დაწყებიდანვე ასეთი მზრუნველი, ენთუზიასტი, ყოველმხრივ იდეალური და შთამაგონებელი მასწავლებლის ხელში მოხვედრა, ბუჭას ოჯახის დიდ სითბოსთან ერთად, შორეული სოფლიდან ჩამოყვანილ, ფაქიზი ბუნების ბავშვს, უმსუბუქებდა დედის და ძიძის კალთებიდან ადრე განშორების ტკივილებს და იმ სიმძიმეს, რასაც გრძნობდა და განიცდიდა იგი მისთვის უცხო რუსული ენის გრამატიკული საფუძვლების შესწავლის პროცესში. ობუჯისა და სობოგას კეთილმოქმედ გარემოდან პირველი მასწავლებლის — მარიამ იოსელიანის და მისი ახლო ნათესავის — ბუჭა იოსელიანის ოჯახის სახით იგი მოექცა ისეთ კეთილისმყოფელ გარემოში, რამაც უაღრესად დადებითი როლი შეასრულა მისი სულიერი ფორმირების, ადამიანური ბუნების. ინტერესებისა და მისწრაფებების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

კლასიკურ გიმნაზიაში

1895 წლიდან 1904 წლამდე ქიაჩელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის ქუთაისის ფილიალში კლასიკური გიმნაზიის ზემოაღნიშნული წლების მასალებს შორის ინახება ლეონ მიხეილის ძე შენგელაიას პირადი საქმე, რომლის ნომერია 2835. იგი თექვსმეტი ფურცლისაგან შედგება.

უპირველესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა აქ დაცული დოკუმენტის მიხედვით ქიაჩელის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1886 წლის 28 მაისი — ეკლესიაში მონათვლის ის დრო, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. თუ ამ ორ წელს გამოვაკლებთ და ქრონოლოგიას ფაქტიური სინამდვილიდან — ე. ი. 1884 წლიდან დავიწყებთ, მაშინ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შესვლის დროისათვის ქიაჩელი თერთმეტი წლის უნდა ყოფილიყო. 1895 წლის 8 აგვისტოს დაწერილ თხოვნაში მწერლის მამა მიხეილ ზურაბის ძე შენგელაია გიმნაზიის დირექტორს აცნობებს, რომ მისი შვილი, ლეონი, ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში კერძოდ ემზადებოდა მარიამ კონსტანტინეს ასულ იოსელიანთან, რაც მას საფუძველს აძლევს ჩააბაროს მისაღები გამოცდები გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაში ჩასარიცხავადო[1]. გამოცდების შედეგად ლეონ შენგელაიას რუსულ ენაში მიუღია შეფასება ოთხი, არითმეტიკაში — ოთხი, საღვთო სჯულში — ოთხი[2]. ეს მოწმობს მარიამ იოსელიანის დიდ ამაგს, მის დიდ ზრუნვას გიმნაზიაში შესასვლელად შეგირდის მომზადებისათვის.

1904 წლის 8 ივნისს გაცემული სიმწიფის ატესტატი გვაუწყებს, რომ ლეო შენგელაიას ცხრა წელიწადი უსწავლია ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და იგი დაუმთავრებია ფრიადი ყოფაქცევით და საერთო დამაკმაყოფილებელი ნიშნებით. ატესტატში მითითებულია თერთმეტი საგანი, რომელთა შორის მშობლიური ენა და ლიტერატურა სრულიად არ არის დასახელებული.[3]

მაგრამ განა შეიძლება დავკმაყოფილდეთ ასეთი მშრალი საარქივო მონაცემებით და არაფერი ვთქვათ საშუალო განათლების იმ დიდებულ კერაზე, რომლის კედლებში ჩვენი მწერლობის, მეცნიერების და კულტურის არაერთი შესანიშნავი წარმომადგენელი აღიზარდა რევოლუციამდელ პერიოდში?

არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ქუთაისის კლასიკურ

---

[1] საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის ქუთაისის ფილიალი, ფონდი 94, საქმე 2835, ფურცელი 6. ეს ფაქტი თავისთავად მოწმობს, რომ ქუთაისში პირველად ჩაუყვანიათ ქიაჩელი 1893 წელს, როცა ის ცხრა წლის იყო და არა შვიდი წლის, როგორც თვითონ აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში (იხ. თხზულებანი, ტ. V, 1964, გვ. 122).

[2] იქვე, ფურცელი 7.

[3] იქვე, ფურცელი 2.

გიმნაზიაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები საფუძვლიანად ისწავლებოდა. აქ ყოველთვის ძირითადად კვალიფიციური, თავისი საქმის დიდად მცოდნე მასწავლებლები იყვნენ შერჩეულნი. მიუხედავად სწავლა-აღზრდის დესპოტური, რეაქციული მეთოდების ბატონობისა, მიუხედავად ქართულ ენაზე ლაპარაკის აკრძალვისაც კი, მოსწავლეებში ცოდნის შეძენისადმი ინტერესის გაღვივებას, ენების დაუფლებას სათანადო ყურადღება ექცეოდა. აქ, ამ გიმნაზიის კედლებში გამოუმუშავდა ლეო შენგელაიას თვითძიებისა და თვითგანვითარების ჩვევა, აქ დაეწაფა იგი სავალდებულო წიგნების გარდა გარეშე ლიტერატურის სისტემატურ კითხვას მეცნიერებისა და ხელოვნების, სოციოლოგიისა და პოლიტიკის სხვადასხვა სფეროდან. იგი ადრიდანვე განირჩეოდა თავისი ტოლებისაგან სიდინჯით, გონიერებით, რუსული და ფრანგული ენების ცოდნით, საერთო განათლებულობით, მომზადებულობით. ყველაფერი ეს გარეგნულ ელეგანტურ შესახედაობასთან ერთად გარკვეულ თვალსაჩინო ადგილს აკუთვნებდა მას მოსწავლეთა, მეგობართა, ნაცნობთა და უცნობთა წრეში. ამ მხრივ იგი ყოველთვის იყო მოქცეული ყურადღების, თანაგრძნობის, დაფასების გარემოცვაში, რაც მის ავტორიტეტს გიმნაზიაში თანდათან ზრდიდა და ამაღლებდა.

თუ 1923 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიულ საბავშვო მოთხრობას „ერთ თავგადასავალს“ გამოვიყენებთ, როგორც ავტორისეული მოგონების შეცვლილ ვარიანტს, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ კლასიდან კლასში გადაყვანისას ქების მოწმობა მას არა ერთხელ ჰქონია მიღებული. ამით მიუხაროდა დასვენების პერიოდში სოფლისკენ, სახლისკენ, მშობლებისკენ, სადაც საგანგებოდ მომზადებული საჩუქარი — ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი და წუღა-მესტები ხვდებოდა. მოვიტანოთ ერთი ეპიზოდი სასწავლო ცხოვრებიდან, როცა ის უკვე გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე იყო. „როგორც კი დადგა საზაფხულო არდადეგები, — ჰყვება ამ მოთხრობაში თავისი ორეულის პირით ქიაჩელი, — ქალაქში რა გამაჩერებდა. გახარებული მივაშურე ჩემს საყვარელ სოფელს. ის კი არ მიხაროდა, რომ სწავლაში წარმატების მოწმობა მქონდა მიღებული, არც კი მახსოვდა მისი არსებობა. მიხაროდა დედის, ძმის, ნათესავების, მეზობლების ნახვა. ყველასი, ვინც კი მე-

ნახა და დამხსომებოდა, მათი ალერსი მწყუროდა. მათი ტკბილი სიტყვის გაგონება მინდოდა"[1].

1902 წელს, მეექვსე კლასში ყოფნისას, ლეოს მამა ქუთაისში ვარდაიცვალა. მის გასვენებას ზუგდიდში დიდძალი ხალხი დაესწრო. მამის გლოვის ნიშნად ჭაბუკს დიდხანს ჰქონდა წვერები მოშვებული, ერთხანს სწავლასაც ჩამოცილდა, მაგრამ სასწავლო წელი მაინც არ გაუცდენია.

ლეო მტკიცედ იცავდა გიმნაზიის სასწავლო რეჟიმს, შინაგანაწესს, მთელი გულისყური იქით ჰქონდა მიპყრობილი, რომ კარგი სწავლით და ყოფაქცევით დაემსახურებინა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება, რათა გაჰყოლოდა მამისეულ გზას — იურისპრუდენციას. მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ შექმნილმა ვითარებამ და სხვა მრავალმა გარემოებამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ფსიქიკა. გიმნაზიაშივე დაეტყო მას ის შინაგანი მერყეობა, პრაქტიკულ ნაბიჯებთან და საქმიანობასთან სურვილების და მიზნების ის შეუსაბამობა, რაც საფუძვლად დაედო მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი სულის გაორებას, შემოქმედების წინააღმდეგობრივ ხასიათს, მსოფლმხედველობრივ ევოლუციებს.

ამიტომ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ლ. მ. შენგელაიას სწავლის ხანა უნდა განვიხილოთ მჭიდრო კავშირში თვით „სამაისო და სავარდო" ქუთაისის, როგორც მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების მეორე დიდი ცენტრის, როლსა და მნიშვნელობასთან მისი იდეალების ფორმირების საქმეში. ამ მხრივ ქუთაისი ქიაჩელის შეგნების პირველი დამრწევი აკვანი იყო. აქ მოიპოვა მისმა პიროვნებამ საკუთარი, ინდივიდუალური სახე.

1900-იან წლებში ქუთაისის თეატრი თავისუფლებისათვის ბრძოლის ჭეშმარიტ ტრიბუნად იყო გადაქცეული. აქ მოღვაწეობდნენ: ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, იუზა ზარდალიშვილი, შალვა დადიანი და სხვ., რომელთა გამოსვლები სცენაზე მთელ ხალხთან ერთად, უდიდესი შთამბეჭდაობის ძალით იზიდავდა განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას. მაშინ ქუთაისის თეატრის სცენაზე ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის ისეთი პიესები იდგმებოდა,

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. 1, 1946, გვ. 44.

როგორიც იყო: „ფეიქრები“, „კაიუს გრაკხი“, „სამშობლო“, „ქეთევან წამებული“, „ქოხში“, „ძალა აღმართს ხნავს“ და სხვ.

„ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე ვიყავი, — იგონებდა ქიაჩელი შალვა დადიანის დაბადების ოთხმოცი წლისთავის საიუბილეო საღამოზე 1954 წელს, — მაშინდელი ახალგაზრდობა რომანტიკული პატრიოტიზმით ვიყავით გატაცებული, რასაც ჩვენში ქართული მწერლობა და თეატრი ჰკვებავდა. გმირად გვყავდა წარმოდგენილი ყველა, ვინც მაშინ ამა თუ იმ სახით ქართულ ხალხურ საქმეს ემსახურებოდა... ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა სინამდვილე, რომელშიც ვცხოვრობდით. თეატრში ნახული (ლაპარაკია ქუთაისის მაშინდელ თეატრზე — ა. თ.) დავით ერისთავის „სამშობლოს“ და სხვ. ისტორიული პიესების გმირები სცენიდან ცხოვრებაში გადმოგვყავდა, როგორც ვითომდა ჩვენს დროში რეალურად მოქმედი ადამიანები. მათი როლების შემსრულებელ მსახიობებს თვითონ გმირებისაგან არ ვანსხვავებდით... გვინდოდა, რომ ცხოვრებაშიც ხიმშიაშვილები და ლეონიძეები ყოფილიყვნენ და მათი პირიდან ნამდვილად .გაგვეგონა ვაჟკაცური მოწოდების სიტყვები: „დაჰკარ, ლევან! მით სამშობლოს იხსნი“[1].

ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით „რომანტიკული პატრიოტიზმის“ და „სინამდვილით უკმაყოფილების“ საკითხს, მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა მივუთითოთ სწორედ იმ განსაკუთრებულ ატმოსფეროზე, რაც ქუთაისში სუფევდა იმ დროს გამათავისუფლებელი იდეების გაღვივებისა და განვითარების თვალსაზრისით.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გატარებული მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი წლები ქიაჩელის ცხოვრებაში ემთხვევა იმ ისტორიულ ხანას, როცა საქართველოში ფართოდ გაჩაღდა რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ლეო შენგელაია თავიდანვე მოექცა ამ დიდი სოციალური მოძრაობისა და რევოლუციური იდეების გავლენაში. ამისათვის ნიადაგი თვით გიმნაზიის კედლებშივე მომზადდა.

აქ ქართველ მოსწავლეთა მოწინავე ჯგუფი ჩაება ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელ იმ ფარულ წრეში, რომლის წევრებს იდეურად და ლიტერატურულად აერთიანებდა ხელნაწერი ჟურნალი „მომავალი“. ასეთი ხელნაწერი გაზეთისა და ჟურნალის გამოშვების ტრადიცია ამ გიმნა-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 377—378.

ზიაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებიდან იყო დანერგილი. ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარეს გიმნაზიის იმ დროის მოსწავლეებმა, შემდეგში კი ცნობილმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ნიკო მარმა, სილოვან ხუნდაძემ, გიორგი ლასხიშვილმა, პეტრე მირიანაშვილმა და სხვ. წრის წევრთა შორის ლეო შენგელაიას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

ხელნაწერი ჟურნალი „მომავალი“ მოსწავლეებში აღვივებდა ქართული ენის, სამშობლოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესწავლის ინტერესს, გამოხატავდა გიმნაზიელთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მისწრაფებებს. იგი მზადდებოდა ათ ეგზემპლარად. ათსავე ეგზემპლარში შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული წრის წევრები საკუთარი ხელით წერდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს. 1903 წელს მოსწავლეთა წრის მიერ გამოშვებულ ამ ხელნაწერ ჟურნალში მოთავსებული იყო ლეო შენგელაიას პირველი პროზაული ნაწარმოები „სიზმარი“, რომელშიც ალეგორიულ ფორმებში იყო გამოხატული წრეში გაერთიანებულ გიმნაზიელთა რევოლუციური სულისკვეთება, თვითმპყრობელობის დამხობისა და მშრომელთა გამარჯვების იდეა.

მოსალოდნელი იყო, რომ დამწყები შემოქმედი არ უღალატებდა თავის შინაგან მოწოდებას. მაგრამ ასე არ მოხდა.

„1900-იან წლებიდან, — წერს პოლიტკატორღელი ალ. ჩხეტია თავის მოგონებაში, — რაღაც გაურკვეველმა, მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტანტულმა მოძრაობამ მოიკიდა ფეხი ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობაში, შემდეგ ნოქრებსა და მშრომელ ელემენტებში. ერთხელ რუსეთიდან 1902 თუ 1903 წელს ჩამოვიდა დრამატული დასი, რომელმაც ქალაქის თეატრში დადგა ანტისემიტური პიესა. ობსტრუქციისათვის მომზადებულმა ახალგაზრდობამ თამაშის დროს აქტიორებს დაუშინა ლაყე კვერცხები. საცოდავი შესახედავი გახდნენ აქტიორები. შეწყდა თამაში, ჩაერია პოლიცია, მაგრამ ვერაფერი გააწყო ქუჩაში მოზღვავებულ ხალხთან. გამოიყვანეს ყაზახთა რაზმი, რომელიც ხან ერთ ქუჩაში დასდევდა, ხან მეორეში შეგროვილ პროტესტანტებს, რომლებიც ყაზახების მათრახებს ქვებით უპასუხებდნენ“[1].

ჰაბუკი შენგელაია გაჰყვა დროის, ეპოქის, ხალხის ამ საერთო

[1] სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი 2394, გვ. 34.

დინებას, საერთო ხმას, საერთო პროტესტანტულ განწყობილებას.

1903 წლიდან ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ფარული წრის მიმართულება რადიკალურად შეიცვალა. „წრის წევრებში, — წერს ქიაჩელი თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში, — ძლიერდებოდა რევოლუციური სულისკვეთება, რასაც ხელს უწყობდა ამ დროს როტშილდის ქარხნის მუშათა გაფიცვები ბათუმში და პოლიტიკური დემონსტრაციები, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა“[1]. ვიწრო ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის საკითხებით გატაცებიდან წრე გადავიდა მარქსისტული არალეგალური ლიტერატურის (კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ვ. ი. ლენინის ბროშურები: „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები“, „სოფლის ღარიბებს“, „რსდმპ პროგრამა“ და სხვ.), რევოლუციური მოძღვრების შესწავლაზე, რასაც მოჰყვა აქტიური პოლიტიკური მუშაობის გაჩაღება „ქუთაისის მუშებსა და ახლომდებარე სოფლების გლეხობაში“[2].

მოწაფეთა წრის წევრებიდან ქიაჩელი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ადრიდანვე დაადგა პრაქტიკულ-არალეგალური მუშაობის გზას. ამას ხელი შეუწყო განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ 1903—1904 წლებში ქუთაისში ცხოვრობდა ცნობილი რევოლუციონერი, 1918 წელს ბაქოში დახვრეტილი ერთ-ერთი ოცდაექვს კომისართაგანი — ალიოშა (პროკოფი)ჯაფარიძე, რომელიც იმ ხანებში რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში მუშაობდა. ეს კომიტეტი სწორედ 1903 წელს შეიქმნა ქუთაისში, როგორც დასავლეთ საქართველოში მთელი რევოლუციური მოძრაობის წარმმართველი, ხელმძღვანელი ბირთვი. ალ. ჯაფარიძესთან ქიაჩელის ახლო ურთიერთობას მოწმობს ის, რომ 1903 წელს მის ბინაზე სწორედ ა. ჯაფარიძის უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქუთაისელ წვრილ ხელოსანთა და ნოქართა რევოლუციური ორგანიზაცია. ამავე წლიდან, 19 წლის ჭაბუკი, უკვე თვით გახდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რის შედეგად იგი მალე პროფესიონალ-რევოლუციონერთა რიგებში მოექცა. „მე არ ვტოვებდი არც ერთ დემონსტრაციას, ვავრცელებდი პროკლამაციებს და ვაწვდიდი ქარხნებთან და ფაბრიკებ-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. V, 1964, გვ. 122.

[2] იქვე.

თან არსებულ მუშათა წრეებს არალეგალურ ლიტერატურას"[1]. — აღნიშნავს ქიაჩელი.

ამ ცნობას ადასტურებს ძველი ბოლშევიკის. ილია ბახტაძის მოგონება, რომელიც ინახება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში. „რევოლუციისათვის მზადების პერიოდში, — მიუთითებს ი. ბახტაძე, — ქუთაისში გაცხოველებული არალეგალურ-რევოლუციური მუშაობა წარმოებდა უპირველეს ყოვლისა სასულიერო სემინარიაში, ქალთა გიმნაზიაში, კლასიკურ გიმნაზიასა და ყველა სოფლის სასწავლებელში. ინტელიგენციაში სიტყვებით და რეფერატებით გამოდიოდნენ: ს. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ჭ. ლომთათიძე, ს. ქავთარაძე, მიტრო მგელაძე, პ. საყვარელიძე, პ. ქაცარავა, ა. ურუშაძე, ლ. შენგელაია (ქიაჩელი) და სხვები"[2]. 1904 წელს, როცა ქუთაისში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში ლიბერალური ბურჟუაზია აწყობდა კრებებს და მოუწოდებდა ყველა კლასს შეერთებისაკენ, რასაც მხარს უჭერდნენ ქართველი მენშევიკები, „ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტობა, — აღნიშნავს ილია ბახტაძე, — ნესტორ ბალანჩივაძის[3], ლეო შენგელაიას, კოლია ჭეიშვილის, ივანე ფრანგულიანის, ვალოდია ქუთათელაძის მეთაურობით ასეთ კრებებზე ობსტრუქციებს აწყობდნენ და დაუნდობლად ამხელდნენ, ააშკარავებდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიას და მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას"[4]. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია მწერლის გიმნაზიის დროინდელ ბიოგრაფიაში.

უფრო მეტიც. ქიაჩელი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე „იმერეთ-სამეგრელოს" კომიტეტის ხელმძღვანელობით 1904 წლის 3 თებერვალს ქუთაისში მომხდარი მოსწავლეთა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციისა, რომლის ჩატარების გეგმა წინა დღით, 2 თებერვალს, შემუშავებულ იქნა მდინარე წყალწითელას პირას,

---

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. V, 1964, გვ. 122—123.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ფონდი 34, საქმე 314, გვ. 10.

[3] ნესტორ ბალანჩივაძე იყო კლასიკურ გიმნაზიაში ლ. შენგელაიას თანაკლასელი, ახლო მეგობარი, მოსწავლეთა არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი, ბოლშევიკური მიმართულების დამცველი. მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. ქუთაისში გარდაიცვალა 1916 წელს.

[4] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ფონდი 8, ანაწერი 2, ნაწილი 1, საქმე 4, გვ. 289.

საფიჩხიის ტყეში, მოსწავლეთა ფარულ კრებაზე. პოლიცია თავს დაესხა კრების მონაწილეებს, დაარბია ისინი და დააპატიმრა 36 მოსწავლე[1]. მთავარი ორგანიზატორები გადარჩნენ.

მიუხედავად ამისა, მეორე დღეს ქალაქის ცენტრში მაინც შედგა მოსწავლეთა გრანდიოზული დემონსტრაცია იაპონიასთან ომის გამოცხადების გამო მეფის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული „მანიფესტის“ საწინააღმდეგოდ. თუ რა დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი და ფართო გამძაფრებული ჰქონდა მოსწავლე ახალგაზრდობის ამ გამოსვლას, გვიჩვენებს „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის“ 1904 წლის მე-7 და გაზეთ „ისკრის“ იმავე წლის მე-60 ნომრებში დაბეჭდილი კორესპონდენციები. მოვიტანოთ მასალა ამ უკანასკნელიდან.

„ქუთაისი. უველგან მღელვარებაა. საზოგადოების ყოველ ფენას ემჩნევა მთავრობისადმი მტრული დამოკიდებულება. გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში მანიფესტის წაკითხვის დროს გაისმა სტვენა, სიმღერა და ძახილი: „ძირს თვითმპყრობელობა“. ქუთაისში ამ დღეებში მოეწყო საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა უველა სასწავლებლის მოსწავლეები“[2]. მოვუსმინოთ თვით ამ ამბების უშუალო მოწმეს ილია ბახტაძეს. იგი წერს:

„1904 წელს ლეო შენგელაიას (ქიაჩელის), ნესტორ ბალანჩივაძის, არხიპო ახობაძის, ილია მამფორიას, ვლადიმერ რუხაძის და სხვების მეთაურობით მოეწყო ქუთაისში მოწაფეთა გაფიცვები და დიდი დემონსტრაციები დაკავშირებით რუსეთ-იაპონიის ომის გამოცხადებასთან“[3]. მოწაფეთა ერთსულოვანი და გაბედული მოქმედებით აღფრთოვანებულმა „იმერეთ-სამეგრელოს“ კომიტეტმა იმავე ხანებში გამოსცა პროკლამაცია სათაურით „მოსწავლეებო“, რომლითაც მოუწოდა მოსწავლე ახალგაზრდობას ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

---

[1] საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ქუთაისის ფილიალი, ფონდი 5, საქმე 492, გვ. 11—12.

[2] გაზეთი „ისკრა“, 1904, № 60, შდრ. ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, 1950, თბილისი, გვ. 62.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ფონდი 8, ანაწერი 2, ნაწილი I, საქმე 4, გვ. 310.

ამ მოწოდებას თავისი პრაქტიკული, კონსპირაციული საქმიანობით, როგორც ზემოთ მოტანილი ავტობიოგრაფიიდან დავინახეთ, კლასიკური გიმნაზიიდან ყველაზე აქტიურად ეხმაურებოდა ლეო შენგელაია. იგი მალე გიმნაზიის ხელმძღვანელობის და ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ობიექტი გახდა. ამ გარემოებამ აიძულა გამოეცვალა ბინა, დაეტოვებინა ბუჯა იოსელიანის სახლი და საცხოვრებლად გადასულიყო ბალახვნის უბანში — ა. კანდელაკის ოჯახში, სადაც კონსპირაციისათვის შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. სწორედ აქ ჩატარდა ალ. ჯაფარიძის მონაწილეობით ნოქართა არალეგალური კრება 1903 წელს. რევოლუციური მოვლენების მორევმა ლ. შენგელაია ღრმად ჩაითრია თავის ზვირთებში, გაიყოლია იმ ნაპირებისაკენ, რომლებიც თითქოს სულ ახლოს ჩანდა, მაგრამ იმ ხანებში ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა. მას გარკვეული საფრთხე შეექმნა გიმნაზიის კურსის დასრულებისა და სათანადო დოკუმენტის მიღებისათვის. მაგრამ 1904 წელს, ოცი წლის ჯაბუკი, მაინც ახერხებს თავი გაართვას შექმნილ სიძნელეებს. ამ წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, იგი შედის ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც მან ფაქტიურად მხოლოდ ერთი სემესტრი გაატარა.

1905 წლის იანვრის ამბების შემდეგ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სტუდენტთა მღელვარების შიშით, უნივერსიტეტი დაიხურა, რის გამოც ლ. შენგელაია იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. მაგრამ იგი დაბრუნდა არა როგორც უნივერსიტეტიდან გარიცხული, არამედ როგორც სტუდენტი, რომელსაც უფლება ჰქონდა მეცადინეობის განახლების შემდეგ კვლავ დაბრუნებულიყო სასწავლებელში. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ მას ეს შესაძლებლობა წაართვა. სამაგიეროდ მიანიჭა სტუდენტ-აგიტატორის, სტუდენტ-პროპაგანდისტის, სტუდენტ-სოციალისტის საპატიო წოდება, რაც მაშინ დიდ ღირსებად, საამაყოდ და სასახელოდ ითვლებოდა. აქედან იწყება მისი ბიოგრაფიის ყველაზე მღელვარე, რევოლუციური თავდავიწყებითა და გამბედაობით აღსავსე ეტაპი, რომელსაც გარკვეული ახსნა და ანალიზი სჭირდება.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქიაჩელის იმდროინდელი ნაზი ჯაბუკური გარეგნობა, დახვეწილი არისტოკრატიზმი ნაკლებად შეესატყვისებოდა იმ გატაცებებს, რომანტიკას და ილუზიებს, რომლებიც მას ყოველ ნაბიჯზე საბედისწერო საფრთხეს უმზადებდა.

გავიხსენოთ თვით მწერლის მიერ დახატული არჩილ დადიშიანის პორტრეტი, რომელიც სავსებით იდენტურია მისი იმ დროის ფოტოგრაფიულ სურათებთან. წელში კარგად მოყვანილი, სახე სწორი, სუფთა, ქერა, კეთილშობილური, თვალები ოდნავ მომწვანო, ლაჟვარდივით ღრმა[1]. ძნელია მოელოდე ასეთი სათნო სახის ახალგაზრდისაგან იმ თავგანწირვას, რომელსაც ის რევოლუციის ინტერესებისათვის იჩენს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ სწორედ ასეთი კონტრასტები ქმნიან ქიაჩელის ბიოგრაფიას.

რომ ნათლად დავრწმუნდეთ ამაში, საჭიროა გავიხსენოთ არჩილ დადიშიანის ის ფიქრებიც, რომლებიც აღეძრა მას პარტიული დავალებით ფოთიდან ქუთაისში ჩამოსელის დროს და იმ ადგილების ნახვისას, სადაც გაუტარებია თავისი მოწაფეობა, ყრმობა და სიპაბუკე. ეს რამდენადმე სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის, ერთი მხრივ, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ქიაჩელის ყოფნის, მისი ბავშვობის ზოგიერთ დეტალზე და, მეორე მხრივ, შინაგანი ხასიათის იმ ნიშნებზეც, რომლებიც, როგორც ჩანს, მტკიცედ ჩამოყალიბებულა მის პიროვნებაში მაშინ (იხ. ქიაჩელის თხზულებანი, ტ. II, 1947. გვ. 259, 260—261, 271—272 და სხვ.). აქ, არჩილის განცდებში, ცოცხლობს 1900-იანი წლების ლეო შენგელაიას სულიერი დრამა, პირველი სიყვარულის ეჭვებით გაჟღენთილი გრძნობები, მისი თავისებური ბუნება.

...გეგუთის ქუჩა. არა ერთი ნეტარი მოგონება აკავშირებდა მასთან არჩილს. მოწაფეობის უმეტესი ხანა მის მიდამოებში გაეტარებინა. თითქოს მიესალმნენ ნაცნობი ადგილები: სახლები, ეზოები, ხეები, ქვებიც კი. თვითონაც ესალმებოდა საყვარელ ქუჩას. აგონდებოდა ბავშვობა. ყოველ კუთხეში იცქირებოდა, ყოველ წვრილმანს აღნიშნავდა.

წინ პატარა არჩილი მიუძღოდა, ხან კოჭებით უბე ავსებული, ხან რიკტაფელით შეიარაღებული, ღაჟღაჟა ლოყებიანი, ბედნიერი, ცელქი. ბავშვობის ამბებს მოუთხრობდა დიდ არჩილს.

— აი, ეს აქ იყო... ის კიდევ იქ. იმ დიდ მინდორზე — ბურთი. იმ დიდ ეზოში — ოთურმა. აი, ამ დიდ სახლში კიდევ ჩვენ ვცხოვრობდითო.

საკვირველია. ათვალიერებს არჩილი შენაზარდ ადგილებს და მინდორიც პატარა ეჩვენება ახლა და ეზოც. „დიდი“ სახლი კი სულ

---

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 255.

დაბალია, პატარა. მის სახურავს კაცი ხელითაც კი აწვდება. რა მოხდა? რატომ არის ასე? ის მოხდა, რომ არჩილი გაიზარდა, ახლა არჩილია სამაგიეროდ დიდი...

გიმნაზიის ახალ შენობასთან ნაბიჯი შეანელა. სევდიანი თვალები მიაპყრო იმ კუთხეს, სადაც მერვე კლასი იყო მოთავსებული. მოაგონდა გიმნაზიაში ყოფნის უკანასკნელი წელი. ათზე მეტი დაუვიწყარი მეგობრის სახელი და გვარი გულზე დაეწერა... გიმნაზიის ეზოს დამამშვენებელს ისტორიულ ჰადარს შენობა მიფარებოდა. მხოლოდ მის ერთ ტოტს მოკრა თვალი. მაინც წარმოიდგინა ხის მედიდური გაშლილობა, რომელიც ასე აკვირვებდა მოწაფეობის დროს...

სწორედ ამ „ღაჟღაჟა ლოყებიანი“, „ხან კოჭებით უბე ავსებული“ და „ხან რიკტაფელით შეიარაღებული“ უდარდელი ბავშვიდან გამოვიდა ცარიზმის წინააღმდეგ ის შეუპოვარი მებრძოლი, რომელიც კინაღამ სახრჩობელის ეშაფოტზე ავიდა, როგორც რომანოვების სამასწლოვანი დინასტიის შეურიგებელი მტერი, სახელმწიფო მოღალატე და საშიში ელემენტი. გააჩნდა კი ლ. შენგელაიას საამისო ნებისყოფა, სულიერი სიმტკიცე და სიძლიერე?! თითქოს გააჩნდა. განსაცდელის ჟამს იგი მართლაც ამჟღავნებს ასეთ თვისებებს. მაგრამ ჩვეულებრივ სიტუაციებში თანმიმდევრობა აკლია. არც პოლიტიკურ შეხედულებათა გარკვეული სისტემა აქვს შემუშავებული. და ეს არც იყო გასაკვირი.

ქიაჩელი იმ დროს სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, როცა საქართველოში იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიები. მისი დროის მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილის გზა, ეს იყო ჯერ მარქსისტული წრეებით და რევოლუციური იდეებით გატაცების, არალეგალური პარტიული მუშაკების გაცნობის, აკრძალული ლიტერატურის ჯადოთი პირველი მოხიბვლის გზა. შემდეგ იწყებოდა პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა, ფარული საქმიანობა, ბრძოლა. ეს გზა გაიარა ქიაჩელმაც. მაგრამ ამ გზაზე იგი ყოველთვის გრძნობდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან უფრო ფსიქოლოგიურად იყო დაკავშირებული, ვიდრე მთელი მრწამსით. ეს იწვევდა მის განუწყვეტელ „ინტელიგენტურ ქანაობას“, მერყეობას. აი როგორ ახასიათებს მწერალი თავისსავე ორეულს.

...არჩილის უბედურება ის იყო, რომ მუდამ წინააღმდეგობაში

იმყოფებოდა. ვის გაუგონია: სოციალისტი, რევოლუციონერი, მარქსისტი და ასეთი ამბავი? აი, ნიკოსთანა მთლიანი კაცია რევოლუციისათვის საჭირო. ნეტავი, არჩილიც ასეთი იყოს. მაგრამ რა უყოს ამ აზრებს, თავში რომ ამდენი აქვს, თითქმის ყოველთვის ერთიმეორის უარმყოფელი. ცაცასადმი სიყვარულიც ასეთია. წამდაუწუმ ეცვლება. ხან ერთს ფიქრობს და სულ სხვას აკეთებს, ხან კი ერთს აკეთებს და სხვას ფიქრობს. უცნაურ გაორებას ყოველთვის გრძნობდა არჩილი. მაგრამ ეს მისი შეგნებისა და ნების გარეშე ხდებოდა, რაღაც თავისთავად და უჩინრად. ახლა რომ უკვირდება არჩილი, რწმუნდება, რომ მას მთლიანობა აკლია — აზრის, გრძნობის, განცდის. სხვამ არავინ იცის, მაგრამ თავის თავს ხომ ვერ დაუმალავს, რომ ასეა...

დუალიზმის ფილოსოფიას საფუძვლად უდევს მხოლოდ ერთი თეზა: არავინ იცის რა ვარ მე, ეს ვიცი მხოლოდ მე. ქიაჩელმა თვით მოგვცა თავისი დუალისტური განწყობილების ასახსნელად საიდუმლო გასაღები. ასეთი განწყობილებით გავიდა იგი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან ცხოვრების დიდ გზაზე.

მოძრაობის სათავესთან, მისი მედროშე

მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც დასავლეთ საქართველოს ერთ ლოკალიზებულ კუთხეში 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის სათავესთან იდგა, მისი ერთ-ერთი მედროშე, ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო. ეს კუთხე იყო ზუგდიდი, სადაც შემდეგში წარმოიშვა ე. წ. „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმე. რეაქციის წლებში ასეთი „საქმეები“ შეიქმნა „გურიის“, „ყვირილა-ბელაგორის“, „რაჭა-ლეჩხუმის“ და სხვა რესპუბლიკების სახელწოდებით. როგორია ამ „საქმის“ ისტორია და ლ. შენგელაიას რევოლუციური ღვაწლი?

როგორც აღვნიშნეთ, ლეო მიხეილის ძე შენგელაია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი გახდა ალიოშა ჯაფარიძის უშუალო გავლენით 1903 წლიდან, როცა ის ჯერ კიდევ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო. ხარკოვში სასწავლებლად წასვლამდე მას უკვე ჰქონდა არალეგალური მუშაობის ერთგვარი გამოცდი-

ლება. ქუთაისსა და მის ახლო მდებარე წარმოებებსა და სოფლებში ატარებდა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, ასრულებდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებებს, ავრცელებდა პროკლამაციებს და აკრძალულ ლიტერატურას. ამ მიზნით ის ხელიდან არ უშვებდა საზაფხულო არდადეგებს და 1903—1904 წლებში თავის მშობლიურ მხარეშიც განაგრძობდა ასეთივე ხასიათის საქმიანობას. მოვიტანოთ აქ ზოგიერთი ცნობა მის თანამედროვეთა 1954 წელს ჩაწერილი მოგონებებიდან[1].

1. ანდრია ბიტუს ძე მირცხულავა, 70 წლის, სოფელ ობუჯის მცხოვრები (მწერლის „გეგმა-ვარიანტის“ ერთ-ერთ პუნქტში იგი მოხსენიებულია სათაურის გამოყოფით: „ჩემი მეგობარი ანდრია“)[2]: „ლეო და მე თანატოლები ვართ. პატარაობიდანვე ერთად შეზრდილები. ობუჯში ისე არ ჩამოვა, არ მომინახულოს, ჩემი პატარა სახლის ჭერქვეშ ღამე არ გაათიოს, ბავშვობისა და ახალგაზრდობის დროინდელი მოგონებებით არ დავტკბეთ. მე არც დედა მყავდა ცოცხალი, არც მამა. ბავშვობიდანვე ლეოს მამის კარზე გავიზარდე. ამიტომ ლეოსა და ჩემს მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მე ვიყავი ლეოს ყველაზე დიდი მესაიდუმლე. მისი სურვილების და მისწრაფებების ყველაზე ერთგული დამცველი და გამტარებელი...

სწავლიდან დათხოვნის შემდეგ ლეო ყოველთვის ჩამოდიოდა სახლში. მაშინ ჩვენ ისევ მუდამ ერთად დავდიოდით, ერთად ვთამაშობდით, ერთად ჩავდიოდით ზუგდიდიდან ყოველ მარიამობისას მშობლიურ ობუჯში. თან ვახლდი ყველგან, სადაც კი წაიყვანდნენ და დროებით გააბარებდნენ (მაგალითად, ხშირად მიჰყავდათ ლეო ჭაქვინჯში მის გამზრდელ ძიძებს არაჩემიებს). ასე ვიზრდებოდით და ვეაჟკაცდებოდით. პატარაობიდანვე იგი განირჩეოდა სხვებისაგან თავისი სიდინჯით, იყო ჭკვიანი, გონიერი, წიგნების კითხვის დიდი მოყვარული.

---

[1] ჩვენ ლეო ქიაჩელის შესახებ მისი თანამედროვეების მოგონებები ჩაწერეთ 1954 წლის 20—21 აგვისტოს სოფელ ობუჯში. ეს ჩანაწერები, რომლებიც ხელმოწერილია მოგონებათა ავტორების მიერ და დამოწმებულია სასოფლო საბჭოს ბეჭდით, ამჟამად ინახება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

[2] ანდრია მირცხულავასთან ქიაჩელის მეგობრობას ადასტურებს შალვა შენგელის ნარკვევიც „ისევ ბროლიას პირას“, რომელიც გამოქვეყნებულია „ლიტერატურული გაზეთის“ 1954 წლის 35-ე ნომერში.

კარგად მახსოვს, ეს იყო 1904 წელს. ლეო ჩამოვიდა ზაფხულში ზუგდიდში ქუთაისიდან. ღამღამობით სახლში ყოველთვის გვიან მოდიოდა. მე არაფერს მიმალავდა. დედის კი ერიდებოდა. ერთ საღამოს ძლიერ შეწუხებული და დაფიქრებული ვნახე. ვკითხე მიზეზი — რა გაგჭირვებია მეთქი. თითქოს შვება იგრძნო და მაშინვე გამომიტყდა: ორგანიზაციის დავალება მაქვს. ამაღამ, აი, ეს პროკლამაციები უნდა გავფანტო ბაზრის მიდამოებში, მაგრამ ჟანდარმები დამსდევენ. ვერ მოვახერხე. დავალება რომ არ შევასრულო, თავი ცოცხალი არ მინდა. ანდრო, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, მიშველე რამეო. მე მაშინ ცოტა ეშმაკი ვიყავი და ლეოზე მოხერხებული. ამავე დროს არც გაბედულება და ვაჟკაცობა მაკლდა. ლეომ წამიკითხა პროკლამაციები, გამაცნო მისი გავრცელების მიზანი. ჯარისკაცები უნდა ავამხედროთ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგო.

მე მზად ვიყავი თავი გამეწირა ლეოს ყოველგვარი თხოვნის შესრულებისათვის. დავაიმედე, დარდი ნუ გაქვს, ხვალ მთელ ბაზარში ეს პროკლამაციები მოფანტული იქნება მეთქი. ჩავიცვი ჩოხა-ახალუხი, შემოვირტყი ხანჯალი, დავიხურე ყაბალახი თავზე, პროკლამაციის გროვა ახალუხის სახელურის ქვეშ დავმალე და, როგორც კი დაღამდა, გავწიე დანიშნული ადგილისაკენ. ბაზრის მიდამოში ყველგან მიმოვფანტე და უკან დავბრუნდი.

მეორე დღეს გავიარე ბაზარში. ხალხს დილაადრიანად დაეტაცნათ პროკლამაციები. ჟანდარმები დაუყოვნებლივ შეკრებილიყვნენ და დაეწყოთ ხალხის ჩხრეკა, დაეძებდნენ გამავრცელებელს. ვხედავ, დიდი არეულობაა. ზუგდიდის პრისტავი და სტრაჟნიკები გაცოფებული დარბიან. მე დამშვიდებულად დავბრუნდი უკან, რათა ლეოსათვის მომეტანა ეს სასიხარულო ამბავი, მაგრამ მოულოდნელად პრისტავს შევეფეთე. ეს პრისტავი ლეოს სახლთან ახლოს ცხოვრობდა. იცოდა, რომ ლეო სტუდენტი-რევოლუციონერი იყო და მე მის ოჯახში ვიზრდებოდი. ჩემზე აეღო ეჭვი. პრისტავმა დაჭერა მომინდომა, მაგრამ მე მაგრად დავუხვდი. საქმე ხელით შეხებამდე მივიდა. პრისტავს ვუთხარი: არ გაბედო ხელი მახლო, თორემ ხანჯლით თავს გაგიპობ, ჩემს გზაზე მიეღივარ, რა უფლებით მიშერ-მეთქი. მე საერთო რა მაქვს პროკლამაციებთან, ერთი უსწავლელი გლეხი ვარ-მეთქი. ამან უფრო გააცოფა და გამოიწია ჩემკენ. მე ხელი ვკარი და თხრილში გადავაგდე. პრისტავს სტრაჟნიკე-

ბი მიეშველნენ. წამსვე შემკრეს და სატუსაღოში მომათავსეს. მარტო ჩამკეტეს ოთახში. მაშინვე გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, არ გამეცა ლეო. შუაღამეს შემოაღო კარი გამომძიებელმა და დაიწყო ჩემი დაკითხვა. სულ ლეოს გარშემო მეკითხებოდნენ, უნდოდათ გამოვეტეხეთ, მემუქრებოდნენ, რევოლვერიც კი დამიმიზნეს. ან თქვი ნამდვილად როგორ იყო, ან არადა სიკვდილს ვერ გადაურჩებიო, — მიყვიროდა გამომძიებელი. მე სრულიადაც არ ვგრძნობდი შიშს. ხუმრობით, ბანზე აგდებით ვუპასუხებდი დასმულ კითხვაზე. ამაზე უფრო გიჟდებოდნენ. რამდენიმეჯერ სცადეს გამოტეხვა, მაგრამ ჩემგან ვერაფერი წაიღეს. მე არამც და არამც არ გავეცი ლეო და ამით გადავარჩინე ხიფათს ის. ასეთი შემთხვევა რამდენიმეჯერ განმეორებულა. მერე ლეო მაინც ჩავარდა. ქუთაისის ციხეში იჯდა. ბევრჯერ ვახლდი დედამისს მის სანახავად. ციხიდან მის განთავისუფლებაშიც მცირეოდენი მონაწილეობა მიმიღია“[1].

2. იოსებ ბახვას ძე კაკაჩია (90 წლის, სოფელ ობუჯის მცხოვრები): „ჩვენ და ლეოს მამა, მიხეილი, ახლო მეზობლები ვიყავით. ლეოს მამა მეტად კარგი კაცი იყო, ნასწავლი, ცნობილ და მიღებულ კაცად ითვლებოდა. ჯერ კიდევ ქუთაისში სწავლის დროს ცოტა შეუფერხდა საქმე. ისიც მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. ამის გამო გიმნაზიიდან გამორიცხეს. ერთხანს ამან ცოტათი ზიანი მიაყენა მის ცხოვრებას. მერე ადვოკატობა დაიწყო და მდგომარეობა ისევ აღიდგინა. მე მახსოვს მიხას ცოლის შერთვა. ლეოს დაბადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიხა ცოლის სამოსახლოში გადასახლდა. უფროს შვილს აკაკის სწავლა ვერ მიაღებინა იმიტომ, რომ უფლება ართმეული ჰქონდა. ლეომ და ცაცამ ისწავლეს.

ლეო კარგად მახსოვს მე განსაკუთრებით 1902 წლიდან. ის ბევრჯერ მინახავს ქუთაისიდან ჩამოსული და სოფელში რევოლუციური მოძრაობის თავკაცებთან მოსაუბრე. ლეო დამეგობრებული იყო ხორშელ ბოტო ნორაკიასთან. ისიც რევოლუციონერი იყო. მათ ჩამოჰქონდათ აქ პროკლამაციები. ერთხელ მახსოვს, ბოტო ჯიხაშკარიდან მოვიდა, ლეო კი წალენჯიხიდან და ერთმანეთს შეხვდნენ ობუჯში. სოფლის კანცელარიის წინ (სადაც ახლა სასოფლო საბჭოს

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 26252, გვ. 7—10.

და კოლმეურნეობის კანტორაა) დიდი ორმო იყო. ამ ორმოში ჩამალულიყვნენ, გაზეთი გაეშალათ და რაღაცას კითხულობდნენ. გარშემო მათი თანამოაზრეები შემოეკრიბათ. ეს გაეგო სოფლის პრისტავს სოლომონ შენგელაიას. ახლა რომ ეკლესიის ეზოში ორი დიდი ცაცხვი დგას, იმის იქით თხმელები იდგა. თხმელების ძირში მოგროვილ ხალხში იჯდა სოლომონი და ხმამაღლა ყვიროდა. მე მაშინ იქვე შორიახლო ვიდექი და გარკვევით მესმოდა მისი გულმოსული ლაპარაკი. ვაჭარმა სანდრო მესხიამ გაიგო სოლომონის გულისწყრომის მიზეზი. იგი მივიდა ლეოსთან და უთხრა:

— რას კითხულობ, ბიჭო, აქ. სოლომონი შენი ნათესავია. გაუგონია ყველაფერი და გულმოსულია. რატომ აკეთებ ისეთ საქმეს, რაც აკრძალულია. ახალგაზრდა ლეომ უპასუხა:

— შენ რა იცი, სანდრო, ჩვენ ახალ ქვეყანას ვაშენებთ, ქვეყანა ახლებურად უნდა მოვაწყოთო.

შეატყო რა, რომ არაფერი გაუდიოდა, სანდრომ თავი მიანება ლეოს. სოლომონს შეეძლო დაეჭირა ლეო (ის მთავრობის ერთგული კაცი იყო), მაგრამ ცნობილი კაცის შვილი იყო და ერიდებოდა. კარგად დამამახსოვრდა განსაკუთრებით 1903 წლის 14 აგვისტო. ლეო სოფელში იყო ჩამოსული. სოლომონმა საჯაროდ გააფრთხილა ლეო, თავი გაანებე მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელებას, თორემ დაიკარგებიო. ლეომ უპასუხა: მერე რა, ერთი და ათი კაცი კიდეც უნდა შეეწიროს ახალი ქვეყნის აშენებასო"[1].

3. რაჟდენ კოსტას ძე შენგელაია თავის მოგონებაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ ლეონმა იმდენად გაითქვა სახელი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ზუგდიდის მაზრის მთელ რიგ სოფლებში, რომ „მის ირგვლივ უფრო და უფრო გროვდებოდა ახალგაზრდობა. ლეონის ასეთი საქციელი შეიტყო დედამისმა და ძმამ, რაზედაც მას ძალიან ეჩხუბებოდნენ, მაგრამ ლეონი მათ ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა აგიტაციურ მუშაობას"[2].

თუ პირველ ხანებში, ქუთაისში სწავლისას, იგი იზიარებდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ბოლშევიკურ მიმართულებას და ალიოშა ჯაფარიძის უშუალო მიმდევარი იყო. უკვე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ზაფხულის პერიოდში, ამ კომიტეტის მენშევიკური

---

[1] საბელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ — ფონდი 26252. გვ. 11—13.
[2] იქვე, გვ. 22.

უმრავლესობის პოზიციაზე იდგა. ხოლო ხარკოვის უნივერსიტეტში მოკლე ხნით ყოფნისას, ჩაბმული იყო რა რევოლუციონერ სტუდენტთა ჯგუფში, მასთან ერთად მონაწილეობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ საერთო ინტერნაციონალურ ბრძოლაში, რომლისკენაც მოსწავლე ახალგაზრდობას მოუწოდებდა ლენინი, ბოლშევიკების პარტია. ასეთი გადახრები ჩვეულებრივი, დამახასიათებელი მოვლენა იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1905-იან წლებში, როცა ორივე მიმდინარეობის საერთო ინტერესი ერთიანი ძალით იყო მიმართული ცარიზმის, ძალმომრეობისა და სოციალურ-ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მხოლოდ ყველაზე ნაცადნი რჩებოდნენ თავიდან ბოლომდე უდრეკ მარქსისტ-რევოლუციონერებად. ქიაჩელი თავისი პრაქტიკული საქმიანობით ყოველთვის ახლოს იდგა რევოლუციონერების იმ ფრთასთან, რომლის მიზანს არსებული წყობილების დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა შეადგენდა.

1905 წლის თებერვლის დამლევს ხარკოვიდან იგი ამ სულისკვეთებით დაბრუნდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის განკარგულებაში, როგორც სტუდენტი-პროპაგანდისტი. მალე იგი კომიტეტის დავალებით ბათუმში გაიგზავნა, სადაც შექმნილი იყო სპეციალური ჯგუფი სამეგრელოში რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ, გლეხთა მასობრივი მოძრაობის გაჩაღების ნიადაგზე, ბათუმის კომიტეტს გამოეყო ხელმძღვანელი ცალკე ჯგუფი, რომლის ცენტრი თავდაპირველად ფოთში იმყოფებოდა. ოცდაერთი წლის შენგელაია ამ ცენტრის აქტიური წევრი გახდა. ფოთიდან იგი იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ქუთაისის შტაბში არაერთხელ ჩასულა კონსპირაციულ პირობებში ურთიერთკონტაქტების დასამყარებლად და ახალი მითითებების მისაღებად. ზოგჯერ რკინიგზის დაბალი ტექნიკური მოსამსახურის ტანსაცმელი ეცვა და გარეგნობასაც, მოძრაობის ჟესტსაც მას უფარდებდა. ამით გზას უბნევდა ქალაქის ჟანდარმერიას.

მაგრამ ფოთსა და ქუთაისს შორის ლ. შენგელაიას ფარული მისვლა-მოსვლა 1905 წლის გაზაფხულის შუარიცხვებიდან ნელ-ნელა შეწყდა. აპრილის თვიდან იგი კომიტეტის დავალებით ჩადის ზუგდიდში და იქ პირველად აარსებს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომლის ამოცანას შეადგენდა მაზრაში სტიქიურად ადიდებული რევოლუციური მოძრაობის მდინარის გარკვეულ კალაპოტში

მოქცევა, მისთვის გარკვეული მიმართულების მიცემა, სააგიტაციო მუშაობიდან მისი გადაყვანა პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. იმავე ხანებში ზუგდიდში ჩამოყალიბდა სოციალ-ფედერალისტების ორგანიზაცია, გაჩაღდა პარტიათა შორის მეტოქეობა. „მეტოქეობის ნიადაგზე, — აღნიშნავს პოლიტკატორღელი ალ. ჩხეტია თავის მოგონებაში, — ზუგდიდში დაარსდა პოლიტიკური კლუბი. სოციალ-დემოკრატებიდან ლექციებს კითხულობდნენ: ლეო ქიაჩელი (მაშინ შენგელაია), კოწია ნორაკიძე, გ. მაღნარაძე, ალ. ჩიქავა და სხვ... ლეო შენგელაია იყო მთავარი ძალა, როგორც კლუბის, ისე სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის ბანაკში მაზრის ფარგლებში. ლეომ ჩამოიყვანა ბათუმიდან დახელოვნებული ორგანიზატორები მუშათა წრიდან. მათმა მოხერხებულმა მუშაობამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ნოქართა და ქალაქის მშრომელი ელემენტების უმრავლესობა, რომელიც სოციალ-ფედერალისტთა პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, გადააბარგა სოციალ-დემოკრატების ბანაკში“[1].

ძველი ბოლშევიკი გრიგოლ შამილის ძე როგავა[2], რომელიც კონტრრევოლუციის ძალებთან ბრძოლაში დაიღუპა, 1922 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ზუგდიდის საქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში სწავლის დროს, 1905 წელს, „სასწავლებელში მოდიოდნენ სტუდენტები: ლეო შენგელაია (ლეო ქიაჩელი), იასონ ჩიჩუა, დავით ცხაკაია, ვასო ალშიბაია, სპირიდონ კედია და სხვ., კითხულობდნენ მოხსენებებს რევოლუციის თემებზე, ადგენდნენ სასწავლებლის უფროსებისადმი წარსადგენ პროგრამებს. ასეთი გზით მათ მოამზადეს ნიადაგი 1905 წლის მაისში ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლებისათვის... სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და ესერები მაშინ მუშაობდნენ ერთმანეთთან შეთანხმებულად, სრული სოლიდარობით კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. საერთო ხელმძღვანელად მაინც იყვნენ სოციალ-დემოკრატები. ოქტომბრის დღეებში სააჯანყო კომიტეტში შედიოდნენ: ლეო შენგელაია, დათიკო ცხაკაია, იასონ ჩიჩუა, პეტრე კედია და სხვ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-

---

[1] სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი 2394, გვ. 47, 49.

[2] მისი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ კარლო მიქაიას წერილი იხილეთ გაზეთ „მებრძოლში“, 17 სექტემბერი, 1974.

თაურობით გამოაცხადეს საყოველთაო აჯანყება. მთელი მაზრა გახვეული იყო რევოლუციური მოძრაობის ცეცხლში“[1].

„ეს იყო ათას ცხრაას ექვს წელს, — მოგვითხრობს თავის მოგონებაში დავით სულიაშვილი. — იმ დღეს საკანში ამბავი მოიტანეს — ზუგდიდის რესპუბლიკის აჯანყების მონაწილე თერთმეტი კაცი მოიყვანეს, მათ შორის სტუდენტი ლეო შენგელაია, მათი წინამძღოლი და აჯანყების მეთაურიო. ამბობდნენ, ზუგდიდის მაზრაში ეს პირველი და ერთადერთი სტუდენტია, რომელმაც თავი გასწირა და აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგაო“[2].

მაშასადამე, ამ მასალებიდან ჩანს, რომ ლეო შენგელაია 1905 წლის ოქტომბრიდან ზუგდიდის მაზრის რევოლუციური მოძრაობის მაორგანიზებელ ცენტრში დგას, რომ მას აქ უჭირავს ერთერთი წამყვანი, ხელმძღვანელი ადგილი, რომ მას სხვებთან ერთად ხშირად უხდება გამოსვლა გლეხთა კრებებზე, წითელი რაზმების შედგენა, ახალ-ახალი მებრძოლი ჯგუფების შექმნა, მათი მეთაურების გაცნობა და ხალხის საერთო სულისკვეთების წარმართვა იმ მტკივნეული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებსაც აყენებდა შექმნილი რევოლუციური სიტუაცია მაზრაში. ლეო შენგელაია ჯერ აგიტაცია-პროპაგანდასა და პეტიციების წაყენებას უჭერდა მხარს, რასაც უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქცია ეწეოდა 1905 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში; მომდევნო ხანებში იგი სტიქიურად იხრებოდა და იცავდა შეიარაღებული აჯანყებისათვის მასების დარაზმვის ბოლშევიკურ ხაზს და თვით იყო მისი აქტიური შემსრულებელი. სასამართლო გამოძიებისას მოწმე ეფიმ კვარაცხელია ადასტურებს, რომ სოციალ-დემოკრატების კლუბში, რომელიც მოთავსებული იყო ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის შენობაში, მას მოუსმენია ლეონიდ შენგელაიას სიტყვა, რომელშიც იგი მიუთითებდა რეაქციის მოახლოებასთან დაკავშირებით „შეიარაღებული ბრძოლისათვის ვაჟკაცურად მომზადების აუცილებლობაზე“[3].

აქედან ჩანს, რომ ლ. შენგელაია არ იზიარებდა იმ ცნობილ დირექტივას, რომლითაც ქართველი მენშევიკების ხელმძღვანელი ცენ-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 360, გვ. 259.

[2] დ ა ვ ი თ ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1973. გვ. 271.

[3] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. 1, გვ. 39.

ტრი 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ კატეგორიულად უკრძალავდა ძირეულ ორგანიზაციებს იარაღის გამოყენებას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ადგილობრივი ორგანიზაციები, მასები მოქმედებდნენ პირიქით. მათი რევოლუციური აღტყინება, პათოსი და ენთუზიაზმი ერთიანი ნაკადით მიედინებოდა რევოლუციის მწვერვალისაკენ, საერთო მიზნისაკენ. „მენშევიკური მასა მენშევიკური ლიდერების სურვილის წინააღმდეგ, — წერდა გამოჩენილი რევოლუციონერი და ისტორიკოსი ფ. მახარაძე, — ხშირად რევოლუციონურ ანუ ბოლშევიკურ მეთოდებს მიმართავდა. განსაკუთრებით იმატა ბოლშევიკების გავლენამ დეკემბრის დღეებში, როცა ბრძოლა რეაქციასთან უკიდურესად გამწვავდა“[1]. რევოლუციური მოძრაობა წარმატებით ვითარდებოდა განსაკუთრებით იქ, „სადაც მენშევიკური პარტიის წევრები (მასა) ნამდვილად აღწევდნენ თავს თავიანთი ოპორტუნისტი ლიდერების იდეურ-პოლიტიკურ გავლენას და არსებითად იბრძოდნენ ბოლშევიკების რევოლუციური ტაქტიკის საფუძველზე“[2].

ამით აიხსნება ლეონ შენგელაიას რევოლუციური მოღვაწეობის ის დინამიკურობა, რაც 1905 წლის დამლევისა და 1906 წლის იანვრის დასაწყისში დიდ ინტენსივობით ხასიათდება. ამ პერიოდში მისი „რომანტიკული პატრიოტიზმი“ და „არსებული სინამდვილით“ უკმაყოფილება კულმინაციურ წერტილს აღწევს. სამეგრელოში ამას ხელს უწყობდა მშობლიურ ენაზე სწავლების სავსებით აკრძალვა, თავად ნიკო მინგრელსკის — დადიანების უკანასკნელი მოდგმის სასტიკი მოპყრობა გლეხობისადმი, რეაქციონერ მოხელეთა უხეირო მართვის შედეგად სოციალურ-ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის უკიდურესად გამწვავება. და სტუდენტი, აზნაური შენგელაია მთელ თავადაზნაურულ კლასს გადაუდგა. ეს დამახასიათებელი მოვლენა იყო იმ დროის მოწინავე თავადაზნაურული, ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის.

წინასწარ გამოძიებისას მოწმე, თავადი ლევან მხეიძე უჩვენებს, რომ „დაბა ზუგდიდში, სოფელ ინგირში და სოფელ ყულისკარში მას შემთხვევა ჰქონდა სამჯერ მოესმინა ლეონ შენგელაიასათვის და სხვებისათვის, რომლებიც ხალხს შეიარაღებული აჯანყებისა-

---

[1] ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1926, გვ. 299.

[2] ლევან ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959, გვ. 356.

კენ მოუწოდებდნენ. ამასთანავე ისინი პირდებოდნენ ხალხს ყოველნაირ დოვლათს და ბედნიერებას. არწმუნებდნენ ყველას, რომ თავისუფალი რესპუბლიკის დროს ყველა თანასწორი უფლებით იქნება აღჭურვილი, აღარ იქნება ქონების უსამართლო განაწილება, სათავეში იქნება არა მეფე, არამედ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი"[1].

უფრო მეტი, საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ, სახელდობრ ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე ასვლის აღსანიშნავ დღეს, 21 ოქტომბერს, დაბა ზუგდიდში, მაშინ როდესაც ადგილობრივ ეკლესიაში წირვა გათავდა, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა — ლეონიდ შენგელაიამ და პავლე აკობიამ მოითხოვეს მღვდლისაგან ს. ნ. ტრუბეცკოის ხსოვნის აღსანიშნავად პანაშვიდის გადახდა. „შემდეგ ამისა, — ნათქვამია დოკუმენტში, — პავლე აკობია დადგა ეკლესიის მაღლობ ადგილზე, დაიჭირა ხელში წითელი დროშა და ხალხის წინაშე წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობას. მაშინ იქ მყოფმა მაზრის უფროსის თანამდებობის დროებით აღმსრულებელმა კაპიტანმა სოღოროვმა პავლე აკობიას ამართული წითელი დროშა ხელიდან გამოგლიჯა. მაგრამ ეს დროშა ისევ დაიბრუნა აკობიამ. შემდეგ ამავე პარტიის მეორე წარმომადგენელმა ლეონიდ შენგელაიამ წარმოთქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა, რომელიც შემდეგნაირად დაამთავრა: „ძირს მთავრობა და გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას". ამის შემდეგ პავლე აკობიამ ხელახლა ასწია დროშა, ჩაუდგა ათასამდე ხალხს სათავეში და მოიწადინა წინ წასვლა, მაგრამ ეკლესიის გალავანთან კაპიტანმა სოღოროვმა ხელახლა წააართვა დროშა და „სტრაჟნიკების" დახმარებით ხალხი წინ არ გაუშვა. მიუხედავად ამისა, აკობიამ და შენგელაიამ კვლავ შეაგროვეს ხალხი და მარსელიოზას სიმღერით ქალაქის ქუჩებში დემონსტრაციული მსვლელობა მოაწყვეს"[2].

როცა საიდუმლო დოკუმენტის ამ სტრიქონებს ეკითხულობთ,

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. 1. გვ. 40.

[2] იქვე, გვ. 38—39.

უნებურად გვაგონდება მაქსიმ გორკის „დედის“ 27—28-ე თავებში აღწერილი გმირულ-ჰეროიკული სურათი, საპირველმაისო დემონსტრაციაზე პავლე ვლასოვის მიერ აღმართული წითელი დროშის, დემონსტრანტებზე მეფის ჯარის თავდასხმისა და დროშის ხელიდან ხელში გადასვლის დიდებული ეპიზოდი. როგორც ცნობილია, ეს ეპიზოდი ემყარება ნიჟნი ნოვგოროდის მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციაზე 1902 წელს პავლე ვლასოვის პროტოტიპის — პეტრე ზალომოვის მიერ წითელი დროშის აფრიალების ცხოვრებაში რეალურად მომხდარ ფაქტს. თავისი მნიშვნელობით, ხასიათით და შთამაგონებლობით ზემოთ ნაჩვენები რევოლუციური აქტი ამ განუმეორებელი ეპოპეის რკალში შედის, როგორც ანალოგიური მოვლენებისაგან წარმოშობილი ისეთი მსგავსება, რომელიც გორკისებურ მხატვრულ ამაღლებას და განზოგადებას ელის. ის, რაც ამ შემთხვევაში ახალგაზრდა რევოლუციონერ ლეო შენგელაიას პროტოტიპიდან „აუთვისებელი“ და „გამოუყენებელი“ დარჩა მწერალ ლეო ქიაჩელს, სავსებით კანონზომიერად შეიძლება იქცეს ჩვენი თაობის ამ თემით დაინტერესებული მწერლის მხატვრული გამოსახვის საგნად. მაშინ მის ინტერესს არა ნაკლებ მიიპყრობს სხვა კონკრეტული ფაქტებიც.

1905 წლის 5 დეკემბერს ღამის პირველ საათზე, ზუგდიდში, დიმიტრი გეთიას ოთხასკაციანი წითელი რაზმი ლეონიდ შენგელაიას და მელიტონ გობეჩიას ხელმძღვანელობით თავს დაესხა სამაზრო პოლიციის შენობას, განაიარაღა სტრაჟნიკები, ციხიდან გაათავისუფლა პოლიტიკური პატიმრები და უმსხვერპლოდ მოახერხა იქიდან 44 შაშხანისა და 3800 ვაზნის წაღება; იმავე წლის 29 დეკემბერს ლეო შენგელაია მონაწილეობდა ანაკლიიდან შვეიცარული სისტემის 300-მდე თოფის შემოზიდვისა და გლეხებისათვის მათი დარიგების ოპერაციაში, ხოლო 1906 წლის 6 იანვარს იგი ვასილ გეთიასთან და ანტონ კოდარიასთან ერთად წინ მიუძღოდა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი და ადგილობრივი სტრაჟნიკებისაგან ჩამორთმეული თოფებით შეიარაღებულ წითელ რაზმელებს, რომლებიც ზუგდიდიდან გაემართნენ სამტრედიისაკენ, რათა შეეჩერებინათ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარების შემოსვლა ქალაქში[1].

ასეთია მოკლედ, მხოლოდ ციფრებსა და ფაქტებში გამოხატუ-

---

[1] თ ე ნ გ ი ზ ე ღ ე ნ ტ ი, 1905 წელი სამეგრელოში, სახელგამი, 1929, გვ. 71—72.

ლი, იმ საქმის ისტორია, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ ლ. შენგელაიას პასუხისგებაში მიცემას. თუ ამას დაეუმატებთ იმ ცნობილ და დადგენილ ჭეშმარიტებას, რომ „1905 წლის ოქტომბრის დამლევიდან 1906 წლის 11 იანვრამდე დასავლეთ საქართველოში (ე. ი. ზუგდიდშიც — ა. თ.) მთელი ძალაუფლება ხელთ ეპყრო რევოლუციონერებს“[1], რომ ამ ხანებში „ქუთაისის გუბერნიაში შემავალი შვიდი მაზრის ყველა რაიონი (ე. ი. ზუგდიდის მაზრისაც — ა. თ.) ფაქტიურად რევოლუციურ კომიტეტთა ქსელის განკარგულებაში იმყოფებოდა“[2] და რომ „რუვოლუციური მოძრაობის მძლავრი გაჭანების შედეგად“ წარმოიშვნენ ადგილობრივი ხასიათის „პატარა რესპუბლიკები“, რომლებშიც ფაქტიურად „მთავრობის ხელისუფლება გადაყენებულ იქნა“ და გლეხთა რევოლუციური კომიტეტები მოქმედებდა „როგორც ახალი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება“, მაშინ უფრო ნათელი და გასაგები გახდება „ზუგდიდის რესპუბლიკის“ წარმოშობაც და ის კავშირი, რომელიც ლეონ შენგელაიას უნდა ჰქონოდა მასთან.

საბედისწერო შეცდომა

დასავლეთ საქართველოში რეაქციის თარეში დაიწყო წიფის გვირაბიდან ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის გასვლით, 1906 წლის 9 იანვრიდან. არალეგალურ მუშაობაზე გადასვლის წინ, იანვრის დასასრულს, ზუგდიდში მოქმედი რევოლუციური პარტიების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ურთიერთ გამოსათხოვარ ვახშამზე, რომელზედაც ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ვასილ ალშიბაიამ. მან, სოციალ-ფედერალისტების ადგილობრივი ორგანიზაციის სახელით, თხოვნით მიმართა მის ორ წევრს — მელიტონ გობეჩიას და სპირიდონ კედიას სწავლის გასაგრძელებლად წასულიყვნენ საზღვარგარეთ, რათა მტერს არ ჩავარდნოდნენ ხელში, ცოდნა მიეღოთ და მოეხმარათ იგი ხალხის

---

[1] ი ლ ი ა მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905 — 1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 160.

[2] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 63, საქმე 4027, გვ. 60.

ინტერესებისათვის[1]. დაამთავრა რა თავისი სიტყვა, ვ. ალშიბაიამ იქვე წინადადება წამოაყენა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის წევრებს ასეთივე თხოვნით მიემართათ „ლეო შენგელაიასათვის, რომელშიც მან ადრე შენიშნა განსაკუთრებული ნიჭი"[2].

ასეთი სურვილებით და კეთილი განწყობილებებით დაშორდნენ ერთმანეთს ბუნტარული, მეამბოხე სულის ახალგაზრდა ადამიანები. არ გასულა ამ საღამოდან რამდენიმე დღე და... 1906 წლის 2 თებერვალს სოფელ ჭკადუაშის ახლოს პოლკოვნიკ ხოდზინსკის დამსჯელი რაზმის ჯალათებმა ვერაგულად მოკლეს ვასილ დიმიტრის ძე ალშიბაია. იმავე თვეში სიცოცხლეს გამოასალმეს წითელი რაზმის ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური დიმიტრი გეთია. გადაწვეს ობუჯის, მუხურის, ჭაქვინჯის და სხვა სოფლების ეჭვმიტანილი გლეხების სახლ-კარი. ასე დაიწყო ზუგდიდში სასტიკი რეპრესიები, ჩხრეკა, დაპატიმრება, მკვლელობა, ეგზეკუცია.

ლეონ შენგელაია სიმონ თოლორდავას ცხენოსან წითელ რაზმთან ერთად ლაკადის მთებში გადაიმალა. 22 წლის ჭაბუკი 1906 წლის ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში გახიზნული იყო ზუგდიდიდან შორს, მიუვალ ტყეებში და იზიარებდა რეაქციისაგან დევნილთა ყველა იმ ხვედრსა და საშიშროებას, რაც ათასგვარი მოულოდნელობით იყო აღსავსე. 1906 წლის 28 თებერვალს ზუგდიდის მაზრის საპოლიციო განყოფილებაში უკვე შედგენილი იყო აქტი ლეო შენგელაიას, კ. ნორაკიძის, ს. ალანიას, ალ. ჩხეტიას და სხვათა რევოლუციური მოქმედების შესახებ და მასალები გამოძიებისათვის გადაცემული ჰქონდა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიას[3]. ეს კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას.

ასეთ ვითარებაში ლეო შენგელაიას მთავარი იმედი იყო სოფელ ზუმის მცხოვრები ვარლამ ჩიქვანი, რომლის შესახებ წალენჯიხასა და ჩხოროწყუში იმ დროს ლეგენდები იქმნებოდა. ვარლამ ჩიქვანი შემდგომ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, თბილისში ლეო

---

[1] სოციალ-ფედერალისტური პარტია არ გამოხატავდა ხალხის ინტერესებს და არც სპ. კედიას გამოუყენებია თავისი ცოდნა ხალხის სასარგებლოდ.

[2] საბალხო განათლების მუზეუმი, პოლიტკატორღელ ალ. ჩხეტიას მოგონებები, ფონდი 2394, გვ. 75.

[3] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. III, გვ. 90.

ქიაჩელის ხშირი და მუდამ სასიამოვნო სტუმარი იყო, ხოლო 1956 წელს ღრმად მოხუცებული მწერალი თბილისიდან სოფელ ზუმში ჩავიდა, რათა დასწრებოდა მის დაკრძალვას და ამით უკანასკნელად მოეხადა ვალი მეგობრის წინაშე იმ ამაგისათვის, რაც მან დასდო ლ. შენგელაიას მისთვის სახიფათო, უმწვავეს და უმძიმეს პერიოდში. სწორედ ამიტომ მწერლისეულ „გეგმა-ვარიანტში“ მას განსაკუთრებული ადგილი აქვს .გამოყოფილი.

ობუჯელი მკვიდრის, 97 წლის ევგენი ბუჩუნას ძე ფიფიას გადმოცემით, ვარლამ ჩიქვანი იყო „მაგარი გულის კაცი. ჰყავდა საუკეთესო ცხენი, ჩოხა-ახალუხს იცვამდა. იარაღს ყოველთვის თან ატარებდა. ვარლამზე იტყოდნენ: სამეგრელოში არაფერი გაკეთდება სარისკო საქმე, ვარლამის ხელი თუ არ გაერევაო. ტანად იყო მაღალი, წარმოსადეგი შეხედულების, უშიშარი, გაბედული, რისკიანი. საკუთარ შვილს ერთხელ ჭიქა დაადგა თავზე, ესროლა და გადაამტვრია... რამეს თუ დაავალებდი და თხოვდი, უეჭველად შეგისრულებდა, რა ფასადაც არ უნდა დაჯდომოდა“[1].

და აი ლეოს დაცვა, დამალვა და დაჭერისაგან გადარჩენა იკისრა ვარლამ ჩიქვანმა, რომელიც წითელრაზმელ სიმონ თოლორდავას კარგად იცნობდა. არც სიმონი იყო ვარლამზე . ნაკლები უშიშარი, მაგრამ ის, როგორც ერთობის იდეების მიმდევარი, თვით იყო დევნის და ძიების ობიექტი. ამიტომ სიმონისათვის ვარლამთან დაახლოება ორმხრივად სასარგებლო იყო. ლეოს კი მათი სახით საიმედო გუშაგები ჰყავდა. ნაბადში გახვეულს არაერთხელ მისძინებია ტყეში ხის ძირას, მთის გამოქვაბულში, ღამე გაუტარებია მწყემსებთან, უნაგირზე დასთენებია. 1906 წლის მარტში უკვე თვით გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ჩავიდა ზუგდიდში. რეაქციის მოსყიდულ აგენტებს ყველგან გზავნიდნენ. ისინი შეაგზავნეს სიმონ თოლორდავას რაზმშიც. მაგრამ ვარლამ ჩიქვანის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარებოდა. იგი სპობდა ყველა ასეთ საეჭვო არამზადას. და ბოლოს მისდა უნებურად მოსახდენი მაინც მოხდა.

1906 წლის აპრილში, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, ამნისტიით რევოლუციონერთა დევნა დროებით თითქოს შეწყდა. თვალის ასახვევად ზუგდიდის ციხიდან გაუშვეს ზოგიერთი პოლიტიკური პატიმარი. ამავე დროს შენელდა საეჭვო პირთა

---

[1] საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, ფონდი 26252, გე. 19.

მშობლების, მათი ოჯახების დევნა-შევიწროება. გაძლიერდა მათ მიმართ შემრიგებლობის, გადმობირების, ვითომდა პატიების და ამ გზით რევოლუციონერთა ადგილსამყოფელის დადგენის ტაქტიკური ღონისძიებები. ზოგიერთი აყვა ამ ცდუნებას. მათ შორის იყო სრულიად ახალგაზრდა ლეონ შენგელაიაც. იგი ისე გაიტაცა დედის ნახვის სურვილმა, რომ მაისის ერთ მშვენიერ ღამეს მოულოდნელად სახლში დაბრუნდა. აქ მას არავითარი ხიფათი არ შეხვედრია. მყუდროდ გაიარა რამდენიმე დღემ. ყველაფერი თითქოს წარსულს და მოგონებას ჩაბარდა. შინაურების რჩევით 1906 წლის 12 ივნისს იგი თვითონ გამოცხადდა ზუგდიდის სამაზრო პოლიციის სამმართველოში[1], რათა ამით ეჩვენებინა თავისი „უდანაშაულობა". მაგრამ ეს იყო საბედისწერო შეცდომა.

იმავე წლის 15 ივნისს ფრიად საიდუმლოდ ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კაპიტანი სოღოროვი ცნობას აწვდის ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიას პოლიტიკურ დამნაშავე ბრალდებულ ლეონ მიხეილის ძე შენგელაიაზე მეთვალყურეობის დაწესების შესახებ და ითხოვს მისგან დამატებით განკარგულებას[2]. ამასობაში უკვე ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოში დამთავრებული იყო ზუგდიდის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ საიდუმლო მასალების შეგროვება, რასაც შედეგად მოჰყვა მის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება. ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოს განკარგულებით ლეონ მიხეილის ძე შენგელაია დააპატიმრეს ზუგდიდში 1906 წლის 6 აგვისტოს. არქივში ინახება დაპატიმრების და ბინაზე ჩატარებული ჩხრეკის მთელი მასალები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაზრის საპოლიციო განყოფილების დადგენილებაში ლ. შენგელაიას დაპატიმრების შესახებ მითითებულია არა მხოლოდ მის წინანდელს დანაშაულობებზე, რომ იგი ითვლებოდა „ზუგდიდში შეიარაღებული აჯანყების მეთაურად და ორგანიზატორად", რომ იგი აწარმოებდა „ძირგამომთხრელ საქმიანობას", სარგებლობდა მაზრის გლეხურ მოსახლეობაში „დიდი გავლენითა და ავტორიტეტით"[3], არამედ იმაზეც, რომ „1.

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. III, გვ. 24.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 87.

ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ის იმალებოდა დიდხანს და რომ სახლში დაბრუნდა მხოლოდ იმის მერე, როცა ზუგდიდის ციხიდან პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლეს, 2. მიუხედავად იმისა, რომ ბოქაულ კვარაცხელიას მიერ შედგენილი ოქმით იგი ადრეც იყო მიცემული პასუხისგებაში, მან მაინც არ შეწყვიტა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ კვლავ დაიწყო აგიტატორების შეგროვება და მათთან თათბირების ჩატარება. მაგალითად, იგი ღამე სახლში საიდუმლოდ იღებდა აგიტატორებს: ვეკუას, ჩხეტიას, ნორაკიძეს და სხვ. და ავალებდა მათ აემხედრებინათ მოსახლეობა ხელისუფლების წინააღმდეგ, 3. რომ მას ჩხრეკის დროს ბინაზე აღმოაჩნდა პოლიტიკური ხასიათის სხვადასხვა ბროშურები და ხელნაწერები"[1].

სპეციალურად შედგენილ კატალოგში ჩამოწერილია ჩხრეკის დროს ბინაზე ნაპოვნი 25 დასახელების წიგნი და მასალა. მათ შორისაა: კარლ მარქსის, ფრ. ენგელსის, ლენინის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნები, კარლ კაუცკის „აზრები პატრიოტიზმზე და ომზე", ავგუსტ ბებელის „ქრისტიანობა და სოციალიზმი", ჯონ ლოკის „სოციალიზმი", არტურ შოპენჰაუერის ფილოსოფიური თხზულებანი, ვ. ჟელეზნოვის „პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები", ალფონს დიუნაკის „სახალხო კანონმდებლობა შვეიცარიაში" და სხვ.[2].

1906 წლის 6 და 12 აგვისტოს ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სოღოროვი ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს პატაკს უგზავნის რა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ლეონ შენგელაიას დაპატიმრების, ბინაზე ჩატარებული ჩხრეკის და ასეჭვო არალეგალური ლიტერატურის აღმოჩენის შესახებ, იმავდროულად გუბერნატორისაგან ითხოვს ნებართვას მისი, როგორც „საშიში პიროვნების" ზუგდიდიდან გასახლების, „რუსეთის შიდა გუბერნიებში გადაგზავნის", ან „მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მეთაურის" სასტიკად დასჯის თაობაზე, რათა „ერთხელ და სამუდამოდ ვიხსნათ თავი ასეთებისაგან და დამყარდეს ხალხში მშვიდობა"[3].

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113. ანაწერი 2, საქმე 435. ტ. III, გვ. 97.

[2] იქვე. გვ. 88—89.

[3] იქვე. გვ. 85, 87.

არქივში ინახება ზუგდიდის ციხის პატიმრის აზნაურ ლეონ მიხეილის ძე შენგელაიას მიერ 1906 წლის 11 აგვისტოს თარიღით დაწერილი ვრცელი განცხადება ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსადმი, რომელშიც ის პროტესტს აცხადებს ზუგდიდის მაზრის პოლიციის მიერ მისი დაპატიმრების გამო, უარყოფს და აბათილებს წაყენებულ ბრალდებებს და ითხოვს ციხიდან გათავისუფლებას ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით, საიდანაც განცხადების მიხედვით იგი თითქოს დათხოვნილი ყოფილა „სიღარიბის გამო ლექციის ფულის გადაუხდელობისათვის“[1] (სინამდვილეში დათხოვნა მოხდა უნივერსიტეტის დროებით დახურვის გამო — ა. თ.).

ამ განცხადებას, რა თქმა უნდა, არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. საიდუმლო მიწერ-მოწერაში ზუგდიდის სამაზრო ციხე თანდათან ივსებოდა პოლიტიკური პატიმრებით. „გაიღო პატარა საკნის კარი, — იგონებს პოლიტკატორღელი ალ. ჩხეტია, — სიცილ-ხარხარით მომეგებნენ თურმე იმ დღესვე დატუსაღებული ამხანაგები: ლეო შენგელაია (შემდეგში ჭიაჩელი), გრიგოლ ჩიჩუა, ლადო ვეკუა, ალექსანდრე ჩიქავა, სოლომონ ალანია და სხვ. აქ კარის მსგავსად შეჭედილ ორ ფიცარს ჭიაჩელი ღამ-ღამობით დასაწოლად იყენებდა... მიუხედავად აუტანელი პირობებისა, პატიმრები მაინც რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ „მარსელიოზას“ მღეროდნენ და არა სევდისმომგვრელ „ჩელას“[2].

აზნაურის ამპარტავანი ქალი — ლეოს დედა იძულებული აღმოჩნდა ზუგდიდის ციხის კარებთან ატუზულიყო თავისი რევოლუციონერი შვილის სანახავად. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მისთვის დიდი უბედურება შედარებით იმ შიშთან და ძრწოლასთან, რაც თავს დაატყდა მას მომდევნო ხანებში.

პირველი თავზარი მას დასცა ზუგდიდში გავრცელებულმა ხმამ: ლეოს და მის თანამოაზრეებს „სტოლიპინის ჰალსტუკი“ გაუკეთეს და სახრჩობელაზე ჩამოსაკიდად წაიყვანესო. ეს იყო აგვისტოს ბოლო რიცხვებში, როცა დახურული დილიჟანი 15 ცხენოსანი ჩაფრის კონვოით ზუგდიდიდან ქუთაისისაკან დაიძრა.

ო, როგორ არ ჰგავდა იგი პირველ მგზავრობას, მამას რომ მიჰყვებოდა ეტლით!

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2,საქმე 435, ტ. III, გვ. 99—100.

[2] სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი 2394, გვ. 100—101.

ციხის კოშმარები, გამოძიება და გრალდება

...ღამე იყო, როცა დილიჟანი ციხის კარებს მიადგა. პატიმრები კანტორაში შეიყვანეს. ოთახი კედლებზე დაკიდული ლამპებით იყო განათებული. სავარძელში ხანში შესული, ჩასუქებული, ულვაშებიანი კაცი იჯდა. ეს იყო იავორსკი — ქუთაისის საგუბერნიო ციხის ცბიერი და გამოცდილი უფროსი. კონვოის მეთაურმა მას დალუქული პაკეტი მიაწოდა. იავორსკიმ იგი გახსნა, წაიკითხა და ზედამხედველს განზე გახედვით უბრძანა:

— საერთოში!

პატიმრები აყაყანდნენ. პროტესტი განაცხადეს. წინ წადგა ალექსანდრე ჩხეტია და ციხის უფროსს მათი სახელით კატეგორიული მოთხოვნა წაუყენა.

— ჩვენ პოლიტიკურები ვართ, სეკრეტები მოგვეცით!

„სეკრეტები" მეორე სართულზე განლაგებულ, საგამომძიებლოდ განკუთვნილ პატარა საკნებს ეწოდებოდა.

იავორსკიმ მთქნარებით გახედა ალექსანდრეს ფიცხ და მოუთმენელ გამომეტყველებას, სხვა პატიმრებიც აათვალიერ-ჩაათვალიერა და ყველას გასაგონად დამცინავი ღიმილით მშვიდად წარმოთქვა:

— სეკრეტები თავისუფალი არ არის, საერთოში თუ არ შებრძანდებით, დერეფნებში გვაქვს ადგილი, იატაკი და თქვენი ზურგი.

დაღლილმა პატიმრებმა დერეფანში ღამის გათევას ისევ საერთო ამჯობინეს, ზედამხედველს გაჰყვნენ. ჩხეტიამ შემტევი სიჯიუტით განაგრძო უფროსთან დავა და კამათი, რასაც შედეგიც მოჰყვა. მას ზედა სართულის მეოთხე ნომერი მიუჩინეს. იმავე ღამეს მისი დაჟინებითი მოთხოვნით საერთოდან მასთან გადაიყვანეს ლეო შენგელაიაც. ასე გაჩნდა ახალი მისამართი: ქუთაისის ციხე, ზედა სართული, საკანი № 4.

საკანში ორმოცამდე პატიმარი იყო. ჩვეულებრივად თორმეტს იტევდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ყოველი კუთხიდან იმდენი პატიმრები მოჰყავდათ ყოველდღე, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, ვიწროდ და მოთმინებით უნდა ეცხოვრათ. ეს საკანი შედარებით მოდიდო ოთახს წარმოადგენდა. მას ციხის ეზოში გამავალი ორი ფანჯარა ჰქონდა. ერთ-ერთ ფანჯარასთან ახლოს ლეოს ნარის ფიცარ-

ნახევარი მიუზომეს თავისი სიგრძე-სიგანით, ლეიბი და საბანი ჩაბარეს და ისეთი „პატივისცემით დაასახლეს“, თითქოს სობოგაში ყოფილიყო, თავის ტოლებთან, „სახლობია-მახლობიას“ თამაშ-ს დროს.

ორმოცი კაცის სუნთქვა, ორთქლი, თამბაქოს ბოლი და დაუბანელი ტანის სუნი ერთბაშად მტანჯავ ჰაერად ეცა ახალმოსულს, გული და თავი აუტკივა, მაგრამ შეწუხებული სახის დასაფარავად მიზომილ ნარზე ქვეშაგების დაგებას შეუდგა და მგზავრობით დაქანცული ზედ გაუხდელად მიწვა...

• •

ლეოს მაღალყელიანი მესტები და გვერდზე შესაკერელი ლურჯი ხალათი აცვია. წაბლისფერი კოკორი ულვაშები და ნიკაპზე კოხტად შეკრეჭილი მუქი, წაბლისფერი წვერი უხდება. ცხვირზე პენსნე ქანაობს, ხშირად ისწორებს ხელით, წვრილი ჭროღა თვალები შვენის. ჰკვიანი და მოსაზრებული გამოხედვა აქვს. უჩვეულო გარემოცვაში მოქცეული თავს უხერხულად გრძნობს. თავისი ნაზი აგებულებით წითელი რაზმელებისაგან ისე გამოირჩევა. როგორც ყაყაჩო ჯეჯილში[1]. აგერ საკნის წინ ბორკილების ჩხარა-ჩხურით ჩაიარა ორმა ტუსაღმა. ერთი თომა ჩუბინიძეა, მეორე ისმაილა ჯუმბურიძე — ორივე შორაპანში მოქმედი მერკვილაძის რაზმის წევრია. ჩაფრების საყარაულოზე თავდასხმის და მათი განიარაღების მონაწილენი.

• • •

ლეოსთან იწყეს სიარული მისმა რაზმელებმა. ისინი ლეოსთან მოდიან, როგორც უფროს, პატივსაცემ ადამიანთან. დიდი ყურადღებით და სიყვარულით ექცევიან. ტკბილი მეგრულით ბაასობენ. ისინი ეკითხებიან, ლეოც რჩევას აძლევს. აჯერებს თავისი ნათქვამის სიმართლესა და სიმტკიცეში[2].

---

[1] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი. 1973, გვ. 271.
[2] იქვე, გვ. 272.

* * *

ერთმანეთს ეცნობა ლეო შენგელაია და დავით სულიაშვილი — „ყვირილა-ბელაგორის რესპუბლიკის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, ტენგინის პოლკის განიარაღების აქტიური მონაწილე. ციხემ სიკვდილამდე ურღვევი მეგობრობით დააკავშირა ისინი ერთმანეთს, მჭიდროდ გადანასკვა მათი გრძნობა და ხასიათი, პიროვნება და სული, ცხოვრება და მოღვაწეობა. „დავით სულიაშვილთან ერთად მე განვლილი მაქვს ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა, — აღნიშნავდა მოგვიანებით ლეო ქიაჩელი, — ეს გზა იყო გზა ბრძოლისა და შემოქმედებისა, გზა ნარითა და ეკლით მოფენილი, რომელსაც ასაქცევი არ ჰქონია. მისი დასაწყისი საქართველოს უახლესი ისტორიის რიყრაყის ბინდბუნდშია ჩასახული და მეოცე საუკუნის გათენებას ემთხვევა. სისხლის კვლები აღნიშნავენ ჩვენს ნაბიჯებს. მათკენ უკან მიხედვა დღესაც სიამაყით გვივსებს გულს, რადგანაც ის კვლები ახლაც ჩანან განვლილ გზაზე უტყუარად და მოწმობენ იმ მსხვერპლზე, რომელიც გაგვიღია სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისათვის“[1].

ამ „მსხვერპლის“ ერთ-ერთი დიდი კომპონენტია ის მტანჯავი, სულის შემხუთავი ატმოსფერო, რომელიც უგრძვნია ქიაჩელს ქუთაისის ციხეში, სხვა მრავალ რევოლუციონერთან ერთად, მძიმე პოლიტიკური ბრალდებით პატიმრად ყოფნის დროს. ზუსტად წელიწადი და 26 დღე დაჰყო მან აქ. არა ერთი და ორი პოლიტიკური პატიმარი გატეხა ციხის სასტიკმა რეჟიმმა, მოსალოდნელი სასჯელის შიშმა! არა ერთი და ორი გამხდარა გამცემი და ჯაშუში, ციხის ადმინისტრაციის ერთგული! არა ერთი და ორი გასულა ამ ლაჩრული და სამარცხვინო გზით მისი კედლებიდან!..

* * *

...მაგრამ ის ვინ იყო, ამ დილით რომ მოკლეს ციხეში?

მერედა, რისთვის?

— იმისათვის, რომ ფანჯარასთან დგომა არ შეიძლება. გაიგეთ? ამის შემდეგ ყველას ასე დაემართება, ვინც ფანჯარასთან მივა და ხელებით საუბარს გააბამს ქუჩაზე მდგარ ნაცნობთან. დაიმახსოვ-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1964, გვ. 118.

რეთ ეს წესი. გესმით? — არიგებს ციხის უფროსი აღშფოთებულ ტუსაღებს.

„გურიის რესპუბლიკის“ მონაწილის, ახალგაზრდა პირტიტველი ბიჭის, თენგიზის საკაცეზე დადებული გვამი კი ჩქარი ნაბიჯით გაატარეს დერეფანში[1]...

* * *

...სალდათები ფეხაკრეფით ამოდიან კიბეზე. დერეფანს მარცხნივ მიჰყვებიან, ვიწრო საკნებისაკენ და უცებ ნიკო ფხაკაძის ბღავილი ბზარავს, აზანზარებს ციხეს.

პატიმრები იღვიძებენ. ლოგინებზე წამომჯდარნი სულგანაბულნი ისმენენ ძახილს, ყვირილს, ჩოჩქოლს, თითქოს რაღაცას მიათრევენო.

— ეჰ, წახდა კაცი! — ამბობს ერთ საკანში ტუსაღი.

— რა მოუვიდა მაგ საცოდავს? — ეხმიანება მეორე.

— სსუუ, მოიცათ! — აწყნარებს მესამე.

— არა გრცხვენია? — ეუბნება პოლიო ნიკოს. — რა გაყვირებს, რად აწუხებ ამხანაგებს. მაგას მოველოდი შენგან? მეგონა გულმაგრად შეხვდებოდი ჯალათებს!

ხმაური მიწყდა. მალე ალაყაფის კარი გაიღო. ისევ მიიხურა. ციხეში ისევ სიჩუმე, ძილი და მყუდროება გამეფდა[2].

დასახვრეტად გაიყვანეს ორი ადამიანი — პოლიო ბეჟანიშვილი, რომელიც მხნედ და უშიშრად შეხვდა სიკვდილს და ნიკო ფხაკაძე, რომელმაც „მიშველეთ, მიშველეთოს“ ყვირილით შესძრა მთელი ციხე. იყო და აღარ იყო კაცი.

ასეთია კოშმარების გარემოცვა...

* * *

...ტუსაღი იუსტინე კი ასეთ დროს ლეო შენგელაიას სთხოვს განუმარტოს, თუ როგორ არის გაშუქებული „დიალექტიკის საკითხები“ ენგელსის „ანტი-დიურინგში“. რამდენიმე ხნის შემდეგ ლეო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პარტიებს შორის აქ გამართულ დისკუსიებში, ატარებს ლექციას სოციალიზმისა და მარქ-

---

[1] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1973. გვ. 275—276.

[2] იქვე, გვ. 281.

სიზმის პრობლემებზე, კერძოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის ეროვნულ პუნქტზე. ციხეში მაშინ შეიძლებოდა საკნიდან საკანში პოლიტიკური პატიმრების გადასვლა, დერეფანში თავისუფალი სიარული და საუბარი, წიგნების კითხვა და დისპუტების მოწყობა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებული პაექრობის საგანი სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტიკა იყო.

ლეო შენგელაია ამ დროს მთელი თავისი შეგნებით უარყოფდა ეროვნული საკითხის პრაქტიკულად დაყენების საჭიროებას საერთოდ რუსეთში და კერძოდ ისეთ კუთხეებში, როგორიც იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები. იგი იცავდა ფედერალისტების საწინააღმდეგოდ იმ ხანად სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გავრცელებულ, ათასჯერ გაგონილ და დაზეპირებულ დებულებებს: 1. საერთაშორისო გაერთიანება, როგორც ისტორიის გზა, 2. სახელმწიფოთა შორის საზღვრების მოსპობა, 3. ეროვნული პროგრამა, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ მერყეთა დასაშერად და მებრძოლი პროლეტარიატის საერთო ფრონტის დასაშლელად გადმოსროლილი ანკესი.

ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების რკალში იგი გიმნაზიის ბოლო კლასებიდანვე მოექცა. მისი სული და გული ამ მზამზარეულმა აზრებმა შეიპყრო. მაგრამ ლექციის ანალიზმა ციხეში იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა. რომ, რამდენადაც ბეჯითი და შეუპოვარი იყო მისი გალაშქრება საქართველოში ეროვნული საკითხის წამოყენების წინააღმდეგ, იმდენად იგი არ შეეფერებოდა მის ნამდვილ იმდროინდელ აზრს და არ გამოხატავდა მის ნამდვილ რწმენას. მრავალტანჯული საქართველო მისი ხატება იყო.

ასე გაჩნდა ციხეში გაორების, საკუთარ „მეში“ წინააღმდეგობის ახალი ტალღა. ასე დადგა საკუთარ შეხედულებათა გადაფასების. მერყეევი სულისკვეთების დაძლევის, ნებისყოფის გაძლიერების. ციხის ბორკილების, კატორღის, თუნდაც სახრჩობელის საშიშროების მედგრად და უღრტვინველად გადატანის, ერთგვარი სულიერი „გაწმენდის“ და „განახლების“ აუცილებლობა...

* * *

და სწორედ ციხის კედლებშივე გადაწყვიტა მან ბოლოს ხელი აეღო ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობაზე და, თუ თავისუფლება ოდესმე ელირსებოდა, მთლიანად ლიტერატურული ცხოვრების

მღელვარე ფერხულში ჩაბმულიყო. ასეთივე აზრი შეუმუშავდა აქ დავით სულიაშვილსაც. მათ ერთმანეთს შეჰფიცეს კიდეც არასოდეს ეღალატნათ ამ პრინციპისათვის.

— რით მოემსახურებოდი სამშობლოს? — ეკითხება დავითი ლეოს, როცა საუბარი მათი ცხოვრების მომავალ გეგმებზე ჩამოვარდა.

„— რით? რით და მწერლობით! მრავალგზის მიფიქრია ამაზე! გავალ თუ არა ციხიდან, წერას დავიწყებ! — ამბობდა იგი.

— რა კარგია, რომ შენც ასე ფიქრობ! მეც ხომ მაგ ოცნებას ვატარებ გულში.

— მოდი, მივცეთ ერთმანეთს სიტყვა, რომ მწერლობა იქნება ჩვენი ბრძოლის ასპარეზი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

— ეგრე იყოს! — ვუპასუხე აღელვებულმა"[1].

მაგრამ გავლენ კი უვნებლად? არ გასტეხენ ფიცს? არასოდეს დაუბრუნდებიან პოლიტიკურ ასპარეზს?..

[1]

* * *

ზუგდიდის, ბელაგორ-ყვირილის, გურიის, ახალსენაკის „რესპუბლიკების" საქმეებზე გამოძიება და დაკითხვები გრძელდება. ლეო შენგელაიას პირველად დაჰკითხა ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გამომძიებელმა სენკოვიჩმა, რომელიც 1906 წლის 14 სექტემბერს შედგენილ დაკითხვის ოქმში მისი დაბადების თარიღად რატომღაც უჩვენებს 1885 წელს.[2] ამის შემდეგ მეოთხე საკნიდან იგი გადაჰყავთ ცალკე „სეკრეტში", რაც მისი მდგომარეობის გართულების და დაკითხვის გამწვავების მაჩვენებელი იყო. ყოველი ცდა პატიმრების ციხიდან გაპარვისა ძირშივე იხშობა და ისპობა. იავორსკის ახსოვს ის მწარე დღე, სასტიკი საყვედური და გაკიცხვა. რაც უფროსებისაგან მიიღო 1905 წელს. ამ წლის 1 იელისს, ღამით, დანიშნულ საათზე, სერგო ქავთარაძე რამდენიმე ამხანაგის თანხლებით ისე შევიდა ციხეში, რომ მძინარე დარაჯს არაფერი გაუგია. ისინი მედგრად შეეგებნენ ზედა სართულიდან გადაბმული ზეწრებით ძირს ჩამოშვებულ გიორგი თელიას და ყოველგვარი ხმა-

[1] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973, გვ. 273.

[2] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი. 2, საქმე 435, ტ. III, გვ. 148.

ურისა და სისხლისღვრის გარეშე მეფის ჯალათებს ტყვეობიდან გამოსტაცეს რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი[1].

ამის შემდეგაც იყო არა ერთი შემთხვევა გაქცევის მიზნით კედლის გარღვევისა და შიგნიდან გვირაბის გაყვანისა, მაგრამ „აუჩქარებელი ციხის უფროსი იავორსკი, როგორც დახელოვნებული ადმინისტრატორი, ყოველთვის იგებდა დაწყებულ საქმეს, ყოველთვის პოულობდა დამნაშავეებს, რომელთაც ეტყოდა ხოლმე, რა თქვენი საქმეა გაქცევაზე ფიქრიო“[2].

ამიტომ პოლიტიკურ პატიმართა ციხის კომიტეტის წინაშე უპირველეს ამოცანად იდგა იავორსკის თავიდან მოცილება. ეს მიზანი მიღწეულ იქნა. 1907 წლის დასაწყისიდან იავორსკი სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილზე ქუთაისის ციხის უფროსად დაინიშნა ილია დავითის ძე აბშილავა, რომელიც ადრე ამ ციხეში საქმის მწარმოებლად მუშაობდა. ბუნებრივია, პატიმრები მას კარგად იცნობდნენ. ამით რამდენადმე ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა.

* * *

1907 წლის ზამთარში ციხეში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია გაჩნდა. მან იმსხვერპლა ხარაგოულელი წითელრაზმელი ბათუ ბუაჩიძე, რაჭის წითელი რაზმის წინამძღოლი დანიელ რაზმაძე, ზუგდიდელი პაელე აქუბარდია და სხვ. ტიფით ავად გახდა ლეო შენგელაიაც, რომელსაც სწორედ მაშინ უსრულდებოდა დაბადების ოცდასამი წელი. „იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და ცალკე საკანში დააწვინეს — გადმოგვცემს დავით სულიაშვილი, — მე მარტო დავრჩი, გული დამეხურა. ღამეები არ მეძინა. „ლეო მარტოა, იქნებ უჭირს, ვინაა მისი პატრონი?“ — მიტრიალებდა თავში. გადავწყვიტე ციხის ადმინისტრაციისათვის მეთხოვა, ნება მოეცა ჩავსულიყავი მასთან და მომევლო. უფროსმა ნება დამრთო. მე ლეოს საკანში გადავბარგდი. და თუმცა ამხანაგები მეუბნებოდნენ — შენ იმას ვერაფერს დაეხმარები, ტიფი აუცილებლად შენც გადმოგედება და ორივეს ვინღა მოგვილითო, მე მაინც ჩემი შეეასრულე“[3].

ცნობამ შვილის მძიმე ავადმყოფობის შესახებ ზუგდიდში მე-

---

[1] ილია მელქაძე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905 — 1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, 1960, გვ. 333.

[2] სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი 2394, გვ. 117.

[3] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973, გვ. 174.

ორე დიდი თავზარი დასცა დედას, რომელიც ქუთაისში არაერთხელ იყო ნამყოფი მის სანახავად. ახლა იგი გარდუვალი უბედურების კარიბჭესთან იდგა. ზამთრის მკაცრი ამინდების მიუხედავად, საჭმელ-სასმელით დატვირთული მოხუცი დაუყოვნებლივ გამოეშურა ქუთაისისაკენ.

„სოფლიდან ლეოს დედა ჩამოვიდა, — განაგრძობს ამბის თხრობას დ. სულიაშვილი, — მას ნება დართეს საავადმყოფოში ენახა შვილი. მომცრო ტანის მოხუცი წუხდა, მოსთქვამდა, ხან შვილს გადაეხვეოდა, ხან კი მე მეალერსებოდა, ფუსფუსებდა, რა ეღონა, არ იცოდა. ავადმყოფ შვილს რომ უცქეროდა, ცრემლი ერეოდა. საკნის კარი ღია იყო. სოფლიდან ჩამოტანილი ხაჭაპურები, მოხარშული ქათმები დერეფნიდან საკანში შემოიტანა, სკამზე დააწყო, ის კი არ იცოდა, რომ მის შვილს არაფერი არ ეჭმებოდა. კიდევ გადაეხვია შვილს, მეც მხრებზე მომეხვია, შემეეველრა — შვილს მიმიხედეო. ნახვის დრო გათავდა. გულდათუთქული, რომ ავადმყოფ შვილს ციხეში ტოვებდა, ნელი ნაბიჯით გავიდა“.

ავადმყოფობამ ქედი მოიხარა მხოლოდ დედის, მხოლოდ ციხეში შეძენილი მეგობრის თავგანწირვის წინაშე! რამდენიმე კვირის შემდეგ ლ. შენგელაია ისევ დაუბრუნდა თავის საკანს. მაგრამ დედის მოსვლამ მას ახალი მწვალებელი ფიქრები გაუჩინა. განა აქ. ამ ციხეში არ იჯდა მისი მამა — მიხეილი, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის? აქ არ დადიოდა მის სანახავად მეუღლე მართა? რაღ გაუმწარა სიცოცხლე დედას?

— არაფერია, შვილო, მხნედ იყავი. გაურიდებელ ჭირსა და უბედურებას გაძლება უნდა! ნუ შეშინდები. — თითქოს საყვედურის ნაცვლად ასეთი გამამხნევებელი სიტყვებით ეფერება საკანში მის საწოლთან სკამზე ჩამომჯდარი დედის ლანდი ლეოს და ისიც მშვიდად იძინებს სასამართლო განაჩენის მოლოდინში.

მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. შინაგანად სადღაც გული გრძნობდა ტყვიასავით დამძიმებული ვითარების დაძაბულობას, სიცოცხლის უფსკრულის, ტრაგედიის, დასასრულის მოახლოებას.

* * *

1907 წლის 12 აპრილს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგმა სკულსკიმ დაამთავრა საბრალდებო ოქმის შედგენა და „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმე იმავე წლის 17 აპრილს

სასამართლო პალატას გადასცა შემდგომი მსვლელობისათვის. დამთავრდა სხვა „რესპუბლიკების“ საქმეთა გამოძიებაც. ბრალდებულებს დაურიგდათ საბრალდებო დასკვნები და აქამდე თითქოს შორეულად მიჩნეულმა საფრთხემ თითოეული პოლიტიკური პატიმრის საკნის კარებს გესლიანი სისინით დაუკაკუნა.

წინასწარ კვლევა-ძიებისას და შემდეგ გამოძიებაზე მთელი რიგი მოწმეების ჩვენებებიდან დამტკიცდა, — ნათქვამი იყო საბრალდებო დასკვნაში, — რომ 1905 წლის მეორე ნახევარში ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში შედგა ორი რევოლუციური ორგანიზაცია: სოციალ-ფედერალისტების და სოციალ-დემოკრატებისა. პირველი ორგანიზაციის მოთავენი იყვნენ: ვასილ ალშიბაია (შემდეგში მოკლული), მელიტონ გობეჩია, მიხეილ კაკულია, ალექსანდრე ჩხეტია და სხვ. მეორე ორგანიზაციაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ლეონიდ შენგელაია, აპოლონ ნოდია, ანტონ კოდარია, პავლე აკობია, სოლომონ ალანია, ალ. ჩიქავა და სხვ. ეს ორგანიზაციები ჯერ საიდუმლოდ მოქმედებდნენ, რაც გამოიხატებოდა ხალხში აკრძალული მოწოდებებისა და ბროშურების გავრცელებაში, ხოლო 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ პარტიათა მოქმედება უცბად შეიცვალა და მიიღო ისეთი ამკარა რევოლუციური პროპაგანდის ხასიათი, რომლითაც ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყების საშუალებით რუსეთში არსებული წყობილების დანგრევისა და რესპუბლიკის დამყარებისაკენ.

ამნაირად, — განაგრძობდა ბრალდების შემდგენი, — ზემოთ დასახელებულ პირებს ბრალი ედებათ იმაში, რომ 1905 წლის დამლევს და 1906 წლის იანვრის დასაწყისში მონაწილეობას იღებდნენ ბოროტმოქმედთა საზოგადოებაში, რომელიც მოქმედებდა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში და რომელმაც მიზნად დაისახა რუსეთში არსებული მართვა-გამგეობის ძალით შეცვლა, რისთვისაც საზოგადოებას თავის განკარგულებაში ჰქონდა თოფებისა და სხვა იარაღების საწყობი. ამათგან, კერძოდ, ლ. შენგელაია, ა. ჩხეტია, ა. ჩიქავა, ს. ალანია და ლ. ესვანჯია, — გამოდიოდნენ რა ორატორობით მათ მიერვე სოფლებში მოწყობილ საჯარო კრებებზე, მოუწოდებდნენ ზუგდიდის მაზრის გლეხკაცობას შეიარაღებული აჯანყებისათვის რუსეთში არსებული წყობილების დასამხობად და მათ ნაცვლად დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად ან ფედერაციულ საფუძველზე აგებული რესპუბლიკის შესაქმ-

წელად, მოითხოვდნენ, რომ არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ მიეცათ არავითარი გადასახადი, არ დაენებებინათ ახალგაწვეული ჯარისკაცები, ხოლო მემამულეთა სანადელო გადასახადზე და მღვდლებისათვის სადრამო ფულის მიცემაზე უარი ეთქვათ.

ლ. შენგელაია და ა. ჩხეტია, როგორც აღნიშნული ბოროტმოქმედი საზოგადოების მეთაურები, სხვა გადამალულ პირებთან ერთად ნიშნავდნენ განსაკუთრებული თანამდებობის პირებს: ასისთავებს, ათისთავებს და რაიონის უფროსებს — ერისთავებს; ხალხში სარევოლუციო მიზნით ძალდატანებით ფულს აგროვებდნენ, ზუგდიდის მაზრის მცხოვრებლებს 1905 წლის დეკემბერში საზღვარგარეთიდან შემოტანილ თოფებს და საბრძოლო მასალას ურიგებდნენ და ამ პირებიდან მებრძოლ რაზმებს ადგენდნენ. შემდეგ ეს რაზმები, რომელთაც თვითონ მეთაურობდნენ, წაიყვანეს სამტრედიაში იმ მიზნით, რომ ზუგდიდის მაზრაში მომავალი მთავრობის ჯარებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ, არ შემოეშვათ. დაბოლოს, მათივე ხელმძღვანელობით მოხდა ზუგდიდის პოლიციის სათადარიგო სადარაჯოდან იარაღის გატაცება, რასაც ადგილი ჰქონდა 1905 წლის 6 დეკემბერს.[1]

ყველა ამ დანაშაულის გამო, ნათქვამი იყო საბრალდებო ოქმის დასკვნით ნაწილში, აღნიშნული ბოროტმოქმედნი (განმეორებით ჩამოთვლილია ყველას გვარი, სახელი და მამის სახელი) „უნდა გადაეცეს გასასამართლებლად თბილისის სასამართლო პალატას წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით“[2].

საინტერესოა, რა ჩვენება მისცა წინასწარი გამოძიებისას ქუთაისის ციხის პატიმარმა ლეო შენგელაიამ?

დოკუმენტში ნათქვამია: „ლეონიდ შენგელაიამ აჩვენა. რომ ის თანაუგრძნობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ არც ერთ აკრძალულ ორგანიზაციას არ ეკუთვნოდა. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ის ხშირად გამოდიოდა კრებებზე, რადგანაც ხედავდა, რომ ხალხს სხვანაირად უმარტავდნენ ამ მანიფესტით მოცემულ პოლიტიკურ თავისუფლებებს. ამი-

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. I, გვ. 50. შდრ: თ. ეღენტი, 1905 წელი სამეგრელოში, 1929, გვ. 81.

[2] იქვე, გვ. 51. შდრ: იქვე, გვ. 83.

ტომ ის უხსნიდა ხალხს მანიფესტის ნამდვილ მნიშვნელობას. ის, სხვათა შორის, ლაპარაკობდა იმასაც, რომ პოლიცია აღარ იქნება აღჭურვილი იმისთანა ფართო უფლებებით, როგორც წინათ. რევოლუციური შინაარსის სიტყვებს არ წარმოთქვამდა და მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის ხალხს არ მოუწოდებდა. 1905 წლის დეკემბერში ზუგდიდის სათადარიგო პოლიციის განიარაღებაში მონაწილეობა არ მიუღია და არც ის იცის, ვინ იღებდა მონაწილეობას. არც ის იცის, ვინ მოიტანა შეიცარიის სისტემის თოფები, რომელიც გზადაგზა ხალხს გაუნაწილეს. ნამდვილად არავითარი წითელი რაზმები ზუგდიდში არ არსებობდნენ. მხოლოდ პოლიციის უმოქმედობისა და მაზრიდან ჯარის წასვლის გამო 1905 წლის დეკემბერში თვითონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოაწყვეს თავდაცვის მიზნით დამცველი რაზმები, რომლებიც ადგილობრივი პოლიციის ნებართვით და მათი დახმარებით შეიარაღეს კიდეც. რაც შეეხება სოფ. სამტრედიაში წასვლას იმ მიზნით, რომ წითელი რაზმების საშუალებით მთავრობის ჯარს შებრძოლებოდა, ბრალდებულმა შენგელაიამ ამაზედაც უარი განაცხადა"[1].

მაგრამ თავდაცვის ასეთი მანერა, ასეთი შეუპოვრობა და სიმტკიცე საქმეს არ შველოდა. გამოძიება ემყარებოდა „უტყუარ" ფაქტებს, ბრალდება — იურიდიულ საფუძვლებს, სასჯელიც ზუსტი უნდა ყოფილიყო — სიკვდილი ან სამუდამო კატორღა.

მესამე დიდი თავზარი დედისათვის ამ საშინელი ცნობის მიღება იყო.

პატიმრებისათვის საბრალდებო დასკვნის გადაცემის შემდეგ სასამართლო სხდომის დანიშვნამდე დაიწყო პატიმართა წინასწარი განცხადებების, შუამდგომლობების განხილვა. ეს პროცესი თითქმის წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. საქმეში ინახება ქუთაისის ციხის პატიმრის, ბრალდებულ ლეონ მიხეილის ძე შენგელაიას მიერ 1907 წლის 7 სექტემბრის თარიღით დაწერილი მოკლე განცხადება თბილისის სასამართლო პალატისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ მას ანალოგიური ხასიათის განცხადებით ადრეც მიუმართავს პალატისათვის, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. განმეორებით იგი ითხოვდა სამსჯავრო სხდომის დანიშვნამდე გამოეძახათ და დაეკითხათ მის მიერ დასახელებული მოწმეები. განცხადებაზე 13 სექ-

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. I, გვ. 47.

თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ[1].

მაგრამ, საბედნიეროდ, მოწმეების გამოძახება საჭირო არ გახდა. ვითარება ელვისებურად შეიცვალა.

თბილისის სასამართლო პალატამ ბარონ ა. ა. მედემის თავმჯდომარეობით, მდივნის კ. ლევიცკის, პალატის წევრების: ვ. ორლოვსკის, ლ. იონინის, ი. უთნელოვის, წოდებათა წარმომადგენლების — ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის დ. ნიჟარაძის, ქალაქ ქუთაისის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის და სოფელ პატრიკეთის მამასახლისის მ. კოღუაშვილის შემადგენლობით 1908 წლის 12—16 სექტემბერს ქუთაისში გაარჩია „ზუგდიდის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის“, ე. წ. „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმე და პასუხისგებაში მიცემული 36 დამნაშავიდან, რომელთაგან 16 ამ დროისათვის ჯერ კიდევ დაპატიმრებული არ იყო, 16-ს სხვადასხვა ვადით ციმბირში გადასახლება მიუსაჯა. მდივანმა სასამართლოს წინასწარ მოახსენა, რომ 20 პოლიტიკური პატიმრიდან ორი (პ. აქუბარდია და ა. არჩილია) ციხეში გარდაიცვალა, ერთი (ალ. ჩხეტია) პალატის განკარგულებით გათავისუფლებულია[2], ხოლო ბრალდებული ლეონ მიხეილის ძე შენგელაია ციხიდან გ ა ქ ც ე უ ლ ი ა.

ამ ცნობის საფუძველზე სასამართლო პალატამ 1908 წლის 12 სექტემბრის სპეციალური დადგენილებით მთელ იმპერიაში გამოაცხადა „სახელმწიფო დამნაშავის“ ლ. მ. შენგელაიას ძებნა იმ გარეგნული ნიშნების მიხედვით („საშუალო ტანის, წვერებიანი, სახე სუფთა, თვალები მომწვანო, თმა და წარბი ქერა“), რაც მას ერთი წლის წინ, ე. ი გაქცევის დროისათვის ჰქონდა[3]. მაგრამ მაშინ უკვე „დამნაშავე“ შენგელაია სხვისი პასპორტით თვით იმპერიის ცენტრში იმყოფებოდა.

როდის და როგორ მოხდა ეს?

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. II, გვ. 60.

[2] განკარგულება უალბი აღმოჩნდა. ალ. ჩხეტია კვლავ დაიჭირეს 1911 წელს და 1913 წელს ციმბირში გადაასახლეს.

[3] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. III, გვ. 97.

ამრიგად, 1907 წლის 17 აპრილიდან მკაფიოდ გამოიკვეთა „ბოროტმოქმედთა საზოგადოებებად“ მონათლული პოლიტიკური ორგანიზაციების იმ წევრთა „დანაშაულებრივი საქმიანობა“, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოში 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებსა და პოლიციის სათადარიგო ნაწილებზე თავდასხმებში. დადგინდა გურიიდან, სენაკიდან, ზუგდიდიდან, ზესტაფონიდან, ჭიათურიდან თუ სხვა მაზრებიდან ჩამოყვანილი პოლიტიკური პატიმრების კატეგორიები, ყველაზე უმძიმესი სასჯელის კანდიდატები და, მაშასადამე, საფრთხე, რომელიც მათ სიცოცხლეს ემუქრებოდა, რეალურ ფაქტად იქცა.

რეაქციის პერიოდში, არალეგალურ მუშაობაზე გადასვლის მიუხედავად, ბოლშევიკური ორგანიზაციის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა დაპატიმრებული ამხანაგების ხსნისათვის. მას საიდუმლო კავშირი ჰქონდა დამყარებული ციხეში მოქმედი ჯგუფების ყველაზე გამოჩენილ, საიმედო ხელმძღვანელებთან. კავშირი სხვადასხვა არხით ხორციელდებოდა, მაგრამ მთავარი მაინც ციხის ფერშალი ანტონა იყო, რომელიც კომიტეტის მიერ საგანგებოდ იყო შეგზავნილი იქ, როგორც ადმინისტრაციის მხრივ სრულიად ეჭვმიუტანელი პირი. ეს ფერშალი ადგა თავზე ციხის საავადმყოფოში ლეონ შენგელაიას. ამ ფერშალს გაჰქონდა და შემოჰქონდა ციხეში ყველა ის ცნობები, რომლებიც პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებას ეხებოდა. გარედან დაპირებებს კი ბოლო არ უჩანდა. ეს დიდ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევდა.

საქმე ის იყო, რომ დიდხანს ვერ მოინახა ისეთი კონკრეტული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა მიზნის განხორციელებას, ყველა წინასწარ შერჩეული მძიმე პოლიტიკური დამნაშავის ერთდროულ გათავისუფლებას. და ერთადერთი გაბედული, სარისკო, ძნელი და რთული „ოპერაციის“ იდეა თვით ციხეშივე დაიბადა. იგი დაიბადა სწორედ 1907 წლის ივნისში. ამ დროს ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა ბოლშევიკი კოტე ცინცაძე, რომელსაც უკვე მისჯილი ჰქონდა ვიატკის გუბერნიაში გადასახლება და ეტაპით გაგზავნას ელოდა. მას დაუკავშირდა ციხეში მყოფი ზაქარია გურული, ჭიათურის მა-

ღაროების ყოფილი შტეიგერი და მასთან ერთად შეიმუშავა ამხანაგების ციხიდან გაყვანის ის გეგმა, რომელმაც მართლაც შეისხა ფრთები რამდენიმე ხნის შემდეგ.

რაში მდგომარეობდა იგი?

სანამ ამის შესახებ ვილაპარაკებდეთ, საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ ქუთაისის საგუბერნიო ციხის ადგილმდებარეობა იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოცემული აქვს სწორედ ამ საქმის მთავარ ორგანიზატორს ბარონ ბიბინეიშვილს 1925 წელს გამოცემულ თავის წიგნში „მეოთხედი საუკუნის მანძილზე". „ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეს ობორონის ქუჩა უვლიდა, — წერს იგი, — ამ ქუჩის მეორე მხარეს თავში იდგა ვარლამ ფანცხავას ერთსართულიანი გალავანშემოვლებული სახლი. სწორედ საპყრობილის პირდაპირ, გალავანსა და ფანცხავას სახლს შუა, გადიოდა ობორონის ქუჩა. საპყრობილის გალავნიდან საპყრობილის შენობამდე იყო ციხის ეზო. ერთი სიტყვით, მანძილი სახლსა და საპყრობილეს შორის დაახლოებით 20—24 მეტრს უდრიდა. შიგნით, საპყრობილის გალავანსა და საპყრობილის კედელს შუა, დადიოდა ყარაული. გარეთ ობორონის ქუჩის კუთხეში, სწორედ ფანცხავას სახლის ჭიშკართან იდგა საყარაულო ჯიხური — „ბუდკა" და სახლსა და საპყრობილეს გალავანს შორის დადიოდა ჯარისკაცი"[1]. როგორც ამ ციხის ყოფილი პატიმარი ილია ბახტაძე გადმოგვცემს, „ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ციხის ზედა სართულიდან, რომელიც პაღლიდან დასცქეროდა ვარლამ ფანცხავას სახლს, როგორც პოლიტიკური ისე სხვა ტუსაღები მუნჯურ ლაპარაკს აწარმოებდნენ ფანცხავას სახლის ეზოში და თვითონ სახლში თავშეფარებულ თავის მეგობრებთან, ნაცნობებთან და ნათესავებთან"[2]. ეს არ შეიძლებოდა სახლის მეპატრონის თანხმობის, მისი მხარდაჭერის გარეშე მომხდარიყო.

და მართლაც, ვარლამ ფანცხავას მეუღლე მატრონა ფანცხავა არა თუ მხარს უჭერდა „სიგნალიზაციის" ასეთ ფორმას, არამედ პირიქით, იგი ციხის ზედა სართულის ფანჯრებიდან გადმოგდებულ, პურის ცომში გახვეულ წერილებს დანიშნულებისამებრ უგზავნიდა „ტუსაღების მეგობრებს, ნაცნობებს, ნათესავებსა და თვითო-

---

[1] ბარონ ბიბინეიშვილი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მეოთხე გამოცემა, სახელგამი, 1932, გვ. 205.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 8, ანაწერი 2, ნაწილი I, საქმე 4, გვ. 271.

ნაც ახერხებდა ტუსაღებისათვის წერილების და ფულების შეგზავნას ციხეში"[1]. ასეთი „ურთიერთკავშირი" ციხესა და ფანცხავას სახლს შორის 1902 წლიდან შესამჩნევი იყო. მაგრამ ამ კავშირმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1907 წელს.

ზაქარია გურული ციხეში ყოფნისას ახლო გაეცნო ციხის ტერიტორიას, მის შიდა და გარე „უბნებს" და, როგორც მაღაროების გამოცდილი ტექნიკოსი, ადვილად მივიდა დასკვნამდე, რომ შეიძლებოდა თავიც დაეხსნა და სხვებიც, თუ საჭირო დახმარება და ხელშეწყობა ექნებოდა. მისი აზრით, ვარლამ ფანცხავას სახლის სარდაფიდან სავსებით შესაძლებელი იყო ხვრელის გათხრა და მისი შეყვანა ციხის ქვემო სართულის იმ პატარა საკანში, რომელიც ქუჩისპირა კედელს ემიჯნებოდა. ეს იყო პოლიტიკური პატიმრების ხსნის ყველაზე უმოკლესი და ყველაზე უებარი გზა, რომლის შესრულება გარეთ მოქმედ ძალებზე, მათ უნარსა და მოქნილობაზე იყო დამოკიდებული. კოტე ცინცაძე იყო პირველი კაცი, რომელსაც ზაქარია გურულმა გაანდო თავისი ჩანაფიქრი, თავის მხრივ კ. ცინცაძემ შეიმუშავა გადასახლებიდან გამოპარვის და ზაქარია გურულის ციხიდან გაყვანის გეგმა. ამ ორი პირის გარეთ ყოფნა აუცილებელი იყო.

ასე შეიკრა პირველი რკალი იმ საოცრებისა, რომელიც დღესაც, შვიდი ათეული წლის შემდეგ, გვიზიდავს თავისი რომანტიკული ელფერით, ურთიერთგატანის, ურთიერთნდობის და ურთიერთთავდადების უჩვეულო მაგალითით.

კოტე ცინცაძე ეტაპით ვიატკის გუბერნიაში გაგზავნეს. გავიდა ორი თვე. ციხის მეკარის მოსყიდვით პოლიტიკურმა პატიმრებმა კ. ცინცაძის დარიგებისამებრ მნახველების მოსვლის დღეს მართლაც მოახერხეს ზაქარია გურულის ციხიდან „გაგდება". დავით სულიაშვილი ასე აღწერს ამ ეპიზოდს: „ნახვის დღეს ტუსაღებმა თავი მოვიყარეთ სარკმელთან, საიდანაც მნახველები ამანათებს გადმოგვცემდნენ ხოლმე. სარკმელი იმოდენა იყო, რომ პატარა ტანის ზაქარია შიგ ადვილად გაძვრებოდა. ჩვენ ვუზურგეთ და ზაქარია მალე მნახველებს შორის მოექცა. ნახვა რომ გათავდა, მან სხვებთან ერთად დასტოვა ციხე. როცა ტუსაღები გადათვალეს და ზაქარია მოიკითხეს, იგი უკვე სამშვიდობოს იყო"[2]. ეს მოხდა 1907

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 8, ანაწერი 2, ნაწილი I, საქმე 4, გვ. 271.

[2] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973, გვ. 282.

წლის აგვისტოს შუა რიცხვებში. იმავე ხანებში ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული კოტე ცინცაძე ქუთაისში ჩამოვიდა. მაშინვე ბარონ ბიბინეიშვილთან ვიწრო თათბირზე გადაწყდა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ვარლამ ფანცხავას სახლის სარდაფიდან ხვრელის გაყვანას. სამუშაოთა ხელმძღვანელობა, ჰიათურიდან მუშების ჩამოყვანა და სხვა ტექნიკური საქმეები ზაქარია გურულს დაევალა. მაგრამ მოსაგვარებელი იყო მთავარი—თვით ვარლამ ფანცხავას სახლის „დაპატრონების“ საკითხი.

ამ დროისათვის საოცრების მ ე ო რ ე რკალი თავისთავად უკვე შეკრული იყო. ციხის ზედა სართულის ფანჯრებიდან მოტყუების მიზნით პოლიტიკურმა პატიმრებმა წინასწარ დათქმული ნიშნების მიხედვით გაახშირეს ფანცხავას სახლისკენ პურის ცომში გახვეული პატარა ბარათების სროლა, აქეთ-იქით სხვადასხვა სიგნალის მიცემა. ამან ისეთი მასობრივი, სისტემატური ხასიათი მიიღო, რომ ციხის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა ხელისუფლების წინაშე მტკიცედ დაეყენებინა მოთხოვნა ფანცხავას ოჯახის მთელი შემადგენლობით სახლიდან გაყვანის შესახებ. მალე მის აბრაზე გაჩნდა წარწერა: „სახლი ქირავდება“.

„საჭირო იყო ამ სახლის დაქირავება, — იგონებს ბარონ ბიბინეიშვილი, — მხოლოდ მდგმურები უეჭველად ჩვენი კარგი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ. აბა სხვა ვინ მოიძულებდა თავს? ასეთებიც აღმოჩნდნენ: ჩვენი ძველი ამხანაგი ერემია ლომთათიძე (არალეგალური ლიტერატურის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის საწყობის გამგე), ამხანაგი მარო ბოჭორიძე (ვითომ მისი ცოლი) და ამხანაგი ნატაშა კალანდაძე (ვითომ მისი და). აი ეს „სამება“, დიდი განზრახვით გატაცებული, ბინავდება აქ. რა თქმა უნდა, ყველას პასპორტი სხვის სახელზე ჰქონდა. ერემია ექვსი თვით ქირაობს ამ სახლს. ქირას წინდაწინ იხდის. მიაქვს ჩემი ბინიდან საქსოვი მანქანა თავისი მოწყობილობით. ფანცხავას სახლიდან შეწყდა მუნჯური ლაპარაკი. ამ ამბით ციხის ადმინისტრაცია კმაყოფილი დარჩა. სახლი კი „საქსოვ სახელოსნოდ“ გადაიქცა. ფანჯრებსა და აივნებზე გამოიფინა სანიმუშოდ კაცის წინდები და ქალის ჩულქები. ახლო-მახლო მეზობლებს მოეფინა ხმა წინდის საქსოვი სახელოსნოს გაღების შესახებ და შეკვეთები შეკვეთებზე მოდიოდა“[1].

---

[1] ბ ა რ ო ნ ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მეოთხე გამოცემა, 1932, გვ. 205.

ასე შეიკრა საოცრების მ ე ს ა მ ე რკალი.

1907 წლის აგვისტოს დამლევს ფანცხავას სახლის სარდაფიდან დაიწყო ისტორიული საიდუმლო ხვრელის გაყვანა ისე, რომ თოკზე გამობმული ყუთებით გამოზიდული გამონათხარი მიწა თვით სარდაფშივე უნდა მოთავსებულიყო. ვინ აწარმოებდა ამას? „ამხ. კოტე ცინცაძე და ბაჭუა კუპრაშვილი ჰიათურიდან გამოწვეულ ორ მუშასთან ერთად შეუდგნენ თხრილის გათხრას. — გადმოგვცემს ბარონ ბიბინეიშვილი, — ხვრელზე მუშაობდნენ აგრეთვე ჩვენი ამხანაგები ილიკო ჭაჭიაშვილი, აკაკი დალაქიშვილი და კოსტა ფარჯანაძე. სამუშაო იარაღი მეტად პრიმიტიული იყო. რამდენსაც მეტს თხრიდნენ და შორს მიდიოდნენ, მუშაობა უფრო უძნელდებოდათ, ჰაერი არ ყოფნიდათ, სანთელი უქრებოდათ, სუნთქვაც უძნელდებოდათ. ესენი იყვნენ მტკიცე ნებისყოფის მქონე, რევოლუციურ მგზნებარე ცეცხლში ფოლადივით ნაწრთობი პიროვნებანი და ეს საქმეც ბოლომდე სწორედ ამიტომ მიიყვანეს“[1].

ეს იყო რევოლუციისათვის, თავისუფლებისათვის, მეგობრებისათვის ერთგულების არნახული გამოცდა. სულიერი სიმტკიცისა და ერთიანობის გამოცდა. თავგანწირვის იშვიათი ნიმუში!

საფრთხე? იგი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მით უფრო, რომ სახლის პატრონმა ვარლამ ფანცხავამ დანამდვილებით არაფერი იცოდა მისი მდგმურების იმ საიდუმლო საქმიანობის შესახებ, რაც მისივე სახლის სარდაფის ქვეშ ხდებოდა. ეს ხდებოდა მხოლოდ დღისით, ობორონის ქუჩაზე ფურგონებისა და ეტლების განუწყვეტელ როხროხსა და ხმაურში, რათა მიწის სათხრელი პრიმიტიული იარაღის გუგუნი მის ხმაში ჩაკარგულიყო, ეჭვი არავის აღძვროდა. მაგრამ ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, მათ თავს წაადგა თვით სახლის მეპატრონე და როცა მან შეიტყო, რაც მის სახლში ხდებოდა, სახლის ჩამორთმევის შიშით აღელვებულმა და ფერდაკარგულმა დაუყოვნებლივ დატოვა იქაურობა, რათა...

„საქსოი სახელოსნოს უფროსმა“ ერემია ლომთათიძემ მასთან დალაპარაკებაც ვერ მოასწრო. გაჩნდა ჩავარდნის გარდუვალი საშიშროება.

ეს შენიშნეს ციხის ზედა სართულიდან ფანცხავას სახლის მოთვალთვალედ მორიგეობით მდგარმა პოლიტიკურმა პატიმრებმა ილია

---

[1] ბ ა რ ო ნ ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მეოთხე გამოცემა, 1932, გვ. 206.

ბახტაძემ, ალექსანდრე ჩხეტიამ და სხვ. და მაშინვე აცნობეს თომა ჩუბინიძეს[1], რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბარონ ბიბინეიშვილთან ხვრელის გაყვანის საქმეზე საიდუმლო კონტაქტის დამყარება. ერთი საათის შემდეგ წინასწარ მოსყიდული ციხის მეკარის პლატონ კილასონიას მეშვეობით თომა ჩუბინიძემ შეატყობინა ბიბინეიშვილს შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა და თხოვა მიეღო გადამჭრელი ზომები ფანცხავას „მოსათვინიერებლად“.

ამ ეტაპზე ჩვენს წინაშე ისახება მეტად თვალსაჩინო როლი რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის, 50-ის ცნობილი პროცესის მონაწილის, გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილისა), რომელმაც არსებითად გადაწყვიტა ქუთაისის ციხიდან პოლიტიკური პატიმრების, მათ შორის ლეო შენგელაიას დახსნის ბედი. იმ ხანებში ზდანოვიჩი უკვე კარგა ხნის გათავისუფლებული იყო კატორღიდან და გადასახლებიდან ჩამოსული, განაგებდა ჰიათურაში შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას, რომლის კანტორაში თანამშრომლად მუშაობდა ვარლამ ფანცხავა— ქალაქის თავის მოვალეობის დროებით აღმსრულებლის, ცნობილი პუბლიცისტის („ფხა“-ს ფსევდონიმით) იაკობ ფანცხავას ბიძაშვილი. როგორც კი ზდანოვიჩი გაეცნო საქმის ნამდვილ ვითარებას, მან სახლის პატრონს დაბეჯითებით მოსთხოვა ხელი არ შეეშალა საქმისათვის, რათა ხვრელის გაყვანა დროზე დაემთავრებინათ, რისთვისაც წინასწარ თამასუქის სახით დიდი თანხა მისცა[2]. ამის შემდეგ მუშაობა ისევ სწრაფად და შეუფერხებლად წარიმართა.

ამგვარი და კიდევ სხვა ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად, სექტემბრის ერთ საღამოს ხვრელი მიადგა ციხის ქვედა სართულის სწორედ იმ საკანს, საიდანაც სამშვიდობოზე უნდა გასულიყვნენ პოლიტიკური პატიმრები. მსგავსი რამ ისტორიამ მანამდე არ იცოდა[3]. ეს გაბედული რევოლუციური აქტი მზადდებოდა თითქმის მთე-

[1] თომა ჩუბინიძე დაპატიმრებული იყო შორაპანთან ტენგინის პოლკის განიარაღებაში მონაწილეობისათვის. ბორკილი ედო და სიკვდილი ან კატორღა ელოდა. დაიღუპა დუშეთში 1920 წელს, მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

[2] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I. 1973, გვ. 286.

[3] ყოფილი ობორონის, ამჟამად წულუკიძის ქუჩის შესახვევში ისევ ისე დგას ვ. ფანცხავას ყოფილი სახლი, რომლის გზისპირა ფასადზე გაკეთებულია მემორიალი ასეთი წარწერით: „ამ სახლის სარდაფიდან 1907 წლის სექტემბერში ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გაყვანილ იქნა გვირაბი, საიდანაც გაიქცა 38 პოლიტიკური პატიმარი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სიკვდილი ან კატორღა“.

ლი ოთხი თვის განმავლობაში. ქუთაისსა და ჭიათურაში ბევრმა იცოდა ამის შესახებ, რაც ანცვიფრებდა ყველას, მაგრამ კონსპირაციის საოცრება სწორედ ის იყო, რომ არავის აზრად არ მოსვლია შეეტყობინებინა მთავრობისათვის გაგონილი თუ ყურმოკრული ამბავი.

ეს თავისებური გამოცანაა, რომლის ახსნა მხოლოდ ეპოქის სულისკვეთებით შეიძლება.

გაქცევის დრო და ორგანიზაცია

1907 წლის 25 სექტემბრის ღამე ოცდაჩვიდმეტმა პოლიტიკურმა პატიმარმა უჩვეულო მღელვარებაში, განცდაში, ფიქრსა და დაძაბულობაში გაატარა. არავინ იცოდა, რას მოუტანდა მათ მეორე დღე. ოცდაჩვიდმეტს ვამბობთ არა იმიტომ, რომ მათი რიცხვი იმ დროისათვის მხოლოდ აქამდე იყო დასული. არა. ამ რიცხვში მოხვდა 1905 წლის მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა, ყველაზე განწირული დამნაშავე, რომელთათვის გარეთ მოქმედ ამხანაგებს წინასწარ მომზადებული, შემუშავებული და გათვალისწინებული ჰქონდა ყოველი წვრილმანი: ტანისამოსი, ფული და პასპორტი, ქალაქ ქუთაისიდან მათი გაყვანის ზუსტი გრაფიკი, მარშრუტი, ორგანიზაციულ-ტაქტიკური ხასიათის ყველა საჭირო ხერხი და საშუალება.

ფანცხავას სახლში მათ ელოდა საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ხვრელიდან ამოსული, მიწის მტვერში ამოგანგლული ტუსაღების შეუჩერებელი მოძრაობა რვეულში ჩაწერილი მითითებებისა და მისამართების მიხედვით. რვეულში კი მხოლოდ იმდენი ტუსაღის სახელი და გვარი ეწერა, რამდენის ახალი ტანსაცმელი ჰქონდათ მომარაგებული, რამდენის ახალი გვარი, სახელი და მამის სახელი ჰქონდათ გამოგონილი, დადასტურებული და დამტკიცებული ახალი პასპორტით, რამდენის სიაც წინასწარ ათასჯერ ჰქონდათ შედგენილი და შემოწმებული. ხვრელიდან ამოსვლის შემდეგ საჭირო იყო მხოლოდ სასწრაფოდ საკუთარი თავის წესრიგში მოყვანა და უმალ მოძრაობა ჰიშკრისკენ, ნაჩვენები ქუჩისკენ, მზისკენ, თავისუფლებისკენ. დაყოვნება დანაშაულს უდრიდა.

აქ აუცილებელია გავიხსენოთ კოტე ცინცაძის ნაამბობი, რომელიც მოტანილია ბარონ ბიბინეიშვილის ზემოხსენებულ წიგნში (გვ. 209): „საპყრობილიდან გაქცევის ორგანიზაცია უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე გაქცეული ამხანაგების მოვლა. საჭირო გახდა ბევრი ამხანაგისათვის ბინების გამოცვლა, ფულისა და ტანისამოსის მიწოდება, პირისახის შეცვლა, პარიკები, რკინიგზაზე გაყვანა და თბილისში გამგზავრება. ერთი სიტყვით, საქმე ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მიწის თხრა და იქიდან ამხანაგების გამოყვანა". ეს ახალი სირთულე ახალმა სიტუაციებმა წარმოშვა. მჭგრამ ჯერ ისევ დაეუბრუნდეთ ციხეს.

გასასვლელად მომზადებულმა და გაფრთხილებულმა პოლიტკურმა პატიმრებმა წინა დღეს ციხის ეზოში ერთად მოიყარეს თავი და სურათი გადაიღეს. ეს სურათი 1930-იან წლებამდე ინახებოდა საქართველოს რევოლუციის მუზეუმში. ამჟამად იგი საქართველოს მუზეუმის სარევოლუციო ფონდშია შენახული. მასზე პატიმარ ლეო შენგელაიას სახეც არის აღბეჭდილი. ციხის ადმინისტრაციას ეშვიც არ დაბადებია იმაში, რომ ეს ცერემონია მის თვალის ასახვევადაც იყო გათამაშებული. მან ციხეში ფოტოგრაფის შეყვანის ნება დართო იმიტომ, რომ გამოძიება უკვე დამთავრებული იყო, სასამართლო პროცესი სადაცაა უნდა დაწყებულიყო, ბრალდებულებს სიკვდილი, ან კატორღა და გადასახლება ელოდათ და გამომშვიდობების წინ ურთიერთსამახსოვროდ სურათის გადაღება, აბა, რა საშიში უნდა ყოფილიყო!

ბარონ ბიბინეიშვილის წიგნში მოტანილია ლეო ქიაჩელის ჩვენთვის დღემდე უცნობი მოგონების ერთი ფრაგმენტი, რომელიც ნათლად ასახავს ციხეში მყოფთა გაქცევის გეგმას, რომელიც ზუსტად შესრულდა. მოგვაქვს ეს ფრაგმენტი მთლიანად. „მუშაობაში ჩააბეს ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული საიმედო ამხანაგები, რომელთაც გაქცევა არ ესაჭიროებოდათ. ერთს ამათგანს ევალებოდა № 1 „სეკრეტთან", სადაც ხვრელი იყო ამოყუანილი, გ`ეცვლ დროს დარაჯობა. მას უნდა ჰქონებოდა ორნაირი ცხვირსახოცი — წითელი და თეთრი. თუ საფრთხე არ იყო მოსალოდნელი და გზა ხსნილი იყო, მას ეჭირა ხელში თეთრი და პატიმრებიც რიგ-რიგად ეზოდან „სეკრეტში" შედიოდნენ ხვრელში ჩასაძრომად. თუ რაიმე მიზეზით გასვლა უნდა შეჩერებულიყო, ამ ამხანაგს წითელი ცხვირსახოცი უნდა დაეჭირა ხელში. ამის დამნახველი, გამქცევთა რიგში

ჩამდგარი პატიმარი სეკრეტში არ უნდა შესულიყო და მანამ უნდა ეცადა, სანამ წითელი ცხვირსახოცი „სეკრეტთან“ მოდარაჯე ამხანაგის ხელში თეთრით არ შეიცვლებოდა.

მეორე ამხანაგს ზემო სართულში უნდა ედარაჯა. იგი ფანცხავას სახლს გადამყურე დერეფანში უნდა მჯდარიყო და იქიდან ედევნებინა თვალყური. თუ ვინიცობაა, სახლიდან რაიმე ნიშანს აჩვენებდნენ, მის განკარგულებაში იყო შიკრიკი, რომელიც მყისვე ქვედა სართულში აცნობებდა ყველაფერს, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. გარდა ამისა, საერთო ეზოში სიით ხელში დადიოდა ერთი ამხანაგთაგანი და რიგ-რიგად, სიის თანახმად, სრული წესრიგის დაცვით ეუბნებოდა მორიგს: შენი დროა და რიგი, წადიო. ისიც ხელი ნაბიჯით, თითქოს სეირნობა მოსწყინდა, გაემართებოდა ციხისკენ და „სეკრეტისკენ“ მიეშურებოდა. მის გასვლას რიგის მაჩვენებელს სათანადო ნიშნით აცნობებდნენ და ისიც შემდეგს გამოისტუმრებდა ჯადო „სეკრეტისკენ“. ადმინისტრაციულ პატიმარს, ბიქტორ ქავთარაძეს, დავალებული ჰქონდა ციხის დუქანში ქვეითა სართულის ზედამხედველის გართობა. იგი უნდა შეეჭცია მას მსუქანი ქათმის ხორცით, რაც წინასწარ იყო დამზადებული მის პატივსაცემად“[1].

ხვრელიდან გასვლა დაიწყო 26 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, როცა ეზოში, ჩვეულებრივ, პოლიტიკურების საერთო სეირნობა იყო დანიშნული. სიით პირველი ჩასვლა ხვრელში წილად ერგო ტენგინის პოლკის რუს ჯარისკაცს მოსე ბეიტლერს, რომელიც ქართველ რევოლუციონერთა მხარეზე გადმოვიდა და, როგორც მეფის არმიის ყოფილ მოსამსახურეს, ფიცის გატეხისათვის სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. შემდეგ თომა ჩუბინიძე და ისმაილა ჯუმბურიძე მიყვა, ხოლო ამათ დავით სულიაშვილი და ლეო შენგელაია... მათი გზა ხვრელიდან ამოსვლის შემდეგ ფანცხავას სახლის ჰიშკართან გაიყარა. ერთი მარჯვნივ გაყვა ქუჩას, მეორე მარცხნივ. ეტლებმა ისინი საგანგებოდ მიჩენილი მეგზურების მეშვეობით, ცალ-ცალკე, წინასწარ შერჩეულ ბინებთან მიიყვანა.

მთელი „ოპერაცია“ სულ რაღაც ორმოცდახუთ წუთში ჩატარდა. 38 კაცი გავიდა ხვრელიდან. სიაში კი მხოლოდ 37 იყო. ერთი თვითნებურად ჩახტა და, როცა ფანცხავას დაცარიელებული სახ-

[1] ბარონ ბიბინეიშვილი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მეოთხე გამოცემა, 1932, გვ. 208.

ლიდან ციხის ტანისამოსით ქუჩაში გაჯლაგუნდა, ყარაულმა მყისვე შეატყო, რომ მის ფეხქვეშ რაღაც სასწაული მოხდა. ამას მოჰყვა მისი ყვირილი: პატიმრები გაიქცნენ! პატიმრები გაიქცნენ! და საგანგებო სირენების „ღრიალი“. რამდენიმე წუთში ციხეში გაჩნდა გუბერნატორი[1], პროკურორი, პოლიცმეისტერი, ციხის ადმინისტრაცია, სამხედრო და ჟანდარმთა ნაწილები. მათ აქ დახვდათ ფანცხავას სახლთან შეერთებული, პირდაბჩენილი ხვრელი, არა, ხვრელი კი არა, თაღებგამაგრებული და სავსებით განათებული, თითქოს მოხარხარე, ნამდვილი გვირაბი, რომელიც დასცინოდა მათ დოყლაპიობას და უნიათობას.

ასე დაიწყო გაბოროტება და თავგამოდება გაქცეულებისა და გვირაბის „ორგანიზატორების“ აღმოსაჩენად.

პირველი გამოძახილი პრესაში

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ჩვენი გზის“ 1907 წლის 28 სექტემბრის ნომერში, პირველი გვერდის იმ რუბრიკის ქვეშ, რომლის სახელწოდებაა „დეპეშები“. გამოქვეყნებულია ქუთაისიდან საკუთარი კორესპონდენტის მიერ წინა დღეს, 27 სექტემბერს, ტელეგრაფით გადმოცემული სენსაციური ცნობა. იგი იტყობინებოდა: „გუშინ, 26 სექტემბერს, ღამით, საგუბერნიო საპყრობილეში აღმოაჩინეს ხვრელი, რომლის შემწეობითაც გაიქცნენ და მიიმალნენ 38 პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავენი. უკანასკნელად მიმავალი დამნაშავე დარაჯებმა შეამჩნიეს და დაიჭირეს. ქალაქს ირგვლივ ალყა შემოარტყეს. ქალაქიდან არავის უშვებენ და არც არაფრის გატანის ნებას აძლევენ. ადგილობრივი პოლიცია გაფაციცებით ეძებს გაქცეულებს. გაცხარებული ჩხრეკაა. ხმები დადის, რომ რამდენიმე გაქცეულთაგანი დაიჭირეს. ქალაქში შიშიანობაა“[2].

ეს იყო თბილისში მიღებული და პრესის საშუალებით გავრცელებული პირველი დეპეშა ქუთაისში მომხდარი იმ დიდმნიშვნე-

---

[1] ქუთაისის გუბერნატორი ვ. სტაროსელსკი თანაუგრძნობდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და ცდილობდა ყოველმხრივ შეეზღუდა რეაქციული ძალების მოქმედება, მაგრამ გვირაბის გაყვანის ფაქტმა აიძულა თვით შეეზღუდა საკუთარი დათმობითი პოლიტიკა.

[2] გაზეთი „ჩ ვ ე ნ ი გ ზ ა“, 1907, 28 სექტემბერი, № 20.

ლოვანი რევოლუციური აქტის შესახებ, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ლეო შენგელაია იყო. მან სხვებთან ერთად გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომლის წარმატება ბეწვზე ეკიდა. მაგრამ, სანამ ამ „ბეწვის ხიდზე“ მისი გავლის ეპიზოდს გავეცნობოდეთ, დავუბრუნდეთ ისევ გაზეთ „ჩვენ გზას“, რომელმაც რამდენიმე ღღის შემდეგ მოათავსა სვანოსანი შტეიგერის ვრცელი წერილი სათაურით: „ხვრელი ქუთაისის ციხეში“, საიდანაც დაწვრილებით ვგებულობთ ბევრ ისეთ საინტერესო მასალას, რაც ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობებთან ერთად შუქს ჰფენს პოლიტიკურ პატიმართა გაქცევის მთელ საიდუმლოებას. როგორც ჩანს, ფსევდონიმს ამოფარებული წერილის ავტორი საქმესთან დაახლოებული ისეთი პირია, რომელმაც საფუძვლიანად იცის მისი ისტორია. რამდენადაც გაზეთი „ჩვენი გზა“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლება (სულ რაღაც ორი თვე იარსება), მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიტანოთ აქ წერილის სრული ტექსტი იმავე მართლწერით, როგორადაც იგი გაზეთშია დაბეჭდილი.

„ამ ღღეებში შემთხვევა მქონდა, — აღნიშნავს წერილის ავტორი, — მებაასნა ციხის მოსამსახურეებთან, რომლებიც რამდენიმეჯერ შესულან თვითონ ხვრელში და ამიტომ შემიძლია დაწვრილებითი ცნობები მოგაწოდოთ ამ შესანიშნავ და ქუთაისში ერთადერთ სალაპარაკო საგნათ გამხდარ ხვრელზე. დანამდვილებით ამტკიცებენ, რომ ეს ხვრელი გაუყვანია ადგილობრივ სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელსაც თურმე დიდი ხანია ჰქონია ეს განზრახვა, მაგრამ სახლი ვერ უშოვნია საჭიროათ ციხის მახლობლად. ეს დაბრკოლება თავიდან აუცდენია მათთვის ქუთაისის პოლიცმეისტერს თავისი განკარგულებით. მას გაუსახლებია საკუთარი სახლიდან ცოლქმარნი ფანცხავები ვითომდა ტუსაღების ხელის შეწყობისათვის. პოლიცმეისტერი და ციხის ადმინისტრაცია იმ აზრისა ყოფილან, რომ ციხეში თუ რამ ხდებოდა, ფანცხავას ცოლი მონაწილე იყო. სხვათაშორის მას დააბრალეს ზაქარია გურულის გაპარვაში მონაწილეობა. ფანცხავებს აგვისტოს შუა რიცხვებში სახლი დაუცლიათ და განცხადება მიუკრავთ ზედ „ქირავდებაო“. აგვისტოს დამლევ რიცხვში მისულა ფანცხავასთან ერთი ახალგაზრდა ქალი. ნატალია ივანეს-ასული მიქაძე, სოფელ სამიქაოდან. როგორც მას თვითონ უთქვამს, და სახლი უქირავებია. „მე და ჩემი რძალი ჩულქის მქსოველები ვართ და შეგირდებსაც ვიღებთო“. სახლი ერთი წლის ვა-

დით უქირაცებია 300 მანეთათ. ერთი თვის ქირა წინდაწინ მიუცია და თავისი ძმით ერმალოთი დასახლებულა სახლში. მოუტანიათ მაშინა და დაუწყიათ ჩულქების ქსოვა. შეგირდების მიღებაზე კი პირველ ოქტომბრამდე უარი უთქვამთ. მათთან თურმე დაიარებოდნენ ვიღაც ახალგაზრდა კაცები. ყოფილა ყოველდღე ქეიფობა, ღვინოების და პაპიროსების ზიდვა და სხვ. ეს გაგრძელებულა რამდენიმე კვირა და 26 სექტემბერს კი, როგორც იცით, იქ აღმოჩნდა ხვრელი. მეჩულქეები კი თავისი ძმით სადღაც გაქრნენ და თან გაიყოლეს 38 პოლიტიკური და ადმინისტრაციული ტუსაღი, რომელთაგან, როგორც ამბობენ, ოთხს: ერთ მუშას, ერთ სალდათს და ორ სტუდენტს სიკვდილით დასჯა ელოდათ ყვირილის აჯანყებაში მონაწილეობისათვის და დანარჩენს ზოგს გადაწყვეტილი ჰქონია კატორღა და ზოგსაც მოელოდა.

ხვრელი სიგრძით იქნება არა უმეტეს 12 საჟენისა — იწყება ფანცხავას „პადვლიდან“. რომელიც დაცილებულია ქუჩას რამდენიმე საჟენით, გაივლის 4—5 საჟენ ქუჩას, გაძვრება გალავნის ქვეშ, გაივლის უსუფთაობის გამოსაჭიდ გზას გალავანსა და ციხეს შუა და ადის პირველ ოთახში („სეკრეტი“), რომელსაც სიგრძე-სიგანე საჟენზე მეტი არ ჰქონია. სიღრმით საჟენ ნახევარია მიწაში და სისრულით ხვრელი იმ ზომისა ყოფილა, რომ დაკუნტული კაცი, ოთხით, თამამათ გაივლის. დამაგრებული ყოფილა ფიცრებით და მომახო რეიკის ბოძებით. მიწა და ქვა პადვალშივე დაუყრიათ. შიგ უნახავთ ხელსაწყოები: წერაქვები, ნიჩბები, ლომი, ორი ოქრომჭედლის საბერველი, ერთი იაშჩიკი, რომელსაც ორივე თავში ხვრელის სიგრძე ბაწარი ჰქონია მიბმული და სხვა. აქედან შეგვიძლია გამოვიცნოთ, თუ რანაირათ უმუშავნიათ და რა დაბრკოლება შეხვედრიათ. ერთი წერაქვი, ერთ თავიანი, ბრტყელი პირით გაუქმებული, უტარო ყოფილა. რაც ნიშნავს, რომ სილიანი მიწისათვის ქონიათ, მარგამ რაკი ქვიანი ყოფილა, მოუტანიათ მეორე, რომელსაც წვრილი თავი ქონია. მაგრამ შიგ იმხელა ქვები გამოსულა, რომ ერთ უღელ ხარს გაუჭირდება სათრევათო, როგორც ციხის მსახურმა თქვა. ამიტომ რაკი წერაქვი მას ვერას დააკლებდა. მოუტანიათ რკინის ლომი, იაშჩიკით მიწა და ქვა უთრევიათ და ოქრომჭედლის საბერველები. რომელზედაც პატარა რეზინის მილი ყოფილა გაკეთებული, უსათუოდ იხმარეს ჰაერის შესაყვანათ, რაც უსათუოდ არ შევიდოდა რამდენიმე საჟენს იქით და რაც იმითაც მტკიცდება,

რომ მსახურის სიტყვით ხვრელის კედლებზე გაყოლებული ყოფილა პატარ-პატარა ხის კადოები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ზედ რეზინის მილი ყოფილა გადებული ხვრელის სიგრძეზე. ქუჩაზედაც და უსუფთაობის საზიდ გზაზედაც დგას „ჩასავოი“ და ისედაც მიდივალ-მოდივალია (მისვლა-მოსვლა) სალდათების და ციხის ზედამხედველების, რომლების ქვეშაც გაუყვანიათ ხვრელი. აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა სიფრთხილით უმოქმედნიათ მომუშავეებს და ხელმძღვანელებს.

გაზეთებში ეწერა და აქაც ლაპარაკობენ: ამის ხელმძღვანელი უსათუოდ „გლავნი“ ინჟინერი იქნებოდაო. ზოგიერთები ამბობენ პეტერბურგიდან ჩამოუყვანიათ ინჟინრებიო. მე სრულიად ვეთანხმები მათ, რომ საჭირო იქნებოდა ინჟინერი, მაგრამ პეტერბურგიდან ჩამოტანილი დიპლომი მარტო არ უშველიდა. რომ ეს ასეა, ე. ი. რომ დიპლომი არ კმარებულა, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ჩვენი მთავრობის ადგილობრივმა დიპლომიანებმა ეს სამუშაო სამი თვის ნამუშევრათ ჩათვალეს მაშინ, როდესაც ჰიათურის, გინდა ტყიბულის მადნის მუშა არც დაფიქრდება ისე გეტყვის: „ხუთი მარჯვე ბიჭით ამას ერთ კვირაში არ დავტოვებ გაუკეთებელსო“. გარდა ამისა, კიდევ საჭირო იქნებოდა ხელმძღვანელისათვის შიგნით შესვლა, უამისოთ ვერას გახდებოდა ვერც წიფის ტუნელის გამყვანი ინჟინერი სიმბერგი. საჭირო იქნებოდა აღნიშნულ ოთახში შესვლა და იქიდან რაიმე წერტილის დანიშვნა, რომლითაც შემდეგში იხელმძღვანელებდა. თუ რანაირათ მოახერხა ხელმძღვანელ ინჟინერმა შიგნით შესვლა, ეს ალლაჰმა უწყის“[1].

სვანოსანი შტეიგერი.

ვინ უნდა იყოს ეს სვანოსანი შტეიგერი? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ფსევდონიმი და თვით წერილის შინაარსი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი ავტორია სწორედ ის ზაქარია გურული, რომელიც ზემოთ მოტანილი ცნობების მიხედვით და თვით „ალლაჰის“ დასტურითაც შესანიშნავად იცნობდა ციხის შიდა „ოთახებს“, დანიშნული ჰქონდა მისი ყველა წერტილი და, როგორც „უდიპლომო ინჟინერი“, თავისი პრაქტიკული გამოცდილებით ხელმძღვანელობდა კიდეც მუშაობის მთელ პროცესს. ზაქარია გურული სოციალ-დემოკრატი-

[1] გაზეთი „ჩ ვ ე ნ ი გ ზ ა“, 1907, № 23 (3 ოქტომბერი).

ული პარტიის მენშევიკურ მიმართულებას ეკუთვნოდა, ხოლო გაზეთი „ჩვენი გზა“ სწორედ ამ მიმართულების ორგანოს წარმოადგენდა. მისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო ციხის მოსამსახურეებთან „გაბაასება“ ხვრელის ზომის, სამუშაო იარაღების, მუშაობის სირთულის დასადგენად. ის დაწვრილებითი სურათი, რომელსაც იძლევა იგი თითქოსდა ხვრელში „რამდენიმეჯერ შესული“ ამ მოსამსახურეების ნაამბობის მიხედვით, შეიძლებოდა მოეცა მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც უშუალოდ ჰქონდა გავლილი ხვრელი და საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი კედლებზედ გაყოლებული ის „ხის კადრები“, რომლებზედაც საბერველების რეზინის მილები იყო გადებული ხვრელის „მთელ სიგრძეზე“. სწორედ ასეთი ადამიანი იყო ზაქარია გურული. მან პირნათლად შეასრულა ციხეში ამხანაგებისათვის მიცემული პირობა და ისტორიასაც შემოუნახა პოლიტიკური პატიმრების მხსნელი გვირაბის ზუსტი აღწერილობა.

გოდოგნიდან ჩრდილოეთის ცენტრისკენ

26 სექტემბრის ექვსი საათიდან ექვს საათსა და ორმოცდახუთ წუთამდე განვლილმა დრომ, მოვლენამ, რომელიც ამ ორმოცდახუთ წუთში მოხდა, შეძრა, ააფორიაქა და ფეხზე დააყენა მთელი ქუთაისი. იგი მყისვე ორ ბანაკად გაიყო. მოწინავე, პროგრესული, მშრომელი საზოგადოება სიხარულით შეხვდა ელვის სისწრაფით მოდებულ ხმას ციხიდან პოლიტიკური პატიმრების გაქცევის შესახებ, ადიდებდა და თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს; მისი კონსერვატიული, მეშჩანური ნაწილი კი შიშმა შეიპყრო.

და ეს მეორე დამფრთხალი, დაზაფრული, დარეტიანებული და აცახცახებული ნაწილი გვერდში ამოუდგა პოლიციას, ბინები ჩაკეტა, კარები ჩარაზა, ზურგი შეუბრუნა გაქცეულებს. ქალაქს ალყა შემოარტყეს, პოლიციისა და ჟანდარმერიის რისხვა შემოდგომის გამძვინვარებული ქარივით დაძრწოდა ჩაბნელებულ ქუჩებსა და უბნებში. ყველგან ჩხრეკა, ძიება და შიში გამეფდა. ციხეში დარჩენილი ტუსაღები კარცერებში ჩაკეტეს.

ამ დროს კი, სწორედ ქუთაისის პროგრესული საზოგადოების მხარდაჭერით, ციხიდან გამოსულ პოლიტიკურ პატიმართა უმეტესი ნაწილი ღამე უკვე დაბინავებული იყო მათთვის წინასწარ

შერჩეულ საიმედო ადგილებში. ტენგინის პოლკის ყოფილი ჯარისკაცი მოსე ბეიტლერი თვით გუბერნატორის კანცელარიის შენობის სხვენზე იმალებოდა ამ კანცელარიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოხელის ბადუა ჩიქოვანის წყალობით; დავით სულიაშვილი არქიელის გორაზე მღვდელთან იყო შეხიზნული, ლეო შენგელაია ქუთაისში ლიმონათის ქარხნის მფლობელის მიტროფანე ლაღიძის ჰერქვეშ მომავალი კონსპირაციული ცხოვრების გეგმებზე ფიქრობდა, ხოლო ყველაზე საშიშ პოლიტიკურ პატიმარს, ბოლშევიკ თომა ჩუბინიძეს ქუთაისის რკინიგზის სადგურისაკენ ხელიხელგაყრილი მიაცილებდა ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი კოწია ერისთავი.

ამაშიც იყო რაღაც თავისებური საოცრება!

სასტიკ ძიებას, ჯაშუშობას და გამცემლობას ყველა როდი გადაურჩა.

იმავე ღამეს, ე. ი. 26 სექტემბერს, რკინიგზის სადგურზე, მატარებლის გასვლის ზარის მიცემის დროს დაიჭირეს და ცემა-ტყეპით და ხუნდებით ისევ ციხეში დააბრუნეს ალექსანდრე ჩიქავა, ლავრენტი ესვანჯია და კოტე ჯოხაძე; არქიელის გორაზე ბუჩქებიდან გამოიყვანეს საშა სტეფანოვი; მუხიანში მიუსწრეს და ისევ ბორკილები დაადეს გედენია კაჭარავას. ციხეში დახვრიტეს პოლიტიკური პატიმრებისათვის ხელის შეწყობაში ეჭვმიტანილი მეკარე პავლიკა, სწორედ ის პლატონ კილასონია, რომლის საშუალებით თომა ჩუბინიძემ ციხიდან დაუყოვნებლივ გადასცა საიდუმლო სიგნალი ბარონ ბიბინეიშვილს, როცა ხერელის გათხრას საშიშროება დაემუქრა.

მეორე დღეს მიტროფანე ლაღიძემ ლეო შენგელაია და კიდევ შვიდი პოლიტიკური პატიმარი თავის სოფელში — გოდოგანში გაგზავნა და თავისი ძმა ნოე ლაღიძე მიუჩინა სპეციალურ მეთვალყურედ მანამ, სანამ ქალაქიდან მათი გაყვანა მოხერხდებოდა.[1] მალე გოდოგანშიც დაიწყო ჩხრეკა. დღე სახლში დარჩენა საშიში გახდა. პოლიტიკურმა პატიმრებმა წყალწითელას ტყეს შეაფარეს თავი. ზოგიერთები აქ დაიბნენ კიდეც. „რამდენიმე დღის შემდეგ, — წერს ბარონ ბიბინეიშვილი, — მივიღე ცნობა: ორი ამხანაგი გოდოგნის ტყეშია გზააბნეულიო. მათ ჩამოსაყვანად გაიგზავნა ერთი

[1] მ ლ ი ს ფ, ფონდი 8, ანაწერი 2, ნაწილი 1, საქმე 4, გვ. 277.

ამხანაგი"[1]. ლეო შენგელაიას ნოე ლაღიძემ მეგზური გააყოლა მისვლა-მოსვლის და კვების საქმის მოსაგვარებლად.

მაგრამ ერთ დღეს ლამის უეცრად საცოდაობა დატრიალდა! ლამის ყველაფერი დამთავრდა, წყალში ჩაიყარა. „ბეწვის ხიდი" კვლავ ზედ თვალწინ აილანდა. როგორ მოხდა ეს?

მეგზური გოდოგანში იყო წასული. ლეოს ტყის სიღრმეში, ერთ მომაღლო ბორცვზე. თავისი საფარი ეკაია, გულაღმა იწვა, ცას გასცქეროდა. ამ დროს უცებ, დაბლა, ჩირგვებში ხმელი ფოთლების ტკაცატკუცი და ხის ტოტების ხმაური გაისმა. წამსვე გადაბრუნდა, გახედა ამოფარებული ბუჩქნარიდან ქვედა ტერასის ზოლს და ელდა ეცა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ორი შეიარაღებული ჯარისკაცი გაფაციცებით ათვალიერებდა მიდამოს. შლიგინ-შლიგინით ჩადიოდა ქვემოთ, წყალწითელას ნაპირისაკენ.

სულ რაღაც ათიოდე მეტრიდან დაჰყურებდა მისი ბორცვი იმ ბილიკს. და ამ ათმა მეტრმა იხსნა, გადაარჩინა სიკვდილს. შიში და ძრწოლა მაინც არ უგრძვნია. გული თითქოს გაქვავებული ჰქონდა. აქ უკვე აშკარად და საბოლოოდ გამოვლინდა მისი ფ ლ ე გ მ ა ტ ი კ უ რ ი ტემპერამენტი. გარეგნული სტოიკური ბუნება შინაგანი კატაკლიზმებით, ადამიანთა ნერვული სისტემის კლასიფიკაციაში ცნობილი ტიპებიდან ის ძლიერი, გაწონასწორებული სახეობა, რომელიც გამოირჩევა ინერტულობითა და ამტანიანობით. ეს ხასიათი და ტემპერამენტი ბოლომდე შერჩა მწერალს.

იმ მეგზურს უნდა უმადლოდეს აქ ამოყვანას. ღამდება და არ ჩანს. გზები შეიკრა, ვერ მოახერხა, ალბათ, — გაიფიქრა თავისუფალ, ტყიურ სამყაროში ბღაჭიაშვილივით მარტო დარჩენილმა და ახლაღა მოაგონდა, რომ გუშინ საღამოს შემდეგ არაფერი ეჭამა. დილით წასულს, ადრე უნდა ამოეტანა საგზალი. ვინ იცის. ეგებ დაიჭირეს კიდეც.

მაგრამ არა, ფატუმი არ ღალატობს. „ბეწვის ხიდზე" აქაც უვნებლად გავიდა. მეოთხე დღეს გოდოგნიდან ეპიფანე ნიკოლოზის ძე მგელაძის პასპორტით, წვერმოშვებული, გაღასხვაფერებული, იერშეცვლილი ლეო შენგელაია გელათის რკინიგზის სადგურზე გაიყვანეს. აქედან იგი გაემგზავრა ფოთში, ფოთიდან — ოდესაში, ხოლო ოდესიდან — მოსკოვში, სადაც 1907 წლის 7 ოქტომბრი-

---

[1] ბ ა რ ო ნ ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, 1932, გვ. 210.

დან იწყება არალეგალური, მუდამ დაჭერის ლოდინში მოქცეული ისეთი ცხოვრება, რომელმაც გზა დაუდო სრულიად ახალ, პირველ და ფუძემდებელ ეტაპს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიაში.

ეს იყო ლეო შენგელაიას ხანგრძლივი განშორება ქუთაისთან, სამხრეთის მცხუნვარე მზის იმ ქალაქთან, რომლის კაშკაშა ცის ქვეშ მან თხუთმეტი წელი — სწავლის, წრთობის, თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები გაატარა.

ეს იყო მისი პირველი „შორი მგზავრობა" ჩრდილოეთის უდიდესი ცენტრისკენ, დასასრული ერთი ჟამის ერთი დიდი წამისა.

თითქოს უკვალოდ გაჰქრა მთელი ეს მღელვარე, ბობოქარი, ქარიშხლიანი ეპოქა, რევოლუციური იდეების პროპაგანდით, მისთვის ბრძოლის რომანტიკით გატაცების მთელი ეს ოთხი წელი — 1903—1907 წლების ფარდადაშვებული ხანა!

ორი პასპორტის ნიღბით

ისე როგორც ფრონტის წინახაზიდან ახლად დაბრუნებული ჯარისკაცის ფსიქიკა დიდხანს არის „დამუხტული" სანგრის, დენთის, ბრძოლის შთაბეჭდილებებით, ასევე ციხიდან გამოსული ტუსაღის ფიქრებს ადვილად არ შორდება საპყრობილის მირაჟები. ლეო შენგელაიამ როგორც კი მოსკოვის მიწაზე დადგა ფეხი, როგორც კი იგრძნო, რომ გზა აქ დასრულდა და, მაშასადამე, ჩრდილოეთის ამ უდიდეს ქალაქში მოუხდებოდა ამიერიდან კონსპირაციული ცხოვრება, მის თვალწინ მყისვე ციხის, გვირაბის და გაქცევის საშინელებანი აღიმართა, როგორც ნიშანი იმ მძიმე ფიზიკური და სულიერი დაღლილობისა, რომელიც მხოლოდ ოთახში მარტოდ დარჩენის დროს შეიცნო. თითქოს ბურანში იყო. გონს ვერ მოსულიყო. სასწაულებრივი გადარჩენით გაოგნებულს არც კი სჯეროდა სინამდვილე. მაგრამ ოთახში მისი არსებობა რეალური ფაქტი იყო. და ეს რეალურად არსებული დღევანდელი ლეო შენგელაია ახალ მოთხოვნებს უყენებდა გუშინდელ ტუსაღს. ეს მოთხოვნები როგორც საკლასო დაფაზე, ისე იწერებოდა მის ცნობიერებაში.

შენი ცხოვრების ერთი პერიოდი დამთავრდა, ლეონ! — ესმოდა თითქოს ლოგინზე მიწოლილს, პაპიროსისა და ოცნების ბოლში გახ-

ვეულს, — ახლა ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. შენზეა დამოკიდებული, თუ თავს არ შეირცხვენ. ეს იცოდე, უნებისყოფო და უმოქმედო კაცი არ ვარგა, უთუოდ დაიღუპება. არ ათქმევინო ვისმე: ტყვილა გაიღეს ამდენი მსხვერპლი მისი ციხიდან განთავისუფლებისთვისო. მოსკოვს რომ მოდიოდი, სხვა რა გედვა გულში? სიყვარულმა ხომ არ გამოგიტყუა აქეთ? მაშ, თუ არა ეს, რა საზღვარგარეთი იყო შენთვის მოსკოვი? პირველად ხდება, რომ ციხიდან გამოქცეული საკატორღო კაცი იქ მიდიოდეს დასამალავად, სადაც მას ყველაზე მეტი საფრთხე ელის!..

და მართლაც, გაქცეულთაგან ლეო შენგელაია ერთადერთი იყო, ვინც მოსკოვში წავიდა. ამ არჩევანს ორი რამ განაპირობებდა: პირველი, უერთგულესი გიმნაზიელი მეგობრების ნესტორ ბალანჩივაძისა და ალექსანდრე კანდელაკის აქ ყოფნა სასწავლებლად და მეორე — პეტერბურგთან სიახლოვე, იმ პეტერბურგთან, სადაც იმ ხანებში მართლაც ეგულებოდა მისი პირველი წრფელი სიყვარულის ობიექტი. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

სწორედ ამ გიმნაზიელი მეგობრების წყალობით შეძლო მან ცარიზმის „ციტადელის“ გვერდით ფეხის მოკიდება, დაბინავება, მოსკოვის პირქუში პირველი ზამთრის და მღელვარე პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორების პირველი ფსიქოლოგიური განცდების უმტკივნეულოდ გადატანა. მაგრამ ეს არ მომხდარა ერთბაშად, თანდათანობითი შეგუებისა და შეწყობის გარეშე. უმთავრესი მაინც ამ ადაპტაციაში სხვის გვართან, სახელთან და მამის სახელთან ორგანული შერწყმა იყო. ამასთან, გარდუვალ დილემად იდგა მატერიალური მდგომარეობის საკითხი. ამხანაგების მიერ გამოტანებული ფული გზაზე და ბინის ერთი თვის ქირად ეყო. რით ეარსება შემდგომ?

აქ ისევ მეგობრების თბილი წრე ჩადგა, როგორც გაჭირვებიდან ხსნის იმედი. ალექსანდრე კანდელაკმა შესანიშნავად მოაგვარა ლეოს დედასთან კავშირურთიერთობა, რის შედეგად მისგან მიღებული პირველი ბარათი და სამასი მანეთი უდიდესი სიხარულის მომნიჭებელი იყო. ჰო, სიცოცხლესაც არ დაიშურებდა ლეო დედის ერთი დანახვისათვის, მასთან ერთი გამოლაპარაკებისათვის. მან არ იცოდა დედის ფასი აქამდე. მაგრამ რაკი მათ შორის ასე შორ მანძილზე კავშირი გაიბა, ეს ამშვიდებდა მის სულს, აცოცხლებდა მოდუნებულ ენერგიას და იმპულსს აძლევდა შინაგან ძალებს მოქმედებისა და სარბიელისაკენ.

პირველ ხანებში ეს სარბიელი სრულიად გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო. ნესტორ ბალანჩივაძემ ერთხანს იგი მოსკოვის რევოლუციონერთა იმ ჯგუფს დააახლოვა, რომელმაც ციხიდან მისი გაქცევის ლეგენდარული ამბავი კარგად იცოდა. ეს საშუალებას იძლეოდა მალე მოეპოვებინა თვალსაჩინო და ღირსეული ადგილი მათ შორის. ამიტომ ხშირად იწვევდნენ კიდეც „პრესნიაში“ თუ მოსკოვის სხვა მუშათა უბანში ფრაქციულ ფარულ კრებებზე მონაწილეობის მისაღებად, მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაჭსაჭსულ. ნაშთებად და ნაფლეთებად ქცეული უჯრედების გააქტიურებისათვის. მაგრამ რეაქციის მრისხანე რეპრესიების გავლენით მასში უკვე შესამჩნევად იყო ჩამქრალი წინანდელი რევოლუციური ვზნება და გული უფრო სხვა მიმართულებით მიუწევდა.

დროთა ვითარებაში ლეო შენგელაია თანდათან გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. მოსკოვის ქუჩების, კრემლის. გარეუბნების, თეატრების და კულტურულ-ლიტერატურული საზოგადოებრიობის გაცნობამ მას დაუბრუნა ის ადრინდელი წადილი და მიდრეკილება. მისწრაფება და ინტერესი, რომელიც ჩაქსოვლი და გამოხატული ჰქონდა იმ პირველ მოთხრობაში, „სიზმარი“ რომ ერქვა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეშვიდეკლასელთა ხელნაწერ ჟურნალში რომ იყო მოთავსებული. ოთხი წელი იყო გასული იმ დროიდან. ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ვახსენებია გონებაში სიზმარივით ჩარჩენილი ის ტკბილი სურათი. ისე გაიტაცა რევოლუციური მოძრაობის აზვირთებულმა ტალღებმა, რომ სულის მოთქმასაც ვერ ასწრებდა, სდია და სდია მის უნაპირო სრბოლას. მაგრამ... აი, დაცხრა, დაიმსხვრა და ნაკუწ-ნაკუწად იქცა უზარმაზარი აბობოქრებული სცენა იმ „გენერალური რეპეტიციისა“, რომელმაც დეკაბრისტების მსგავსად გამოაღვიძა მთელი რუსეთი „ლეთარგიული ძილიდან“, გამოაფხიზლა ხალხი და გაიყოლია ახალი შეერთებული ძალებით ნათელი და დიადი მიზნისაკენ.

ეს მიზანი მაშინ ჯერ კიდევ შორეულად ჩანდა. სამაგიეროდ მოსკოვის მახლობლად, „ვსესვიატსკოეში“, რომელიც შემდგომ დედაქალაქის საუკეთესო კეთილმოწყობილ უბნად იქცა, ლეო შენგელაიამ ნახა ქართველთა ყოფილი სათვისტომო, სადაც 1689 წლიდან საბოლოოდ დამკვიდრდა არჩილ მეფე მთელი თავისი ამალით. ამ დროიდან მოსკოვი იქცა არჩილის შემოქმედების მთავარ კერად. და არა მხოლოდ არჩილის. მთელი ემიგრანტული ქართული

მწერლობა მოსკოვის ცის ქვეშ ეწეოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. მე-17—18 საუკუნეების რუსეთი უცხო ქვეყანა იყო საქართველოსათვის, ამიტომ გარეშე მტრების თუ შინაური შუღლის ნიადაგზე აქედან გაძევებული ქართველი მოღვაწენი ემიგრანტებად იწოდებოდნენ. მათ არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში.

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის, ისე როგორც მთელ მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველო რუსეთის იმპერიაში შედიოდა. ეს გარემოება, ბუნებრივია, ლეო შენგელაიას არ აკუთვნებდა ემიგრანტის ტიტულს, მაგრამ იგი, როგორც დევნილი, მაშინ იზიარებდა სამშობლოდან გადახვეწილი მისი წინამორბედების, იმ წინაპრების უკუღმართ ბედს, რომელთაც საქართველოს მზეზე ოცნებაში აღმოხდათ სული. წინაპართა ამ აჩრდილების მოგონებამ და მოსკოვის ახალმა ლიტერატურულ-თეატრალურმა გარემომ იგი ნელ-ნელა ჩამოაცილა პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობას და თანდათან ღრმად დააკავშირა იმ სიზმარეულ ხილვებთან, რომლებიც მისი სულის წიაღში სადღაც ფრთხილად და ფხიზლად ბუდობდა, ელოდა რა აფრენის და ფრთის გაშლის ასპარეზს.

ასეთი ასპარეზის დროც დადგა. თითქმის წელიწადნახევარი გაეიდა ადაპტაციის, „აკლიმატიზაციის“. ფსიქოლოგიურ-ფსიქიკური შემზადების, ლიტერატურული ცდებისა და ვარჯიშისათვის. ეს ცდები ქიაჩელმა ჩვეულებრივ ლექსებით დაიწყო. ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას იგი „ფარულად უბეში დაატარებდა საკუთარი ლექსების რვეულს“[1]. რა თქმა უნდა, ეს რვეული არ ჩამოყოლია მას მოსკოვში. მაგრამ გაჩნდა სხვა რვეული, ლექსებით საესე რვეულთა მთელი კონა, რომელიც საქართველოში პირველად გამოატანა მოსკოვში შეხვედრილ და გაცნობილ ხელოვანს ვალერიან შალიკაშვილს რომელიმე ქართულ გაზეთში დასაბეჭდად. ვ. შალიკაშვილმა თან წამოიღო მოთხრობებისა და ერთი პიესის ხელნაწერებიც. ისინი დაიბეჭდნენ კიდეც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით 1913 წელს დაწერილ მოთხრობაში „ორი სტრიქონის ამბავი“ ქიაჩელი სანდროს სახით დასცინის კიდეც პოეზიაში ხელმოცარულ პერსონაჟს მისი-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 378.

ვე შეგობრის გოგის სიტყვებით: „სანდრო დიდხანს ანდომებდა რითმების ძებნას. ყოველი ახალი რითმის მოგონებაზე ნერწყვს ყლაპავდა ზედიზედ და მაშინვე ფანქარს მოიმარჯვებდა. სწერდა, მაგრამ უფრო ხშირად ისევ წაშლიდა. არანაკლებ დროს ანდომებდა სტრიქონების მარცვლების თვლას, გამოკლებას თუ ჩამატებას. ზოგჯერ თითებსაც იშველებდა ამ დროს". და ერთხელ გოგიმ გულახდილად უთხრა მეგობარს: „— სანდრო, ძმაო, მოდი, დაანებე თავი მაგ ლექსებს"[1].

ეს იყო თვითგანაჩენი, ერთგვარი კათარზისი, შემოქმედებითი უნაყოფობის დროული „მკურნალობა".

ამიტომ ამ პირველ „მარცხს" არავითარი „სულიერი დეპრესია" არ მოჰყოლია. იგი სწრაფად გადაიხარა პროზისკენ. ვარჯიში განაახლა მინიატურების, ესკიზების, დღიურების, მოთხრობების, პიესების წერაში. ბევრს წერდა და აგზავნიდა, ბევრს ხევდა და სანაგვე ყუთში ყრიდა. და ბოლოს, ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ჩვენი აზრის" 1909 წლის 7 მაისის ნომერში ლ. მიხაძის ფსევდონიმით პირველად გამოქვეყნდა მისი მოთხრობა „წარსული აწმყოში" ანუ „სურათები ჩვენი თავადაზნაურობის ცხოვრებიდან რევოლუციის წინადღეს", რომელიც მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მწერლად მისი დაბადების ურყევ თარიღად არის აღიარებული.

მოთხრობას საფუძვლად ედო ის ნადიმი, რომელიც მამამისმა გადაიხადა ზუგდიდში 1892 წელს ციხიდან გათავისუფლებისა და აზნაურის წოდების აღდგენის აღსანიშნავად. აქედან საესებით ლოგიკური და ბუნებრივი იყო მისი რეალისტური ხასიათიც. ნაწარმოები სწორად გამოხატავდა თავადაზნაურული კლასის სულიერ და მატერიალურ გაკოტრებას, მის უფლებრივ-პრივილეგიური მდგომარეობის დაკარგვას ისეთ ხანაში, როგორიც იყო 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდი. მოთხრობაში აღწერილი იყო დიდგვაროვანი ოჯახის ოდესღაც ბატონკაცური ცხოვრება. მაგრამ ამ ოჯახის წევრებს წარსულის დიდებული სურათებისაგან მოგონებაღა დარჩენიათ. აწმყო მათთვის დამღუპველია და გამანადგურებელი. მოახლოებული რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები წალეკვას უქადის მთელ კლასს.

---

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 232.

ეს იდეა ნაწარმოებში გამოსახულია უბრალო ამბით: ლევან ბატონიშვილის ოჯახში წვეულებაა. აქ არიან დიდგვაროვანნი. არ ჩანს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი — ვახტანგი, რომელსაც გზაზე გლეხი შემოაკვდება. ამით თითქოს ვახტანგმა თავისი გვარის სახელი და ღირსება დაიცვა, წარსულის დიდება აღადგინა. ვახტანგს ულოცავენ ბატონიშვილები „გამარჯვებას". მთელი ეს ამბავი იმდენად კომიკურად, იმდენად კოლორიტულად არის ნაჩვენები მოთხრობაში, რომ მისი მიზანდასახულობა და რეალისტური მანერა სრულიად ნათელია. მკითხველი აშკარად გრძნობს ნიადაგგამოცლილი კლასის შიშს მოახლოებული განადგურების წინაშე.

ამ მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ, იმავე 1909 წლიდან, ლეო შენგელაიას მუდმივი ფსევდონიმი ლეო ქიაჩელი გახდა. მაგრამ ამასთან ერთად ამავე წელს აუცილებელი გახდა მისი კონსპირაციული პასპორტის შეცვლაც. საქმე ის იყო, რომ ეპიფანე ნიკოლოზის ძე მგელაძეს, როგორც სამხედრო ვალდებულს, 1909 წელს, პასპორტის მონაცემების მიხედვით (ხოლო ეს მონაცემები რეალურ მდგომარეობასთან იყო შეფარდებული), მეფის არმიაში გაწვევა უწევდა. ეს კი საფრთხეს უქმნიდა საიდუმლოების გამჟღავნებას და იმპერიაში გამოცხადებულ ძებნასაც წარმატებას უქადდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი ამ დროისათვის ფაქტიურად დაშლილი იყო. ყალბი პასპორტების „ოსტატი" ბარონ ბიბინეიშვილი 1908 წლიდან ციხეში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლეოს უფროსი ძმის — აკაკის დამსახურება და თავგამოდება. ეს მან მოახერხა დროზე მიეწოდებინა ძმისთვის მათი ბიძაშვილის — რაჟდენ კოსტას ძე შენგელაიას სახელზე შედგენილი პასპორტი, რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ მის პატრონს სამხედრო ბეგარა მოხდილი ჰქონდა.

ასე წარმოგვიდგება ლეო შენგელაია მოსკოვში ცხოვრების მთელ პერიოდში ორი პასპორტის ნიღბით და ორი ფსევდონიმით — მიხაძე-ქიაჩელი.

ფსევდონიმის საკითხისათვის[1]

სიცოცხლეში მწერლისათვის არაერთხელ მიუმართავთ როგორც პირადი საუბრის, ისე მწერალთა კავშირში საჯარო

[1] ეს ქვეთავი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში" 1967 წელს (იხ. № 7, გვ. 161-164). აქ იბეჭდება მცირედი შემოკლებით.

თავშეყრის დროს — გაეხსნა ფსევდონიმის საიდუმლოება, მაგრამ იგი ყოველთვის გვერდს უვლიდა პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე. რით იყო გამოწვეული მწერლის ასეთი თავშეკავებულობა? საიდან არის წარმოშობილი ფსევდონიმი „ქიაჩელი“ და რა აზრია მასში ჩაქსოვილი?

ფსევდონიმი ზოგჯერ მწერლის ცხოვრების, ადამიანური ბუნების, მრწამსის იცეთ იდუმალ მხარეს გვიხსნის. რომელსაც პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს მის შემოქმედებასთან, საზოგადოებრივ ინტერესებთან, მსოფლმხედველობასთან. მაქსიმ გორკისა (ა. მ. პეშკოვი) და დემიან ბედნის (ე. ა. პროდვოროვი) ფსევდონიმები (გორკი, ბედნი) გარდა იმისა, რომ მათ სოციალურ წარმოშობაზე, განვლილ მწარე ცხოვრებაზე მიუთითებს, ამავე დროს იმთავითვე მოწმობდა მათ განუყრელ კავშირს პროლეტარული კლასისა და პარტიის ინტერესებთან, მათი კალმის მძაფრ სიმახვილეს, ულმობლობასა და დაუნდობლობას სინამდვილის შავბნელი ძალების გამოსახვასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

ე. ინგოროყვასა და ი. ხოსიტაშვილის ფსევდონიმებს (ნინოშვილი, ევდოშვილი) თავისთავად მინიჭებული აქვთ დიდი აღმზრდელობითი ფუნქცია იმ უბრალო საფუძვლით, რომ მუდამ აღძრავენ ჩვენში მშობლებისადმი, გამზრდელისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობებს. ასეთ და სხვა ხასიათის „ელ“ სუფიქსით წარმოებულ ფსევდონიმებს თვითონ მკითხველი ადვილად არკვევს. ყველამ იცის, მაგალითად, საიდან არის წარმოშობილი ლუკა რაზიკაშვილის ფსევდონიმი — ვაჟა-ფშაველა, შიო დედაბრიშვილისა — არაგვისპირელი, გიორგი ქოჩაკიძისა — ჭალადიდელი, დავით ჩხეიძისა — თურდოსპირელი, ალექსანდრე ჩოჩიასი — აბაშელი და სხვ.

თუ „ელ“ სუფიქსის სადაურობის მაჩვენებელ ენათმეცნიერული განსაზღვრებიდან ამოვალთ, მაშინ სიტყვა „ქიაჩი“, როგორც ეს ბევრს ჰგონია, მიჩნეულ უნდა იქნეს იმ ადგილის სახელწოდებად, საიდანაც მწერალია წარმოშობილი. მაგრამ ეს სრულიად გამორიცხულია, რადგან, როგორც ვიცით, ლეო მიხეილის ძე შენგელაია ობუჯშია დაბადებული და, მაშასადამე, „ელ“ სუფიქსით ახალი სიტყვის წარმოების წესის მიხედვით მისი ფსევდონიმი ბუნებრივად ობუჯელი უნდა ყოფილიყო და არა ქიაჩელი. აქ საქმე არის ის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ელ“ სუფიქსი კარგავს თავის პირდაპირ დანიშნულებას და გეზის ამბნევს, მაცდუნებელ ნაწილაკად გვევ-

ლინება. რომ ეს ცხადეყოთ, საჭიროა გავაკეთოთ ერთგვარი ისტორიული ექსკურსი.

სახელწოდება „ქიაჩი“ სამეგრელოს მთიან მხარეში, კერძოდ, ზუგდიდის, წალენჯიხის ჩხოროწყუს და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობაში ძველთაგანვე იყო ცნობილი. იგი ერქვა სალოცავ ხატს. რომელიც ესვენა სწორედ ლეო ქიაჩელის სოფლის მონასტერში. ობუჯის მონასტერი მთელს იმ მხარეში რელიგიური დღესასწაულების. რიტუალებისა და წირვა-ლოცვის ცენტრს წარმოადგენდა.

ამ კუთხის ხალხის ცრუ რწმენით, თუ მასში გავრცელებული ლეგენდით, ქიაჩის ხატს მინიჭებული ჰქონდა საკვირველებრივი ძალა. მის წინაშე შიშით, რიდითა და თაყვანისცემით ირთოდნენ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანები. ამ ხატზე გადაცემა სიკვდილს უდრიდა, მისით დალოცვა, მისი მოხმობა, მისდამი შევედრება კი — უბედურებისაგან ხსნას, ცდუნებისა და ბოროტების დათრგუნვას, ცოდვებისაგან განწმენდას. სიკეთისა და სასოებას განფენას. ამიტომ მისი სახელი კერპად იყო გადაქცეული ამ მხარის თითქმის ყოველ მით უფრო არისტოკრატიული წრის ოჯახში.

მაგრამ ქიაჩის ხატისადმი ინტერესს არანაკლებ ბადებდა თვით მისი ნაკეთობა, გარეგნული იერი და სილამაზე. იგი. როგორც ძვირფასი ნივთი და სამკაული, წარმოადგენდა იშვიათ ხელოვნებითს რელიქვიას, რომელიც თავისი ელვარებითა და მოოქვილი ფერადოვნებით ერთბაშად ხიბლავდა მნახველს.

1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით მონასტრებსა და ეკლესიებში შემონახული ძველი ფრესკების, სიგელ-გუჯრების, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვ. აღსაწერად სამეგრელოში სპეციალურად იმოგზაურა ქართული კულტურის ცნობილმა მოღვაწემ ექვთიმე თაყაიშვილმა. მომდევნო 1914 წელს მან გამოაქვეყნა თავისი კაპიტალური ნაშრომის — „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნების“ მეორე წიგნი, რომელშიც ქართულ ენაზე პირველად არის აღწერილი ქიაჩის ხატი. მისი წარწერები და მოხატულობა (ადრე ფრანგულ ენაზე ხატის წარწერები გაშიფრული ჰქონია მარი ბროსეს)[1].

---

[1] ეს ხატი აწყამად ინახება ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჰედური ხელოვნების № 1 გრიფით და 2769 ნომრით. იგი მუზეუმს გადაეცა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქართველოს კო-

„როცა ჩვენ ჩავედით წალენჯიხას, — წერს ე. თაყაიშვილი, — იქ მყოფმა გამომძიებელმა... გვაუწყა, რომ მომრიგებელ მოსამართლესთან მოწმეების დასაფიცებლად მოსვენებულია სოფელ ობუჯიდან ძველი ხატი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს სამეგრელოში. ეს ძლიერ ხატად არის მიჩნეული და საყურადღებო საქმეების გარჩევის დროს მოწმეებს მასზე აფიცებენო. ხატის გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ იგი ვერცხლისაა, ნაჭედი, ოქროთი დაფერილი, არის ლამაზი ხელობისა, 35×35 სანტ. პირველ გვერდზე გამობერვით განჭედილია წმინდაი რაფიელ... მეორე პირზე აქვს ფრთიანი სერაბიმი ლომის თავებით აქეთ-იქით, ხოლო ფრთებზედ ზემოთ ტრედი, მარჯვნივ და მარცხნივ ემბლემები მზისა და მთვარისა კაცის სახედ... ჩასვენებულია საგანგებოდ გაკეთებულ ვერცხლის კუბოში (36,5×35 სანტ.), ზემო პირი ამ ჩასასვენებელისა ორ ფრთიანია; შუაში იხსნება და ზედ ცალკე ვერცხლის ფირფიტებზე ნაჭედია 12 წმინდანის სახე, წყვილ-წყვილად, ესენი უნდა იყვნენ 12 მოციქულნი... სტილი ხელობისა XIII—XIV საუკუნისას მოგვაგონებს“[1].

ამ აღწერილობიდან საგულისხმოა ის, რომ ქიაჩის ხატი თურმე არ წარმოადგენდა ყოველ ეკლესიაში იმ დროს არსებულ ჩვეულებრივ ხატს, იგი განსხვავებული ზომის, განსაკუთრებული ნაკეთობისა და საგანგებო დანიშნულებისა ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით, საკითხის ისტორიისათვის, საინტერესოა ს. კაკაბაძის ერთი წერილი სათაურით „საბუთი შერგელაისათვის ქიაჩის ხატის კლიტის გადაცემის შესახებ“, რომელიც ავტორის სათანადო კომენტარით მოთავსებულია 1925 წელს დაბეჭ-

---

მიტეტის განკარგულებით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ 1923 წლის 24 მაისს და 5 ივნისს შედგენილი აქტებით, რომლებსაც ხელს აწერენ პროფესორი გ. ჩუბინაშვილი, სამეგრელოს მუზეუმის მაშინდელი დირექტორი ა. ჰანტურია და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის ყოფილი წევრი ი. შონია. კომისიამ დაათვალიერა ზუგდიდის მაზრაში არსებული ისტორიულად მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრები, მოახდინა იქ ნაპოვნი განძეულობების აღწერა და სხვა მრავალთა შორის „საისტორიო-სამემკვიდრო მნიშვნელობის“ ნივთად მიიჩნია ობუჯის მთავარანგელოზის ეკლესია-მონასტრიდან წამოღებული ქიაჩის ხატიც (იხ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი I, საქმე 36, გვ. 34).

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი II, 1914, გვ. 239.

დილ „საისტორიო მოამბის“ პირველ ნომერში. ს. კაკაბაძის დათარიღებით საბუთი განეკუთვნება 1680-იან წლებს, როცა ლევან დადიანის სიკვდილის შემდეგ ოდიშის ფაქტიურ გამგებლად ითვლებოდა მისი მოურავი კაცია ჩიქვანი, რომელიც საბუთს ბეჭდის დასმით და ხელმოწერით ამოწმებს.

ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული საბუთიდან და 1921 წელს მის მიერვე ობუჯში ჩაწერილი ხალხური გადმოცემიდან ირკვევა, რომ ქიაჩის ხატი ენგურის გაღმა მხარეს (აფხაზეთი) ოდესღაც არსებული ეკლესიიდან მოუპარავს ვინმე კაკაჩიას, შემდეგ ამ კაკაჩიას შთამომავალს ობუჯში გაუქურდავს შერგელაია, კერძოდ მისი რძალი, რომლის დიდძალი მზითვი სულ მთლიანად წაუღია. რადგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სხვა არაფერი აღმოჩენია, ქურდი იძულებული გამხდარა ოჯახში გადამალული ხატი თავისი ვერცხლის სკივრითა და კლიტეებით გადაეცა შერგელაიასათვის, რომლის გვარი 1554 წელს ბაგრატ აფხაზ-იმერთა მეფის მიერ გაცემული სიგელით ადრე შერგილაძედ იხსენიებოდა.

კაცია ჩიქვანის ხელმოწერით გაცემულ საბუთში, რომელშიც განაჩენის გამომტანთა შორის დასახელებულია თვით აფხაზეთის მფლობელი საუსტან შერვაშიძეც, მოპარული ნივთების ჩამოთვლისა და მომპარავის ნივთიერი ხელმოკლეობის აღნიშვნის შემდეგ, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „...შემოგვეხვეწა კაკაჩია და ამის (ე. ი. მოპარული ნივთების — ა. თ.) გადასახადათ ხატის კლიტე არჩივი დაგვიდევა და დაგვანება. ეს კლიტე... მამაში შერგელაიასათვის მიგვიცემია. სხვა შერგელაიას ამაშიდ არა ურევია რა. მამაშის და მის შვილებს ასე მკვიდრით ქონდეს“[1].

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტის დედანი (პირველი პირი) პირად არქივში ჰქონია შენახული ლეო ქიაჩელს და მისგან უშუალოდ გადაუწერია ს. კაკაბაძეს. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „ლ. შენგელაიასთან (ლ. ქიაჩელთან) ამ ოთხი წლის წინათ (ე. ი. 1921 წელს, როცა ისტორიკოსმა ობუჯში იმოგზაურა — ა. თ.) ჩვენ შევხვდით ერთ საყურადღებო საბუთს, რომელიც შემდეგ პატრონმა ვერ იპოვა თავის ქაღალდებში. რადგან საბუთი ჩვენ მაშინ გადმოწერილი გვქონდა, ამიტომ ტექსტის დაუკარგველობისათვის მას აქვე ვათავსებთ. საბუთი წარმოადგენდა მამაში შერგელაიას და გამახადი კაკაჩიას შორის ბეჭობის გა-

[1] „საისტორიო მოამბე“, I, 1925, გვ. 249.

ნაჩენს. კაკაჩიას გაუპარავს (ე. ი. გაუქურდავს — ა. თ.) შერგელაია და ზარალის ასანაზღაურებლად ხატის კლიტე არჩივი დაუდვია სოფ. ობუჯში, ზუგდიდის მაზრაში, სადაც აქამდის ცხოვრობდნენ შერგელაიები (აზნაურები) და კაკაჩიები (გლეხები)"[1].

როგორც აქედან ჩანს, შთამომავლობით თაობიდან თაობაში გადასულ საბუთს მწერალი ინახავდა, ერთი მხრივ, თავისი გვარის გენეალოგიისა (შერგილაძე — შერგელაია — შენგელაია) და, მეორე მხრივ, ქიაჩის ხატის შორეული უცნაური წარსულის, შერგელაიათა საგვარეულო კუთვნილებად მისი გადაქცევის დამადასტურებელ ისტორიულ დოკუმენტად. მაგრამ ამავე დროს ქიაჩელთან ამ დოკუმენტის უშუალო მოხვედრა თავისთავად იმასაც გვაფიქრებინებს, რომ მამაში შერგელაია უნდა იყოს თვით მწერლის არა მხოლოდ გვარობრივი, არამედ პირდაპირი შორეული წინაპარი.

თვით ხატის ასომთავრული წარწერის ე. თაყაიშვილისეული წაკითხვის მიხედვით ცხადი ხდება, რომ „სახელითა ღმერთისათა მე გიორგი მეფემან დავხსენ ეს საწერობელი წმიდასა ამას ეკლესიასა ქიაჩს სალოცავად სულისა ჩემთვის"[2]. ე. თაყაიშვილის ვარაუდით ეს გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალე (1319—1346) ან იმერეთის მეფე გიორგი I. მაშასადამე, ამ ცნობით სულ პირველად (ე. ი. დაახლოებით მე-14 საუკუნეში, როცა ხატი გიორგი მეფის ბრძანებით პირველად იქნა გაკეთებული) ქიაჩი რქმევია რომელიღაც ეკლესიას.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ქიაჩი ერთგან მოხსენიებული აქვს არქანჯელო ლამბერტის, სამეგრელოს იმ ექვს მონასტერს შორის (ხოფის, ობუჯის, ანაკრიას და სხვ.), რომლებიც წინათ საეპისკოპოსო ეკლესიებად იწოდებოდნენ. ამათგან, — წერს ლამბერტი, — „პირველია ქიაჩის მონასტერი, მთაზე აშენებული"[3]. ეს მონასტერი შემდეგ დანგრეულა და მიწისგან აღგვილა. ს. კაკაბაძის ზემოთ დასახელებული წერილიდან კი გარკვევით ჩანს, რომ ზემო ოდიშის (აფხაზეთი) ეკლესიიდან ოდესღაც მოპარული ხატი 1680 წლიდან ჯერ ობუჯის მკვიდრის შერგელაიას, ხოლო შემდგომ ამავე სოფლის მონასტრის კუთვნილება გამხდარა.

---

[1] „საისტორიო მოამბე", I, 1925, გვ. 248.

[2] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი II, 1914, გვ. 239.

[3] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 120—121.

ასე დაკარგა დროთა ვითარებაში სიტყვა „ქიაჩმა“ თავისი პირვანდელი აზრი და გადაიქცა იმ სალოცავი ხატის სახელწოდებად, რომელიც ერქვა მის პირველ ადგილსამყოფელს XIV საუკუნეში. ასეთია ამ ხატის გარშემო არსებული ისტორიული წყაროები, გადმოცემები და ლეგენდები.

დავუბრუნდეთ ახლა საკითხის არსებით მხარეს.

ლეო ქიაჩელის მშობლიური სახლი იდგა სწორედ ობუჯის ცენტრში, იმ მონასტრის გვერდით, სადაც ქიაჩის ხატი ესვენა. იგი ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, სობოგადან, ძიძისგან ჩამოყვანის დროს ყოველთვის თან ახლდა დედას, როცა ის საკუთარ ეზოდან პირდაპირ გადადიოდა ხოლმე მონასტრის ეზოში საჯარო თუ შინაურული, საოჯახო წირვა-ლოცვის დროს. ამ გზით პატარა ლეოს შესაძლებლობა ჰქონდა თითქმის ყოველ კვირას ეცქირა ქიაჩის ხატისათვის და დამტკბარიყო მისი ჯერ კიდევ შეუცნობელი მშვენიერებით.

ისე როგორც სხვა მხრივ და სხვა მიმართებით, შვიდ წლამდე სოფლად გატარებული დრო ამ მხრივაც აღმოჩნდა ის საუკეთესო, ბედნიერი პერიოდი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ერთგვარად კიდეც განსაზღვრა მომავალი მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური მიზანსწრაფვის ძირითადი ნიშნები. ამ პერიოდში ქიაჩის ხატის გარეგნული მშვენებით აღძრული ადრეული შთაბეჭდილებები მწერლის არსებაში შემდგომ იქცა ცხოვრების მშვენიერების, თვით მშვენიერი ცხოვრების მოპოვებისათვის ბრძოლის დიადი იდეალების შეგრძნების ერთ-ერთ საფუძვლად.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის მთელ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ზუგდიდში იყო გადასული, ლეო ქიაჩელი მაინც, როგორც ანდრია მირცხულავას მოგონებიდან ზემოთ დავინახეთ, ყოველ ზაფხულს მიეშურებოდა სობოგასა და ობუჯში ბავშვობის დროინდელი ადგილების სანახავად. 1905 წლის რევოლუციის დროს კი, როცა ლეო ხარკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა და მის მშობლიურ მხარეში რევოლუციური მუშაობა გააჩაღა, თვით იყო მოწმე იმისა, თუ როგორ იყენებდა თვითმპყრობელობა და ადგილობრივი რეაქცია ქიაჩის ხატის ვითომდა უცნაურ ძალას მეამბოხე გლეხების შეიარაღებული რაზმების დასაშინებლად, გლეხობაში რევოლუციური სულისკვეთების ჩასაქრობად.

ახალგაზრდა რევოლუციონერის მეხსიერებაში თითქმის ერთდროულად და თითქმის ერთნაირი სიმტკიცით აღიბეჭდა ქიაჩის ხატის გარეგნული სიმშვენიერე და მისი ძლიერების შეუვალობაზე ხალხში გავრცელებული მითი. პოლიტიკური მისწრაფებებით იგი შეურიგებელი იყო ეკლესიისა და ღვთისმსახურებისადმი, ხასიათის შინაგანი ბუნებითა და მიდრეკილებებით კი ყველგან და ყველაფერში იმთავითვე ხიბლავდა და იზიდავდა მხოლოდ ძლიერი, მხოლოდ მშვენიერი, მხოლოდ კეთილხმოვანი, მხოლოდ ის, რაც ადამიანს სიამოვნებას ანიჭებდა.

ერთი მხრივ, ობუჯის ეკლესიაში დასვენებული ხატის მეტად კეთილხმოვანი სახელი „ქიაჩი“, მისი ნაკეთობის ოსტატობა, მისი გარეგნული იერი და სილამაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ხატის უძლეველობისა და საკუთარ გვართან კავშირის შესახებ ხალხში არსებული გადმოცემა, ამ კავშირის დამადასტურებელი ისტორიული საბუთი — აი, რა დაედო საფუძვლად მწერლის მტკიცე არჩევანს, რათა მის მუდმივ ლიტერატურულ ფსევდონიმად 1909 წლიდან ქცეულიყო ყურში მეტად სასიამოვნოდ მყღერი სიტყვა „ქიაჩელი“. გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ამ ფსევდონიმს წმინდა საკონსპირაციო დანიშნულებაც ჰქონდა. იგი მალე მიხვდა, რომ მიხაძე სადღაც საიდუმლოების გაბზარვას მოასწავებდა, რისდამი შიში განსაკუთრებით მას შემდეგ გაუძლიერდა მწერალს, რაც ოფიციალურად უკვე გამოცხადებული იყო მისი საგანგებო ძებნა. ეს კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, 1908 წლის 12 სექტემბრიდან დაიწყო.

აღნიშნული ფსევდონიმის არჩევით თავის შინაგან მოწოდებას ქიაჩელი იმთავითვე უყენებდა მაღალ საზოგადოებრივ-ესთეტიკურ მოთხოვნებს: ისე ძლიერად, მიმზიდველად, ოსტატურად და შთამბეჭდავად გამოესახა სინამდვილე, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის იდეალები, რომ მკითხველთა ფართო მასის პატივი და დიდება დაემსახურებინა, გამხდარიყო მთელი ქართველი ხალხის სასიქადულო სულიერი მოძღვარი, მისი უკეთესი მერმისისაკენ მომწოდებელი, გრძნობებისა და განცდების გამფაქიზებელი და ამამაღლებელი სულიერი ხატი.

როგორც ვხედავთ, ფსევდონიმ „ქიაჩელს“ არავითარი კავშირი არა აქვს რელიგიურ რწმენასა და მსოფლმხედველობასთან, როგორადაც იგი ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს საქმის ვითარებაში ღრმად ჩახედვისა და განჭვრეტის გარეშე. სწორედ ასეთი

ცალმხრივი ინტერპრეტაციის მოსალოდნელობის გამო ერიდებოდა რეჟოლუციური წარსულის მჭონე ქიაჩელი სიცოცხლეში ფარდა აეხადა „ელ“ სუფიქსში ჩამარხული საიდუმლოებისათვის. მაგრამ მოვლენების სწორი, ობიექტური ახსნისა და შეფასების დროს, ცხადია, უკვდავებაში გადასული მწერლის ამგვარ სუბიექტივისტურ მოტივებს ამჟამად ანგარიში არ ეწევა.

ამრიგად, ფსევდონიმი „ქიაჩელი“ მწერლის სტილურ ინდივიდუალობასთან, მის ესთეტიკურ გემოვნებასა და ლიტერატურულ იდეალებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ბუნებრივია, მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ბიოგრაფიის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლაში.

ლიტერატურული ვრთობის წლები

თავის თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომისადმი წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ლეო ქიაჩელი წერდა: „თუმცა ჩემი ლიტერატურული მუშაობა უმთავრესად საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობდა და ყველა ჩემი მთავარი ნაწარმოები — როგორც მოთხრობები და ნოველები, ისე რომანები — გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის განმავლობაში დაიწერა და გამოქვეყნდა, მე მაინც საჭიროდ დავინახე ჩემი შემოქმედების ვითარების სრული ჩვენებისათვის ამ ტომში შემეტანა წინათ დაწერილი რამდენიმე მოთხრობაც, როგორც ამსახველი ჩემ მიერ განვლილი გზისა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ერთგვარად ააშკარავებს იმ დროს გაბატონებულ ლიტერატურულ განწყობილებათა ზეგავლენას (ხაზგასმა ჩვენია — ა. თ.), მაინც ოდნავადაც ვერ ჩრდილავს ჩემი შემოქმედების მთავარ რეალისტურ სტილს“[1].

მკითხველის სწორი ორიენტირებისათვის დაწერილი ავტორის ეს მცირე განმარტება ჩვენგან მოითხოვს პირველ რიგში იმ თავისებურ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ გარემოს გარკვევას, რომელშიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქიაჩელს მოუხდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა.

[1] ლეო ქიაჩელი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 5.

მოკლედ შევეხოთ თვით ამ გარემოს.

ცნობილია, რომ მაქსიმ გორკიმ რუსეთის ლიტერატურის 1907—1917 წლების პერიოდს იდეური სიცარიელის „სამარცხვინო ათი წელი“ უწოდა. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებამ დიდი სულიერი მეტამორფოზა გამოიწვია განსაკუთრებით ინტელიგენციის იმ წრეებში, რომლებშიც ძლიერი იყო წვრილბურჟუაზიულ-მეშჩანური განწყობილებები. რეპრესიები ემუქრებოდა ყველას, ვინც ხმას აღიმაღლებდა თავისუფლებისა და რევოლუციის ინტერესების დასაცავად. რუსული კლასიკური ლიტერატურის მებრძოლი, პატრიოტული სულისკვეთება სულ უფრო ფართოდ და ღრმად ეფლობოდა ხალხის ინტერესებისაგან განდგომის ჭაობში. რევოლუციონერებზე თავდასხმა და მათი პიროვნების უხეშად შებღალვა იქცა იმ დროის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად. სწორედ ამან განაპირობა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული დაცემულობის გამოხატულების — დეკადენტიზმის წარმოშობა და მისი გავლენის გაძლიერება 1910-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში.

1905 წლის რუსეთის რევოლუცია გამთავისუფლებელი მოძრაობის წინაისტორიული ეტაპების ლოგიკური შედეგი და გამოხატვა იყო. მაგრამ იგი იყო, ამავე დროს, ამ რევოლუციაში ისტორიულად გარდუვალი დამარცხებისა და შემდგომში ისტორიულად გარდუვალი გამარჯვების წინამორბედი. რევოლუციურ მოვლენათა განვითარების ეს ურყევი კანონზომიერება არ ესმოდა და არც სურდა გაეგო რუსეთის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ გარკვეულ ნაწილს, რომლის წრეში წამოიზარდა და განვითარდა რუსული დეკადენტიზმი. 1907—1910-იან წლებში რუსული ლიტერატურა ავადმყოფურად მოიცვა მისთვის სრულიად უცხო მოდერნისტულ-დეკადენტურმა მიმდინარეობამ, რომელსაც იმ ხანებში სათავეში ედგნენ უმთავრესად ჟურნალების: „აპოლონის“, „ვესის“, „ზოლოტოე რუნოს“ გარშემო შემოკრებილი პოეტები და მწერლები: ლ. ანდრეევი, მ. არციბაშევი, ვ. ბრიუსოვი, ფ. სოლოგუბი, ა. ბელი, ა. კამენსკი, ზ. გიპიუსი და სხვ.

რუსი სიმბოლისტები და დეკადენტები თავიანთ ესთეტიკურ კონცეფციებს აგებდნენ „წმინდა ხელოვნების“ იდეალისტურ-მეტაფიზიკურ თეორიაზე, რომელსაც საფუძვლად ედო ა. შოპენჰაუერის, ფრ. ნიცშეს, ე. ჰარტმანის და სხვ. ფილოსოფიურ-ირაციონა-

ლისტური მოძღვრება. ლიტერატურის დეკადანსი პირდაპირი გაგებით, პირველ რიგში, ნიშნავდა ლიტერატურის მებრძოლი, მისი მაღალი ჰუმანისტური და ალტრუისტული იდეების დაყვანას ვიწრო ეგოისტურ და ეროტიკულ გრძნობებამდე, ადამიანის პიროვნების გამოთიშვას საზოგადოებრივი ინტერესების სფეროდან და მისი სულის გაშიშვლებას საკუთარ მესა და იმ საიდუმლო ძალების წინაშე, რომლებიც თითქოს განაგებენ მის არსებობას. აქედანაა დეკადენტურ ლიტერატურაში საერთოდ ასე ძლიერად გამოხატული ადამიანის უმწეობა და უძლურება, მისი გარდუვალი დაღუპვა და შიში, მისი ფატალისტური ცრურწმენა და მისტიკური წარმოდგენები. ცხოველური ინსტინქტების მიღმა დეკადენტი ჰვრეტდა მხოლოდ ბუნების მატერიალურ ძალას, რომელიც თითქოს უხილავი ძაფებით უკავშირდებოდა ზეციურ, მისტიკურ სამყაროს. ამ მიწიერი და ცისიერი, შეუცნობელი და უხილავი ძალებისადმი მორჩილების გრძნობა ადამიანს ამწყვდევდა საკუთარ ნაშუქში, აქცევდა მას უკიდურეს ინდივიდუალისტად და ყოველივე იმის მოძულედ, რაც საზოგადოების საერთო კეთილდღეობის მიზნებით არის შეპირობებული და შთაგონებული.

სწორედ ასეთი ნიშნებით ხასიათდებოდა, მაგალითად, რუსი დეკადენტის მ. არციბაშევის მიერ 1907—1912 წლებში გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებები: „სანინი“, „მუშა შევირიოვი“, „მილიონები“, „უკანასკნელ საზღვარზე“ და სხვ., რომლებშიც რევოლუციონერებზე თავდასხმასთან, მათ დაცინვასთან ერთად მკაფიოდ იყო ნაჩვენები ზიზღი და ცინიზმი საზოგადოებისადმი, „ნაადრევი ქარიშხლის“ (ე. ი. რევოლუციის — ა. თ.) იდეალისტურ-მეტაფიზიკური ახსნა, ზნეობრივი გახრწნილება.

აღსანიშნავია, რომ ამავე ხანებში მოსკოვის მხატვრული თეატრისა და სხვა თეატრების სცენებზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბელგიელი მწერლის და დრამატურგის, სიმბოლიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსის მორის მეტერლინკის ერთმოქმედებიანი პიესები: „დაუპატიჟებელი“, „ბრმები“, „იქ, შიგნით“, „ტენტაჟილის სიკვდილი“ და სხვ. არსებითად ეს პიესები იყო მეტერლინკის იმ დოქტრინის გამოხატულება, რომელიც ჩამოყალიბებული ჰქონდა 1896 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მშვიდთა საუნჯე“. მეტერლინკის პიესებსა და სიმბოლისტურ თეორიაში დუმილს მინიჭებული ჰქონდა უაღრესად დიდი ფუნქცია,

როშლის ძიზედვით იგი გვეელისებოდა ადაძიახის დაფარული ძიხაგანი საიდუმლოების, დაუსრულებლის დასრულებულში გამომჟღავნების, თვით სიკვდილის უხილაობის ამოხსნის ერთადერთ საშუალებად.

მეტერლინკის აზრით, რაც უფრო ნაკლებად ვამჟღავნებთ ჩვენს თავს ჩვეულებრივ სიტყვებსა და მოქმედებაში, მით უფრო ვმაღლდებით ნივთიერ ცხოვრებაზე და ვცოცხლობთ უმაღლესი სულიერი სიცოცხლით. მისი მოძღვრების მთელი არსი გამოხატულია მის ორ დებულებაში დუმილისა და სიჩუმის შესახებ: 1. „როგორც კი ბაგეები დაიძინებენ, სულები იღვიძებენ და იწყებენ მოქმედებას, რადგან დუმილი სტიქიონია, მოულოდნელობით, საშიშროებით და ბედნიერებით სავსე, რომელშიც სულები თავისუფლად ეძლევიან ერთმანეთს"... 2. „თუ თქვენ ნამდვილად გინდათ მიეცეთ ვისმეს, იყავით ჩუმად"[1].

რუსული მოწინავე კრიტიკა და ლიტერატურა ებრძოდა ამგვარ დაცემულობას. ლიტერატურისა და ხელოვნების მებრძოლი პოზიციების დასაცავად უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სტატიებს ლიტერატურის პარტიულობის, ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ, გ. ვ. პლეხანოვის წერილებს ხელოვნების და ლიტერატურის საკითხებზე, მ. გორკის, ა. ლუნაჩარსკის, პ. ვოროვსკის და სხვათა ბრწყინვალე პუბლიცისტურ გამოსვლებს, მაგრამ 1905-იანი წლების რუსული ლიტერატურა მაინც ვერ აცდა დეკადენტიზმს.

არ შეიძლებოდა ასეთი არაჯანსაღი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ატმოსფეროს, „იმ დროს გაბატონებულ ლიტერატურულ განწყობილებათა" ზეგავლენის გარეშე დარჩენილიყო დამწყები მწერალი ლეო ჭიაჩელიც, რომელიც სწორედ ასეთ გარემოში გამოვიდა შემოქმედებით სარბიელზე მოსკოვში არალეგალურად ცხოვრების დროს. აქ იგი დაუკავშირდა მოსკოვის იმდროინდელ ლიტერატურულ წრეებს, ესწრებოდა მოსკოვის თეატრების დადგმებს, ლიტერატურულ დისპუტებს და პირადად იცნობდა მთელ რიგ რუს სიმბოლისტ მწერლებს — კერძოდ, ვ. ბრიუსოვსა და ა. ბლოკს.

ყოველივე ამის შედეგად სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ პირველი სადებიუტო რეალისტური მოთხრობების („წარსუ-

---

[1] М. Метерлинк, Полное собр. соч. т. III, М., 1910, стр. 5.

ლი აწმყოში“, „ნაწყალდიდევზე“, „მამა ოქროპირი ცაცხვის ძირში“) გვერდით მის ადრინდელ შემოქმედებაში დეკადენტურ-სიმბოლისტური მოტივების გამოვლენა, რასაც ვხვდებით სწორედ 1910—1912 წლებში მოსკოვში ცხოვრების დროს დაწერილ ისეთ ნოველებში, როგორიცაა: „სტეფანე“, „ცოდვის შვილები“, „ჯადოსანი“, „დავითის მაღლობზე“, „მიუწვდომელი სიმი“ და სხვ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ნოველაში „სტეფანე“ (1910) მეტერლინკის მოძღვრების მსგავსად დუმილი მიჩნეულია ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარების, შეუცნობელის შეცნობისა და ჰეშმარიტების ამოხსნის უპირველეს და უტყუარ იარაღად. მეთევზე სტეფანე განუდგა სოფელს, საზოგადოებას, ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფას და სიტყვიერი მეტყველების ნაცვლად იწამა მხოლოდ მდუმარება, რომელიც, მისი აზრით, ადამიანის სულის უმაღლესი გამოხატულებაა. მას თითქოს თევზების ენა, მათი ლაპარაკი და იდუმალება უფრო აქვს შესწავლილი და გაგებული, ვიდრე მის გარშემო მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანებისა. ამ უსიტყვო და უენო არსებებში ხედავს ის მორალურ სიწმინდეს. სტეფანეს ერთადერთი მეგობარი ჰყავს მთელ სამყაროში და ისიც მუნჯია. ამ ორი ადამიანის მუნჯური ლაპარაკი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ ერთმანეთის ესმით გასაოცარი ქვეშეცნეული ძალით. და რამდენადაც უუნარო, უმოქმედო და უბადრუკია ძოკო, იმდენად გაუგებარია მისთვის სოფლის გლეხკაცთა გამუდმებული შრომა, შეუჩერებელი მოძრაობა, სიცოცხლის ძახილი და მიზანი. მწერალი განსაკუთრებული გულმოდგინებით აღწერს მათ შეხვედრას ყოველ დილით, განთიადისას, სოფლის განაპირა ადგილას.

„ერთხელ სტეფანე ჩვეულებრივზე უფრო ადრე წავიდა სათევზაოდ. ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა იგი ბადით მხარზე გამოვიდა სახლიდან. ცისკრის მოწითალო კალთის კიდური აღმოსავლეთით ცას შეჰფინებოდა. გარემო ათრთოლებულიყო. წამავალი ღამის მძიმე სუნთქვა განთიადის მოახლოების ჟრიამულს შერეოდა. მოდუდუნე მდინარე ღამის ზღაპარს ათავებდა. სოფელს კი ეძინა.

სტეფანეს ახლაც იქ დახვდა ძოკო, სადაც ყოველ დილას ხვდებოდა ხოლმე, მიესალმნენ ერთმანეთს მეგობრები და გაჰყვნენ მდინარეს. ცოტა ხნის შემდეგ შესდგნენ... სტეფანე იქვე ხის ძირში ჩა-

მოჯდა, ძოკო გვერდით მიუჯდა. მეგობრები სდუმდნენ და ისე უგდებდნენ ყურს ერთმანეთს"[1].

როგორც ვხედავთ, აქ სიჩუმე და მდუმარება ნივთიერ, მატერიალურ ცხოვრებაზე მაღლაა დაყენებული და წარმოდგენილია ამ ორი ადამიანის უნეტარესი სულიერი სიცოცხლის საფუძვლად. ძოკოს და სტეფანეს არც არაფერი აწუხებთ ამ ქვეყნად და არც არაფერი იზიდავთ. მათი ცხოვრება შინაარსისგან დაცლილია. მათ არსებობას არა აქვს სოციალური აზრი, საზოგადოებრივი დანიშნულება და გამართლება. და აი სწორედ მათი ურთიერთობის ასეთ ბუნდოვანებაშია ჩამარხული სიმბოლიზმის მიერ გამოგონილი ე. წ. ტრანსცენდენტური სამყაროს საიდუმლოება. არა ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები, არა ბგერებით და სიტყვებით გამოხატული აზრი და მეტყველება, არა გრძნობებში აღძრული მაცდური ემოციები, არამედ დუმილში შეხვედრილი სულების უხილავი მოძრაობა იძლევა ჩვენი შემეცნების, ჩვენი წარმოდგენების მიღმა არსებულ მისტიკურ სამყაროში შეჭრის შესაძლებლობას, — ასეთია ნოველის ძირითადი სიმბოლისტური ჩანაფიქრი, მეტერლინკისეული „დოქტრინების" გამოძახილი.

ეს კიდევ უფრო ნათლად იქნება გასაგები, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით დასახელებული ნოველის ერთ ადგილს, სადაც კვირა დღეს მეზობლის ოჯახში სტეფანეს სტუმრობით გამოწვეული მხიარულების საინტერესო ეპიზოდია აღწერილი. ძველი ცაცხვის ჩრდილქვეშ მოგროვილ მეზობლებს შორის მოხვედრილმა სტეფანემ დიასახლისს წყალი სთხოვა. ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური მომენტი უცებ მოულოდნელი სიცილის და უჩვეულო მხიარულების გამომწვევ ფაქტად იქცა. ჩვეულებრივ ყოფით მოვლენაში რაღაც საოცარის აღმოჩენა — ნაცადი სიმბოლისტური ხერხია.

სტეფანეს უკვირს მეზობლების ასეთი საქციელი, მაგრამ ბუნებით თვითონ მხიარულს, განსაკუთრებული არაფერი დაუნახავს მასში. მაგრამ განსაკუთრებული მისი დიალოგია მეზობლებთან.

— „აგაშენათ ღმერთმა, კარგ გუნებაზე ყოფილხართ. — თქვა სტეფანემ. — დიდი ხანია ასეთი მადლიანი სიცილი არ გამიგონია. კარგი ამბავია!

— ამბავს ჯერ კიდევ მოველით შენგან! — უპასუხეს.

— უკეთესს ვერაფერს ვერ გიამბობთ!

— ტყუილი! რომ არ გიამბნია?

---

[1] ლ ე ო ჭ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 11—12.

— მაშ, რისთვის იცინოდით? განა ამბავი მხოლოდ სიტყვით ითქმის! ყველაზე უკეთესი ამბავი ის არის, რომელიც უსიტყვოდ ესმის ყველას. აი ისეთი, რომელიც ამას წინათ გიამბეთ.

— ტყუილი! ტყუილი! — და ქალებმა გადიკისკისეს.

— თუ ვერ გავიგონებთ, რაღა ამბავია? — გაიკვირვეს მამაკაცებმა.

— გაგონება მაინცა და მაინც რა საჭიროა!... მართალი გითხრათ, არც მე მოველოდი, თუ ასე შეძლებდი უსიტყვოდ ამბის მბობას"[1].

აქ მწერლის მიერ გარკვევით და პირდაპირ არის ნაჩვენები ის უხილავი კავშირი, რომელიც თითქოს, მისი აზრით, არსებობს ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებსა და მის იქით, მის მიღმა ჯერ კიდევ შეუცნობ და განუჭვრეტ საგნებს შორის. მათი შემაერთებელი ხიდი უსიტყვო მეტყველებაა. უნდა წარმოიდგინო ის, რაც ითქვა დუმილში, ბაგეებისა და ბგერების რხევის გარეშე, სულის უცნაური და უსაზღვრო მოძრაობის დროს, — ასეთია ნაწარმოების მთავარი აზრი, რაც უეჭველად არათუ აახლოებდა, არამედ ერთხანს მჭიდროდ და მტკიცედ აკავშირებდა მას სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის ერთ-ერთ მამამთავართან — მეტერლინკთან.

ეს სიახლოვე კიდევ უფრო საგრძნობი გახდება, თუ ანალოგიისათვის პარალელს გავავლებთ მეტერლინკის ერთმოქმედებიან პიესა „დაუპატიჟებელსა" და ქიაჩელის ნოველას შორის, რომელსაც ეწოდება „დავითის მაღლობზე". ეს პიესა, როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის სამხატვრო თეატრის 1908—1910 წლების რეპერტუარში შედიოდა და მისი დადგმა არაერთხელ უნახავს ქიაჩელს. პიესის ერთ ეპიზოდში ავადმყოფის სიკვდილი განთიადისას ემთხვევა მეზობელი მთიბავის მიერ ცელის ლესვას. მთელი ღამე მის ოთახში მდუმარება სუფევდა. ექიმის მოსვლის მოლოდინში ახლობლების ჩვეულებრივ ყოფით საუბარს მეორე ოთახში უცნაურ იერს ანიჭებს ავადმყოფთან შესასვლელი კარის მოულოდნელი გაჭედვა. ეს სიკვდილი გაიხერგა კარების დირეში და მომვლელებს არ უშვებს შიგნით. მთიბავის ცელის ლესვის ხმამ გააძლიერა ეჭვი და როცა ჯირისუფლები ავადმყოფთან შედიან, ის უკვე მკვდარი იყო.

ქიაჩელის ნოველაში დავითის მეუღლე ელისაბედი ქმრის ღალატით დასევდიანებულია. ბოლოს ავად ხდება. მოსამსახურე ლუ-

[1] ლეო ქიაჩელი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 10.

კას ექიმი მოჰყავს. ამის შემდეგ ამბის მთხრობელი ასე აგვიწერს ეპიზოდს: „ექიმი დიდხანს დარჩა ელისაბედის ოთახში. წამლები გამოგვიწერა, დაგვამშვიდა, გვანუგეშა და წავიდა. ერთხანს მთელი სახლი გაჩუმებული იყო. ექიმის მოსელამ და მისმა სიტყვებმა ყველაზე კარგად იმოქმედა. ელისაბედს დაეძინა. იმის ოთახიდან გავიდა ყველა, გარდა ორი მომვლელი ქალისა, რომლებიც ჩვეულებისამებრ მოსულიყვნენ ღამის სათევად.. გულის შემზარავი ხმით, შემაძრწუნებლად ჭოტი ჰკიოდა. გამიგონია ჭოტის კივილი სიკვდილის მომასწავებელიაო. სიკვდილი თავისი ცელით მსხვერპლს დაეძებს... დილის განთიადი რიჟრაჟად ეფინებოდა დედამიწას, როდესაც საშინელი კივილი შემომესმა. ელისაბედი გარდაიცვალა“[1]. ორივე შემთხვევა — მთიბავის ცელის ლესვა და ჭოტის კივილი — აქ სიკვდილის წინათმგრძნობ თანაბარ სიმბოლოებად გვევლინება.

ეს იყო „შეგირდობის“ ის ხანა, რომელსაც, როგორც ერთგვარ „მოსამზადებელ ეტაპს“, უეჭველად გადის ყოველი პოეტი, მწერალი თუ დრამატურგი თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი ხმის მიგნებამდე. მხოლოდ ლიტერატურისაგან შორს მდგომს შეუძლია უარყოს ეს კანონზომიერი და ბუნებრივი პროცესი. ლეო ქიაჩელი მოწაფეობის დროს ნინოშვილის „შეგირდი“ იყო, მოსკოვში ყოფნისას კი არციბაშევისა და მეტერლინკისკენ გადაიხარა, მაგრამ საკუთარი მხატვრული ალღო შინაგანად ისევ ეროვნული ძირებისაკენ უხმობდა.

ასეა თუ ისე, რეაქციის პერიოდში დასავლეთ ევროპიდან შემოჭრილ ლიტერატურულ მიმდინარეობათა (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი) და რევოლუციური ინტელიგენციის ერთ ნაწილში მომხდარ სულიერ გარდატეხათა გავლენით ლეო ქიაჩელმა მალე შეცვალა სწორად აღებული გეზი და ხელი მიჰყო დეკადენტურ-სიმბოლისტური ხასიათის ნოველებისა და მინიატურების გამოქვეყნებას. ამ ხანებში იგი ერთი შეხედვით თითქოს შორს დგას საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური მოვლენებისაგან, გახვეულია მისტიკურ-იდეალისტურ ბურუსში და გატაცებულია ზოგადი ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტით. რას წარმოადგენს მსოფლიო? რაშია ბუნების საიდუმლოება? სად არის ადამიანის ბედნიერება? ასეთია ის ძირითადი ზოგადპრობლემატური სა-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, დავითის მაღლობზე, „სახალხო გაზეთის“ სურათებიანი დამატება, 1911, № 42.

კითხები, რომელთა უნაყოფო გადაწყვეტას ანდომებს ქიაჩელი მთელ თავის შემოქმედებით ნიჭს.

1911 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული ერთი პატარა ნოველის „მიუწვდომელი სიმის“ შინაარსი ასეთია: სოლომონს სძინავს თავის ბაღში. აი, თვალნათლივ ხედავს იმ საოცნებო სიმს, რომლის ჰარმონიული ხმები იტაცებს. იზიდავს მას და მასთან ერთად მთელ ბუნებას, გარე სამყაროს. სოლომონს სურს ხელი შეახოს მიბნედილს სინათლეზე მის წინ მოელვარე ამ მომჯადოებელ სიმს, მაგრამ იგი ვერ წვდება მას, ვერც ხელით და ვერც გონებით შეიცნობს მის საიდუმლო ძალას და ამისგან იტანჯება.

„არის რაღაც იდუმალი ხმა, იდუმალი ქვეყანა, — წერდა ქიაჩელი ნოველაში „მიუწვდომელი სიმი“, — რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია, მაგრამ რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ მთელი ჩვენი არსებით. საიდუმლო და მიუწვდომელი სიმები გაბმულია მთელ სამყაროში. მისი მომჯადოებელი ხმები ისმის ბუნებაში, ადამიანის სულსა და გულში. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ მათ არსებობას. მაგრამ არ ვიცით საიდან არიან და რანი არიან ისინი. მრავალი საიდუმლოებაა დამალული ადამიანის იდუმალებაში... და იბადება უძლეველი სურვილი ფარდა აეხადოს ამ საიდუმლოებას“[1].

ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისაკენ, მიუწვდომელის მიწვდომისაკენ უნაყოფო სწრაფვას ქიაჩელი მიჰყავდა ყალბი. უიდეო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით მიუღებელი ნაწარმოებების შექმნის გზით. „პატარა ისტორიაში“ არციბაშევის მსგავსად იგი დასცინოდა კიდეც რევოლუციონერ-სოციალისტ ბესიკს, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სახედარზე უკუღმა შემჯდარი ხალხის სამასხროდ დადიოდა სოფელში. საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სრული ინდიფერენტიზმი — აი რა განსაზღვრავდა ძირითადად ქიაჩელის მოსკოვის პერიოდის დეკადენტურ ნაწარმოებთა მოქმედი პირების ხასიათსა და მოქმედებას, მათს ადგილს საზოგადოებაში. ესენი იყვნენ უმეტესად ავზნიანი, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანები. რომელთაც არ გააჩნდათ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი რაიმე ინტერესი და მისწრაფება, გარდა ქვეშეცნეული ბილწი გრძნობებისა (მაგალითად, ჯვებე და ბეკო ნოველიდან „ცოდვის შვილები“, ტაგუ ნოველიდან „ჯადოსანი“).

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1911, № 298.

ამავე პერიოდის (1910 წლის დაწერილი) სიმბოლისტურ-დეკადენტური ნაწარმოებებიდან თავისი ფორმითა და შინაარსით მკვეთრად გამოირჩევა 1913 წელს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე (იხ. დასაწყისი № 923)[1] ვ. შალიკაშვილის დახმარებით გამოქვეყნებული ოთხმოქმედებიანი დრამა-პოემა „სამდედიშვილი“, რომელსაც საფუძვლად დაედო სამი დედის შვილზე სოფელში გაგონილი ზღაპარ-ლეგენდის სათავგადასავლო სიუჟეტი.

ნაწარმოებში მოქმედი პირების თვით სახელებიც კი თავისებური და წმინდა ოცნების ნაყოფია. ჩამალა, ვაწუკა, ელნათი, ცეცხლანა, ჰაერმანი თუ ფრთოსანა ერთგვარად მიგვანიშნებენ მწერლის უმიზნო გატაცებაზე. მაგრამ პირველი მოქმედებიდანვე აშკარაა მისი დუალისტური პოზიცია: ტყე გაყოფილია ორ ნაწილად, ერთ მხარეს სიბნელეა, ხოლო მეორეგან სინათლე. ბნელი ნაწილიდან დროგამოშვებით ქარი დაჰბერს, მაშინ ტყეც აშრიალდება. შეინძრევიან ხეები, ქვები, იძვრის მიწაც და რაღაც გამაყრუებელი ხმაური ისმის. შემდეგ ისევ სიჩუმე გამეფდება. ბუნების ამ ჭიდილს არღვევს ადამიანების გაურკვეველი წამოძახილები. ამ ადამიანებს მზის სხივი ენატრებათ, ენატრებათ ცაზე მოკიაფე ვარსკვლავების მზერა. მათ ეშინიათ მიწაზე ყოფნისა და ხეზე ასულან. ხალხს გზის გაკვლევა სურს, მაგრამ წინ სავალი გზა ეკლიანია და საშიში. უკან კი გამუდმებით მოისმის მოძმეთ ტირილი, კვნესა და ვაი-ვაგლახი. უკან მიწაც და წყალიც ადამიანებს ემტერება. იქ მხოლოდ წინაპრების სამარეა და წყვდიადში ჩანთქმული მონად ქცეული სოფელი. გზა არავინ არ იცის. მათში ყველაზე ყოჩაღი ელნათი მოიწევს წინ და უნდა ხალხიც გაიყოლიოს. ელნათს გზად მრავალი დაბრკოლება ხვდება, მალე კარგავს მხედველობას, ხოლო შემდეგ ფიზიკურადაც ნადგურდება. ელნათის მიმყოლი ხალხიც იღუპება. ასე მთავრდება დრამა-პოემის პირველი მოქმედება. მივყვეთ ნაწარმოებს.

დრამაში მხოლოდ ახლა გამოჩნდება მთავარი გმირი, რომელსაც მწერალი დიდი სითბოთი და სიყვარულით ხატავს. სამდედიშვილი ჯერ პატარა გმირია, მაგრამ მის სულში ღრმად არის გამჯდარი სამყაროს შეცნობის წყურვილი, მშობლებისა და ხალხის სიყვარული.

[1] შეცდომით მწერლისეულ ავტობიოგრაფიაში ამ ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღად დასახელებულია 1911 წელი (იხ. თხზულებანი, ტ. V, 1964, გვ. 123).

იგი მზადაა თავგანწირულად იბრძოლოს ბნელეთისაგან სამყაროსა და ხალხის გადასარჩენად. მას აინტერესებს გაიგოს რას ბუტბუტებს წყარო კამკამა, რატომ არიან ნაღვლიანი დედები. მან იცის, სჯერა, რომ მის სხეულში უზადო ენერგიაა დაგროვილი, რომ იგი სძლევს ყოველგვარ ბოროტებას და ხალხს ბედნიერებას მოუტანს, ოღონდ კი მიზეზი შეიცნოს. მას განზრახული აქვს წყაროსაც კი შეაცვლევინოს ჰანგები, მზესაც კი სხვანაირი სხივი შეჰმატოს, ჰაერიც კი უფრო წმინდა გახადოს.

სამდედიშვილს, ამ ცნობისმოყვარე და მეოცნებე ჰაბუკს, ბაბუა უმხელს ხალხის საწადელს, რომ ადამიანებს თავისუფლება და სინათლე სწყურიათ, რომ ამაზე ლოცულობენ ისინი, რომ ქვეყანა ბნელეთს მოუცავს, რომ მისი ბედნიერება დამოკიდებულია „მზისთვალზე“, რომელიც დევებს ცის დახმარებით გამოქვაბულში ჰყავთ შეპყრობილი.

მისი მოპოვება — გამარჯვებაა,
არ მოპოვება — ცხოვრება შავი,
კვნესა, ტირილი, მოთქმა-ცრემლები,
მონობა მწარე გულშემზარავი [1].

სამდედიშვილი გადაწყვეტს მიწას დაუბრუნოს სინათლე. მოხუცის ლანდი თანდათანობით ქრება, მისი ძლიერება გადადის სამდედიშვილში და ჰაბუკი გრძნობს აქამდე უცნობ ძალას. იგი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში და ბაბუას მშვილდისრით შეიარაღებული გაუდგება გზას. ეძებს ბედნიერების სიმბოლოს „მზისთვალს“.

ნისლში გახვეულია დევების სამყოფელი. სამდედიშვილი ამაყად, მედგრად მიიწევს წინ და ყოველგარ წინააღმდეგობას ვაჟკაცურად უმკლავდება. ბოლოს სამდედიშვილი გმირულად გაათავისუფლებს „მზისთვალს“ და უბრუნდება საკუთარ მხარეს. ტანჯული ადამიანებიც სიმღერით უბრუნდებიან თავიანთ კერას რაინდთან ერთად, მაგრამ ეს ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. სამდედიშვილის დაუფიქრებელი ნაბიჯით გათავისუფლებული უცნობი სინათლეს და ელვარებას მოაკლებს „მზისთვალს“. ხალხი მიღწეულით მაინც კმაყოფილია, სამდედიშვილისათვის კი ყველაფერმა დაკარგა ფასი. იგი მიდის ისევ „იქ... შორს“... გაურკვეველ სივრცეში და ამით იხურება ფარდაც.

[1] „სამდედიშვილი“, გაზ. „ახალხო გაზეთი“, 1913, № 924.

ძნელია იმის თქმა, თუ რა უნდოდა ეთქვა მწერალს ალეგორიებით სავსე ამ ზღაპრისმაგვარი ნაწარმოებით. აქ სამდედიშვილი შეიძლება ერთგვარად მწერლის პროტოტიპადაც წარმოგვიდგეს. სამდედიშვილის ოცნება ლამაზია და ჯანსაღი, მაგრამ მას კონკრეტული მყარი ნიადაგი არ გააჩნია. ნაწარმოებში გვხვდება ენობრივად მეტად მძიმე, გაუგებარი ადგილები და ხელოვნურად შექმნილი კომპოზიტები („იჭმუნ-მწუხარე", „ამაღლ-ადიდდი", „მოცურდ-მოფრინდი" და სხვ.), რომლებიც კიდევ უფრო ართულებენ და აბუნდოვნებენ მას. ერთ-ერთი კრიტიკოსი „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე 1914 წელს, ეხებოდა რა ქიაჩელის „სიმბოლიური ხასიათის დრამას", აღნიშნავდა, რომ „ჩემი აზრით, მხატვრული მხარე სრულიად არ შეეფერება იმ იდეას, რომელიც ავტორმა გაშალა „სამდედიშვილში" და ამიტომ იგი უხორცო და უფორმო ზღაპრის შთაბეჭდილებას ახდენს"[1]. მიუხედავად ამისა, „სამდედიშვილი" მაინც მნიშვნელოვან მასალას იძლევა 1910-იანი წლების ლეო ქიაჩელის შემოქმედებით ლაბორატორიაში რთული წინააღმდეგობრივი პროცესების წარმოსადგენად და გასათვალისწინებლად.

ცხადია, ასეთი მახინჯი გამოხატულებანი შეუთავსებელი იყო ქიაჩელის იდეურ-ესთეტიკური მრწამსისა და პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის პირველი პერიოდისათვის. იგი აქცევდა მას ინდივიდუალიზმის, მისტიციზმისა და დეკადენტიზმის ვიწრო ჩარჩოში, რასაც არ შეიძლებოდა დიდხანს შერიგებოდა ისეთი საღი და ნათელი მხატვრული აზროვნების მწერალი, როგორიც იყო ქიაჩელი.

ეს იყო მის შემოქმედებაში შინაგანი ძალების მოსინჯვის, ლიტერატურული წრთობის, საკუთარი ხმის ძიების პერიოდი, როცა ის გზებს იკაფავდა დიდი და ძლიერი, ნამდვილი და უზადო შემოქმედებისაკენ, როცა ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ჰეშმარიტი ხელოვნების ნამდვილ არსში. ამით აიხსნება, რომ ლეო ქიაჩელის ადრინდელ შემოქმედებაშივე ერთმანეთს ებრძვის რეალიზმისა და ირეალიზმის, დეკადენტიზმის და სოციალური სინამდვილის, სიკვდილისა და სიცოცხლის გამომხატველი ტენდენციები. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ამავე ხანებში დაწერილი ნაწარმოებები: „წუთისოფელი", „ტყუილი და მართალი", „მამა ოქროპირი ცაც-

[1] „სახალხო გაზეთი", 1914, № 10.

ხვის ძირში“ და სხვ. ისინი ძირეულად განსხვავდებიან ზემოთ დასახელებული ნაწარმოებებისაგან ცხოვრებისეული სიმართლით, მხატვრული გააზრებით, დეტალების, საღი ადამიანური გრძნობებისა და განცდების გადმოცემის სისწორით.

„წუთისოფელში“ ქიაჩელი მხატვრის თვალით აგვიწერს სოფლის ცხოვრების რეალისტურ სურათს. მასში მთავარი მოქმედი პირია პატიოსანი, შრომისმოყვარე ქვრივი ქალი მართა, რომელმაც მძიმე შრომითა და ტანჯვით გამოზარდა სახელოვანი ვაჟკაცი ანდრო. იგი პოლიტიკურად გათვითცნობიერებული, იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე ახალგაზრდაა. რომელიც ქალაქში ცხოვრობს და მუშაობს. სოფლად დედის სანახავად ჩასული ანდრო ახალგაზრდებს უამბობს საკვირველ ამბავს:

„რევოლუცია რომ მოხდება, ცხოვრება სხვანაირად მოეწყობა. ეკლესია გაუქმდება. ჯვარისწერა არ იქნება, მიწა გლეხების იქნება, ქარხნები კი მუშების“.

ასეთი შინაგანი სულიერი ბრძოლის გზით უახლოვდებოდა ქიაჩელი თავისი შემოქმედების ერთ-ერთ წამყვან თემას — 1905 წლის რევოლუციის თემას. მაგრამ ეს დაახლოება, გარდა პირადი გამოცდილებისა, მწერლისაგან მოითხოვდა დაძაბულ შემოქმედებით შუშაობას. მხატვრული სიტყვის სრულყოფას.

სიტყვის მხატვრული ფუნქცია კონტექსტში მის ზუსტ ჩასმაზეა დამოკიდებული. ეს კი თავის მხრივ ეროვნული ენის ლექსიკური ფონდის დაუფლებაზე, ენის კანონების ცოდნაზეა დამყარებული. ქიაჩელი ბავშვობიდანვე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის ტრადიციებზე იზრდებოდა, რაც. რა თქმა უნდა. დიდად უწყობდა ხელს მისი ინტელექტის განვითარებას. მაგრამ ამავე დროს გავლენას ახდენდა მისი ნაწერების ენობრივ მხარეზე. ამით აიხსნება ის ფაქტი. რომ 1909—1912 წლებში ქიაჩელის მიერ გამოქვეყნებულ მთელ რიგ ნოველებსა და მოთხრობებს აშკარად ეტყობა, რომ მათ ავტორს უჭირს. ეძნელება გამართული ქართული ლიტერატურული ენით წერა. პირველსავე მოთხრობაში „წარსული აწმყოში“ დაშვებული იყო უხეში ენობრივი შეცდომა. გამოხატული ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობაში რიცხვის მიხედვით. მაგალითად, აქ ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „ჩემი სიდედრი ქალიშვილები-

თურთ სუფრას გარს დასტრიალებდნენ"[1] (უნდა იყოს: „დასტრიალებდა"). მოთხრობაში „ცოდვის შვილები" ერთგან ვკითხულობთ: „ჯერ კიდევ შორიდან მოესმება ჯვებეს მდინარის შხუილი"[2] (უნდა იყოს „მოესმა") და ა. შ. ბუნებრივია, ასეთი ფრაზები და კონსტრუქციები („ქალიშვილებითურთ") გარკვეულ უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენდნენ მკითხველზე, ამცირებდნენ ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებას.

ეს ნაკლი არც იმდროინდელ კრიტიკას დარჩენია შეუნიშნავი. „სახალხო გაზეთში", რომელშიც 1912 წელს გრიგოლ ბარელის (რცხილაძის) მიერ პირველად იყო გარჩეული ჭიაჩელის შემოქმედების ადრეული ნიმუშები, მათ დადებით შეფასებასთან ერთად მწერლის ენის შესახებ მითითებული იყო შემდეგი: „ეს კი უნდა შევნიშნოთ: როგორც ეტყობა, ძალიან სუსტად იცის ქართული ენა. მხატვრული სურათების გადმოსაცემად იგი ყოველთვის მოხერხებულ და სხარტულ სიტყვებს ვერ პოულობს. თუ ეს ნაკლი გაისწორა ლეო ჭიაჩელმა, უეჭველია, მისი მოთხრობები ერთიორად სასიამოვნო საკითხავი იქნებიან"[3].

მაგრამ ქართული ენის დაუფლებისათვის მოსკოვში მას საამისო პირობები სრულიად არ ჰქონდა. დედისგან მატერიალური დახმარების მიღება მეტწილად ძნელდებოდა, რაც აიძულებდა მას ლიტერატურულ „შეგირდობასთან" ერთად ხელი მოეკიდა რეპეტიტორობისათვის რუსულ ენაში. ეს კი ბინის ხშირ ცვლასთან ერთად მის შემოქმედებით მუშაობას კიდევ უფრო ამძიმებდა და ართულებდა.

ემიგრანტად ჟენევაში

მაგრამ ამ გართულებას 1912 წელს მოულოდნელად მეორე, უფრო სერიოზული და სახიფათო გართლუება დაემატა. 1812 წლის სამამულო ომის ასი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო 1912 წლის სექტემბერში მოსკოვში მეფე-იმპერატორის ჩამოსვლა. პოლიციისა და ჟანდარ-

[1] ლ ე ო ჭ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 242.
[2] ლ ე ო ჭ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 33.
[3] „ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი", 1912, № 490.

მერიის დეპარტამენტებს საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული მოეხდინათ ქალაქის საპასპორტო რეჟიმის ძირფესვიანი შემოწმება, რათა გაეწმინდათ იგი საეჭვო, „არაკეთილსაიმედო ელემენტებისაგან“. რევოლუციონერთა არალეგალური ცხოვრება საშიში გახდა.

ამ ხანებში ქიაჩელი მოსკოვის თავისუფალი კომერციული ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტად ითვლებოდა. მას არ შეეძლო ხარკოვის უნივერსიტეტში დაბრუნება, არც საბუთების აღდგენა. ამიტომ სწავლის გასაგრძელებლად იმ პასპორტით სარგებლობდა, რომლითაც, მისამართების ხშირი გამოცვლის მიუხედავად, ფარულ ცხოვრებას გაჭირვებით მაინც ახერხებდა. კომერციულ ინსტიტუტში შესვლაც თავისუფალი იყო, ლექციებზე დასწრებაც და სწავლაც. ასეთი პირობები ზედგამოჭრილი იყო მისთვის. და აი, უბედურება! იგი უნდა მიეტოვებინა. ეს მეორედ უხდებოდა უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელება და მისი იძულებით შეწყვეტა. მაგრამ ამაზე უფრო მეტი სადარდებელი სასტიკი შემოწმების რკალიდან თავის დაღწევა იყო.

ის ფაქტი, რომ მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დახმარებით (სხვანაირად შეუძლებელი იყო) ქიაჩელს საზღვარგარეთ წასასვლელად საჭირო ვიზა და საბუთები გაუმზადეს, რომ მან უვნებლად მოახერხა რუსეთიდან გაპარვა და შვეიცარიის იმ ქალაქში ჩასვლა, სადაც. რუსეთში რეაქციის პერიოდიდან დაწყებული, რევოლუციონერების დიდი ნაწილი ცხოვრობდა, მოწმობს, რომ მას სავსებით არ გაუწყვეტია კავშირი ამ ორგანიზაციასთან.

ეს მოხდა 1912 წლის აგვისტოს დამლევს, მოსკოვში ოთხი წელიწადი და თერთმეტი თვის ცხოვრების შემდეგ. რუსეთის საზღვარზე დარჩა დაჭერის გამუდმებული შიში. საზღვრის იქით, ევროპაში მან იგრძნო პირველი შვება, თავისუფლება, მაგრამ, რაც უფრო შორდებოდა მშობლიურ კუთხეს, რაც უფრო ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ, შვეიცარიის მთებისაკენ მიემგზავრებოდა, მით უფრო უძლიერდებოდა საქართველოს სიყვარული და რომანტიკული პატრიოტიზმი ეროვნული პატრიოტიზმით ეცვლებოდა.

1912 წლის სექტემბრის დასაწყისში ქიაჩელი უკვე ჟენევაში იყო. ეს ჩანს დავით სულიაშვილის წიგნიდან „უცხო ცის ქვეშ“.

1912 წლის სექტემბრის ერთ-ერთ დღიურში იგი მიუთითებს: „გუშინ მოსკოვიდან ლეო ჩამოვიდა“[1]. მაშინ იგი ოცდარვა წელს ითვლიდა და არაფერი სახარბიელო ლიტერატურაში ჯერ კიდევ შექმნილი არ ჰქონდა. მოსკოვმა სათავე დაუდო მის შემოქმედებით ბიოგრაფიას. გამოაჩინა უნარი, მხატვრული ნიჭი და ალღო. „მწვერვალის“ დასაპყრობად ძირეული გარდატეხა აქ უნდა მომხდარიყო. და მოხდა კიდეც. ჟენევა იქცა ქიაჩელის პირველი დიდი შემოქმედებითი გამარჯვების ისტორიულ ასპარეზად. რამ განაპირობა წარმატება? მაგრამ ჯერ დავუბრუნდეთ ყოფით მომენტებს.

ადვილი წარმოსადგენია რაოდენ სასიხარულო უნდა ყოფილიყო ციხიდან გაქცევის შემდეგ ლეო ქიაჩელის პირველი შეხვედრა დავით სულიაშვილთან, იმ ადამიანთან, ვინც არ მოერიდა პარტახტიან ტიფს და თავზე ადგა სატუსაღოს საავადმყოფოში, ვინც დაშორდა „იმ საიდუმლო გვირაბის თავთან, რომლითაც თავისუფალ ჰაერზე“ გავიდნენ ხუთი წლის წინათ. აი, როგორ აგვიწერს დ. სულიაშვილი ჟენევაში ახლად ჩასული ქიაჩელის პორტრეტს, ამ პირველი შეხვედრისგან მიღებულ შთაბეჭდილებას: „გამოცვლილა. წვერ-ულვაში დაუყენებია. დამშვენებულა. ლაპარაკის დროს რაღაც სხვა კილოზე უხვევს. დიდხანს ვუმზერდით ერთმანეთს და ვიღიმებოდით. რამდენი რამ გვქონდა სალაპარაკო. მოსაგონარი. გასაზიარებელი“. მაგრამ საუბრის მთავარი საგანი მაინც ციხეში დათქმული პირობის, ურთიერთ აღებული ვალდებულების შესრულების შემოწმება იყო.

— „დაპირება შეასრულე? — როგორც კი მარტო დავრჩით მკითხა ლეომ, — გახსოვს, ციხეში ერთმანეთს რომ აღვუთქვით, — მწერლობით გაგვეწია სამსახური სამშობლოსათვის“[2]. თუ როგორ ასრულებდა ამ პირობას ქიაჩელი, ეს უკვე ცნობილია ჩვენთვის. რაც შეეხება თვით დავით სულიაშვილს, მან თავისი პირველი მოთხრობა „გარდახვეწილის ლტოლვა“ სწორედ იმ საღამოს წაუკითხა ქიაჩელს და მისი წაქეზებით. მოწონებით და შესწორებით დაიბეჭდა კიდეც 1913 წელს გაზეთ „თემში“. ასე გადაიზარდა მათ შორის ქუთაისის ციხეში დაწყებული მეგობრობა ემიგრანტობის დროს ურღვევ შემოქმედებით მეგობრობაში, რომლის ძაფი მხოლოდ სიკვდილმა გაწყვიტა.

---

[1] დავით სულიაშვილი. თხზულებანი, ტ. I, 1973. გვ. 381.

[2] იქვე.

„შვეიცარიასთან მრავალი დიდი ადამიანია დაკავშირებული ან თავისი წარმოშობით, ან თავისი შემოქმედებით. საკმაოა ვოლტერის, რუსოს, პესტალოცის, გოეთეს, შილერის, ბაირონის, ბენჟამენ კონსტანის სახელები გავიხსენოთ... მისი მშვენებაა ალპიური ვარდებით და თეთრ-ყვითელი ედელვაისებით შემოსილი ჟენევა“[1], — წერს გერონტი ქიქოძე ერთ თავის მოგონებაში.

ჟენევა!

მუდამ ცოცხალი, მოუსვენარი, მოძრავი, მოწყენილობის, დარდის და სევდის გამქარვებელი ქალაქი.

სილამაზის და სიმშვენიერის სიმბოლო.

ტბებით, გორაკებით, გაშლილი ბაღებით, ქუჩებით და ბრწყინვალე შენობებით დამშვენებული.

სხვადასხვა რასის, სოციალური მდგომარეობის, სულიერი ფიზიონომიის, რელიგიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობის ადამიანებით სავსე.

ემიგრანტების თავშესაფარი.

ჟენევა!

ცოდნის ტაძრით — უნივერსიტეტით სახელგანთქმული.

იგი დგას ქალაქის შუაგულში, მარად მწვანე მინდვრის — პლენპალეს ახლოს.

აქ, ამ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში, მის ბიბლიოთეკებში, ისე როგორც ყველა ენაზე, ქართულზეც წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მდიდარი ფონდია.

აქ იყრიან თავს ქართველი ემიგრანტები: მიხა ცხაკაია და მიხეილ დავითაშვილი, ნიკო კიკნაძე და მელიტონ ფილია, პავლე საყვარელიძე და დავით სულიაშვილი...

აქ ჩამოდის ბერნიდან სამუშაოდ და ლექციების წასაკითხად ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. აქვე ცხოვრობს პლეხანოვი, მარტოვი, დანი, ლუნაჩარსკი, ვოროვსკი, კარპინსკი.

და ლეო ქიაჩელის წინაშე ერთბაშად სრულიად ახალი ჰორიზონტი, ახალი პერსპექტივა გადაიშალა; იგი გადახალისდა, შეიცვალა და გარდაიქმნა მისი განწყობილება. გაუორკეცდა ენერგია, სტიმული, პათოსი და ენთუზიაზმი.

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფონდი 6456, გვ. 54.

ამის პირველი ნიშანი ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება იყო. ახლა მას, როგორც საზღვარგარეთული პასპორტით აღჭურვილს, თავისუფლად შეეძლო ხარკოვის უნივერსიტეტიდან გამოეთხოვა თავისი პირადი საქმე. ეს უკვე მესამედ სცადა ბედი უმაღლესი განათლების მისაღებად. არ გასულა ამ დროიდან დიდი ხანი და „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა ჟენევიდან გამოგზავნილი ინფორმაცია, რომელიც იტყობინებოდა: „როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი ლეო ქიაჩელი, რომელიც ამჟამად ჟენევის უნივერსიტეტში სწავლობს, ავად ყოფილა. იგი თურმე ნივთიერადაც დიდ გაჭირვებას განიცდის“[1].

გაზეთის ამ ცნობას ქიაჩელის ავადმყოფობის შესახებ ადასტურებს დავით სულიაშვილი თავის მოგონებაში, სადაც იგი წერს: „უცნაური ხასიათი აქვს ლეოს — ავადმყოფობის ეშინია, ამიტომ ექიმებისაგან თუ ნაცნობებისაგან მიღებულ ყველა წამალს სვამს, ყლაპავს.

— ექიმმა მითხრა, ტუბერკულოზის ნიშნები გაქვსო, ახლავე უნდა მიაქციო ყურადღება, იმკურნალო და გაგიველისო.

— თუ ეგრეა, მიიღე ზომები, რაა მაგისთვის საჭირო? — შევეკითხე.

— რადა სადმე სოფელში უნდა წავიდე. კარგად ეიკვებო, მთის ჰაერი ეისუნთქო.

— მერე? რაღას აყოვნებ? გინდა მეც წამოვალ!

— რა კარგი იქნება, ბიჭო! — პირი დააღო და თავისი პატარა, მწვანე თვალები შემომანათა.

მართლაც მალე წავედით ჟენევის მახლობლად ერთ სოფელში. მთელი დღეები მთაში ვართ. თან მიგვაქვს სპირტქურა და სადილებსაც იქ ვამზადებთ. ნაძვების ჩრდილში ვართ წამოწოლილი. წიგნებს ვკითხულობთ, ვბაასობთ და იქვე ვიძინებთ კიდეც. ლეო ძალიან ფრთხილია. სასტიკ რეჟიმს იცავს“[2].

ეს ამონაწერი ერთი ყოფითი დეტალია ჟენევაში მწერლის ცხოვრების ფურცლებიდან. აქაც, ამ შორეულ და უცხო მხარეში, ტუბერკულოზის ნიშნებისგან მის მკურნავ „მალამოდ“ ისევ ძვე-

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1912, № 465.

[2] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973, გვ. 427—428.

ლი, ნაცადი და ერთგული მეგობარი დავით სულიაშვილი გვევლინება. ეს მან შემოგვინახა ზოგიერთი ძუნწი ცნობა ემიგრანტობის პერიოდში მწერლის მიერ განვლილ შინაარსიან, ნაყოფიერ, ნაღვლიან და უსიხარულო დღეებზე. მაგრამ სანამ ამ ცნობებს აღვნუსხავდეთ, საჭიროა აქვე დავძინოთ, რომ „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ზემოთ მოტანილ ინფორმაციას „ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის“ ჟენევის უნივერსიტეტში სწავლისა და მისი ავადმყოფობის შესახებ უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი საფუძვლად დაედო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ქიაჩელისათვის საგანგებო სტიპენდიის სახით ყოველთვიურად ოცდახუთი მანეთის დანიშვნას, რაც მისი შემოქმედების დაფასების და სახელის გახმაურების პირველი გამოხატულება იყო[1].

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჟენევაში ჩასვლის პირველსავე ხანებში, იმავე 1912 წელს, ქიაჩელი შეხვდა და პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს[2], მოუსმინა მის ლექციას ეროვნულ პრობლემაზე ჟენევის სახალხო სახლის დარბაზში, სადაც ემიგრანტებისათვის ხშირად იმართებოდა საღამოები, იკითხებოდა მოხსენებები, ეწყობოდა დისპუტები და დისკუსიები ეკონომიურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და ეთიკურ-ესთეტიკურ საკითხებზე. ერთი სიტყვით, პარტიათა შორის იყო იდეური ბრძოლა და შეხლა-შემოხლა, მაგრამ სწორედ ამ ბრძოლაში ჩანდა იმედის სხივი და ნაპერწკალი, გამარჯვების შუქი და ელვარება, რწმენა და ოპტიმიზმი. ყველაფერი ეს ჩამქრალი და ჩაფერფლილი იყო რეაქციის შემდეგ რუსეთში, აქ კი თითქოს მკვდრეთით აღმდგარა.

არ შეიძლებოდა ამას დადებითად არ ემოქმედა ქიაჩელის ცხოვრებაზე, საქმიანობაზე, პროდუქტიულობაზე, არ მოეხდინა რადიკალური გარდატეხა მის ლიტერატურულ ინტერესებში, არ განესაზღვრა მისი შემოქმედებითი განვითარების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი.

მაგრამ ემიგრანტობა მუდმივ გაჭირვებასთან, სამშობლოზე ფიქრთან და ათასგვარ კურიოზულ, დამამცირებელ და კომიკურ შემ-

---

[1] „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში“, 1913, გვ. 111.

[2] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, შეხვედრა ილიჩთან, „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 16.

თხვევებთანაც იყო დაკავშირებული. ემიგრანტთა ურთიერთდამხმარე სალარო მხოლოდ მინიმალურად აკმაყოფილებდა მის წევრთა საჭიროებას. ხელმოკლეობა ყველას ეტყობოდა. ზოგჯერ პურის ფულსაც ვერ შოულობდნენ. საქმე ეხებოდა არა ერთ დღეს და ერთ თვეს, არამედ წელსა და წელიწადებს.

და, აი, ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთხელ დავით სულიაშვილმა „მაწვნის მეურნეობა“ მოაწყო. ყიდულობდა რძეს, თვითონ ამზადებდა მაწონს, ქილებში ასხამდა, ხოლო დილით ქიაჩელს თავი უნდა მოეკრა მათთვის, კალათებში ჩაეწყო და მიცემული მისამართების მიხედვით კერძო ბინებში გაეყიდა. „მოგება“ შუაში უნდა გაეყოთ. საქმე კარგად აიწყო. მაგრამ ერთ დღეს „ექსპლოატირებული“ ლეო თაქის „კაპიტალისტ“ მეგობართან წარბებშეკრული, გაწიწმატებული და გაცეცხლებული მოვარდა. მაწვნის ქილები სულ დაემტვრია გზაზე. რა მოხდა?

უნივერსიტეტში ერთი პოლონელი ქალიშვილი გაიცნო, სახელად ტანია, დაუახლოვდა, გაეარშიყა, თავი მოაწონა. ქართველი აზნაურის შთამომავალი პოლონელი პანის მემკვიდრეს მდიდარ სტუდენტად ჰყავდა წარმოდგენილი. და უცებ, დილაადრიან, ირეკება მისი ბინის ზარი. ნათდება დერეფანი. იღება კარი. წინ გაშვერილი ხელით მაწვნიან ქილას აწვდის...

— ო, ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო აზნაურო! — ეუბნება ტანია გაოგნებული სახით და ის იყო მიწოდებული ქილა უნდა ჩამოერთმია, რომ ერთ წამში გაწვდილი ხელი მოკვეთილივით დაბლა დაეშვა, ქილა იატაკზე დაენარცხა. მაწონი დაიღვარა. „არაფერია, არაფერია“, მორცხვად გაიძახოდა ტანია, მაგრამ ვის ეცალა მის მოსასმენად. გაფითრებული და დარეტიანებული „მემაწვნე“ ქუდმოგლეჯით ჩარბოდა კიბეებზე. რაღა მაინცდამაინც იმ ქალიშილის ბინას მიადგა! რაღა მისი მისამართი მისცა „პატრონმა“! განა ეს სასაცილო არ არის? როგორ შეხვდეს, რა უთხრას, რით იმართლოს თავი?..

მაგრამ „თავის მართლებისათვის“ დრო არ რჩება. გაცხარებულ მუშაობაში სწრაფად გადის. 1912 წელს იგი წერს პირველ საბავშვო მოთხრობას „ძაღლი და კატა“. 1913 წელს ამას მოჰყვა მოთხრობები და ნოველები: „ზღაპარი ბედნიერებაზე“, „იმედები“, „ორი სტრიქონის ამბავი“, „პატარა ისტორია“ და პირველი ლიტერატურული წერილი „ინდოეთის დიდი პოეტი და მწერალი რაბინდრა-

ნათ თაგორი". ეს თითქმის უტოლდებოდა მოსკოვში ოთხი წლის მუშაობის ნაყოფს.

ლეო ქიაჩელი გულისხმიერად მოეკიდა კრიტიკის სამართლიან შენიშვნას და უმაღლესი განათლების მიღებისათვის მუშაობასთან ერთად მტკიცედ ჩაუჯდა ქართულ წიგნებს, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ მოიპოვებოდა მაშინ ჟენევის უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და აგრეთვე ქართველი ემიგრანტების მიერ აქ დაარსებულ ბიბლიოთეკაში. თვით ქართული გარემოც და ატმოსფეროც ხელს უწყობდა ამას. ამიტომ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქ, ჟენევაში, შეისწავლა მან მთელი თავისი სიღრმით ჩვენი მდიდარი ძველი და ახალი ქართული კლასიკური ლიტერატურა, ჩვენი ქართული ხატოვანი ენა. ჩვენი ხალხის გმირული წარსული, მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერება და მასში ჩაქსოვილი დაუშრეტელი სიბრძნე.

მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსების, კერძოდ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის. ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის და სხვათა შემოქმედების საფუძვლიანად შესწავლამ დიდად გააფართოვა ქიაჩელის მხატვრული აზროვნების დიაპაზონი, მჭიდროდ დაუახლოვა ის რეალისტურ სტილს და ამით მძლავრი ბიძგი მისცა მის შემოქმედებით განვითარებას. მწერლის მტკიცე და შეუპოვარი, დაძაბული და დაუღალავი შემოქმედებითი შრომის შედეგი მთელი თავისი სისავსით გამოვლინდა „ტარიელ გოლუაში", რომლის „დაბადების" ადგილად ჟენევა ითვლება. ამ მხრივ ეს ქალაქი ახლობელი და საინტერესოა ჩვენთვისაც.

„ტარიელ გოლუა"

გენეზისური საფუძვლები. ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შ ე ქ მ ნ ი ს ისტორია ავტორის მიერ მისი ჩაფიქრებიდან იწყება. დრო ამ პირველი შემოქმედებითი პროცესიდან პირველ, ვარიანტისეულ და საბოლოო ხელნაწერამდე შეიძლება ხანგრძლივიც იყოს და ხანმოკლეც. ეს დამოკიდებულია შთაგონების იმპულსურ ძალაზე, მწერლის ინდივიდუალურ თვისებაზე, მის მიერ შეგრძნების გზით მეხსიერებაში აღბეჭდილ შთაბეჭდილებათა აბსტრაგირების, რეალურ ფაქტთა მხატვრულ მასალად, მხატვრულ

სახედ და სიტუაციებად გარდაქმნის, წარმოსახვისა და გარდასახვის, სხვათა საკუთარ სულში „შემოსახლების“ და საკუთარის იმ სხვაში გასხვისების უნარზე, ერთი სიტყვით, იმ სამუშაო „დაზგის“ მოწესრიგებასა და სრულყოფაზე, რომელსაც მწერლის „ლაბორატორია“ ეწოდება. უკანასკნელ ხანებში არის ცდა ლიტერატურისმცოდნეობას ცალკე მეცნიერულ დარგად გამოეყოს შემოქმედების ფსიქოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს სწორედ მწერლის ამ „ლაბორატორიის“ შესწავლას, შემოქმედებითი პროცესის კრიტერიუმების, კანონზომიერებების, სტადიების განსაზღვრას, მხატვრული ნაწარმოების შექმნის რთული ლაბირინთების განვრეტას.

ცნობილი რუსი მეცნიერი ბორის მეილახი შემოქმედების ფსიქოლოგიის კონკრეტულ ამოცანად თვლის „მწერლის მიერ თავისი ნაწარმოების შექმნის დროს ცხოვრებისეულ მოვლენათა გადამუშავებისა და განზოგადების პროცესის გამოკვლევას“[1]. მაგრამ რადგან ეს გამოკვლევა ცნობიერების, ფანტაზიის, მხატვრული აზროვნების უხილავ და მიუწვდომელ სფეროს განეკუთვნება, შემოქმედების ფსიქოლოგია უძლურია რაიმე ზოგადი პრინციპები შეიმუშაოს სუბიექტის ტვინის სიღრმეში მიმდინარე, ე. წ. წარმოსახვითი სტადიებისათვის. ამიტომ იგივე ბ. მეილახი თავის მეტად საინტერესო წიგნში „პუშკინის მხატვრული აზროვნება, როგორც შემოქმედებითი პროცესი“ იმ დასკვნამდე მიდის, რომ „შემოქმედებითი ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ფაქტიურად არ არსებობს“, რომ მას უკანასკნელ დრომდე განიხილავდნენ „იდეალიზმის სინონიმადაც კი“[2].

მაგრამ შემოქმედების ფსიქოლოგია თანდათან მტკიცედ ეითარდება და მისი მონაცემების გათვალისწინება აუცილებელი ხდება ამა თუ იმ მხატვრული მოვლენის გენეზისური საფუძვლების ძიებისათვის. ამ შემთხვევაში მწერალთა შემოქმედებითი მოღვაწეობის საერთო კატეგორიებში მოქცევა მათი ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ი დიფერენცირების გარეშე გაუმართლებელი იქნებოდა. რა დაედო საფუძვლად „ტარიელ გოლუას“ შექმნას? რამ მისცა ბიძგი ან იმ-

---

[1] Б. М е й л а х, Художественное мышление Пушкина как творческий процесс, М.-Л. 1962, стр. 25.

[2] о ჯ ვ ე, გვ. 15.

პულსი მწერალს მის დასაწერად? მოვუსმინოთ ჯერ თვით ლეო ქიაჩელს.

აი, რა მოგონება მოგვაწოდა მან ჩვენი თხოვნით 1950 წელს „ტარიელ გოლუას“ შექმნის, მისი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ისტორიიდან (ტექსტი ინახება ჩვენთან):

„ბავშვობაში მიღებულ ცხოვრებისა და ბუნების შთაბეჭდილებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მწერლის შემოქმედებისათვის. მეტწილ შემთხვევაში ისინი შთაგონების წყაროს წარმოადგენენ, ხშირად კი საფუძვლად ედებიან ამა თუ იმ მხატვრული სახის შექმნის პროცესს ან მის პირველ ჩასახვას. ჩემი ბავშვობის მოგონება, მოგონება იმ ადგილებისა, რომელთაც პირველი სიხარული მაგრძნობინეს, გახსენება იმ ადამიანებისა, რომელთაც სიყვარული შთამბერეს და ალერსის ძალა მაგრძნობინეს ან გამაკვირვეს, დამაფიქრეს და ამით დამამახსოვრდნენ, — აი ის, რამაც თავდაპირველად წერის სურვილი დამიბადა. მოგიყვებით ერთ დამახასიათებელ მაგალითს.

სოფელ ობუჯში, სადაც მე დავიბადე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ერთი პატიოსანი მშრომელი გლეხი ბაჩუა. მას ჰყავდა მუნჯი შვილი, რომელსაც სახელად ძიკი ერქვა. ეს იყო ჯანღონით სავსე ახალგაზრდა, ბრგე ვაჟკაცი. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ძიკი არ მენახა. თავს მოვიყრიდით ბავშვები და შორიახლო დავსდევდით ამ უცნაურ ადამიანს, რომელსაც ლაპარაკი არ შეეძლო. სევდიანი თვალები ჰქონდა და მეტად კეთილი იყო ჩვენდამი. ეტყობოდა ძალიან უნდოდა ელაპარაკნა. სულ იმის ცდაში იყო, რომ სიტყვა გამოეტეხნა. პირიდან კი უცნაური ლუღლუღი ამოსდიოდა, თუმცა სახის გამომეტყველებით, ხელების შლით და ტანის მოძრაობით მაინც გვაგებინებდა, რაც უნდა ეთქვა. ჩვენ ვგრძნობდით, რომ იტანჯებოდა საწყალი, თანავუგრძნობდით, ვამჩნევდით, რომ ხალხსაც უყვარდა და ეცოდებოდა იგი.

და, აი, გაიარა ბავშვობამ, განვლეს წლებმა — არა ერთმა ათეულმა და ჟენევაში ემიგრანტად ყოფნისას ჩემს ცნობიერებაში უნებლიედ გაცოცხლდა მუნჯი ძიკის სახე, მომაგონდნენ ამ სახესთან დაკავშირებული ამბები და შთაბეჭდილებანი. დამებადა აზრი მოთხრობის გმირის პროტოტიპად გამომეყენებინა ჩემი ძველი ნაცნობი მუნჯი, რომელსაც მამამისის კეთილხმოვანი სახელი ბაჩუა დავარქვი, მით უმეტეს, რომ სახელი ძიკი ადრინდელ ნოველა-

ში მქონდა ნახმარი. ბევრი ეეცადე, მაგრამ მოთხრობა მაინც არ გამოდიოდა, სულ რაღაც მნიშვნელოვანი აკლდა ჩემს ბაჩუას. იგი მხოლოდ საბრალო მუნჯი იყო და მეტი არაფერი: ეს კი არ კმაროდა იმისათვის, რომ მოთხრობა მხატვრულად საინტერესო გამომდგარიყო. თავს მაინც ვერ ვანებებდი. ალღო მეუბნებოდა, რომ მოთხრობა უთუოდ უნდა დაწერილიყო. მალე მივხვდი, რაც იყო საჭირო: მუნჯი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი უნდა გამეხადნა, რომ მხატვრულადაც საინტერესო გამოსულიყო. ბაჩუას საზოგადოებრივი ფუნქციის ძიებაში მომაგონდა 1904—1905 წლის რევოლუციური მოძრაობა სოფლად. თავისუფლებისათვის პრძოლის ეპიზოდები. ვიგრძენი, რამდენად აამაღლებდა, გააკეთილშობილებდა ბაჩუას სახეს, თუ მას გარკვეულ როლს მოვუნახავდი ამ ხალხურ მოძრაობაში, რომელსაც კარგად ვიცნობდი.

1905 წელს ხარკოვის უნივერსიტეტიდან სამშობლოში დაუბრუნდი. ამ დროს სამეგრელოს, განსაკუთრებით მისი მთიანი სოფლების გლეხობა აჯანყების ალში იყო გახვეული. აჯანყებულებს თავისი ხელმძღვანელები ჰყავდა. მათ შორის სახელგანთქმული იყო. უპირველესად ყოვლისა, გლეხი სიმონ თოლორდავა. მისი სამოქმედო რაიონი იყო მთიანი სამეგრელო — მუხური. წალენჯიხა, ჩხოროწყუ და სხვა ადგილები. ის იყო გლეხთა სტიქიური მოძრაობის ნამდვილი ბელადი, გაბედული, შეურიგებელი, ისტორიული უტუ მიქავას ხასიათის მებრძოლი, რომელმაც მოკლე ხანში დაიპყრო მთელი ზემო სამეგრელო, სადაც თავისი მართვა-გამგეობა დაამყარა. იგი არ ემორჩილებოდა არც ერთი რევოლუციური პარტიის დისციპლინას, ყავდა თავისი შეიარაღებული რაზმები; თავს ესხმოდა მემამულეებს, სწვავდა სოფლის კანცელარიებს, სიკვდილით სჯიდა ურჩებს და მავნე მოხელეებს.

ამაკე დროს სამეგრელოს მეორე ნაწილში (ჭაქვინჯსა, კირცხსა, ობუჯსა, ჯაღრასა და სხვა ადგილებში) აჯანყებულ გლეხებს სათავეში ედგნენ გლეხები ვასილ და დიმიტრი გეთიები, რომლებიც აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ.

მე ვიცნობდი მათ, ვიცნობდი აგრეთვე იმ თავკაცებს, რომლებიც ხალხური სტიქიური მოძრაობის აქტიური მონაწილენი იყვნენ.

„ბაჩუას" თემაზე ფიქრმა თანდათან მიმიყვანა ამ ხალხური მოძრაობის მხატვრული ასახვის აზრამდე. ეს გამაბედვინა იმ გა-

რემოებამ, რომ ჩემს მეხსიერებას შემოენახა უამრავი მასალა, იმ დროის დამახასიათებელი და, რაც მთავარია, პირადი ნაცნობი ადამიანები, ვინც სახელი გაითქვა რევოლუციურ ბრძოლებში, ვინც ცოცხალი გადარჩა, თუ დაიღუპა ან გადასახლებაში მოჰყვა.

ამნაირად ჩემი მუნჯი ბაჩუა ნაწარმოებში „ერთობის“ ერთ-ერთ მონაწილედ გახდა, რამაც მას შემატა ის, რაც თავდაპირველად აკლდა. მაგრამ ამასთანავე მოთხრობამ პირვანდელი სახე და შინაარსი შეიცვალა — მისი გმირის ადგილი ახლა სხვამ დაიჭირა და უფრო მნიშვნელოვანმა ძალებმა წამოჰყვეს თავი. ესენი იყვნენ ტარიელ გოლუა, ლევანი, ბეჟანი, გიო და ა. შ. ჩემმა პირვანდელმა ბაჩუამ დიდი სამსახური გამიწია: — ტარიელ გოლუას სახეს მიმაგნებინა. რომელსაც მან თავისი მთავარი როლი დაუთმო. ამ შემთხვევაშიც საბრალომ ხალხის საყვარელ გმირს შესწირა თავი.

ამნაირად, საბოლოოდ გაიმართა ჩემი პირველი რომანი „ტარიელ გოლუა“.

ტარიელს ისეთი პროტოტიპი არ ჰყავს, როგორც, მაგალითად, ბაჩუას. იგი ხალხური, ოდნავ იდეალიზებული ლიტერატურული სახეა. რომელიც უეჭველად შეიცავს კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშნებს იმ ადამიანებისას, რომელთაც ვიცნობდი ბავშვობაში და შემდეგ. ასეთს მაღალს, ტანახოვანს, პირდაპირსა და თავმომწონე გლეხებს, დიდი საზოგადოებრივი ზნეობისა და გმირული, ხალხური ტრადიციების მატარებელს მე ბევრს ვიცნობდი ჩემს ცხოვრებაში. კერძოდ, ობუჯში მე ვმეგობრობდი ბავშვობაში და შემდეგშიც — მთის ხალხის ამნაირ წარმომადგენლებს (მეჯოგე ფიფიებსა და მესხიებს), აღსავსეთ ფიზიკური და სულიერი სიკეთით, რომელთა მოგონება ახლაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ამათი მხატვრული ანარეკლია ჩემი ტარიელ გოლუა.

ბუნების პეიზაჟის პროტოტიპად გამოყენებული მაქვს ობუჯისა და მისი მეზობელი სოფლების კონკრეტული ბუნებრივი სურათები. მაგალითად, ლევანის მოკვლის ადგილი ზუსტად გადმოღებული მაქვს ჯალრას ადგილმდებარეობიდან, რაც მდინარე ჭანისწყლისა და მისი გარემოს მცნობთათვის ადვილი მისახვედრია“[1].

ამ მოგონებით მწერალმა ნაწილობრივ შეგვახედა თავის „შემოქმედებით ლაბორატორიაში“ ისევე, როგორც ადრე ეს გააკეთეს მიხე-

[1] ა კ. თ ო ფ უ რ ი ა. ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში, მეორე გამოცემა, 1956, გვ. 61—63.

ილ ჯავახიშვილმა (იხ. მისი „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, ჟურნალი „დროშა“, 1933, № 9 და „როგორ ვმუშაობ“, ჟურნალი „მნათობი“, 1933, № 10) და კონსტანტინე გამსახურდიამ (იხ. მისი „როგორ ვწერ“, გაზეთი „სიტყვა და საქმე“, 1933, № 38). მაგრამ „ტარიელ გოლუას“ შექმნას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ მეორე ცხოვრებისეულმა ნედლმა მასალამაც, რომელიც ერთგვარი დრამატული სიუჟეტის სახით ღრმად იყო შემონახული მწერლის ცნობიერებაში. მოვუსმინოთ მწერლის თანამედროვეებს, ამ მასალის და ამ „დრამატიზმის“ ცოცხალ მოწმეებს.

1. ი ს ი დ ო რ ე პ ა ხ ვ ა ლ ი ს ძ ე მ ე ს ხ ი ა, 72 წლის, ობუჯის მცხოვრები: „პატარაობიდანვე ობლად დავრჩი და ვიზრდებოდი ობუჯში მცხოვრები ჩემი ახლო ნათესავის მათე მესხიას სახლში. მათე იყო მთელ სოფელში საკმაოდ ცნობილი პატიოსანი მშრომელი გლეხი, რომელსაც ხშირად ირჩევდნენ მედიატორედ, როცა სადმე ძმების გაყოფა, ქალის დანიშვნა ან სხვა მსგავსი რამე მოხდებოდა. ჰკუის საკითხავ კაცად იყო მიჩნეული. ყოველთვის სწორად სწყვეტდა სადაო საკითხებს და გონივრულ აზრებს გამოთქვამდა. მე რომ 10—12 წლის ვიყავი, მაშინ ის 50—60 წლის იქნებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი შესახედაობა: ტანად იყო არც ისე მაღალი, მაგრამ ჯმუხი, ჩასკვნილი აგებულებისა, შავი ულვაშები ჰქონდა, ძლიერ შევნოდა წინ მკერდამდე დაფენილი წვერები, ხშირად იცვამდა ჩოხა-ახალუხს წელზე შემორტყმული ხანჯლით, თავზე ხან ყაბალახი ეხურა, ხან სვანური ქუდი, რაც მაშინ საერთოდ მოდაში იყო ჩვენს სოფელში.

მათე ცხოვრობდა სამესხიოს უბანში, მას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი მაქსიმე, რომელიც 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. ამ მოძრაობის ხანაში მე ასე, 14—15 წლისა ვიქნებოდი. მაქსიმე კი 23 — 25 წლისა. რადგან მათე ჩემ აპეკუნად ითვლებოდა და მე მის სახლში ვიზრდებოდი, მაქსიმეს ჩემი დიდი სიყვარული ჰქონდა და მე მისდამი პატარაობიდანვე განსაკუთრებული გრძნობით ვიყავი დაკავშირებული. მაქსიმეს დედას კაზილხანი ერქვა. ქმრისა და შვილის მეტად მოსიყვარულე და სიკეთით აღსავსე ქალი იყო. მაქსიმე საშუალო ტანის კაცად ჩაითვლებოდა. მაგრამ მამასავით ძლიერ მკვრივი აგებულებისა იყო. იცვამდა უფრო ხშირად ჩაფურა ტანისამოსს. მაქსიმემ იცოდა კალატოზობა. ეს ისწავლა მისი ბიძაშვილისაგან ლევან მესხიასაგან, რომელიც სო-

ფელში მაშინ ცნობილ რევოლუციონერად იყო მიჩნეული. მაქსიმე ისე დაოსტატდა თავის ხელობაში, რომ ყველგან იწვევდნენ სამუშაოდ. დღით კალატოზობდა, ღამე კი იარაღში ასხმული დადიოდა სოფელში და ითვლებოდა „ერთობის“ საქმის ერთგულ კაცად. ხშირად მინახავს ერთად თავმოყრილი მაქსიმე, ლევანი, ფარნა კაკაჩია, ვასო გეთია, დიმიტრი გეთია, ძაკა მესხია და სხვები, რომლებიც „ერთობის“ თავკაცებად იყვნენ მიჩნეული. ძაკა მესხია დაკავშირებული იყო გურიასთან და გურული გლეხების აჯანყების შესახებ ამბები იქიდან ჩამოჰქონდა.

„ერთობის“ თავკაცები ფარულ კრებებს ღამე ატარებდნენ. ასეთი კრებები ხშირად იწვეოდა სამესხიოს უბანში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად სამესხიოს დაწყებითი სკოლის შენობა დგას. ეს ადგილი ყველაზე ამაღლებული და ბუნებრივად მეტად მოხერხებული ადგილია მთელ სამესხიოს უბანში და ობუჯშიაც კი. აქ წინათ ტყე იყო. სოფლის ცენტრს მოცილებული იყო და ერთგვარ თავშესაფარ ადგილად იყო მიჩნეული. კრება იწვეოდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლაც დგანან უშველებელი ცაცხვის ხეები მიწის ზემოთ ამოყრილი და დახლართული ვეება ფესვებით. ხალხი ჩუმ-ჩუმად ღამე ამ ცაცხვების ძირში იკრიბებოდა. მისასვლელ გზებზე ყველგან ყარაულები ეყენათ. მე არაერთხელ წაუყვანივარ ასეთ კრებებზე მაქსიმეს, რადგან ძლიერ მენდობოდა და ვუყვარდი. მოქადაგეთა შორის უფრო მეტად მსმენია ვასო გეთიას სახელი. პირადად მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ მაქსიმესაგან ხშირად გამიგონია, ჩვენი მეთაური და ხელმძღვანელიაო.

ერთხელ მაქსიმეს გრიგოლმა გააკეთებინა ქვის ღობე-ყორე (გალავანი). გრიგოლ შენგელაიას ჰყავდა სამი შვილი. მათ შორის ერთი ქალიშვილი იყო. მას სახელად ერქვა ქინა (შინაურობაში ქიონიას ეძახდნენ). ქინა ახალგაზრდობაში მეტად განთქმული სილამაზის ქალი იყო. ეს სილამაზე მას, მიუხედავად მოხუცებულობისა, ახლაც შენარჩუნებული აქვს.[1] მაქსიმეს გრიგოლის სახლში ორ თვეზე მეტ ხანს მოუხდა მუშაობა. ამ დროს ის ხშირად ხვდებოდა ქინას. თანდათან ვაჟს ძლიერ შეუყვარდა. ქალიც თანაუგრძნობდა და პირობა ჰქონდა მიცემული გაყოლოდა ცოლად. მათ შორის სპეტაკი სიყვარულით განმტკიცებული მეტად ტკბილი ურთიერთობა დამყარდა. მავრამ აღებული სამუშაოს დამთავრების შემდეგ ვაჟს საშუალება არ ჰქონდა ყოველთვის შეხვედროდა ქალს. მშობლებმა

[1] ლაპარაკია მოგონების ჩაწერის დროზე, 1954 წელზე.

ადრევე შეამჩნიეს ქალის მიდრეკილება და ეზოდან გასვლაც კი აუკრძალეს. მაქსიმე ძლიერ განიცდიდა ამას. მან წერა-კითხვა იცოდა და რაკი მის საიმედო თანაშეზრდილად ვითვლებოდი, ხშირად მიყენებდა ქინასთან წერილობითი ურთიერთობის დასამყარებლად.

გრიგოლ შენგელაია ცხოვრობდა სოფლის ეკლესიის ზემოთ, ჩვენი სახლისაგან ცოტა მოშორებით. მე გრიგოლის სახლში პირველ ხანებში შეუმჩნეველად ვახერხებდი მისვლას და ქინას ვაწოდებდი მაქსიმეს წერილებს, სამაგიეროდ ქინასაგანაც მომქონდა. მერე ეპვი აიღეს სახლში და მისვლა გამიძნელდა. ამის შემდეგ წერილს ჩუმად შევდებდი წინასწარ დათქმულ ღობე-ყორის გამოხრულ ადგილში, ქინამ იცოდა ეს ადგილი, მივიდოდა, წაიღებდა, მეორე დღეს მე მივაკითხავდი იმ ადგილს და საპასუხო წერილი დამხვდებოდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, სანამ მათ შორის ურთიერთობა ფარულ ხასიათს ატარებდა. მაქსიმეს გადაწყვეტილი ჰქონდა აუცილებლად შეერთო ცოლად ქინა. უკიდურეს შემთხვევაში მოეტაცა. ქალი პირდებოდა სახლიდან გაპარვას. ეს ამბავი სოფელში მითქმა-მოთქმის საგანი შეიქნა. მშობლებმა რომ ეს გაიგეს, სასტიკად განრისხდნენ. მამას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ჩამოეცილებინა გზიდან მაქსიმე.

მაქსიმე, როგორც აღვნიშნე, შენიშნულ კაცად ითვლებოდა. მას სხვებთან ერთად დევნიდნენ. ერთხელ დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ მამამისის — მათეს დიდი თხოვნისა და პირობის დადების შემდეგ გაანთავისუფლეს. 1905 წლის „ბუნტობის“ პერიოდში კვლავ დაასმინეს. მაქსიმემ გადაწყვიტა დროებით ტყეში გახიზვნა. იმ დროს ცნობილი ყაჩაღი ლუკა ლათათია და მაქსიმე ადრე განუყრელი მეგობრები იყვნენ. მაქსიმე არავის არ ენდობოდა ისე, როგორც ლუკას. როცა მთავრობა დევნას დაუწყებდა, მაშინვე ტყეს შეაფარებდა თავს და ლუკასთან ერთად ცხოვრობდა. გრიგოლი გრძნობდა, რომ მაქსიმეს ისეთ წრესთან ჰქონდა კავშირი, რომ ქალის გატაცება ადვილად შეეძლო. ამიტომ მან წინასწარ გამაფრთხილებელი ყოველგვარი ზომა მიიღო. ქალი ოთახში ჰყავდათ გამომწყვდეული და სახლის დაცვაც გააძლიერეს.

როცა მაქსიმე მეორედ კვლავ გაიხიზნა ტყეში და დაუკავშირდა თავის მეგობარს ლუკას. ეს უკანასკნელი უკვე გრიგოლის კაცებს მოსყიდული ჰყოლიათ. ამ საქმეში გრიგოლმა გამოიყენა მისი დისშვილი ვარლამ ჩიქვანი, რომელიც ერთი თავზეხელაღებული, უჩვე-

ულო გაბედულებისა და ყოველ საქმეში გამოსადეგ კაცად ითვლებოდა. ვარლამის სახელი ამ მხრივ ასლაც ფართოდაა ცნობილი შოელს ჩვენს არემარეში. ვარლამს უყვარდა ობუჯის მოსაზღვრე სოფლის დიდი მემამულის კიტი ხეცას ქალიშვილი, ამიტომ კიტის ოჯახთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და ხშირად ყარაულობდა კიდეც მის ეზოს. რათა დაეცვა იგი „ავი" კაცებისაგან. კიტი ხეცას შორეულ ნათესავად ითვლებოდა ყაჩაღი ლუკა ლათათია. ვარლამს შესაძლებლობა ჰქონდა ხშირად შეხვედროდა კიტის სახლში ლუკას და დაახლოებოდა კიდეც. გრიგოლმა ყველაფერი ეს კარგად იცოდა. გრიგოლი შეპირდა ვარლამს კიტისთან საქმის მოგვარებას. თუ ის მაქსიმეს ჩამოაცილებდა მის ქალიშვილს. ვარლამმა კიტის მეშვეობით დაიახლოვა ლუკა და ფულით მოისყიდა ის. როცა მაქსიმე კვლავ ძველებურად მიენდო მას ტყეში, ამ დროს მას თურმე გულში ბოროტი ზრახვა ჰქონდა ჩადებული.

ლუკა და მაქსიმე ჯაღრის უდაბურ ტყეში იმალებოდნენ. ლუკასთან ერთად იყო აგრეთვე მეორე ცხობილი ყაჩაღი ნესტორ შეროზია. რომელიც მაქსიმეს ბიძაშვილის ლევანის ახლო მეგობარი იყო.

ერთ ღამეს ლუკა და მაქსიმე მარტოდ დარჩენილიყვნენ ჯაღრის ტყეში. წინ მაქსიმე მიდიოდა ბილიკზე თურმე. უკან ლუკა მიყვებოდა. ჯაღრის მცხოვრებლებს ღამე ვაეგოთ სროლის ხმა და კაცის ყვირილი. მაგრამ ტყეში შესვლას ვინ გაბედავდა. მეორე დღეს დილით ჯაღრის მცხოვრებს ენახა გზის პირად. პატარა ვაკე ადგილზე დაგდებული მაქსიმეს გვამი. მაქსიმეს მოკვლის ამბავი პირველად მე გავიგე. მაშინვე გავიქეცი და ვნახე. ტყვიას გულმკერდი გაეგლიჯა. ახალგაზრდა. სიცოცხლით სავსე ადამიანის მთელი სხეული დაფლეთილი იყო. მერე ხალხმაც მოიყარა თავი. მათეც მალე გამოჩნდა. მამა ხორცს იგლეჯდა კბილებით. ერთადერთი შვილის დაღუპვას ძლიერ განიცდიდა.

მაქსიმეს მკვლელობამ ძლიერ იმოქმედა მის ბიძაშვილზე ლევანზე. რომელიც დიდხანს გლოვობდა მას. წვერებს არ იპარსავდა. მან პირობა დასდო მაქსიმეს ცხედრის წინაშე შური ეძია მისი მოკვლისათვის. ლევანს მეც ვეხმარებოდი ამ საქმეში. მათემ და ლევანმა მოისყიდეს ლუკას გულითადი მეგობარი ყაჩაღი ნესტორ შეროზია. ნესტორი „ერთობას" თანაუგრძნობდა. ის მეტად ნაწყენი იყო ლუკას მოქმედებით. მეგობრის მოღალატე არც სხვას დაინდობსო. ღალატს ღალატით უნდა პასუხიო და „ერთობის" საქმისადმი თა-

ვისი ერთგულება იმით დაამტკიცა. რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ლევანს მოაკვლევინა ლუკა.

მაქსიმეს მოკვლას ქინა დიდი მწუხარებით შეხვდა. მაშინვე მივიდა სატირლად, როგორც კი გვამი სახლში მიასვენეს. მათემ პირველ ხანებში წინააღმდეგობა გაუწია, შენ მომიკალი შვილი და აქ რა გინდაო, მაგრამ შუაკაცები ჩადგნენ, ქინას საქციელი გაამართლეს და მაქსიმე მაინც ატირებინეს. ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ქინა საზოგადოებაში გამოსული არაფის უნახავს. შვები ეცვა და დიდხანს გლოვობდა თავის პირველ შეყვარებულს"[1].

2. ევგენი ფუჩუნას ძე ფიფია, სოფ. ობუჯის მცხოვრები, 97 წლის: „ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ორი გრიგოლ შენგელაია. ერთი იყო გრიგოლ დავითის ძე და ცხოვრობდა სოფლის ეკლესიასთან ახლო, მიხას მეზობლად. იგი ლეოს ბიძაშვილად ითვლებოდა. მეორე, გრიგოლ ჯუკუს ძე შენგელაია ცხოვრობდა ობუჯიდან მოშორებით, ჭანისწყლის გაღმა, ჯაღრაში (ჯაღრა ძველადაც და ახლაც ობუჯში შემავალი სოფელია). იგი იყო ენაკვიმატიანი კაცი. მუდამ იკბინებოდა და ავიწროებდა გლეხებს. გრიგოლ დავითის ძე შენგელაია კი ოქრო კაცი იყო. სოფლის მწერლად მუშაობდა. მისი განაწყენებული კაცი არავინ იყო. ჰყავდა სამი შვილი. ორი ძმა და ერთი და. ქალს ერქვა ქინა. გრიგოლის მეზობლად ცხოვრობდა მაქსიმე მათეს ძე მესხია. ახალგაზრდა იყო, 21-22 წლისა. მუშაობდა კალატოზად გრიგოლის სახლში. ქვის გალავანს უკეთებდა. ამიტომ გრიგოლის სახლში ყოფნა ხშირად უხდებოდა. ვაჟს შეუყვარდა გრიგოლის ქალიშვილი ქინა. ქინასაც უყვარდა და თანაუგრძნობდა. გრიგოლი კარგი კაცი იყო, მაგრამ სისასტიკე გამოიჩინა ამ საკითხში. იგი სასტიკად წინააღმდეგი იყო გლეხის შვილს შეერთო მისი ქალი. არც მაქსიმეს მამას მათეს უნდოდა ეს საქმე გაკეთებულიყო. მაქსიმე მოკლეს ჯაღრასთან ახლოს, ოჩიტალეში"[2].

3. იოსებ ბახვას ძე კაკაჩია, სოფელ ობუჯის მცხოვრები, 90 წლის: „1905 წელს ლეო ჩვენს სოფელში ბევრჯერ მინახავს. მინახავს იგი მოქადაგეც. სოფელში გაჩნდნენ წითელრაზმელები. მათე მესხია, მისი შვილი მაქსიმე, გუჯა მესხია, მისი შვილი

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 26252, გვ. 1—6.

[2] იქვე, გვ. 18—19.

ლეკიანი მოძრაობაში შენიშნული კაცები იყვნენ. ჰაქვინჯი ობუჯის მეზობელი სოფელია. 1905 წელს დამსჯელი რაზმი ჰაქვინჯამდე მოვიდა. ბევრის სახლ-კარი გადაწვეს. მათ შორის დიმიტრი გეთიასი. დიმიტრი გეთია დიდი მებრძოლი გლეხი იყო. იგი ჯალათებმა მოკლეს ჯაღრის ტყეში მუხანათურად. დიმიტრის თანამოაზრე და მეგობარი იყო მაქსიმე მესხია. მან იცოდა კარგი ბუხრის გაკეთება.

ერთხელ გრიგოლ შენგელაიამ მოინდომა ეზოს შემოკავება ქვის ღობე-ყორით. მიმართა მაქსიმეს: გამიკეთე და რა მოგცეო. მაქსიმემ უპასუხა: ფული არ მინდა, შენი ქალი მომათხოვეო. გრიგოლს ხუმრობით ეთქვა: ქალს თუ შეუყვარდები, მისი ნებააო. ბიჭს მართლა ჩავარდნია ქალის სიყვარული გულში. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მაქსიმემ... მოინდომა ქალის მოტაცება. შექმნა ამხანაგების რაზმი. გრიგოლმა დაიწყო შვილის დაცვა. ამის თაობაზე შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური. ეს ემთხვევა იმ დროს, როცა „ერთობის“ მოძრაობა გაძლიერებული იყო. გრიგოლმა გააძლიერა შვილის დაცვა. ამ საქმეში მან გამოიყენა დისშვილი ვარლამ ჩიქვანი, რომელიც მაშინ ცნობილი მემამულის კიტი ხეციას ყარაულად ითვლებოდა. კიტის ჰყავდა ქალიშვილი. მისი შერთვა უნდოდა ვარლამს. კიტი იყო ობუჯის მეზობელი სოფლის მემამულე. ვარლამი დაუკავშირდა ყაჩაღ ლათათიას. მაქსიმე მოკლეს 1905 წელს სარაქონის ტყეში, ჩეღალეს ნაპირთან. ამავე წელს დაახლოებით ამ ადგილთან მოკლეს დიმიტრი გეთიაც. ბაჩუა ფიფიას ორი შვილი ჰყავდა. ორივე ბიჭი. მაო შორის ძიკი მუნჯი იყო.

„ერთობის“ რაზმები თავს იყრიდნენ ჩუმ-ჩუმად მისარონის ტყეში, ცაცხვების ძირში. მე ხშირად დავსწრებივარ ქადაგებას. ობუჯში ყველაზე გვიან შემოვიდა „ერთობა“. მეზობელ სოფლებში ჰაქვინჯში, კირცხში, ხიბულარში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში და სხვაგან მაშინ აჯანყება მოდებული იყო. პრისტავი სოლომონ შენგელაია სასტიკად დევნიდა რევოლუციონერებს და ალბათ ამითაც აიხსნება ეს. მაგრამ თითო-ოროლა რაზმები მეზობელი სოფლებიდან მაინც შემოიპარებოდნენ. მათ შემოჭონდათ ახალი აზრები. ასეთები იყვნენ ვასო და დიმიტრი გეთიები. მათთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლეო“[1].

4. ანდრია ბიტუს ძე მირცხულავა. ობუჯის მცხოვრები. 70 წლის: „რაც შეეხება მათე მესხიას შვილის მაქსიმესა და

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 26252, გვ. 13—14.

აზნაურ გრიგოლ შენგელაიას შვილის ქინას სიყვარულის ამბავს, დანამდვილებით ვიცი, მაქსიმეს ნამდვილად უყვარდა ქისა. პირველ ასებში ეს ხუმრობის ნიადაგზე დაიწყო, მაგრამ შემდეგ მართლაც ძალზე გართულდა. მაქსიმე კარგი ვაჟკაცი იყო და ცხიბოლი კალატოზიც. გრიგოლს ღობე-გალავანს უკეთებდა. გრიგოლის ცოლი ვარანე ეხუმრებოდა თურმე, კარგად გამიკეთე და ქალიშვილს მოგათხოვებო. მაქსიმეს გულში ჩავარდნია ქალის სიყვარული. შეუყვარებია შშობლებს. მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. ამის შემდეგ მოინდომა ძალით წაეყვანა ქალის. მაქსიმემ ამხანაგები გაიჩინა. მთელი მესხეთი დაირაზმნენ. გრიგოლი შიშში ჩავარდა. ოცდაათამდე კაცი ჩუმად ყარაულად ჰყავდა. გლეხის შვილს უკადრისობდა. გრიგოლის დისშვილი იყო ვარლამ ჩიქვანი, ის მაგარი კაცი იყო. თავზე ხელაღებული. ვარლამი გრიგოლის სახლში იყო თითქმის მეტწილად. ეხმარებოდა ქალის დაცვაში. სოფელში ამის თაობაზე მაშინ დიდი მოთქმა-მოთქმა იყო. ვარლამს არ უყვარდა ქინა და არც შეეძლო შეეყვარებინა, რადგან ნაღესავად ითვლებოდა. მას გრიგოლი აყენებდა მაქსიმესაგან ქალის დასაცავად, როგორც უცილად და უშიშარ კაცს. გრიგოლი იყო სოფლის მწერალი, მეტად პატიოსანი, მწიგნობარი და გულკეთილი კაცი. ბაჩუა ფიფია ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მას ჰყავდა მუნჯი შვილი ძიკი. მე და ლეო, სხვა ჩვენ ტოლებთან ერთად, ბავშვობაში ხშირად დავდევნებივართ ძიკის უკან და გვიწვალებია"[1].

საკუთრივ მწერლის და მის თანამედროვეთა ზემოთ მოტანილ მოგონებებში ბევრი რამ არის საერთო, იდენტური, მაგრამ მათ შორის არსებული სხვაობაც ჩვენი დაკვირვების მიღმა არ რჩება. ივა ჩოგორღაც თვით მხატვრული ნაწარმოების ქსოვილშია გაბნეული. მის სიუჟეტს ენასკვება, რომანის კოლიზიას ქმნის. მისი შიდა „დარბაზების" ელვარებაში იფარება.

და ის, რაც ცხოვრებისეულს მხატვრულისაგან აშორებს. რაც მწერლის მიერ სახულ და განცდილ სინამდვილეს ხელოვნებაში ახალ, უფრო ამაღლებულ, გარდაქმნილ და განზოგადებულ სინამდვილედ წარმოგვიდგენს, რაც ყოველთვის გვაჯერებს და გვარწმუნებს მხატვრული სიმართლის სიდიადესა და ცხოველმყოფელურ ძალა-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 26252, გვ. 10.

ში. რაც ანიჭებს მას უფრო მეტ მიმზიდველობას, იდეურ-ესთეტიკურ და შემეცნებით-აღმზრდელობით მნიშვნელობას, ვიდრე ეს თვით ცხოვრებაშია, შედეგია სწორედ იმ შემოქმედებითი პროცესისა, რომელშიაც იშვება და იბადება მხატვრული ნაწარმოები.

ამ პროცესში გადამწყვეტი ადგილი მწერლის ინტუიციას, ალღოს, ნიჭს, ფანტაზიას, მეხსიერებას ენიჭება. მაგრამ ყოველივე ეს ამაოებად იქცევა, თუ მათ არა აქვთ მასასრდოებელი და მასტიმულირებელი წყარო, თუ გარე სამყაროსადმი დაკვირვება, ეპოქისა და დროის სულისკვეთების შეგრძნება არ ემთხვევა იმ შინაკან განწყობილებებს, შეხედულებებსა და იდეალებს, რომლებსაც მოცემულ კონკრეტულ სინამდვილეში ატარებს შემოქმედი ინდივიდი. ასე ვითარდება შემოქმედებით პროცესში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორც ნაწარმოების ძექმნის აუცილებელი საფუძველი.

ასეთი საფუძველი „ტარიელ გოლუას“ შესაქმნელად 1913 წლის მიწურულისათვის, როგორც წინა თავიდან დავინახეთ, ჟურნალისტიკას მიმადებელი იყო. ამიტომ ის დიდი მეტამორფოზა, რომელიც განიცადა შემოქმედებით პროცესში მწერლის დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებების, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის უშუალო სინანულეობის სიღრმეზე დაგროვილმა ზეპირი ნაკვეთებმა ცხოვრებისეულმა მასალამ, პირველ რიგში უდავოდ იმ მსოფლმხედველობაში მომხდარი რადიკალური გარდატეხის, და სწორედ ეს არის იმის მთავარი პირობა, რომ პროფესიონალი

სინამდვილეში მომხდარი რეალური ამბებიდან და დრამატული სიტუაციებიდან შექმნილი მხატვრულ სახეთა სისტემა. ამ სისტემის მეშვეობით გამოისახული და ნაწარმოებში ასახვებრივად გაცოცხლებული სინამდვილე ჰგავს და ვიდეც არ ჰგავს თავის პირველსაწყისს, რომლიდანაც იგი წარმოგვიდგინა მწერალმა. ამ შემთხვევაში ქიაჩელი თავისთავად, ინტუიციით დადგა მხატვრული აზროვნების, სინამდვილის მხატვრული შემეცნების იმ გზაზე, რომელზეც დაც ყოველთვის იდგა და დგას ჭეშმარიტი შემოქმედი, ჭეშმარიტი ხელოვანი. ეს იყო რეალიზმის გზა, ქართული კლასიკური რეალიზმის ტრადიციების გამაგრძელებელი გზა. ამიტომ ხვდა მას ესოდენ დიდი წარმატება. მაგრამ ამავე დროს სწორედ ამიტომ, სწორედ ცხოვრების სინამდვილის ცოცხლად და დამაჯერებლად გამოსახვის

გამო „ტარიელ გოლუამ“ მის ავტორს პირველ ხანებში დიდებასთან ერთად პირადი უსიამოვნებაც მოუტანა.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული გამონაგონის ძალით ნაწარმოებში გამოყვანილი დავითი და მისი ერთადერთი ქალიშვილი თინა მათ გარშემო შექმნილი მხატვრული სიტუაციებით არსებითად განსხვავდებიან მათი რეალური პროტოტიპებიდან, რომ დავითის ენაკვიმატობა და გლეხებისადმი მტრული დამოკიდებულება ემსგავსება გრიგოლ ჯუკუს ძის და არა გრიგოლ დავითის ძე შენგელაიას პიროვნულ ხასიათს, რომ გრიგოლ დავითის ძე შენგელაიას ქიონიას (თინას პროტოტიპის) გარდა სინამდვილეში კიდევ ორი ვაჟი ჰყავდა და ესეც თავისებურ არგუმენტად გამოდგებოდა დავითის სახეში გრიგოლის მიერ საკუთრის ამოცნობის წინააღმდეგ, მაინც, როგორც კი „ტარიელ გოლუა“ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა და იგი ობუჯამდე მივიდა, მასში დავითისა და თინას მდგომარეობის აღწერით თავისი ოჯახის „საქვეყნოდ გაბახება“ დაინახა ლეო ქიაჩელის მამის ახლო მეზობელმა გრიგოლ დავითის ძე შენგელაიამ, რის შედეგად ემიგრაციიდან დაბრუნებულ ლეოსთან მისი პირველი შეხვედრა, თანამედროვეთა მოგონებით, სამწუხაროდ, ცივი მიღებით დამთავრდა.

მწერლისათვის ეს გაუგებრობა, რა თქმა უნდა, მტკივნეული დარჩა. მაგრამ ეს ისეთივე უმიზეზო განაწყენება იყო, როგორც ტურგენევის მიმართ მისი დედის კაპრიზი, რომელმაც „მუმუში“ მრისხანე ქალბატონის სახით თავისი თავის დახატვა დააბრალა შვილს. განა ასე არ აუხირდა ზოგიერთი კუდაბზიკა არისტოკრატი ილია ჭავჭავაძეს „კაცია ადამიანის“ დაწერისათვის? ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიამ ასეთი „სიურპრიზების“ მრავალი მაგალითი იცის. და ამით ოდნავადაც არ მცირდება მისი ღირებულება. პირიქით — რეალიზმის შუქით უფრო მაღლდება და დიდდება კიდეც.

სოციალური ხასიათის პირველ სადებიუტო რომანზე მუშაობა— ეს იყო სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი ქიაჩელის შემოქმედებითი განვითარების გზაზე. მცირე მოცულობის, ცხოვრების ცალკეული ფრაგმენტების იმპრესიონისტული მანერით გამომსახველი ნაწარმოებებიდან იგი გადადიოდა შედარებით დიდ სოციალურ ტილოზე, რომელშიც გლობალურად უნდა გამოჩენილიყო მწერლის ნამდვილი შინაგანი მხატვრული შესაძლებლო-

ბანი. „ტარიელ გოლუას“ თვით ლეო ქიაჩელი აფასებდა, როგორც საკუთარი ძალების დიდ გამოცდას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ორში ერთი: ან პროფესიონალი მწერლობისათვის უნდა მოეკიდა ხელი, ან თავი გაენებებინა მისთვის და ვიწრო იურისპრუდენციის გზას გაჰყოლოდა.

ნაწარმოებზე ლეო ქიაჩელი განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობდა 1914-1915 წლებში, როცა მსოფლიო გახვეული იყო პირველი იმპერიალისტური ომის ცეცხლში. 1914 წლის ოქტომბერში ის უკითხავს თავის ახლად დაწყებული რომანის პირველ ორ თავს დავით სულიაშვილს, აცნობს მონაფიქრს, რომელსაც „ძალიან კარგ“ შეფასებას აძლევს მეგობარი. მაგრამ ჯერ მხოლოდ ფრაგმენტებია, ამიტომ იგი გადაჭრით ვერაფერს ამბობს. სამაგიეროდ ღრმად წამს წარმატება. „თავის საკუთარ ქმნილებას მთელის გულისყურით ეკიდება და უსათუოდ გაიმარჯვებს“[1]. — ასკვნის დავითი. რა აძლევს მას აღმაფრენას? შეგნება იმისა, რომ „რუსეთის არც ერთ კუთხეში ისეთი მძლავრი გაჭანება არ ჰქონია 1905 წლის რევოლუციას, როგორც ჩვენში. ეს ხანა წარუშლელია ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მერედა, ვინ უნდა ასახოს იგი, თუ არა ჩვენ? მე და შენ?“[2] — ეუბნება ლეო დავითს და აქედან, ამ სწორი დასკვნიდან იწყება მისი სამდეილი შემობრუნება მისთვის ყველაზე ორგანული, ახლობელი და „ძვალ-რბილში“ გამჯდარი თემისკენ.

ქართული ლიტერატურისათვის მაშინ უცხო არ იყო ეს თემა. იროდიონ ევდოშვილის რევოლუციური პოეზია, მისი გაელენით 1905-იან წლებში წარმოშობილი რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედება ამის ნათელი დადასტურება იყო. არ დარჩენილა იმ დროის არც ერთი რამდენადმე ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი თუ დრამატურგი, რომელიც უშუალოდ არ გამოხმაურებოდა 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ამბებს. სწორედ იმ დროის მღელვარე შთაბეჭდილებების ანარეკლია ჭოლა ლომთათიძის „აქრეთ სინათლე, აქრეთ, მე მაინც ავანთებ მას“, შიო არაგვისპირელის „და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“, ვასილ ბარნოვის „ფარჩის ახალუხი“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯილდო“, შ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“ და სხვ. მაგ-

---

[1] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973, გვ. 407.

[2] იქვე.

რამ ლეო ქიაჩელს „ტარიელ გოლუამ“ ამ მხრივ, ყველა ამათთან შედარებით, თავისებური პირველობის, შეუდარებლობისა და მონუმენტურობის სახელი ძოიპოვა.

...ოთახი პაპიროსის ბოლით არის სავსე. იატაკზე ქაღალდის ნაკუწები ყრია. მაგიდასთან ზის ხილაბანდით თავწაკრული ლეო და ნაწარმოების უკანასკნელ თავებს ეჯიდება. აჰა, დამთავრდა. რამდენიმეჯერ გადაწერა ხელნაწერი. ქართველ ემიგრანტთა წრეში საბოლოო ვარიანტის პირველმა აპრობაციამ წარმატებით ჩაიარა. და ბოლოს, 1916 წლის დასაწყისში, ჟენევიდან საქართველოსაკენ ფოსტით გამოგზავნილმა რომანის ხელნაწერმა თვენახევრის „მოგზაურობის“ შემდეგ თბილისში, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციამდეც მოაღწია. ამ გაზეთმა ნაწარმოების გამოქვეყნება დაიწყო 1916 წლის 17 მარტს და დაამთავრა 26 მაისს. რომანი გაზეთში იბეჭდებოდა ფელეტონებად ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. იგი დაემთხვა ქუთაისში „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლას. ეს სიმპტომატური მოვლენა იყო.

პირველ ფელეტონს სკოლიოში გაკეთებული ჰქონდა რედაქციის შენიშვნა. რომელიც მეტად საყურადღებოა ნაწარმოების გარშემო გამომუშავებული პირველი საზოგადოებრივი აზრის ნათელსაყოფად. აი, რას წერდა რედაქცია შენიშვნაში:

„თუმცა წინათ განზრახული გვქონდა ბ-ნ ლ. ქიაჩელის მოთხრობა დამატებაში მოგვეთავსებინა, მაგრამ შემდეგ ვამჯობინეთ გაზეთში დაბეჭდვა, რადგან ეს მკითხველებისათვის უფრო მარჯვეა და მოთხრობაც ადრე დასრულდება. დარწმუნებული ვართ ჩვენი საზოგადოება სიხარულით შეხვდება „ტარიელ გოლუას“, რომელიც მოგვაგონებს ალ. ყაზბეგის მოთხრობებს. თემა მეტად საინტერესოა. აწერილია მოძრაობის დრო სამეგრელოში, ჩვენი სოფლის გამოღვიძება, გატაცება მაღალი მისწრაფებით. ლ. ქიაჩელის გმირები ტარიელ გოლუა, მისი შვილი ლევანი, პატარა გიო, მუნჯი ბაჩუა, ბექანი და სხვები ხალხის ღვიძლი შვილები არიან, რომელთა გაცხოველება განსაკუთრებით ძვირფასია დღეს“[1].

და მართლაც, „ტარიელ გოლუაში“, რომელიც ჩვენს სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია მე-20 საუკუნის ქართული პროზის ბრწყინვალე სიმუშად, პირვე-

[1] „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 529

ლად ჰპოვა ფართო ლიტერატურული გამოძახილი ჩვენი ქვეყნის ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებმა, თვითმპყრობელობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ისტორიული ბრძოლის ყველაზე უმნიშვნელოვანესმა ეპიზოდებმა. დროის ის მონაკვეთი, რომელიც ძევს „ტარიელ გოლუას“ შექმნასა (1913-15 წწ.) და „ტარიელ გოლუაში“ ასახულ ეპოქას შორის (1905 წ.) რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურისათვის იყო ერთგვარი სიცარიელის, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური მოვლენებიდან ერთგვარი განდგომის პერიოდი.

გაზეთ „სინათლეში“ 1911 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ცხოვრება და მწერლობა“ დ. დიმიტრაკილი ასე ახასიათებს ამ დროის ლიტერატურულ ვითარებას: „დღევანდელი ხანა გარდამავალია, — წერს ის, — თავისუფლების წმინდა ჰიმნები შეჩერდა, აღარ გაისმის გუგუნი ნეტარი ჰანგებისა, რომლებიც 1905 წელში იმედის ჟრუანტელს ჰგვრიდა ტანჯულ-წამებულთ. სოციალურმა ატმოსფერომ ცხოვრების ზედაპირზე წამოატივტივა პირადი გრძნობა. მეშჩანურმა ინდივიდუალიზმმა კვლავ შეაფერხა კოლექტივისტური აღმაფრენა... ბურჟუაზიულმა სულისკვეთებამ ომი გაუცხადა საერთო სიყვარულსა და ძმობის პრინციპს... მოძრაობამ თავისი ფრთები დაასვენა. შავბნელეთი გამეფდა. სოციალური პრობლემა, რომელიც ცხოვრებას გარდაქმნას უქადდა, მიყუჩდა და თავისი გავლენა შეასუსტა. ზეცას მიაპყრეს თვალი გ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, აბაშისპირელმა და სხვ.“[1]

სულიერი დაცემულობის ასეთ ატმოსფეროში, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ხელახალი აღმავლობისა და პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის მძვინვარების ხანაში „ტარიელ გოლუა“ რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურის ჰორიზონტზე გამოჩნდა როგორც ჩაუქრობელი რევოლუციური სულისკვეთების, ქართველი ხალხის გმირული, გაუტეხელი ნებისყოფის ვეშაპარიტი მხატვრული განსახიერება.

1916 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მიმომხილველი, მაღალ შეფასებას აძლევდა რა „ტარიელ გოლუას“, როგორც ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც „ცოცხლად აისახა ჩვენი ცხოვრების

[1] გაზეთი „ს ი ნ ა თ ლ ე“, 1911, № 23.

უდიდესი ეპოქა“, „წარსულის მზის სხივებმა თვალი მოგვჭრა“, „ჩვენი დაკოდილი გული“ გაიშალა და „გმირობას და რაინდობას სწორედ იქ ვხედავთ, სადაც ბევრი ამას არ მოელოდა“, წინასწარმეტყველურად მიუთითებდა, რომ იგი „საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს ახალ მწერლობაში“, რადგან „ლეო ქიაჩელი პირველი მწერალია, რომელიც ეპოქას იღებს და დაკვირვებით ამუშავებს. მისი ტიპები ჩვენი სოფლის ცხოვრებიდანაა ამოღებული“. და იქვე გამოთქმული იყო სურვილი ნაწარმოების ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ[1]. ასე აღფრთოვანებით შეხვდა მკითხველი საზოგადოება „ტარიელ გოლუას“ პირველ გამოჩენას პრესის ფურცლებზე.

• • •

სახეთა სისტემა. ნაწარმოების მოქმედი პირებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ტარიელ გოლუას სახე. იგი ლეო ქიაჩელის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა შორის განირჩევა თავისი მაღალზნეობრიობით, მონოლითობით, სიდიადითა და მიმზიდველობით. ტარიელ გოლუა დგას ნაწარმოების ცენტრში, როგორც გლეხთა მოძრაობის ბელადი, რომელიც წვრთნის და აყალიბებს ახალ თაობაში მებრძოლ, ვაჟკაცურ თვისებებს. და თუ ლევან გოლუები ეცემიან ბრძოლებში, სამაგიეროდ ბეჟანები რჩებიან, მათ ხელში გადადის ბრძოლის დროშა, რათა ტარიელის, მთელი ხალხის სულიერი სიმხნევის შთაგონებით ბოლომდე, გამარჯვებამდე მიიტანონ იგი.

ტარიელ გოლუა პირად ინტერესებზე მაღლა ყოველთვის საზოგადოების, ხალხის ინტერესებს აყენებს. „საზოგადო საქმე უანგაროდ და წმინდად უნდა კეთდებოდეს... საჭიროა პირადი ბედნიერება საზოგადო ბედნიერებაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება ბედნიერება არ იქნება“. — ასე არიგებს იგი თავის ერთადერთ შვილს, ლევანს, რომელმაც შეცდომით დიდ საზოგადოებრივ საქმეში თავისი პირადი, კერძო ინტერესები გაურია. ტარიელ გოლუას მტკიცედ სწამს, რომ სანამ საზოგადოება დაყოფილია ორ მოწინააღმდეგე ბანაკად — მჩაგვრელებად და ჩაგრულებად, მანამ შეუძლებელია გლეხკაცობამ მიაღწიოს თავის ნამდვილ ბედნიერებას. მას ღრმად აქვს შეგნებული არსებული წყობილების წინააღ-

[1] გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917, № 785.

მდეგ რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობა. ეს შეგნება მასში ჩამოყალიბდა ცხოვრების იმ გრძელსა და ტანჯულ დროში, რომელიც განვლო მან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე 1905 წლის რევოლუციამდე. ეს არის ის ისტორიული პერიოდი, როდესაც განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი შეიქნა გლეხთა მდგომარეობა საქართველოში. ტარიელი მოწმე იყო გლეხთა იმ დიდი შეიარაღებული აჯანყებისა, რომელმაც უტუ მიქავას მეთაურობით სამეგრელოში იფეთქა 1856-57 წლებში. თვით მისი მამა — ცაკვა ამ აჯანყებას შეეწირა მსხვერპლად. ამის შემდეგ ის აღიზარდა ისეთ სოციალურ გარემოცვაში, სადაც მუდამ გაისმოდა მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკისა და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცე ხმა.

ამიტომ არის, რომ ტარიელის მოწინავე საზოგადოებრივ იდეალებთან შეხამებულია მისი ხასიათის სიმტკიცე, ნებისყოფის სიძლიერე, პირდაპირობა და შეუპოვრობა. ცხოვრების გამოცდილებამ მას შესძინა წინდახედულობა, ხალხის წინამძღოლისათვის საჭირო ყველა ძვირფასი თვისება. საკმარისი იყო ტარიელის ხელი ჩარეულიყო ერთობის საქმეში, რომ მთელი სოფელი ერთსულოვნად ამდგარიყო საერთო მიზნებისათვის საბრძოლველად, „აღტაცების მდინარეს“ შხუილით ჩაექროლა და მრისხანებისა და შურისძიების „ყანა“ უცბად მომწიფებულიყო.

ტარიელის ასეთი დიდი მორალური და პოლიტიკური ზეგავლენა ხალხზე კარგად აქვთ შენიშნული მეფის მთავრობის აგენტებს. მამასახლისი როსტომ გენეიშვილი ხალხის შიშით პირდაპირ ვერც კი ბედავს ანგარიშის გასწორებას მასთან. მემამულე დავითიც ქედს იხრის მისი ავტორიტეტის წინაშე. ყოველივე ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სოფლად რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის. ერთობა თანდათან ძლიერდება, მაგრამ მეფის მთავრობა იარაღით იცავს მემამულეთა ინტერესებს. დავითის მხარეზე დგას მაზრის უფროსი თავისი მრავალრიცხოვანი დამსჯელი რაზმით. და განა პირველად ტარიელ გოლუა არ დააპატიმრეს, როგორც „ბუნტის“ მეთაური? განა პირველად ტარიელ გოლუას სახლ-კარს არ წაუკიდეს ცეცხლი? ამით რეაქციის ძალებს სურდათ ჩაეკლათ ტარიელის გაუტეხელი ნება, გზიდან ჩამოეშორებინათ იგი, მაგრამ მტრები ანგარიშში მოტყუვდნენ.

ლევან გოლუა, მიუხედავათ ხასიათის სისუსტისა და არასაკმაო

სიტუაცია. გეელენება როგორც გლეხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ხელმძღვანელი. ასე უცქერის მას ხალხი („ლევანიც აქ ბრძანდება. ჩვენი ხელმძღვანელიო" – ცაკვა სიტყვებიდან სახალხო კრებაზე). ამიტომ იგი ერთ-ერთი წამყვანი და მაორგანიზებელი ფიგურაა ნაწარმოებში. როგორც წამყვანი და მაორგანიზებელი ფიგურა იყო ლევანის მსგავსი ახალგაზრდა ბოლოსი გლეხი 1905 წლის რევოლუციაში. „სრულყოფილი იყო კიდევ პიროვნება – ჩვენ-ღა ვსდუმდით". ტარიელთან საუბრისას წარმოთქმულ ლევანის ამ სიტყვებში გამოსატულია ბრძოლის ახალი იდეებით გაჯაჭვებული ახალგაზრდის ფიქრი და განცდა. იგი მთელი თავისი სულიერი ძალებით დაკავშირებულია ხალხის ინტერესებთან, იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, სდება ერთობის პირველი შემოქმედი სოფელში.

მაგრამ ლევანი დაჯილდოებული არ არის მებრძოლი რევოლუციონერის ჯანსაღი თვისებებით. პუსუბათ ის სანი, სათნო, უწყინარი, სუსტი ნებისა და ჩვილი ეულის ადამიანია. ეს შინაგანი თვისებები თავისთავად წინააღმდეგობაშია მის სახოგადოებრივ იდეალებთან და მისწრაფებებთან. ამით აისსნება, რომ იგი პირველ ხანებში ტარიელის დაუხმარებლად ვერ ასერხებს თავისი პირადული, ინტიმური გრძნობების დამორჩილებას სახოგადოებრივი ინტერესებისადმი, თავისი როლისა და ადგილის სწორად შეგნებას დაწყებულ სახალხო მოძრაობაში. თინასადმი ძლიერი სიყვარული ლევანის ცხოვრებაში პირველ ხანებში ჩვენს გეელენისება არა როგორც მისი ამამაღლებელი, არამედ სულშემშლელი, შემბოქველი ფაქტორი. ეს გრძნობა ადუნებს ლევანის კლასობრივ-რევოლუციურ ბრძოლისკენ. უკარგავს უნარს გამოიცნოს გადაჯგუფებულ ცხოვრებაში მტრის ნამდვილი სახე. შეიგნოს მოპოებული წარმატების განმტკიცებისათვის ბრძოლის აუცილებლობა. ამას ადასტურებს შემდეგი ადგილი ნაწარმოებიდან: ერთობის ფესვები ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის გადგმული სოფელში და ლევანი ისევ პირად გრძნობებზე, პირად ბედნიერებაზე ოცნებობს. „ეთქვათ. ამათი ბედნიერება მიწაა... თავისუფლება... ჩემი?" — ასე ფიქრობს ის ერთობის სახალხო კრების დაწყების წინ, როცელსაც გლეხთა შორის მიწის განაწილების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. აქ პირველად იგრძნო ლევანმა საშორე ხალხის მიზნებსა და პირად ზრახვებს შორის, სწორედ ამაშია მისი შეცდომა, მისი დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი.

ლევანის ჭეშმარიტ მტკიცედ [illegible] აქვს შეგნებული კლასობრივ საზოგადოებაში შეუძლებელია მშრომელმა მიაღწიოს სრულ ბედნიერებას. ის ამ შეგნებამდე მაღლდება ტარიელის ვ რაზისა და შოთასშვერეტელი გონების ჩარევის შემდეგ. მას შეძლია, რაც ტარიელის მეშვეობით დროზე იქნა გამოსწორებული თუ მოტაცებით მის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომა. მაგრ მაღალხნეობიერი იდეებით შთაგონებული ლევანი მაინც საკმაოდ შეორე ეტაპზე ახერხებს დაძლიოს ენებათა შინაგანი კონფლ ქვეყნის ცისკენ მომწოდა ამჟამად და არ მსურს. რომ ეწინ ეთმობა სიყვარულისა. ასეთია მისი მტკიცე გადაწყვეტილება. რაც ამ გადაწყვეტილებას არ შეეძლო გაენელებინა ის წინააღმდეგო რომელიც თინას მოტაცების შემდეგ დროდადრო მწვავდებოდა მაშინაც დავითსა და კახობის ძალებს შორის. ამიტომ ლევა სიყვარული გაპირობებულია ამ სოციალურ-პოლიტიკურ შეხედ მარეობით. რომელშიც იმყოფება თვით იგი. მწერალმა ლევ წ სოვა 1905 წლის რევოლუციისათვის მასებს შეუმზად მაგრამ ამ რევოლუციის იდეებით მაინც პირველი გატაცებას. ლი დარაზმულობის ისტორიული ფაქტი.

ლევანის კეთილშობილება და წმინდა ადამიანური ო ნ საკუთრებით მჭიდროდ მშობლებთან მის დამოკიდებულებ ღავსთავად ეს ფაქტი დიდად ამაღლებს ლევანის პიროვნებას ხედ თვალში. ამავე დროს მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ეძ ებება. მაშასადამე ის რიდი და მოკრძალება. დიდი ადამი ის თვი ერთიანობაში, რაც ეროვნულ საყოველთაო და მაღალის. კნის ლ ამის სახეს, ახალგაზრდობაში წესიერებისა და მშობლებისადმი პა სცემის გრძნობის აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ლევანთან ერთად ხაზი უნდა გავუსვა გ ო ს რილსა და ად გულს ნაწარმოებში. გიო მეტად საინტერესო პიროვნებაა. ვინ ღვრად ერთგულია თავისი ბიძისა და ბიძაშვილისადმი (ა ამათთვის რომც მოკვდე, არ შენანებია"). არ ეპიტომ ბედ საფრთხეს მათთვის უბედურების თავიდან აცილებლად. გიო, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ლევანის ხასიათისა და გრძნობების გამოკლი ნებას. მეორე მხრივ კი გადალენდის ბოროტი სახის გამოაშკარა ვებას. ამით ის დამხმარე პერსონაჟის როლს ასრულებს ნაწარმოებ ში. მაგრამ ეს არ არის მისი მთავარი. ძირითადი ფუნქცია. გიოს შე დარებით რთული, საპასუხისმგებლო როლი აქვს დაკისრებული. იგი

ტარიელის ოჯახის მემკვიდრედ, მისი სახელოვანი ტრადიციის გამგრძელებლად გვეცნობა ნაწარმოებში.

იზრდება რა რევოლუციური იდეებით განწყობილ ოჯახში, გიო ადრიდანვე, ბავშვობის წლებიდანვე ღებულობს ერთგვარ რევოლუციურ წრთობას, ერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების სიავკარგეში, გებულობს, თუ ვინ არის ხალხის ნამდვილი მტერი, რაშია უსამართლობის სოციალური საფუძველი, რად იკრიბებიან ბროლიას პირად, ტყეში, ერთობის რაზმელები. გაიოზის მიერ შეურაცხყოფილ გიოს სიტყვებში — „არ შეგარჩენ, იცოდე“ — იხატება მომავალი მებრძოლის წარმტაცი სახე.

გიოს სახით ტარიელის ოჯახი მოვლენათა ისტორიული განვითარების რაღაც უწყვეტ, მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს. ცაკვა — ტარიელი — ლევანი — გიო — აი, ის უწყვეტი რგოლი, რომელსაც ერთმანეთთან აერთებს ბრძოლისა და მოქმედების ერთნაირი მიდრეკილება, მსოფლმხედველობა, იდეა, რაც თაეის მხრივ ნათლად წარმოადგენს ცხოვრების დიალექტიკური კანონზომიერებით განვითარების მთელ პროცესს. ცაკვა მსხვერპლად შეეწირა თავისუფლებისათვის ახლად დაწყებულ მოძრაობას საქართველოში მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკის დამკვიდრების პირველ პერიოდში. ტარიელი შეაბერდა მამის მიერ ნაჩვენებ გზაზე უთანასწორო ბრძოლას. მისი ოჯახის საძირკველი, ლევანი, დაიღუპა ახალ ისტორიულ ქარცეცხლში. მაგრამ აი, ოჯახის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციის გამგრძელებლად ლევანის გვერდით იზრდება მისი ბიძაშვილი გიო, რომელიც მიუხედავად მცირეწლოვანებისა, აქტიურ მონაწილეობას იღებს ბეჟანასთან ერთად გაიოზ გადალენდიას მიმართ შურისძიებაში. ამით გიო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკერს ნაწარმოებში.

ამ პერსონაჟებთან მჭიდრო კავშირშია ბაჩუაც. იგი რამდენადმე სიმბოლური, მაგრამ გარკვეული იდეური შინაარსის მქონე სახეა ნაწარმოებში. ბაჩუა თავისი მეამბოხური ბუნებითა და ინსტინქტური ალღოთი ჩვენ გვესახება, როგორც გლეხთა მოძრაობის სტიქიური ხასიათის გამომხატველი. ტარიელი და ლევანი რევოლუციაში მონაწილე მილიონობით გლეხის შედარებით შეგნებული, გათვითცნობიერებული ფენის წარმომადგენლებია. იყვნენ ამ პერიოდში გლეხები, რომლებიც ბრმად, ინსტინქტურად მიჰყვებოდნენ სხვებს, მხოლოდ ინტუიციით გრძნობდნენ რევოლუციაში მონაწილეობის

აუცილებლობას, რევოლუციის მიზანი კი არ ესმოდათ. სწორედ გლეხთა ამ ნაწილის განსახიერებაა ნაწარმოებში ბაჩუა.

რევოლუციის მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებიდან — რეაქციისა და კონტრრევოლუციის ძალებიდან ყველაზე ტიპიურია დავითი და გაიოზ გადალენდია. დავითი თავადაზნაურული კლასის უკანასკნელი ნაშიერია. განსხვავებით ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის და სხვათა ნაწარმოებებიდან, ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ თავადაზნაურთა ცხოვრება ნაჩვენებია სრულიად ახალ, თავისებური ისტორიული ეპოქის ასპექტში. ესაა პერიოდი, როცა დადგა ამ კლასის სრული განადგურების დრო. უკიდურესად გამწვავებულია კლასობრივი წინააღმდეგობა სოფლად. მემამულე დავითი უკანასკნელ ძალებს იკრებს თავისი უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. გარდუვალი დაღუპვის აუცილებლობის შეგრძნებამ მას გამოუმუშავა კერპი და ჯიუტი ხასიათი. სოფელსა და დავითს შორის უფსკრული ძევს. მისი ბატონობის შედეგად გლეხობა მოკლებულია საარსებო წყაროს — მიწას. ეს იყო თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის მწვავე სოციალური ბრძოლის პირველი მიზეზი. მიწისთვის იბრძვიან მოიერიშე ერთობის რაზმელებიც. დავითი წინ ეღობება ამ ბრძოლას. იგი ემყარება მეფის მთავრობის მხარდაჭერის იმედს. ეს უკანასკნელი იარაღით იცავდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს. დავითის დასმენით მთავრობა მკაცრ ზომებს იღებს სოფელში შემოჭრილი ახალი იდეების წინააღმდეგ. ამ საერთო მიზანდასახულობაში ერთდება დავითისა და გაიოზ გადალენდიას ინტერესები. ეს უკანასკნელი პირველი გამოჩენისთანავე ისახება ჩვენს წინაშე, როგორც დაუნდობელი, ვერაგი, მაცდური და მახინჯი სულის ადამიანი.

შეცდომა იქნებოდა ლევანის წინააღმდეგ დავითისა და გადალენდიას მიერ მოწყობილ შეთქმულებაში მარტოოდენ პირადი ინტერესები დაგვენახა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მძაფრი კლასობრივი შეურიგებლობის, მწვავე სოციალური ბრძოლისა და წოდებრივი უთანასწორობის გამოხატულებასთან. გაიოზ გადალენდია ლევანში ხედავდა არა მხოლოდ თავის მოქიშპეს თინასთან სიყვარულში, არამედ საშიშ კლასობრივ მოწინააღმდეგეს, რომელიც სათავეში ედგა გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას მემამულეთა წინააღმდეგ. ამიტომ იგი პირველ რიგში ცდილობს მოსპოს ლევანი, როგორც ერთობის ხელ-

კრისტალი ლეგანსა და გაღალენდიას შორის სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილ ამ უთანხმოებას უფრო ამწვავებს სიყვარულის გზაჯვარედინზე მათი ინტერესების მოულოდნელი შეხვედრა. ეს კი ამძაფრებს ნაწარმოებში დრამატულ კოლიზიებს.

სტრუქტურული აგებულება. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები გარკვეულ მხატვრულ კანონზომიერებასაა აგებული. ეს კანონზომიერებანი პირველ რიგში კომპოზიციის პრინციპებიდან გამომდინარეობენ. როცა ჩვენ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მისი ცალკეული ნაწილების უბრალო შეერთება-შეკავშირება. ფორმალური წყობა-დალაგება, არამედ ნაწარმოებში გამოსახულ მოქმედებათა და მოვლენათა მ ი ზ ე ზ-შ ე დ ე გ ო ბ რ ი ვ ი განვითარების ის შინაგანი კანონზომიერებანი, რომლებშიც იშლება და რელიეფურად ჩანს თვით ნაწარმოების იდეა. მწერლის მსოფლმხედველობა.

აქედან ცხადია, რომ მხატვრული ნაწარმოების ცალკეული ნაწილების არა ფორმალური წყობა-დაკავშირება განსაზღვრავს კომპოზიციის სიმტკიცეს. არამედ მხატვრული ნაწარმოების „რთული ორგანიზაციის“, მისი რთული აგებულების შინაგანი კანონზომიერებანი. ეს უკანასკნელი კი მწერლის ოსტატობის, მისი შემოქმედებითი პოტენციის, სტილის განმსაზღვრელიცაა.

კარლ მარქსი ფერდინანდ ლასალისადმი მისი დრამის „ფრანც ფონ-ზიკინგენის შესახებ“ მიწერილ წერილში, იძლეოდა რა ამ დრამის საერთო იდეურ დახასიათებას, 1859 წლის 19 აპრილს წერდა: „უპირველეს ყოვლისა, მე უნდა ვაქო კომპოზიცია და მოქმედების სიცხოველე, და ეს მეტია, ვიდრე შეიძლება ითქვას ყოველი თანამედროვე გერმანული დრამის შესახებ“[1]. აქედან ჩანს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა მარქსი ნაწარმოების კომპოზიციას.

პოემა, მოთხრობა, რომანი, დრამატული ნაწარმოები, ისე როგორც შენობა, „როგორღაც“ აგებულია, და სწორედ ამ რთული აგებულების გაგება, მისი გარკვევაა საჭირო, ეს ნაწარმოების ის შინაგანი რთული ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც სახეებსა და გადასალოთულ სცენებს შორის იფარება. საქმე სწორედ მხატვრული ნაწარმოების ამ რთულ, შინაგან არქიტექტონიკას ეხება. საქმე ეხება იმას, რომ კომპოზიცია გვესმოდეს არა მხოლოდ უბრა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 112.

ლო შეერთებაღ ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილისა, არამედ როგორც ნაწარმოებში გამოსახული ხასიათებისა და მოვლენების ორგანული მთლიანობა. როგორც ნაწარმოების თემის გაშლის, იდეის გამოსახვის, იდეური ამოცანის რეალიზაციის ძირითადი მხატვრული ხერხი, მხატვრული საშუალება.

ეს კი მოითხოვს ღრმად ჩავწვდეთ ნაწარმოების კომპოზიციის ცალკეულ კომპონენტებს შორის (მოქმედება, დიალოგი, პეიზაჟი, მოულოდნელობა და სხვ.) მოთავსებულ მხატვრულ „დეტალებს“, მოვნახოთ მოვლენათა შორის არსებული შინაგანი მ ი ზ ე ზ-შ ე დ ე გ ო ბ რ ი ვ ი კავშირი და ამის საფუძველზე მოვახდინოთ ნაწარმოების იდეური შინაარსის საერთო შეფასება. კომპოზიციის კომპონენტების შემაერთებელი ღერძი ეს ნაწარმოებში გამოსახულ მთავარ გმირთა ხასიათებია, რომელთა ურთიერთდაპირისპირებისა და შეჯახების ფონზე ვითარდება თვით მოქმედება.

ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზის ყველაზე რთულ ეტაპს წარმოადგენს ნაწარმოების სიუჟეტისა და სიუჟეტური აგებულების გარკვევა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ხშირად არასწორად არის გაგებული თვით სიუჟეტის დანიშნულება ნაწარმოებში, ზოგჯერ მას კომპოზიციასთან აიგივებენ, „ტექნიკურ ელემენტად“ თვლიან.

უკანასკნელ ხანებში „დესიუჟეტიზაციის“ მომხრენი მის სრულიად განდევნასაც კი ლამობენ მხატვრული ლიტერატურიდან. მაგრამ ყოველივე ეს დროებითი და წარმავალი ცდუნებაა. იგი ახალი კი არ არის, არამედ ძველი შეხედულების აღდგენაა. თავის ერთ ადრინდელ ნარკვევში „რომანისა და სიუჟეტის შესახებ“ ლეო ქიაჩელი მკაფიოდ ააშკარავებდა სწორედ ამ ძველი შეხედულების უნიადაგობას და უსაფუძვლობას.

„სიუჟეტი, — წერდა ის, — მთავარი მამოძრავებელი ძარღვია ყველა მხატვრული ნაწარმოების, განსაკუთრებით რომანისა, მაგრამ ჩვენში შეიძლება ბევრმა არ გაიზიაროს ეს დებულება. განსაკუთრებით იმათ, ვინც მოდერნისტულად არის განწყობილი. ამათ ჰგონიათ, რომ უსიუჟეტო რომანი უკანასკნელი სიტყვაა ევროპული ლიტერატურის და დიდ ფრანგ რომანისტსა და ესთეტიკოსს გუსტავ ფლობერსაც იშველიებენ თავისი აზრის დასამტკიცებლად. მართალია, ფლობერს ბევრი უფიქრია, უწერია, უოცნებია უსიუჟეტო რომანზე, მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ ის უარყოფდა სიუჟეტს... ფლობერი კი არ უარყოფდა სიუჟეტს, არამედ ეძებდა“[1].

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. V, 1964, გვ. 33.

მაინც რა არის სიუჟეტი? თავისთავად ისიც ხომ მოვლენათა და მოქმედებათა მიზეზ-შედეგობრივი განვითარების ერთ-ერთი მხატვრული ხერხია. ხომ არ იშლება ამით ბუნებრივი ზღვარი სიუჟეტსა და კომპოზიციას შორის? არა. მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა.

მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურისმცოდნეობა გადაჭრით უარყოფს მხატვრული ნაწარმოების ცალმხრივად გაგებას და განიხილავს მას, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, შინაარსისათვის გარკვეული პრიმატის მინიჭებით. ეს სწორი მეთოდოლოგიური განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს სწორად წარმოვიდგინოთ სიუჟეტის, როგორც მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის განვითარების ძირითადი კომპოზიციური საშუალების როლი და მნიშვნელობა ნაწარმოებში. საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მ. გორკი, ახასიათებს რა სიუჟეტის მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ მასში გამოხატულებას პოულობს „კავშირი, წინააღმდეგობა, სიმპათია, ანტიპათია და საერთოდ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, განვითარების ისტორია და ამა თუ იმ ხასიათის ორგანიზაცია“[1].

სიუჟეტი წარმოადგენს ნაწარმოებში გამოსახულ მოქმედებათა კონკრეტულ სისტემას, რომელშიც იხატება გმირთა ხასიათები. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიუჟეტში ყალიბდება თავისი სრულყოფილი ფორმით კომპოზიციურად ერთმანეთთან სწორად დაკავშირებული მოქმედება და ხასიათი, მოვლენა და მხატვრული სახე. სიუჟეტი ცხოვრების დინამიკაში, მოძრაობაში, მოქმედებაში გამოსახვის მხატვრული ფორმაა. აქედან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების იდეური შინაარსისა და გმირთა ხასიათების სწორად გახსნისათვის მის კომპოზიციურ-სტრუქტურულ ანალიზს.

„ტარიელ გოლუაში“ ყოველი მხატვრული სახე მკვეთრად ინდივიდუალიზებული და გამოკვეთილია. ნაწარმოების ასეთ მონოლითურ მთლიანობაში დიდ როლს ასრულებს კომპოზიციის სხვა კომპონენტებთან ერთად (მოქმედება, დიალოგი) ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორიცაა მოულოდნელობა და პეიზაჟი.

მოულოდნელობის ხერხს კლასიკურად იყენებს აკაკი წერეთელი

---

[1] М. Горький, Литературно-критические статьи, М., 1937, стр. 589.

თავის ისტორიულ მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“. ლეო ქიაჩელი შესანიშნავად აგრძელებს კლასიკური პროზის ამ ტრადიციას „ტარიელ გოლუაში“. მოულოდნელობა აქ ქმნის მოვლენათა და ხასიათთა დრამატული განვითარების მძაფრ საფუძველს. ხშირად ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში მოულოდნელობა კარგავს დამაჯერებლობას. იგი ხელოვნურ გამომგონებლობაში გადადის. ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ ყოველი მოულოდნელი ფაქტი მოტივირებულია. აქ ყოველი მომდევნო მოქმედება უეჭველად გამომდინარეობს წინასაგან, ერთი უეჭველად შეიცავს მეორეს, გულისხმობს ან დასაშვებად მიიჩნევს მას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენათა ბუნებრივი განვითარების ისეთ პროცესთან, სადაც მიზეზი განაპირობებს შედეგს, შედეგი მიზეზს და ასე, მოქმედებათა უწყვეტ დინებაში, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ განვითარებაში თანდათან მკვეთრად ყალიბდება ჩვენს წინაშე ნაწარმოების მთავარი გმირის ტარიელის უდრეკი, დიდბუნებოვანი სული და 1905 წლის დროინდელი ისტორიული სინამდვილის კონკრეტული ტიპიური ამბები.

ამის დასადასტურებლად მოვიტანოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

გაზაფხულის კვირა დილაა. ტარიელ გოლუა ემზადება საყდარში წასასვლელად. მის სახეზე გამოხატულია მხიარული განწყობილება. ხან გამრჯე და ერთგულ ცოლს (ბარბალეს) გაეხუმრება, ხან ძმისწულ გიოს აჯავრებს „ერთობის“ შესახებ ახირებული კითხვების დასმით („ჰოდა როგორიო? რამდენი ფეხი აქვსო? რამდენი თვალიო? დადის თუ დაფრინავსო? რომელი გზით შემოსულაო?“). და აი, საკმარისი იყო ბავშვს ეხსენებინა დავითის სახელი, ეთქვა „წუხელ დავითისას მოსულან... სროლაც კი ყოფილა“. რომ ტარიელის მშვიდი და აუღელვებელი ბუნება სწრაფად შეცვლილიყო; სახე მგზნებარებით ევსება, თვალებში მოუსვენრობა იხატება, მოულოდნელად წყვეტს საქმეს და ღრმა ფიქრებში ჩაძირული ჩქარი ნაბიჯით გასწევს ნამდვილი ამბის გასაგებად. გზაზე ის გონების თვალით ანალიზს უკეთებს მომხდარი ფაქტის მთელ მოსალოდნელ შედეგს, ითვალისწინებს დავითის განრისხებით ერთობის საქმისადმი ზიანის მიყენების ყოველ მხარეს და... უცებ ჰიშკართან ცხენით მოვარდნილ ბეჟანას ხმა აწყვეტინებს ფიქრებს. ბეჟანას მოულოდნელი გამოჩენა, შვილის განსაცდელის ამბის შეტყობინება უფრო ამძაფრებს ტარიელის სულიერ მღელვარებას. მოქმედება შედის თავის

დინამიკურ, დრამატულ განვითარებაში. ჩვენი ინტერესიც აქედან უფრო დაძაბული, ინტენსიური ხდება. მოულოდნელობა აქ ცვლის ადამიანის ხასიათს, ითრევს მას განცდათა და გრძნობათა შინაგან ჰიდილში, მშვიდი, უწყინარი, უშფოთველი მდგომარეობიდან გადაყავს მამობილიზებელ, საბრძოლო, „საომარ“ მდგომარეობაზე. ტარიელი უპირისპირდება დავითს, იგი იძულებული ხდება დაწყებული დიდი სახალხო მოძრაობის სადავეების შესანარჩუნებლად თვითონ უშუალოდ ჩაებას ამ მოძრაობაში, რათა ააცდინოს შემცდარ გზას და სწორი მიმართულებით წაიყვანოს იგი.

და, აი, შედეგი — ტარიელის განწყობილების სწრაფი შეცვლა (1-2 თავი), თავისთავში შეიცავს ამავე დროს მიზეზს, რომელიც გვიჩვენებს ამ შედეგის აუცილებლობას, მის გარდუვალობას. ადრე თუ გვიან უნდა დასტყდომოდა ტარიელს ასეთი მშფოთვარე განსაცდელი. „მთელმა სოფელმა იცოდა და ტარიელმაც კარგად უწყოდა, — ვკითხულობთ რომანში, — რომ ლევანი დიდი ხანია ფარულად ატარებდა გულში დავითის ქალისადმი სიყვარულს... და თუ არა წოდებრიეი ზღუდე, ლევანი ამ ორი წლის წინათაც აისრულებდა გულის წადილს და საყვარელ ქალზე ჯვარს დაიწერდა“[1].

ერთი წლის წინათ დავითმა გადაჭრით უარყო ლევანის თხოვნა. ჩანს ჯაბუკის გულში კვლავ იფეთქა გრძნობამ. ამას მოყვა ლევანის მიერ ქალის მოტაცება, მოტაცებას — მემამულე დავითისა და გაიოზ გადალენდიას მტრად გადაკიდება, მტრობას — ბრძოლა, ბრძოლას — ლევანის საფრთხეში ჩაგდება, ამ ამბის გაგებას კი — ტარიელის მშვიდი ბუნების შეცვლა. ასე მიზეზ-შედეგობრივად ვითარდება ყოველი მოვლენა, მოქმედება, ხასიათი ნაწარმოებში.

ავიღოთ მე-16—17 თავები. სოფელში ეგზეკუცია ჩამოდგა. ტარიელი ცოლთან ერთად მთაშია გახიზნული. ღამდება. მარკოზის სახლიდან იგი ხედავს, თუ როგორ ბრიალებს ცეცხლი შუაგულ სოფელში, იწვის შრომითა და ოფლით აშენებული მისი ოდასახლი. მძიმეა ტარიელის სულიერი განცდა. მან გადაწყვიტა დაბრუნებოდა სოფელს, გამოცხადებულიყო მთავრობაში, რათა თავიდან აეცდინა სოფლის აოხრება და უდანაშაულო ხალხის წამება. მაგრამ... „მოულოდნელად, სანამ მზადებას შეუდგებოდა, ეზოში მისი ძმისწული შემოიჭრა“ და ახალი, უფრო უსაშინელესი უბედურების მოახლოე-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 15.

ბა ამცნო ტარიელს; ნიღაბი აეხადა გადალენდიას მიერ ლევანთან დაკავშირებით დასახულ ბინძურ მიზანს. გამართლდა ტარიელის წინათგრძნობა. ის ხომ ადრიდანვე ეჭვით უცქეროდა გადალენდიას გულწრფელობას (მოვიგონოთ მისი სიტყვა: „ვისაც როგორც უნდა ისე იფიქროს, მე მაინც არ მომწონს ის კაცი და სულაც არ მიხარია, რომ ასე დაგვიახლოვდა“). ტარიელი მთელი ღამე ბორგავს შვილზე მძიმე და მტანჯველ ფიქრებში, მის თვალებს ძილი არ ეკარება. იმედს აძლევს ბეჟანას ყოფნა ლევანთან... მაგრამ „მუთაქაზე თავის დადებაც ვერ მოასწრო, რომ ვიღაცამ ფრთხილად გააღო ჭიშკარი და ეზოში ცხენით შემოვიდა“[1]. ბეჟანას მოულოდნელმა გამოჩენამ მთელი ეადატრიალება მოახდინა ტარიელის სულიერ ცხოვრებაში. იგი მთელი სიმწვავით გრძნობს მოახლოებული საფრთხის რეალურობას, რაღაც არაჩვეულებრივ დევგმირულ ძალებს იკრებს, თითქოს ფრთებს ისხამს, მიჰქრის, მიილტვის თავისი უკანასკნელი იმედის, უკანასკნელი სასოების გადასარჩენად.

— „გამაფრინე, გამაფრინე, ბეჟან!.. იცოდე, ასეთი საშინელი წინათგრძნობა არასოდეს არ მქონია!.. იმედი მომეცი, ბიჭო, მოხუცებულობა არ გამიმწარო!—შესძახა ბეჟანას, გამოართვა ცხენი, შეასწორა უნაგირი, მოუჭირა მოსართავები და ელვის სისწრაფით ზედ ზურგზე მოექცა“[2]. ბეჟანაც ისე დააფრინდა თავის ლაფშას, რომ უზანგი არც კი წაუხმარებია. მალე მათ ჭარივით მიაქროლებდნენ „ძჩატე ტანის მეგრული წესით გახედნილი ცხენები“.

აქ ჩვენ ვხედავთ მოქმედების რაღაც გრიგალისებურ დატრიალებას. ასეთი მაგალითები ბევრია ნაწარმოებში (მაგალითად, გაიოზ გადალენდიას მოულოდნელი გამოჩენა სოფლის კრებაზე, მის მიერ ერთობის ერთგულად თავის მოჩვენება და შემდეგ ღალატი და სხვ.). ყოველივე ამით მოულოდნელობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მთავარი გმირის — ტარიელის მრავალფეროვანი ხასიათის გახსნასა და ნაწარმოების საერთო კომპოზიციურ მთლიანობაში.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ტარიელ გოლუას“ მთავარ მოქმედ პირთა ხასიათების გახსნაში სახე-პეიზაჟს. კლასიკური პროზის მაგალითზე ლეო ქიაჩელი პეიზაჟს აკისრებს გარ-

---

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 142.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 144.

კვეულ იდეურ-ესთეტიკურ და კომპოზიციურ დანიშნულებას, ადამიანის შინაგანი სულიერი საიდუმლოების, სულიერი განცდების გამოხატვის მხატვრულ ფუნქციას. ბუნება ჩვენ აქ გვეცნობა, როგორც ადამიანის ხასიათთან ჰარმონიულ ურთიერთობაში მყოფი, იგი შესაბამისად თანაუგრძნობს ადამიანის როგორც დიდ სულიერ აღმაფრენას, ისე დიდ სულიერ ტანჯვასაც. სწორედ აქ იჩენს თავს ყველაზე მკაფიოდ ხასიათების ერთმანეთისადმი ანტიპოდური მიმართება. ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა ღრმად ჩავწვდეთ ამა თუ იმ გმირის ხასიათის დაფარულ, შედარებით უხილავ, გამოუმჟღავნებელ მხარეებს.

განსაკუთრებული სიყვარულით ვიმსჭვალებით ჩვენ ტარიელისადმი, როცა მწერალი აგვიწერს ზურმუხტად აბიბინებული სიმინდის ყანაში მუშაობის დროს მის სულიერ განწყობილებას (თავი მე-13). მშვენიერი ამინდის ფონზე ჩვენს წინაშე იშლება რაღაც გასაოცარი სილამაზით დახატული ბუნების იშვიათი პლასტიკური სურათები, რომელნიც მთლიანად და სავსებით შეესატყვისებიან სოფლად ერთობის გამარჯვების შედეგად ტარიელის შინაგან სულიერ სამყაროში შექმნილ ამღერებულ განწყობილებას. არასოდეს არ უგრძვნია ტარიელს ასეთი სულიერი აღმაფრენა. ის თითქოს „ტარიელად აღარ გრძნობდა თავს: სიხალისე ნორჩი სიმინდისა განცდა იყო ახლა მისი საკუთარი, ხოლო გულზვიადი მიწის სინოყივრე — მისი სისხლის მოძრაობა... მადლიანი მზის სხივფენარობა — მისი სიცოცხლის ძალის გამოჩენა, ხოლო განუჯვრეტელი წმინდა ლაჟვარდი ცისა — მისი სულიერი განწყობილება“. პეიზაჟთან ტარიელის ხასიათის ასეთ ჰარმონიულ, ორგანულ მთლიანობაში ჩვენ ვარკვევთ ტარიელის ჩვენთვის მანამდე უცნობ, სრულიად ახალ თვისებას: მის მიერ ცხოვრების საფუძვლიან ცოდნას, მის დიდ გამოცდილებას, სიხარულს, შინაგან სულიერ აღფრთოვანებას, და ჩვენ ამით სრულყოფილად, უფრო რელიეფურად გვესახება გმირის სახე. ვრწმუნდებით, რომ მას არა მარტო დიდი მღელვარება, არამედ დიდი სიხარულიც შეძლებია.

სულ სხვანაირად გამოიყურება ერთმანეთთან კავშირში ბუნება და გადალენდია. რამდენადაც გაიოზ გადალენდიას ბოროტ სულში დაგუბებულია ვერაგული ზრახვები, იმდენად ზეცა დამძიმებულია შავი ღრუბლებით, ღამე ბნელია და გამოუცნობი. საინტერესოა ამ მხრივ მეთერთმეტე თავი. გაიოზ გადალენდია დარაჯობს დავითის

სახლს... მძიმე და დარდიანია მისი ამოსუნთქვა. შესატყვისად ამ ბოროტი არსების შინაგანი განცდებისა „ცა მოღრუბლული იყო, ჰაერი დახშული... ღამეს ლიპი ჰქონდა გადაკრული და მისი შეხება საზიზღარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. წვიმა იყო მოსალოდნელი... ხოლო გავოზს არ უნდოდა, რომ წვიმა მოსულიყო. ერჩივნა ეს გატენილი, ჰაერზე მძიმედ დაწოლილი ღრუბლები. ერჩივნა ლიპიანი ღამის სისინი და სულშეხუთული გარემო... იგი მისი სულის განწყობილებას უფრო შეეფერებოდა“[1].

ეს მაგალითები ნამდვილი კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ რა დიდ როლს ასრულებს სახე-პეიზაჟი ადამიანის იდეებისა და მისწრაფებების, მისი დაფარული სულიერი ზრახვებისა და იდუმალების გამოაშკარავებაში.

ზოგჯერ ბუნების სახეს მწერალი იყენებს თვით ნაწარმოებში გამოსახული სოციალური მოვლენებისა და გართულებული წინააღმდეგობრივი მდგომარეობის გამოსახატავად. მაგალითად, მეცხრე თავში მწერლის მიერ გამოყენებული ალეგორიული ხასიათის გამოთქმა — „ჰაერი შეკავებული რისხვის ტყვიითა და წამლით იყო გატენილი“ შესანიშნავად გვისურათებს რეაქციისა და რევოლუციის ძალებს შორის გარდუვალი შეჯახების, მდგომარეობის დაძაბულობის კრიტიკულ მომენტს.

„ტარიელ გოლუას“ სიუჟეტურ აგებულებას გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება მასში დასმულ საკითხთა მრავალფეროვნებიდან, 1905 წლის ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარეობს.

როგორ მოვნახოთ ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების ძირითადი საფეხურები? სად იკვრება კვანძი? რა მიმართებაშია ერთმანეთთან ორი სიუჟეტური ხაზი, რაზეა აგებული ისინი?

„ტარიელ გოლუას“ პირველი თავი წარმოადგენს ნაწარმოების იმ ექსპოზიციურ ნაწილს, რომელშიც ერთსა და იმავე დროს ისახება ორი სიუჟეტური ხაზის განვითარების გზები. აქ ჩვენ ერთდროულად ვეცნობით ორ დიდ ამბავს: „ერთობის“ შეკრას სოფელში და ლევანის მიერ თინას მოტაცების ფაქტს. ეს ხდება ერთ ღამეს. გიოს მიერ ტარიელისათვის ამ ამბის მოტანას მოჰყვა სწორედ ტარიელის სულიერ სამყაროში დიდი შინაგანი გარდატეხა. რას მოასწავებს

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 84—85.

ტარიელის გაწყიბილების ასე მოულოდნელი შეცვლა? რა მოხდება შემდეგ? აი, კითხვები, რომლებიც გვებადება ჩვენ გიოსა და ტარიელის საუბრის პირველ მომენტშივე. და აქ უკვე ისახება კონფლიქტების სათავეც, იკვრება კვანძი, აქედან იწყება მოვლენათა წინააღმდეგობრივი განვითარება, თავს იჩენს ნაწარმოების ძირითადი პრობლემა. ტარიელის გამჭრიახი გონება იმთავითვე ჭვრეტს იმ ამოუვსებ უფსკრულს, რომელიც ძევს „ერთობის" დიდ სოციალურ შინაარსსა და ქალის მოტაცების ვიწრო, ეგოისტურ განზრახვას შორის, მათს რადიკალურ შეუთავსებლობას. ასე დგება ჩვენს წინაშე ორი მოვლენის სახე. და ჩვენ ვხედავთ რაოდენი სიძლიერით ვითარდება მოქმედება შემდგომ, როგორ ეჯახებიან ერთმანეთს, ერთი მხრივ, თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები და რეაქციის ძალები, მეორე მხრივ, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, ბოროტება და სიკეთე, კეთილშობილება და სიმახინჯე, გრძნობა და მოვალეობა.

პირველი სიუჟეტური ხაზი (მთავარი) სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ დაწყებული დიდი სახალხო ბრძოლის გზით მიიმართება. აი, ტარიელმა დროზე მიუსწრო სახიფათო მომენტს, მშვიდობით გადასჩრა ლევანსა და დავითს შორის ჩამოვარდნილი მწვავე კონფლიქტი, სოფელი ააცდინა უნაყოფო სისხლის ღვრას.

— „შეცდი, ლევან! — მიმართავს იგი შვილს პირველი გამწვავებული მდგომარეობის შენელების შემდეგ, — შეცდი სწორედ, რომ ერთობა ჩვენს სოფელში ასეთი სახით შემოიტანე...

— მე არ ვიცი, რამდენად დამნაშავე ვარ, — მიუგო ლევანმა, — ქალმა მთხოვა წამეყვანა მამის სახლიდან და უარი ვერ ვუთხარი... მით უმეტეს რომ...

— დაიცა... მე არ ვამბობ, დამნაშავე ხარ მეთქი... არა!... შემცდარი ხარ: ვერ გიანგარიშებია კარგად... დამნაშავე არა, შემცდარი ხარ"[1].

აქედან სწრაფად ვითარდება მთავარი სიუჟეტური ხაზი. მოქმედებათა შემდგომი განვითარების ძირითად შემადგენელ ნაწილებად ჩაითვლება ლევანისა და ტარიელის ერთობლივი გადაწყვეტილება სახალხო საქმისათვის თავდადების შესახებ, სოფლის არაჩვეულებრივი გამოცოცხლება, კრება სამცაცხვის ძირში, მაზრის უფროსის

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 42.

ბრძანების შეუსრულებლობა, ხალხის ერთსულოვანი დარაზმულობა ტარიელის გარშემო, ტარიელის შეპყრობა, მისი დახსნა, ერთობის გამარჯვება, რეაქციის ძალების კონტრშეტევა, დავითისა და გადალენდიას გადაწყვეტილება ლევანის მოკვლის შესახებ, ეგზეკუციის ჩაყენება სოფლად, ტარიელის სახლ-კარის აოხრება და სხვ. ასე თანდათანობით მძაფრდება მოქმედება და მიიმართება თავის კულმინაციური, უმაღლესი წერტილისაკენ — რეაქციის მოსყიდული აგენტის გადალენდიას მიერ ლევანის მოკვლისაკენ.

მაგრამ ამავე დროს, მეორე მხრივ, ჩვენს ყურადღებას იქცევს პირადულ გრძნობათა საფუძველზე წარმოშობილი მეორე, დაქვემდებარებული სიუჟეტური ხაზი (და არა პარალელური, როგორც ზოგჯერ შეცდომით მიუთითებენ ლიტერატურულ კრიტიკაში. ეს ნაწარმოების გათიშვას ნიშნავს), რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ერთდროულად ისახება პირველ თავში სოციალურ მოტივზე აგებულ მთავარ სიუჟეტურ ხაზთან ერთად. ლევანის არსებაში ერთმანეთს ებრძვის ხალხის მეთაურის მოვალეობა და სიყვარულის სპეტაკი გრძნობა. ხან პირველი ძლევს მეორეს, ხან მეორე პირველს. ეს ტალღისებური მოძრაობა დრამატულ გაჭანებას აძლევს მოქმედებას, ძაბავს და ხლართავს წინააღმდეგობათა კვანძებს, ამძაფრებს და შეუნელებელს ხდის ჩვენს ინტერესს. პირველ ხანებში ლევანი, როგორც აღვნიშნეთ, ვერ ახერხებს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამებას მის მიერ შემოტანილ სახალხო მოძრაობაში, მასში გრძნობა სჭარბობს გონებას; ეს მემამულე დავითსა და გლეხობას შორის წინააღმდეგობის გამწვავების ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად ხდება. ახლა უკვე ლევანისა და თინას ბედნიერების ხელშემშლელ, გადაულახავ ზღუდედ დგება არა მარტო წოდებრივი სხვადასხვაობა, არამედ გაიოზ გადალენდიაც, რომელიც დავითთანაა შეკედლებული. ეს უკანასკნელი ნაწარმოებში მოჩანს, როგორც ბოროტების შავი აჩრდილი; იგი უაღრესად აქტიურ როლს ასრულებს მოვლენათა ტრაგიკულ განვითარებაში. გადალენდიას სახით დავითს ჰყავს საიმედო დასაყრდენი ძალა; მისი ბნელი წარსული და გატეხილი სახელი (ნაყაჩაღარი, თავზეხელაღებული, უნდო) სავსებით ზედგამოჭრილია დავითის მიზნებისათვის: ამავე დროს გადალენდიას ხომ თითქოს უყვარს თინა; ლევანის მოსპობა ეს ნიშნავს არა მარტო პირადი მოქიშპის ჩამოცილებას, არამედ ერთობის ძალების ალაგმვასაც. ასე ერთდება გადალენდიაში პირადი და კლასობრივი ინტერესი.

დამოკიდებული (დაქვემდებარებული) სიუჟეტური ხაზის განვითარების მეორე ეტაპზე ლევანი კვლავ მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის სათავეშია მოქცეული. იგი დროებით თმობს თავის სიყვარულს. საგულისხმოა ამ მხრივ მისი ბარათი თინასადმი. ამ ბარათში ის სატრფოს ატყობინებს, თუ რა ყოფაში იყო იმ ხანად, რომ მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი „დაკარგვა“, რომ სოფელს და ერთობის საქმეს დიდად ესაჭიროებოდა მისი, ლევანის, სუსტი ძალა, რომ „მოთმინება გვინდა კიდევ ცოტა ხანს და ძალა ჩვენს ხელში გადმოვა. მაშინ კი ბედნიერებას ვი˙ დაგვიშლისო“.

მაგრამ მოწინააღმდეგე მოხერხებულად იყენებს ლევანის სწორედ უარყოფით მხარეს, მისი ნებისყოფის სისუსტეს და ხასიათის მერყეე ბუნებას. თინას გულცივი დამოკიდებულებით გაბოროტებული გადალენდია შენიღბულად უახლოვდება ლევანს, შედის „ერთობის“ რიგებში, ამავე დროს შიგნიდან კავშირს ამყარებს დავითთან, დავითის სახით რეაქციის ძალებთან. მოქმედება ამ ეტაპზე განსაკუთრებული დრამატული სიმძლავრით ვითარდება: თინა ატყობინებს გაიოზის განზრახვას გიოს, გიო ტარიელს, მაგრამ სანამ ტარიელი და ბეჟანა გადალენდიასთან დამარტოხელებულ ლევანს მიუსწრებდნენ, მტერი უკვე თავის მიზანს აღწევს.

ამ კულმინაციურ, მძიმე, ტრაგიკულ მომენტში (თავი მეთვრამეტე) კვლავ ერთდება ერთი წერტილიდან გამოსული ორი, ერთმანეთზე დამოკიდებული სიუჟეტური ხაზები. ამის შემდეგ ისინი კვლავ სხვადასხვა გზით ვითარდებიან. ერთი მხრივ, ჩვენ ვხედავთ რევოლუციური ძალების ხელახალ გამოცოცხლებას (ტარიელის განთავისუფლება ციხიდან, მებრძოლთა რაზმის შედგენა), რაც ეპილოგშია გამოსახული, ხოლო მეორე მხრივ, ბეჟანა შურს იძიებს გადალენდიაზე, ხოლო თინა უმწიკვლოდ ინახავს თავის წმინდა სიყვარულს ლევანისადმი (ფინალი).

ასეთია მოკლედ ტეხილი ხაზების, გადახლართული ეპიზოდებისა და სცენების ურთიერთკავშირი „ტარიელ გოლუაში“. სწორედ ნაწარმოების ასეთ სტრუქტურულ აგებულებაში, კომპოზიციურ მონოლითობასა და მოქმედებათა დინამიკურ განვითარებაში მჟღავნდება მთელი თავისი სისავსით ნაწარმოების იდეურ-თემატური შინაარსი და მთავარ გმირთა ხასიათები.

ენობრივი ფენომენი. არანაკლებ როლს ასრულებს ნაწარმოების

საერთო იდეურ-ესთეტიკურ აღქმაში მისი მხატვრული ენობრივი ფენომენი. „ტარიელ გოლუა“ დაწერილია მეტად სადა, უბრალო, ლაკონიური, გამართული ქართული ლიტერატურული ენით. მისი ყოველი პოეტური სახე ნათელია და ხატოვანი, ფრაზები მოკვეთილი და ცხადი, აზრი მკაფიო და გასაგები. იშვიათად შეგვხვდება ნაწარმოებში ბუნდოვანი, დახლართული კონსტრუქციის წინადადებები. ყოველივე ამის საფუძველი იმაშია, რომ ქიაჩელი ეყრდნობა ენის ხალხურ საუნჯეს, მის მოქნილ, ელასტიურ ბუნებას, მდიდარ ლექსიკას და მისგან ირჩევს შესაფერის ფრაზებსა და გამოთქმებს, სიტყვებს და ტერმინებს თავისი იდეის, ეპოქის სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად.

შესაძლოა სტრუქტურალისტ მ. ბახტინის მსგავსად, რომელმაც პუშკინის „ევგენი ონეგინის“ ენა დაჰყო გარკვეულ ზონებად და თითოეულ მთავარ მოქმედ პირს (ონეგინს, ლენსკის, ტატიანას) თავისი „სტილური ზონა“ შემოუსაზღვრა,[1] „ტარიელ გოლუაშიც“, რამდენადაც ეს რომანიც დიალოგიზირებულ სტილზეა აგებული, ცალკე გამოვყოთ თვით ტარიელის, გადალენდიას და სხვა მოქმედ პირთა ენობრივი ზონები, რომლებიც ერთობლივ „სტილურ სისტემებს“ წარმოშობენ.

მართლაცდა, ტარიელის მეტყველება სავსებით შეეფარდება იმ დონეს, რომელზედაც მისი შეგნება დგას. რამდენადაც იგი მაღალი ზნეობის, მოწინავე საზოგადოებრივი იდეალების და ხალხის წინამძღოლის გამომხატველია, იმდენად მტკიცე, დახვეწილი და მონოლითურია მისი ენობრივი სტილი და პირიქით, რამდენადაც გადალენდია მორალურად დაქვეითებული და გადაგვარებული ადამიანია, ამდენად ალსავსეა მისი მეტყველება უხეში, ტლანქი გამოთქმებით („გველის წიწილავ“, „პირძაღლი“, „ბებერო ძაღლო“ და სხვ.).

ნაწარმოებში ნაკლებად არის გამოყენებული დიალექტიზმი, პროვინციალიზმი. გვხვდება მისი ცალკეული, ერთეული შემთხვევები (მაგალითად, რუსიციზმის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „ბუნტი“, „ნაჩალნიკი“, „რაზბოინიკი“, „პლასტუნი“ და სხვ., ბარბარიზმისა — „დეკლარაცია“, „ვულგარული“, „მაშინალურად“, „ექსტაზი“, პროვინციალიზმისა — „აქნობამდის“, მეგრულის გავლენით შემოტანილი სიტყვებია: „ქველა“, „ოხონური“, „კალანჩხა“, „თო-

[1] М. Бахтин, Проблемы творчества Достоевского, 1929.

ლიგე“ და სხვ.). მწერლის მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელია მეტწილად ისეთი პოეტური ხერხების გამოყენება, როგორიცაა შედარება, მეტაფორა, ეპითეტი. შედარებისათვის ძირითადად მწერალი იყენებს კავშირებს „ვით“ და „როგორც“. რთული მეტაფორული აზროვნების საუცხოო მაგალითია: „მთებიც ზარის დასარეკად გამზადებულიყვნენ და ღამის შავი ფარდიდან შეუმჩნევლად გამოდიოდნენ“ ან კიდევ „მკრთალი სინათლის სუსტი სხივები ღამის საიდუმლოებათ დასაკლეთისაკენ ერეკებოდნენ, წყვდიადის ლაშქარს გულმოდგინედ ფანტავდნენ“. რთული შედარების მაგალითებია: „გაიოზი ისე მიკვროდა სვეტს, რომ მისგან ფიზიკურად არც კი განირჩეოდა, როგორც სულიერად, იდუმალად მოფუსფუსე ღამისაგან“, „შემოდგომა ბამბის გახეთქილი კვირტებიდან ქულასავით გამოიმზირებოდა“ და ა. შ.

სოციალისტური რეალიზმის საწყისები. ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ როლი და მნიშვნელობა მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შეუძლებელია სწორად იქნეს შეფასებული, თუ სპეციალურად არ შევეხეთ რევოლუციამდელ ჩვენს ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის საწყისების საკითხს.

სოციალისტური რეალიზმი სინამდვილეს განიხილავს მის რევოლუციურ განვითარებაში, პერსპექტივაში. ესაა მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთავისებურება. იგი ღრმად წვდება და გვისურათებს არა მხოლოდ დღევანდელს, არსებულს, არამედ გვიჩვენებს დღევანდელს მის ხვალინდელობაში, წინააღმდეგობების დაძლევის, უკეთესი, უფრო დიადი მერმისისათვის ბრძოლის პერსპექტივაში. სწორედ ამ მომენტში სოციალისტური რეალიზმი იერთებს თავისთავში რევოლუციურ რომანტიზმს, როგორც მის ორგანულ, შემადგენელ ელემენტს. რევოლუციური რომანტიზმი ის შენაკადია სოციალისტურ რეალიზმში, რომლითაც მწერალს სრული საშუალება ეძლევა სინამდვილე გვიჩვენოს მის კონფლიქტებში, პერსპექტიულობაში, მიმზიდველობაში და ამით დარაზმოს ხალხი ასეთი სინამდვილის შესაქმნელად.

სინამდვილის პერსპექტიული ჩვენება არ ხდება იმ უბრალო რომანტიკით, იმ უბრალო ფანტაზიით, რომელიც მეტნაკლებად ყოველ რეალისტ მწერალს ახასიათებს, როგორც მხატვრული შემოქმედების აუცილებელი პირობა, აქ ლაპარაკია გორკისებურ რევო-

ლუციურ რომანტიზმზე. შემოქმედებითს გაქანებაზე. რომელმაც თავისი კლასიკური გამოხატულება ჰპოვა „დედაში“.

მეცნიერული სოციალიზმის იდეების მუშათა მოძრაობასთან შეერთების, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ფართოდ გაჩაღების, მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად და ახალი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად მუშათა კლასის რიგების ორგანიზაციული დარაზმულობის ეპოქამ ცხოვრებაში წარმოშვა მოწინაეე მებრძოლი მუშის, ბოლშევიკი რევოლუციონერის სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ტიპი. ეს იყო მაშინდელ სინამდვილეში, კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში ის ჯანსაღი თესლი, რომლიდანაც, ისტორიული მოვლენების დიალექტიკური განვითარების კანონზომიერების მიხედვით, აღმოცენდებოდა (და აღმოცენდა კიდეც) ამავე სინამდეილის გარდამქმნელი დიადი და უშრეტი ძალა.

მაქსიმ გორკის გამჭრიახი მხატვრული ხედვა და ალღო სწორედ აქ გამოჩნდა. მან ცხოვრებაში წარმოშობილი რიგითი ახალი ადამიანების — პეტრე ზალომოვისა და მისი დედის ანა კირილეს ასულის პროტოტიპული მონაცემებიდან მსოფლიო ლიტერატურაში შექმნა რევოლუციისათვის, სოციალისტური იდეებისათვის თავდადებული გმირი ადამიანების პაველ ვლასოვისა და პელაგია ნილოვნას უბრწყინვალესი სახეები. ასეთი სახეები იშვიათად მოიძებნებოდა მაშინდელ სინამდეილეში, მაგრამ ისინი მილიონებად გაიზრდებოდნენ (და გაიზარდნენ კიდეც) შემდეგში, რადგან მათ ჰქონდათ ზრდის. განვითარების. წინსვლის. აღმაფრენის პერსპექტივა. ასე იჩინა თავი გორკის „დედაში“ სინამდვილის გამოსახვის სოციალისტურმა მეთოდმა, რომელიც განათებული იყო რევოლუციური რომანტიკის შუქით. სწორედ ამიტომ მისცა ესოდენ მაღალი შეფასება ამ ნაწარმოებს პროლეტარიატის ბრძენმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა.

მებრძოლი, რევოლუციური ოპტიმიზმი და თავისუფლებისათვის ხალხის დარაზმულობის გმირული ჰეროიკა, სოციალისტური ჰუმანიზმი და მძაფრი ტენდენციურობა, სინამდვილის იდეალური წარმოსახვა მის მუდმივად მზარდ განვითარებაში, ადამიანთა გმირული, რეალისტური სახეების რომანტიკული შეფერადება მათი ზეშთაგონების გასაძლიერებლად, დიადი, ნათელი მომავლისათვის ბრძოლის სწორი გზის ჩვენება და ამ გზაზე არსებული წინააღმდეგობების გადასალახავად მთელი რაინდული სულიერი ძალების

მობილიზება და დარაზმვა, გმირთა შემტევი, ბოლომდე დაუმორჩილებელი და გაუტეხელი სულისკვეთება, — აი, ის ძირითადი ნიშნები, რომლითაც „დედა“ შორდება კრიტიკული რეალიზმის შემბოჭველ ხუნდებს და გვესახება ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპად რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში.

გორკის შემოქმედების ეს სიახლე განპირობებულია იმ განსაკუთრებული თავისებურებით, რომლითაც ხასიათდება რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორია მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეში. გორკის ამ ნაწარმოების შექმნისათვის 1905-იან წლებში მომზადებული იყო აგრეთვე იდეოლოგიური საფუძველიც. ამავე წლის 17 ნოემბერს „ნოვაია ჟიზნში“ გამოქვეყნდა ლენინის ისტორიული სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელმაც პროლეტარიატის ინტერესებთან ახლო მდგომი მწერლობა შეაიარაღა სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის ბრძოლის თეორიული საფუძვლებით.

მაქსიმ გორკი რუსულ ლიტერატურაში პირველი მწერალი იყო, რომელიც საქმით გამოეხმაურა ლენინის მოწოდებას პროლეტარული ლიტერატურის შექმნის შესახებ. და შემთხვევითი როდია, რომ პროლეტარული, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი ნაწარმოები „დედა“ იქცა აგრეთვე სოციალისტური რეალიზმის ელემენტების პირველ შემომტანად საბჭოთა ლიტერატურაში.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გორკის „დედაში“ სოციალისტურმა რეალიზმმა თავისი სრულყოფილი და დამთავრებული სახე მიიღო. სოციალისტური რეალიზმის ნიშნების სრულყოფა (რაც დღესაც გრძელდება) შესაძლებელი იყო მომხდარიყო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ექსპლოატატორული კლასის და კლასობრივი ჩაგვრის მოსპობის შემდეგ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

აქედან ცხადი ხდება, რომ სოციალისტური რეალიზმის ჩასახვა და აღმოცენება დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის რევოლუციური ბრძოლის გმირულ წარსულთან, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ფართოდ გაჩაღების ისტორიასთან. მაშასადამე, სოციალისტური რეალიზმის სათავეების „შორეულ წარსულში“ ძიების უგულებელყოფა მცდარია და გაუმართლებელი.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორია

ამ მხრივ მდგომარეობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში? გვაქვს თუ არა საშუალება ვეძიოთ სოციალისტური რეალიზმის სათავეები ჩვენი ლიტერატურის „შორეულ წარსულში“, თუ მისი დამკვიდრება ავხსნათ მხოლოდ „დიადი გარდატეხის“, „სოციალიზმის მატერიალური ბაზის აღმოცენების“ ეპოქასთან უშუალო და მჭიდრო კავშირში? თუ შესაძლებელია ეს ძიება, სახელდობრ სად? რომელ პერიოდში? რომელ მწერალთან?

აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ამ მიმართულებით თეორიული ძიება დღემდე არ წარმართულა.[1] ამავე დროს დასმული საკითხის გარკვევას, ვფიქრობთ, კარდინალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის ე რ ო ვ ნ უ ლ ი თვითმყოფადობის ნათელსაყოფად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის შრომებში გამოთქმულია მოსაზრებანი, რომლებიც მოითხოვენ ამ საკითხისადმი ინტერესის გაძლიერებას. ეს აზრები არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებენ, მაგრამ მათ აერთებთ ერთი საერთო სწორი პოზიცია: სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესაძლებლობის დაშვება ჩვენს რევოლუციამდელ ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ადრე, 1950 წელს, ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლების მეთოდიკურ პრობლემებზე მუშაობისას, ჩვენ გამოვთქვით აზრი ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ სოციალისტური რეალიზმის ნიშნების არსებობის შესახებ, მაგრამ მაშინ ამ აზრის გაშლა და დასაბუთება არ მოგვიცია. შემდეგ, სალიტერატურო კრიტიკაში გამოჩნდა მსგავსი შეხედულებანიც, რამაც გვაიძულა კვლავ დავბრუნებოდით ამ საკითხს და გვეცადა მისი რამდენადმე საფუძვლიანი გაშუქება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებით შევაჩეროთ ამ საკითხზე მკითხველის ყურადღება.

უწინარესად, როგორია „ტარიელ გოლუას“ მთავარი იდეური შინაარსი? რა კონკრეტულ-ისტორიულ მასალაზეა აგებული იგი?

ლენინი თავის მოხსენებაში 1905 წლის რევოლუციის შესახებ, რომელიც წაიკითხა მან 1917 წლის 22 იანვრის ციურიხში (შვეიცარიაში) მუშა ახალგაზრდობის მიერ მოწვეულ კრებაზე. იძლევა 1905 წლის პერიოდში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ამომწურავ, კლასიკურ დახასიათებას. ლენინი ამ მოხსენებაში მთელი თავისი

[1] ავტორს მხედველობაში აქვს 50-იანი წლები, როცა შრომის ეს ნაწილი დაიწერა.

სიცხადით აღადგენს მოვლენათა რევოლუციური განვითარების მღელვარე ეპიზოდებს, გვიჩვენებს, თუ როგორ, რა პოლიტიკური და სოციალური იდეალებით მონაწილეობდნენ გლეხთა მილიონიანი მასები 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, როგორ იჩრებოდა თანდათან მათს ცხოვრებაში რევოლუციური შეგნება, თავისუფლებისათვის ბრძოლის რევოლუციური იდეა.

„რუსეთის სოფელში გამოჩნდა ახალი ტიპი, — ამბობდა ამ მოხსენებაში ლენინი, — შეგნებული ახალგაზრდა გლეხი. მას „გაფიცულებთან“ ურთიერთობა ჰქონდა, ის კითხულობდა გაზეთებს, ის უყვებოდა გლეხებს ქალაქებში მომხდარ ამბებს, ის უხსნიდა სოფლელ ამხანაგებს პოლიტიკურ მოთხოვნათა მნიშვნელობას, ის მოუწოდებდა მათ ებრძოლათ მსხვილ მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა, ხუცებისა და მოხელეთა წინააღმდეგ“[1].

ლენინის ამ სიტყვებიდან ჩვენთის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოქამ სოფლად წარმოშვა სრულიად ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი შეგნებული ახალგაზრდა გლეხისა, რომელიც დაკავშირებული იყო რა ქალაქის პროლეტარიატთან, ეწეოდა სოფლად რევოლუციური იდეების პროპაგანდას, აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლის აგიტაციას.

თავისი ხასიათით გლეხთა მოძრაობა იყო დაქსაქსული, სტიქიური, არაორგანიზებული. ლენინი, აჯამებდა რა რევოლუციის დამარცხების მიზეზებს, თავის მოხსენებაში 1917 წელს ამბობდა: „სამწუხაროდ, გლეხები მოქმედებდნენ მეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ სათანადო შეტევითს უნარს, და ეს არის რევოლუციის დამარცხების ერთი ძირითადი მიზეზთაგანი“[2].

ასეთი იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაშლის თვალსაზრისით 1905 წლის ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე, რომლის მხატვრულ გაშუქებას იძლევა ლეო ქიაჩელი „ტარიელ გოლუაში“.

როგორ შეძლო მწერალმა მოცემული ეპოქის ამ კონკრეტულ-ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ასახვა ნაწარმოებში?

ჯერ ერთი, ნაწარმოები მოიცავს პერიოდს 1905 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე და მასში მოვლენათა და ვითარებათა ისე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, მეოთხე გამოცემა, თბ., 1951, გვ. 319—320.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 327.

თიეე დახლართული, ზიგზაგობრივი, გამწვავებული და შენელებული განვითარებაა, როგორც ეს ამ პერიოდის კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეში იყო. ოსტატურად გამოკვეთილი მხატვრული სახეების, ხასიათების საშუალებით იგი დამაჯერებლად და შთამაგონებლად მოგვითხრობს ჩვენი სახელოვანი წარსულის — 1905 წლის ეპოქის მღელვარე და ბობოქარ დღეებზე, სწორად გვიხატავს მშრომელთა შეუნელებელ სწრაფვას თავისუფლებისაკენ, მათი რევოლუციური განწყობილებების თანდათანობით ზრდას, გვიჩვენებს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თანდათანობით გაშლას, ამ მოძრაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის მიდრეკილებას, მიმართულებას, მისი აღმავალი, რევოლუციური ხაზით განვითარებას, მის დაცემას და აღდგენას და, რაც მთავარია, ხალხის ჩაუქრობელ, გაუტეხელ რწმენას საბოლოო გამარჯვებისადმი. ამაშია ამ ნაწარმოების განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობა, მისი იდეურ-თემატური სიახლე ქართული კრიტიკული რეალიზმის წინა ნიმუშებთან შედარებით.

ნაწარმოებში გამოსახული სოციალური და პოლიტიკური მოვლენები, მაღალი საზოგადოებრივი იდეალები, ქართველი ხალხის საუკეთესო მებრძოლი ტრადიციები მთელი თავისი სიცხადით გამოხატულებას პოულობენ ტარიელ გოლუას მკვეთრად ინდივიდუალიზებულ, მაგრამ, ამავე დროს, დიდი მხატვრული ოსტატობით გამოძერწილ ზოგად ტიპიურ სახეში. ამ გმირის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორია, ეს არის ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით ამაღლებული მოწინავე ქართველი ხალხისა, ისტორია იმ მწვავე და შეურიგებელი ანტაგონიზმისა, რომელიც არსებობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ტარიელის სახეში ჩაქსოვილია ყველა ის ძვირფასი თვისება, რაც ისტორიულად ახასიათებდა და ახასიათებს ჩვენს ხალხს. იგი გვეელინება როგორც ძლიერი და შეუდრეკელი ქართველი ხალხის ისტორიული სიმტკიცის, ქედუხრელობის, მტრებთან ბრძოლაში გამობრძმედილობისა და შეურიგებლობის მეტად ორიგინალური და რეალისტური განსახიერება.

თვით ადამიანის სულის მწუხარების ყველაზე უსაშინელეს მომენტშიც კი, როცა ტარიელ გოლუა ხელზე აყვანილი, მოკლული ერთადერთი შვილით წინ ეგებება დავითის მიერ მიგზავნილ მეფის ჯარს, მის სახეზე არ იხატება შიშისა და შეკრთომის, უკანდახევისა

და მორჩილების ოდნავი ნიშანიც კი. მაინც მტკიცეა და უდრეკი მისი გამომეტყველება, მაინც ფეთქავს მის გულში გამარჯვების იმედი, იმედი ნათელი, ბრწყინვალე, თავისუფალი მომავლისა.

და აი, ამ იმედით შთაგონებული ტარიელ გოლუა, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, კვლავ პირველი ეწერება ახალი რევოლუციისათვის მებრძოლთა წინა რიგებში. იგი კვლავ დგება გლეხთა რევოლუციური ძალების მოწინავეთა მწკრივში და მტრის წინააღმდეგ ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლის სანიმუშო მაგალითს აძლევს ახალგაზრდობას. „ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, — ვკითხულობთ რომანის ეპილოგში, — როგორც დროს ქარიშხლით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვებმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩ ტყეში“.

ტარიელ გოლუას უეჭველად ჰყავს თავისი წინამორბედნი კრიტიკული რეალიზმის დადებითი გმირების: ხევისბერი გოჩას, ელგუჯას, ჯორ-ზაქარას და სხვათა სახით, მაგრამ, მათთან შედარებით, იგი წინ დგას თავისი მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებით, განცდილებით, ძიხედულებით, თავისუფლების იდეებისადმი ერთგულების ურღვევი გრძნობით. იგი იერთებს თავის თავში კრიტიკული რეალიზმის მიერ დაგროვილ მდიდარ ტრადიციებს, მაგრამ ამ ტრადიციებს აფართოებს და აღრმავებს ახალი ისტორიული ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. ტარიელის სიტყვა და საქმე განუშორებელია ერთმანეთისაგან; მისი ხასიათი ყალიბდება მოქმედებაში, მუდმივ მისწრაფებაში ახლისკენ, სინათლისკენ, მზისკენ; იგი ებრძვის ძველ, ანტაგონისტურ, დახავსებულ სინამდვილეს; და ამ ბრძოლაში კი არ სუსტდება, კი არ ეცემა, არამედ უფრო და უფრო მაგრდება და მტრისთვის აუღებელ ციხესიმაგრედ იქცევა. ამაშია მისი სულის სიდიადე.

ასეთი ნაწარმოების შექმნითა და ასეთი ძლიერი მხატვრული სახის გამოკვეთით ლეო ქიაჩელმა რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა აღადგინა თავის უფლებებში ქართული კლასიკური პროზის შესანიშნავი ტრადიციები, ამით კვლავ მჭიდროდ დაუკავშირა ლიტერატურა ხალხის ინტერესებს, ცხოვრებას, სინამდვილეს, და, ამავე დროს, ქართულ პროზაში სათავე დაუდო ახალ მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდს — სოციალისტურ რეალიზმს.

„ტარიელ გოლუა“ მასში გამოსახული ეპოქალური მოვლენებით,

მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით, კონკრეტული ისტორიული ეპოქის სწორად ჩვენებით, დადებითი გმირების ხასიათით არსებითად განსხვავდება ქართული კრიტიკული რეალიზმის სხვა ქმნილებათაგან. ეს განსხვავებულობა გამოწვეულია განსაზღვრული ისტორიული ეპოქის პირობებით, სპეციფიკური თავისებურებებით.

ფართო მასების შეგნებაში სოციალისტური იდეების შეჭრის ეპოქამ, რაც უშუალოდ დაკავშირებულია 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდთან, თავისუფლებისათვის ბრძოლის არენაზე გამოიყვანა არა ცალკეული ინდივიდები, არამედ მთელი ხალხი. და თუ ინდივიდების ბრძოლა ისტორიაში განწირული იყო დამარცხებისათვის, ხალხის აღშფოთებისა და მრისხანების ჩაკვლა არ ძალუძს არავითარ ძალას. დაუშრეტელია მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, ამიტომ გარდუვალია მისი გამარჯვებაც.

„ტარიელ გოლუაში“ მებრძოლი ოპტიმიზმი სწორედ ამითაა განპირობებული. ლეო ქიაჩელმა გვიჩვენა ახალ ისტორიულ ეპოქაში გმირის ახალი ხასიათი, ახალი განწყობილება, პიროვნებისა და საზოგადოების მისწრაფებათა ერთიანობის უმაგალითო ძალა. ანტაგონისტური სინამდვილე ლამობს კვლავ გათიშოს ეს ერთიანობა. კვლავ ნამსხვრევებად აქციოს დადებით გმირთა პროგრესული იდეალები. ამ მიზნით იგი ერთობის რაზმში გზავნის რეაქციის აგენტს. გაბოროტებულ გაიოზ გადაჭენდიას, მაგრამ, მიუხედავად შავი რეაქციის ყოველგვარი ხრიკებისა, მიუხედავად გაღებული დიდი მსხვერპლისა, ჩაუმქრალია მაინც ხალხის რევოლუციური სულისკვეთება, მისი რწმენა საბოლოო გამარჯვებისადმი. ეს რწმენა აღაფრთოვანებს ხალხის საუკეთესო შვილებს, უნერგავს მათ ნებისყოფის სიძლიერეს და მტრებთან შეურიგებლობის გრძნობას.

ამის შედეგად ტარიელ გოლუა მისი წინამორბედი ლიტერატურული გმირებისაგან განსხვავებით, გამოიყურება არა როგორც ქედმოხრილი, დევნისა და რეპრესიების შედეგად სულიერად გატეხილი ადამიანი, არამედ როგორც გოლიათური, ტიტანური, შეუდარებელი სულის პიროვნება, როგორც ვაჟკაცობის, გმირობის, ხალხური გრძნობებისა და იდეალების უკვდავების განსახიერება. ამ მხრივ ტარიელ გოლუა უაღრესად ეროვნული, კოლორიტული სახეა.

ეს დიდი სოციალური აზრი მწერლის მიერ ჩაქსოვილია ეპილოგში, რაც, როგორც ახალი შინაარსის ადეკვატური ახალი ფორმა,

შედარებით უცხო იყო კრიტიკული რეალიზმისათვის. მასში ოსტატურადაა ნაჩვენები მოვლენათა ხელახალი განვითარების, რევოლუციური მოძრაობის ხელახალი აღმავლობის დასაწყისი და მისი პერსპექტიულობა. ასე გასცილდა ლეო ქიაჩელი „ტარიელ გოლუაში“ კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობას და ამაღლდა ეპოქის მოთხოვნების დონემდე. ასე მოამზადა ქართველი ხალხის რევოლუციური გმირული ბრძოლების ისტორიულმა სინამდვილემ ნიადაგი ქართული კრიტიკული რეალიზმის წიაღშივე სოციალისტური რეალიზმის ნიშნების ჩასახვისათვის ჩვენს ლიტერატურაში.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ სოციალისტური რეალიზმის ნიშნების წარმოშობა მარტოოდენ 1905 წლის კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის თავისებურებით, ჩვენი ხალხის გმირული ისტორიული ბრძოლის წარსულით აგვეხსნა. არ შეიძლება „ტარიელ გოლუაში“ სოციალისტური რეალიზმის ნიშნებზე ვილაპარაკოთ და პარალელი არ გავავლოთ გორკის „დედასთან“, როგორც ამ ნიშნების პირველ კლასიკურ გამოხატულებასთან მთელ ჩვენს მრავალეროვან ლიტერატურაში. ამ ორი ნაწარმოების შედარებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ ახლო დგას გორკის „დედასთან“ არა მარტო თემატური აქტუალობის თვალსაზრისით, არამედ სახეთა შექმნის, იდეების გამოსახვის მხატვრული სიძლიერის მხრივაც.

ამის დასამტკიცებლად მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ისე როგორც გორკიმ „დედა“ შექმნა მის მიერ უშუალოდ ნანახი და განცდილი ფაქტიური მასალების, ამ მასალების დიდი მხატვრული განზოგადების საფუძველზე, ასევე ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაც“ მთლიანად ემყარება მწერლის პირად გამოცდილებას და იმ მდიდარ ფაქტიურ მასალებს, რომლებიც მოეპოვებოდა მას 1905 წლის რევოლუციის შესახებ.

ტარიელ გოლუა, ისე როგორც ვლასოვი, არ წარმოადგენდა მაშინდელ ცხოვრებაში ჩვეულებრივს. გავრცელებულს, არამედ შექმნილია მწერლის მიერ რეალიზმში რევოლუციური რომანტიკის ელემენტების გამოყენების გზით, სახის მხატვრული შეფერადების, გამახვილების გზით, რაც ლიტერატურაში ტიპიურობის პრობლემის გადაჭრის სრულიად სწორი, გორკის შემოქმედებითი პრაქტიკით შემოწმებული გზაა.

2. ისე როგორც გორკიმ „დედაში“, ლეო ქიაჩელმა „ტარიელ გოლუაში“ ძლიერად გვიჩვენა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი, როგორც ისტორიის მთავარი მოქმედი ძალა, ამ ხალხის სულიერი და მატერიალური ძალების განსაკუთრებული სიმტკიცე, მასში სოციალისტური იდეების ზეგავლენით პოლიტიკური შეგნებულობის გაძლიერება და რევოლუციური განწყობილებების თანდათანობითი ზრდა. გლეხური იდეოლოგიის სოციალისტურად გარდაქმნის სიმბოლურ სურათს გადმოგვცემს ნაწარმოების ეპილოგის შემდეგი სტრიქონები:

„ახალგაზრდა აგიტატორის მოწოდებაზე პირველად ვერავის გაეგებდნა ხმის ამოღება. ამიტომ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

— მე მოვდივარ! — გაისმა ბოლოს თამამი ხმა ხალხიდან და წინ წარსდგა სვანური ქუდით შუბლზე ჩამოფარებული, თეთრი თმაწვერულებაშით მოსილი ტარიელ გოლუა... ტარიელის ხმის გაგონებაზე და მის დანახვაზე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მაგრამ მალე მიწყდა და სიჩუმე დამკვიდრდა.

ახალგაზრდა სტუდენტი შეკრთა, გაკვირვებულად მიმოიხედა, მაგრამ ხალხის ღრმა ფიქრით მოცულ სახეზე მომხდარის ამოცანა ვერ ამოეკითხა, — მისთვის უცნობი იყო ტარიელ გოლუას ოჯახის თაეგადასავალი...

— მეც !— გაისმა შემდეგ ცოცხალი, კრიალა ხმა და ტარიელს გვერდით ამოუდგა კოხტად შეიარაღებული ბეჭანა.

— გზა მომეცით, ყმაწვილებო!.. ტარიელის გვერდში ამომიყენეთ... გლახა ბაჩუას სული მაცხონებინეთ!.. მისი მაგივრობა გამაწევინეთ, — გაისმა ტაგუს ხმა.

ხალხი გამოერკვა. სულ მცირე ხანში, რაც კი იქ ახალგაზრდობა მოიპოვებოდა, ტარიელისაკენ ყვირილით გაეშურა.

— ყველანი შენთან ვართ!.. მოვდივართ!.. ტარიელი მამაა ჩვენი და წინამძღოლი!.. — აღფრთოვანებით ამბობდა ახალგაზრდობა და საყვარელ ადამიანს გარს ეხვეოდა“.

ქართული კრიტიკული რეალიზმის არც ერთ წარმომადგენელს ლეო ქიაჩელამდე არ უჩვენებია ხალხის სულიერი აღფრთოვანების, სოციალისტური აზრების გარშემო მისი ერთსულოვანი დარაზმულობის ესოდენ მიმზიდველი სურათი. კრიტიკულ რეალიზმს არც შეეძლო მოეცა ასეთი სურათი თავისი შეზღუდულობისა და ეპოქის

ჩამორჩენილობის გამო. ლეო ქიაჩელმა, ახალი ისტორიული ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა გვიჩვენა ხალხის იდეური ზრდა და დარაზმულობა, მისი სულიერი ამაღლება და ერთიანობის ძალა, მისი მებრძოლი ოპტიმიზმი და ანტაგონისტური საზოგადოების დანგრევის გარდუვალი აუცილებლობა.

3. გორკის „დედაში“ ახალგაზრდა, 19-20 წლის პავლე ვლასოვი პირველად იწყებს არალეგალურ ფარულ ორგანიზაციაში მუშაობას და მარქსისტული წიგნების კითხვით გარშემო იკრებს ფაბრიკის მუშებს, ხდება მათი მეთაური და ორგანიზატორი. შვილის მოქმედებაში სიმართლესა და ჭეშმარიტებას ხედავს დედა — პელაგია ნილოვნა. ეს აიძულებს მას არა თუ დაუშალოს შვილს საშიში გზით სიარული, არამედ შემდეგში თვითონ ხდება გამოჩენილი რევოლუციონერი, ხალხის წინამძღოლი და ბელადი.

დედა ამ შემთხვევაში დიდი რუსი ხალხის სულიერი სიმტკიცის, მისი გოლიათური ძალისა და რევოლუციური გაქანების განსახიერებაა ნაწარმოებში. დედის სიტყვა და საქმე შთაგონებულია ხალხის ინტერესებისათვის, სიმართლისა და ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის ბრძოლის იდეით. იგი ძლიერია ხალხური სიბრძნით, გამოცდილებით, ჰუმანიზმით. ამიტომ დედა უნათებს გზას არა მარტო პავლე ვლასოვს, არამედ მთელ რევოლუციურ ახალ თაობას — ანდრეი ნახოდკასაც და ეგორსაც, საშენკასაც და ნატაშასაც, რიბინსაც და მიხეილსაც. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების სიუჟეტი უმთავრესად პავლე ვლასოვის რევოლუციური წრთობის, მისი ბოლშევიკური ხასიათის ჩამოყალიბების პროცესის ჩვენების გარშემო ტრიალებს, მის ცენტრში მაინც დგას პელაგია ნილოვნა, როგორც ხალხის უძლეველობის სიმბოლური სახე.

გორკის „დედაში“ მუშათა კლასი მოჩანს, როგორც რევოლუციის მთავარი ძალა და ჰეგემონი, ხოლო „ტარიელ გოლუაში“ მოვლენების რევოლუციური განვითარება ნაჩვენებია სოფლის ცხოვრების მასალებზე და მაინც ამ უკანასკნელში მამა — ტარიელი ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში ისეთივე როლს ასრულებს, როგორც პელაგია ნილოვნა „დედაში“.

აქაც სოფლად ერთობის იდეების პირველი შემომტანია 20-21 წლის ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხი ლევან გოლუა, ხელობით მებუხრე, თავისი საქმის ოსტატი, რომელსაც „ხშირად ქალაქში-

აც კ· იწვევდნენ სამუშაოდ". ჩვენი აზრი ი, ლევან გოლ ი იმ .ხ.ლი ტიპის, შეგნებული ახალგაზრდა გლეხის ცოცხალი სახეა, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ წარმოშვა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სოფლებშიც. მართალია, ლევან გოლუა თავისი პოლიტიკური შეგნებით ჯერ კიდევ არ არის ამაღლებული ლენინის მიერ დახასიათებული ტიპის დონემდე, იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული პროფესიული რევოლუციონერი, მაგრამ განა სწორედ ქალაქთან დაახლოებულ ამ „მებუხრეს" არ შეაქვს სოფელში ახალი სიტყვა „ერთობა"?! განა სწორედ იგი არ იკრებს თავის გარშემო „სოფლელ ამხანაგებს", მოწინავე გლეხებს, არ შეაქვს მათ შეგნებაში ახალი აზრი, ბრძოლისა და მოქმედების ახალი იდეა?! განა იგი არ რაზმავს მეამბოხე გლეხებს მემამულეთა წინააღმდეგ, უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად?! სწორედ ამიტომ ნაწარმოების სიუჟეტი უმთავრესად ლევანის გარშემო ტრიალებს, მაგრამ აქაც მამა — ტარიელი მთელი არსებით უერთდება რა შვილის მიერ გაჩაღებულ ახალ საქმეს, შემდეგ თვითონ ხდება რევოლუციური მოძრაობის ბელადი და ორგანიზატორი სოფლად. ამ შემთხვევაში ტარიელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალხის გმირული სულისა და ისტორიული გამობრძმედილობის გამოხატულებაა და მხოლოდ იგი რჩება უკვდავი, როგორც ხალხი.

4. საინტერესოა გორკის „დედიდან" ერთ-ერთი პერსონაჟი ნატაშა. იგი ვაჭართა კლასის, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი კლასის წარმომადგენელია. მაგრამ ახალგაზრდა ნატაშა გაექცა მამის მიერ ხალხის გაძარცვით დაგროვილ სიმდიდრეს და ცხოვრებაში აირჩია სახიფათო, ძნელი, მრავალ რისკთან დაკავშირებული, რევოლუციური მუშაობის გზა. მან ზურგი შეაქცია თავის კლასს, თავის მშობლიურ გარემოს. დაახლოებით მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე „ტარიელ გოლუაშიც". თინა ვერ ურიგდება მემამულე დავითის, მშობელი მამის ცუდ და უხეშ ხასიათს, ზურგს აქცევს თავის კლასს, როგორც სოციალური ბოროტების საფუძველს და ლევანთან სიყვარულის გამოცხადებით თანაუგრძნობს ახალ თაობას, ახალ რევოლუციურ იდეებს, დგება ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე.

ჩვენ ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან შედარება იმისათვის დაგვჭირდა, რომ უფრო ნათლად გვეჩვენებინა სალიტერატურო კრიტიკაში უკვე შენიშნული ის იდეური და თემატური სიახლოვე, რომელიც გორკის „დედასა" და „ტარიელ გოლუას" შორის არსებობს.

მაქსიმ გორკის „დედა“ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ნაწარმოებია. „დედაში“ ნამდვილი რევოლუციური კლასის — მუშათა კლასის ორგანიზაციული დარაზმულობის, მუშა-ბოლშევიკების — ეგორის, ანდრეი ნახოდკას, პავლე ვლასოვის და სხვათა წარმტაცი სახეების ზრდის, მათი ხასიათების ფორმირების, ჩამოყალიბების ისტორიული პროცესია ნაჩვენები. ლეო ქიაჩელის ნაწარმოებში შორიდან, ისიც ბუნდოვნად მოჩანს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში. ჩვენ ამას ვგრძნობთ ქვეტექსტიდან ლევანის მორიგებულ სიტყვებში მამის წინაშე: „სირცხვილი იყო... ჩვენ-ღა ვსდუმდით“, ე. ი. ქალაქი რევოლუციის ალშია გახვეული და სოფელიც მის გზას უნდა გაჰყოლოდაო, მაგრამ მთლიანად ნაწარმოების სიუჟეტი სოფლის არტახებშია ჩაკეტილი, გლეხური რევოლუციის იდეოლოგიითაა გაჟღენთილი.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ლეო ქიაჩელი, როგორც მწერალი, შეზღუდული იყო მუშათა და გლეხთა 1905 წლის რევოლუციის იმ ნაციონალური თავისებურებით, რომლითაც ხასიათდებოდა ეს მოძრაობა საქართველოში. ცნობილია, რომ რუსეთის სინამდვილესთან შედარებით, საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატი ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი იყო.

ამიტომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ჩვენში შედარებით უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა. სარატოვის, ტამბოვის, ჩერნიგოვის, თ ბ ი ლ ი ს ი ს, ქ უ თ ა ი ს ი ს და ზოგიერთ სხვა გუბერნიაში მოდებული იყო ნამდვილი გლეხური აჯანყებები. ლეო ქიაჩელი გვერდს ვერ აუვლიდა ამ ისტორიულ სინამდვილეს. იგი თავისი რევოლუციური წარსულით სწორედ ამ გლეხურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. ცხადია, ყოველივე ამან განსაზღვრა მისი ნაწარმოების შეზღუდულობაც გორკის „დედასთან“ შედარებით.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

1. 1905 წლის კონკრეტულ-ისტორიული ეპოქა უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართველი ხალხის რევოლუციურ-გამათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. ამ პერიოდში რუსეთის მოწინავე, მთელ მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური მუშათა კლასის გმირულ მაგალითზე, მუშათა კლასისა, რომელსაც სათავეში ედგნენ მარქსისტული თეორიით შეიარაღებული ბოლშევიკური პარტია, დიდი ლენინი, საქართველოშიც ჩაღდება მუშათა და გლეხთა ძლავრი რევოლუციური მოძრაობა. ამ მოძრაობამ, რომელსაც ამიერკავკასიასა

და, კერძოდ, საქართველოში უშუალოდ ხელმძღვანელობდა კავკასიის კომიტეტი, თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელი გზა უჩვენა ხალხს, მუშებს და გლეხებს;

2. ქართულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ელემენტების ჩასახვა სწორედ ქართველი ხალხის ამ ისტორიულ წარსულთანაა დაკავშირებული. ეს სათავეები, ჩვენი აზრით, მომდინარეობს 1905 წლის ეპოქის ბრწყინვალედ გამომსახველი ნაწარმოებიდან — ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუადან“. მასში, კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, მოცემული ეპოქის სინამდვილე ასახულია მის რევოლუციურ განვითარებაში, პერსპექტივაში, მებრძოლი ოპტიმიზმისა და თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის რევოლუციური იდეებით;

3. „ტარიელ გოლუაში“ სოციალისტური რეალიზმის ამ ელემენტების წარმოშობა განაპირობა, ერთი მხრივ, ჩვენი ეროვნული ლიტერატურის სახელოვანმა ტრადიციებმა და ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის განსაზღვრული ისტორიული პერიოდის თავისებურებებმა, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი ჰუმანისტისა და სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის „დედამ“. ამის შედეგად ნაწარმოები გამოირჩევა თავისი რევოლუციური პათოსით, რევოლუციური გაქანებით, რაც ერთიორად ზრდის და ამაღლებს მის მნიშვნელობას;

4. ყოველივე ამან შექმნა მტკიცე საფუძველი ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის საბოლოოდ და ურყევად გამარჯვებისათვის, რაც ასე მტკიცედ გამოვლინდა შემდგომში ქართული საბჭოთა პროზის ისეთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში, როგორიცაა „გუადი ბიგვა“.[1]

მაგრამ ოცნებით ჯერ ისევ ჟენევას ვეწვიოთ.

დაბრუნება სამშობლოში

ჩვენს სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით ქიაჩელი ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ამ აზრის გავრცელების პირველი წყარო არის მწერლის მიერ შედგენილი

[1] უფრო გაშლილად ამ საკითხზე იხ. ჩვენს წიგნში „სპეცემინარის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი“, 1977, გვ. 77—95.

ბიოგრაფიული ცნობარი, რომელშიც ნათქვამია: „1917 წლის რევოლუციამ ქიაჩელს ემიგრანტობისა და არალეგალობის ბორკილები აჰყარა და სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების საშუალება მისცა“. კრიტიკოსთა უმეტესობამ ეს მწერლისეული გამოთქმა გაიგო როგორც მისი დაბრუნების თარიღი. ამ გზით ეს ცნობა მოხვდა რუსული „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის“ მესამე ტომში, სადაც ქიაჩელის შესახებ ვკითხულობთ: „1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში“[1]. მაგრამ ეს თარიღი არ არის სწორი.

ქიაჩელის ზემომოტანილ ჩანაწერში სწორად არის მითითებული ის ფაქტზე, რომ „1917 წლის თებერვლის რევოლუციამ“ მას „ემიგრანტობისა და არალეგალობის ბორკილები აჰყარა“, რომ „სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების საშუალება“ მისცა. მაგრამ იგი სრულებითაც არ გულისხმობდა ამ ფრაზების დაწერისას თებერვლის რევოლუციის მიჩნევას სამშობლოში მისი დაბრუნების თარიღად.

ჟენევაში ყოფნის მთელ პერიოდში — 1912 წლის სექტემბრიდან 1916 წლის აპრილამდე — ე. ი. სამი წლისა და შვიდი თვის განმავლობაში ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი პროდუქცია განისაზღვრება ათზე მეტი ნაწარმოებით. ამაში შედის ნაჩვენების გარდა სამი საბავშვო მოთხრობა („არსენას სიხარული“, „ფაცურა და გიშერა“ და „მეგობრები“), რომლებიც ქართულ საბავშვო ჟურნალებში დაიბეჭდა. ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში ერთგან აღნიშნავს, რომ „ლეო ქიაჩელმა 1912 წელს პირველი საბავშვო მოთხრობა შვეიცარიიდან გამოგვიგზავნა. მას შემდეგ სისტემატურად გვიგზავნიდა მოთხრობებს და ზღაპრებს“[2]. მაგრამ მთელს ამ ნაწარმოებთა შორის მეოცე საუკუნის ახალი ქართული პროზის ფუძემდებლური რომანი „ტარიელ გოლუა“ სულ სხვა ნიშანსვეტად იქცა მწერლის პირად ცხოვრებაში.

თუ ის აქამდე მისი სულის არეში იყო მოქცეული, მის „მკერდქვეშ“ ბუდობდა, ახლა, ე. ი. მას შემდეგ, რაც ქართველ ემიგრანტთა წრეში ეს ახალი ნაწარმოები დიდად მოიწონეს და 1916 წლის დასაწყისში (იანვრის შუა რიცხვებში) ავტორმა იგი საქართველოში გამოგზავნა, სახლიდან პირველად გასულ შვილზე დარდით შეწუხებული დედის მსგავსად, მწერალსაც ამ დროიდან მოუსვენრობა და-

[1] Краткая литературная энциклопедия, Москва, 1966, стр. 507.
[2] ნინო ნაკაშიძე, ტ. III, მოგონებები, 1963, გვ. 229.

ეტყო. მართალია, მას უქმად და უნაყოფოდ ხეტიალში არ გაუტარებია ემიგრანტობა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ „ტარიელ გოლუაზე“ ადრე დაწერილი ნაწარმოებები მის სახელს ვერ შემოინახავდნენ ისტორიაში. ფარულ იმედს იგი თბილისში ფოსტით გამოგზავნილ ხელნაწერზე ამყარებდა. ომიანობის ძნელი პირობების გამო კი თბილისიდან პასუხი არ ჩანდა. ლოდინის ყოველი დღე მძიმე და მტანჯველ ლოდად გადაექცა.

ჯერ კიდევ „ტარიელ გოლუაზე“ მუშაობის პროცესში აღეძრა ქიაჩელს სამშობლოში რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნების ფიქრი. მიხა ცხაკაიას ხშირად მიმართავდნენ ქართველი ემიგრანტები კითხვებით: — როდის დავბრუნდებით საქართველოში? შენ გეცოდინება, გვითხარი. — მალე, მალე! ეს ომი მოუღებს ბოლოს ნიკოლოზის ჯალათობას. ჯერ კი ამ მდგომარეობას უნდა გავუძლოთ. — დაბეჯითებით უპასუხებდა მიხა. მაგრამ ქიაჩელმა ადრევე გადაწყვიტა დიდხანს არ შერიგებოდა უცხოობაში ყოფნას და ერთ დღეს დავით სულიაშვილს პირდაპირ გაუმხილა კიდეც თავისი გულისნადები.

— მე დიდხანს აღარ დავრჩები აქ. — ეუბნება იგი 1914 წლის ოქტომბერში დავითს, — წავალ თბილისში. იქ არავინ მიცნობს და არალეგალურად ვიცხოვრებ.

— რას ამბობ, ლეო, რომ დაგატუსაღონ, მერე? — შეშფოთებით უპასუხებს დავითი.

— თუკი მოსკოვში ვიცხოვრე არალეგალურად ოთხი წელიწადი, რატომ თბილისში ვერ გავძლებ? როდემდის უნდა ვუცადო რევოლუციას?[1]

და, მართლაც, ქიაჩელს არ დაუცდია რევოლუციისათვის. ეტყობა, „ტარიელ გოლუაზე“ მუშაობამ ცოტათი დააყოვნა ადრე მიღებული გადაწყვეტილების შესრულება. მაგრამ როგორც კი დაამთავრა იგი, მერე შეუპოვრად იბრძოდა სურვილის ხორცშესხმისათვის. არც იმას უწევდა ანგარიშს, ჟენევის უნივერსიტეტსაც უდიპლომოდ რომ უნდა განშორებოდა, რომ მესამედ (ახლა უკვე თავისი ნებით) უნდა მიეტოვებინა უმაღლესი განათლების კერა, რომ ინკოგნიტოდ მგზავრობა სარისკო და სახიფათო იყო. ერთადერთი „საკვანძო“ პრობლემა თანამგზავრის პოვნა იყო. და ეს „პრობლემაც“, სრულიად მოულოდნელად, მის სასარგებლოდ გადაწყდა.

---

[1] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973. გვ. 407.

ამ დროისათვის (ე. ი. 1916 წლის დასაწყისისათვის) არაერთი თხოვნის შედეგად რუსეთის მეფის მთავრობისაგან თედო სახოკიას უკვე მიღებული ჰქონდა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. თედო სახოკია 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ხელმძღვანელობდა გემ „სიურისით“ საქართველოში მის შიერ ჩატანილი იარაღის გადმოტვირთვის ოპერაციებს ანაკლიისა და ფოთის ნავსადგურებში. სწორედ იმ ხანებში გაეცნო ლეო შენგელაიას, როგორც ზუგდიდის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელს. მაგრამ 1906 წელს სოხუმში დაპატიმრების, ციმბირში გადასახლების და გადასახლებიდან საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, ევროპაში ყოფნის მთელ პერიოდში, არსად შეხვედრია მას. გერონტი ქიქოძის მოგონების მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ „თედო სახოკია 1911-1914 წლებში ბრიუსელში ფიზიკურად მუშაობდა რომელიღაც ფაბრიკასა თუ ქარხანაში და სამშობლოს სევდით იყო დაავადებული“[1]. ამ სევდას ცოლ-შვილის სიყვარულის გრძნობაც აძლიერებდა.

და აი, თედო სახოკია თანამგზავრის საძებნელად 1916 წლის მარტის მიწურულს ჟენევაში ჩავიდა. ჭიაჩელის სწრაფვას და ინტერესს ამით ფრთები შეესხა. რუსეთის ჟენევის საკონსულომ შეუმოწმა მას რაჟდენ კოსტას ძე შენგელაიას სახელზე შედგენილ პასპორტში ჩაწებებული საკუთარი სურათი და ნება დართო გამომგზავრებულიყო საქართველოში არა როგორც ემიგრანტს, არამედ ვითომდა როგორც უცხოეთში სასწავლებლად ჩასულ თავისუფალ მოქალაქეს. მაგრამ ქიაჩელმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს „თავისუფალი მოქალაქეობა“.

ასე დაიწყო ორი ქართველი რევოლუციონერი ემიგრანტის ნაადრევი მოგზაურობა ევროპიდან სამშობლოში ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, 1916 წლის აპრილის შუა რიცხვებში. ამ წლის ერთ-ერთ დღიურში დავით სულიაშვილი წერს:„ რამდენიმე დღეა, რაც ლეო წავიდა. მისი „ტარიელ გოლუა“ ფელეტონებად იბეჭდება. გაიმარჯვა ლეომ, მაგრამ საქართველოში დაბრუნებით საშიშ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი“[2].

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თვით მოგზაურობის ზოგიერთი ეპიზოდის გაცნობა. გართულებული საერთაშორისო მდგომა-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფონდი 6456, გვ. 59.

[2] დავით სულიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1973, გვ. 437.

რეობის გამო მეგობრები იძულებულნი იყვნენ ემგზავრათ მარშრუტით: საფრანგეთი—ინგლისი—ნორვეგია — შვეცია—ფინეთი—რუსეთი —საქართველო. ბერლინიდან პოლონეთზე გავლით მგზავრობა გამორიცხული იყო. ერთი სახელმწიფოდან მეორეში შესვლისათვის საჭირო დოკუმენტების გაფორმებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა. მაგალითად. პარიზში ოც დღეს დაყოვნდნენ, ლონდონში — ათს. თედო მეტწილად ქალაქების დათვალიერებას ანდომებდა დროს. ლეო კი — სასტუმროში ფიქრებს და შემოქმედებით შრომას. გზაზეა დაწერილი 1916 წლით დათარიღებული მოთხრობა „მუხა და ტირიფი“. მასში ალეგორიულად გამჟღავნებულია ის მძლავრი სულიერი ლტოლვა, რაც ქიაჩელს შემოქმედებითი ინტერესების გარდა თბილისისაკენ აღტაცებით მიაჩროლებდა. მაგრამ ჯერ ისევ გავყვეთ მგზავრობის მარშრუტს.

ლონდონიდან ქიაჩელმა თედოსთან ერთად გადასერა დიდი ბრიტანეთის კუნძული და შოტლანდიაში ზღვის ნაპირას მდებარე სანავსადგურო ქალაქ ნიუკასტლში ჩავიდა. აქედან ის ნორვეგიისაკენ გაჰყვა ნორვეგიის სავაჭრო გემს, რომელსაც მგზავრები მხოლოდ იმ პირობით მიჰყავდა, თუ უბედურ შემთხვევაში მათ ჰირისუფლებს არავითარი პრეტენზია არ ექნებოდათ გემის მეპატრონისადმი. მაისს ავდრიან და ბურუსიან ღამეში აბობოქრებული ზღვა ნაფოტივით აქანავებდა პატარა გემს. თედო და ლეო გემის ქვედა ნაწილის კაიუტაში მოთავსდნენ. ფეხზე დგომა არ შეეძლოთ. მალე ორივეს ზღვის ავადმყოფობა დაემართა. ტახტებზე მიკრეს და პირთან ტაშტები მიიტანეს. ამ გაჭირვებას შუაღამეზე დაემატა მგზავრებს შორის ატეხილი პანიკა, რაც შუა ზღვაში გემის მოულოდნელმა გაჩერებამ გამოიწვია. ხმა გავარდა: გემი გერმანელების წყალქვეშა ნავმა დააკავა და აფეთქებას უპირებსო.

„ვაიმე, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ცოლო და შვილო — აღმოხდა თედოს. მე კი უდიდესი განსაცდელის წინაშე ხმის ამოღება ვერ შეეძელი, მაგრამ თავში უეცრად უცნაური აზრი აღმეძრა, რომელიც იმ წამში, აუცილებელი დაღუპვის წინ, უნდა დამბადებოდა: „ვაიმე, ჩემო“... — მინდოდა მეყვირა მეც, თუმცა ეს „ჩემო“ არც სამშობლო იყო და არც ცოლ-შვილი.

საქმე ის არის, რომ დაახლოებით თვენახევრით ადრე. ვინემ ჟენევიდან პარიზისაკენ გზას გაუდგებოდით სამშობლოში დასაბრუნებლად. ჩემი უკანასკნელი ნაწარმოების ხელნაწერი ფოსტით გა-

მოვგზავნე თბილისში, ერთ-ერთი ქართული გაზეთის რედაქციის მისამართზე. რადგანაც მისი ტარება სახელმწიფოდან სახელმწიფოში იმ დროს მეტად სახიფათო იყო, ასლი ყოველი შემთხვევისათვის ერთ ჟენეველ მეგობარს ჩავაბარე (იგულისხმება დავით სულიაშვილი — ა. თ.). იმ ხელნაწერს იგივე გზა უნდა გაევლო, რომლითაც თედო და მე მოვდიოდით. თუ ჩვენ ვიღუპებით, იმას რა გაღაარჩენდა-მეთქი. აი, ის აზრი, რომელმაც თავში დამკრა, როგორც კი გავიგონე. გერმანელები გემის აფეთქებას აპირებენო."[1]— გადმოგვცემს თედო სახოკიასადმი მიძღვნილ წერილში ლეო ქიაჩელი.

მაგრამ ბედმა აქაც გაუღიმა. „ბეწვის ხიდი" აქაც უვნებლად გაიარა. ნეიტრალური ქვეყნის სავაჭრო გემი დაიძრა და ნორვეგიის სანავსადგურო ქალაქ ბერგენში ჩავიდა. აქ იმ დროს ინგლისის კონსულად იმყოფებოდა „ვეფხისტყაოსნის" ცნობილი მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ძმა ოლივერი, რომელსაც საქართველოდან ეგზავნებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. მასთან ვიზიტად მისულ თედო სახოკიას მან გამოატანა მთელი დასტა ამ ჟურნალ-გაზეთებისა. ქიაჩელი ამ დროს სასტუმროში ისვენებდა.

„ათასნაირი დამთხვევა ხდება ცხოვრებაში, — იგონებდა იგი შემდეგ. — მაგრამ ამისთანა თუ შესაძლებელი იყო, ვერ წარმომედგინა. კინაღამ გავგიჟდი... სიზმარი მეგონა. ხელში მეჭირა ფართოდ გაშლილი გაზეთი და თვალს ვერ ვაშორებდი. მისი მაღალი ფელეტონის მომსხოვ დაბეჭდილ სათაურს— „ტარიელ გოლუა". ნათელი იყო, რომ სიზმარში კი არა, ცხადში ვიყავი. საკვირველი იყო ის, რომ ამელო სწორედ ის გაზეთი, რომელშიც ჩემი რომანის პირველი თავი იყო დაბეჭდილი რედაქციის მიერ ნაწარმოებისადმი მიძღვნილი მცირე შენიშვნით, რომელიც მის ქებას შეიცავდა"[2].

როგორც ვიცით, „ტარიელ გოლუას" ბეჭდვა გაზეთ „სახალხო ფურცელში" დაიწყო 1916 წლის 17 მარტს და დამთავრდა 26 მაისს. მაშასადამე, ეს ფაქტი თავისთავად მოწმობს, რომ ლეო ქიაჩელის დაბრუნება მოხდა სწორედ ამ წელს, არა უგვიანეს ამ წლის ზაფხულის დასაწყისისა. ამ ვარაუდს ადასტურებს ლევან ასათიანის ერთი ჩანაწერი, რომელიც გაუკეთებია მას ლეო ქიაჩელის ნაამბობის მიხედვით. „ემიგრაციიდან რომ დავბრუნდი — უყვება იგი ასათიანს, — მივედი „სახალხო ფურცლის" რედაქციაში. გაზეთს იმ ხანებში

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 383.

[2] იქვე, გვ. 385.

ახალ ჩამოთავებული ჰქონდა (ხაზგასმა ჩემია — ა. თ.) ჩემი „ტარიელ გოლუას" ბეჭდვა"[1]. სწორედ ამ დროს გაიცნო მან პირველად იოსებ გრიშაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ილია აგლაძე და სამსონ ფირცხალავა. „მომიალერსეს, შემაქეს, შემაწონეს „ტარიელ გოლუა". სამსონმა გადმომცა „ტარიელ გოლუას" ჰონორარი 350 მანეთი. ეს იყო ჩემი პირველი ჰონორარი ლიტერატურული შრომისათვის"[2] — აღნიშნავდა ქიაჩელი.

ამრიგად, 1916 წლის ივნისში, ორი თვის მგზავრობის, სამშობლოდან რვა წლისა და რვა თვის განშორების შემდეგ, ქიაჩელმა პირველად დაადგა ფეხი საქართველოს მიწას. თბილისი მისთვის ჯერამდე სრულიად უცნობი და უხილავი ქალაქი იყო. რამ უზრუნველყო მისი კონსპირაციული ცხოვრების უსაფრთხოება ამ ქალაქში? ვისი იმედით მოეშურებოდა იგი ასე დაჟინებით, თავგამოდებით და თავგანწირვით თბილისისაკენ?

ამ კითხვებზე უპასუხებს ფაქტი მწერლის დაოჯახებისა 1916 წლის ოქტომბერში, რაც კიდევ ერთი უეჭველი არგუმენტია, რითაც მტკიცდება ემიგრაციიდან ქიაჩელის დაბრუნება 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე შვიდი-რვა თვით ადრე. ქეთევან ფარეშვილ-ჟღენტის ოჯახში ინახება მეუღლესთან და მის ახლო ნათესავებთან ამ წელს გადაღებული მწერლის სურათი. იგი თავისი განუყრელი პენსნეთი, კოხტად შეკრეჭილი ულვაშით და შუაზე გაყოფილი, გადავარცხნილი თმით გამხდარი გამოიყურება (იხ. ზემოთ). გავიდა ურთიერთსიყვარულის, ლოდინის, შორიდან ურთიერთთანაგრძნობის, ურთიერთნდობის და ურთიერთპატივისცემის ცამეტი წელიწადი. ამ დროს ქიაჩელი 32 წლისა იყო. „ტარიელ გოლუას" გაზეთში დაბეჭდვა, ემიგრაციიდან დაბრუნება, პირველი ჰონორარის მიღება და შეუღლება ერთსა და იმავე ღირსსახსოვარ წელს მოხდა.

ქიაჩელის შეუღლე ვერა მოსეს ასული კაკაბაძე დაბადებულია 1886 წელს სოფელ კუხში (ხონის, ახლანდელი წულუკიძის რაიონი). წვრილი ვაჭრის ოჯახში. მამამისი მალე საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში. მრავალშვილიანი ოჯახის რჩენა მძიმე ტვირთად აწვა მას, მაგრამ თავის დროისათვის საკმაო განათლება ყველა შვილს მიაღებინა. ვერამ ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა 1906 წელს. ამ დროს ქიაჩელი სამეგრელოს მთიან სოფლებში იმალებოდა.

---

[1] ლევან ასათიანი, უბის წიგნაკიდან, „ცისკარი", 1966, № 6, გვ. 115.

[2] იქვე.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ მათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. 1905 წლის ზაფხულამდე ბათუმსა და ფოთში პროპაგანდისტად მუშაობის პერიოდში ქიაჩელი ხშირად ნახულობდა ვერას, როცა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შტაბ-ბინაში ჩამოდიოდა მორიგი დავალების მისაღებად. ძნელი იყო მათი განშორების წუთები!

როცა ქიაჩელი ქუთაისის ციხის პატიმარი გახდა, ვერა კაკაბაძეს ამ დროს ერთი წუთითაც არ დაუტოვებია ის ყურადღებისა და თანაგრძნობის გარეშე. მთელი ერთი წლის განმავლობაში იგი ისევე განიცდიდა თავისი საქმროს მდგომარეობას, როგორც ყველაზე ახლობელი განიცდის ხოლმე ახლობლის ვარამს.

1907 წელს კაკაბაძემ სწავლა განაგრძო პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1914 წელს. ამ წლიდან ის ბრუნდება თბილისში, სადაც სახელი გაითქვა როგორც თავისი დარგის (ბაქტერიოლოგი-ეპიდემიოლოგი) ენერგიულმა და მცოდნე სპეციალისტმა. ამ ხანებში თბილისში სამუშაოდ და საცხოვრებლად გადმოსული იყო მისი ძმა კონსტანტინე (მეფის არმიის ოფიცერი), მეორე ძმა დავითი, და ელისაბედი. აქვე ცხოვრობდნენ ძველი მეგობრები — ცოლ-ქმარი ალექსანდრე კანდელაკი და ვარიჩკა გაფრინდაშვილი (ვალერიან გაფრინდაშვილის და).

ციხიდან გაქცევის შემდეგ ქიაჩელის მიერ მოსკოვის არჩევანს გიმნაზიელი მეგობრების იქ ყოფნასთან ერთად პეტერბურგში სასწავლებლად ვერას წასვლაც განაპირობებდა. მართალია, პირად საუბარში იგი მუდამ მოკრძალებით გვერდს უვლიდა საკუთარი გრძნობის პირდაპირ გამჟღავნებას, მაგრამ გულის სიღრმეში 1903 წლიდან სათუთად ინახავდა ვერასადმი ტრფიალს და მისი ნახვა ყოველთვის სანატრელი და სანუკვარი იყო. ამიტომ მოსკოვიდან ხშირად ის მთელი თვეობით გადადიოდა საცხოვრებლად პეტერბურგში, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ვერასთან და, როცა 1912 წელს ემიგრაციაში წასვლა გარდუვალი გახდა, საბოლოოდ შეუთანხმდა კიდეც მოსაყვალი დაქორწინების გეგმებზე.

ამიტომ ამაო იყო დავითის რჩევა. არავის და არაფერს შეეძლო მისი გაჩერება ჟენევაში. სიჭაბუკის წლებიდან გულში ჩამარხული სიყვარული მას თბილისისაკენ ეძახოდა. აქეთ ეძახდა „ტარიელ გოლუას“ ფოსტით გამოგზავნილი ხელნაწერი, მისი მომავალი ლიტერატურული კარიერა. მან წინასწარ იცოდა, რა საიმედო „თავშე-

საფარი“ შეიძლებოდა გაეჩინა აქ ვერას ახლობლების წუალობით, მაგრამ ამავე დროს წინასწარვე ჰვრეტდა საფრთხის საშიშროებას და სასჯელის ულმობელობას. იგი ხომ იმ ქალაქში მიდიოდა, სადაც სასამართლო პალატამ „სახელმწიფო დამნაშაულედ“ გამოაცხადა 1908 წელს და ამ დროიდან დაწყებული ძებნა ჯერ კიდევ შეწყვეტილი არ იყო. განა აქ, თბილისში, გაზეთ „შრომის“ რედაქციაში 1910 წელს არ მიაგნეს მელიტონ გობეჩიას „ადგილსამყოფელს“? განა თბილისი არ იქცა კატორღაში მისი დაღუპვის მიზეზად?

აი, ეს მღელვარე განცდები, გრძნობები და ფიქრები გამოხატა ჟენევიდან წამოსვლის შემდეგ, 1916 წელს დაწერილ ზემოთ დასახელებულ მოთხრობაში ქიაჩელმა. „მუხა და ტირიფი“ მოფიქრებულია პარიზში, ხოლო ლიტერატურულად საბოლოოდ ხორცშესხმული ლონდონში. ჩვენს კრიტიკაში ეს ნაწარმოები სიმბოლისტურ-დეკადენტური განწყობილების გამომხატველად არის მიჩნეული. ამაზე აზრს ვიცავდით და ვემხრობოდით პირადად ჩვენც ქიაჩელისადმი მიძღვნილ ჩვენს ადრეულ წერილებსა და წიგნებში. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს არ იყო სწორი.

მუხისა და ტირიფის ალეგორიაში, სიყვარულის ადამიანური განცდების გამოსახვასა და გრიგალმეხისაგან მუხის განადგურების საზარელ ხილვებში შეყვარებული ემიგრანტის მაღალი სულიერი სწრაფვაა გამოხატული. „აჰა, აღსრულდა სატრფო! დადგა წამი ჩვენი ქორწინებისა. მოვდივარ!“ — ამბობს სიხარულისაგან თითქოს ცაში აფრენილი მუხა. მაგრამ ამ დროს „ბნელს წინ უსწრებდა სიკვდილის მიერ მოქნეული ცელის აჩრდილი და მომაკვდავის უკანასკნელი აღმოკვნესა“. ეს საესებით ლოგიკური და რეალისტური ასოციაციაა. არ შეიძლებოდა ასეთი წარმოდგენა, ასეთი ეჭვი და საშინელი წინათგრძნობა არ გასჩენოდა საქართველოსკენ მომავალ ქიაჩელს.

რაც შეეხება მოთხრობას — „ზღაპარი ბედნიერებაზე“, რომელიც დაწერილია ჟენევაში ჯერ კიდევ „ტარიელ გოლეაზე“ მუშაობის დაწყებამდე, მასშიც მწერლის მიერ უფრო ადრე იყიე ლტოლვა. სულისკვეთება და წინათგრძნობაა გამოხატული, რაც „მუხა და ტირიფში“. ივი ასევე ლოგიკურად და ბუნებრივად ვამოსახავს პიროვნულ განცდას საკუთრივ იმ ადამიანისას, რომელსაც ბედნიერებასთან ერთად უბედურებაც ელოდა. შუაგულ ზღვაში ხელთუქმნელი სასახლე დაცურავს, როგორც ხომალდი. მასში ცხოვრობს ქალწული, რომელსაც ბედნიერება ჰქვია. იგი თავისკენ იხმობს ჰაბუკ

უფლისწულს: „აჰა, ბედნიერებავ! მოვდივარ... აჰა, საყვარელო, მალე შენთან გავჩნდები! ... აჰა, მოვედი!“ — შესძახა ჭაბუკმა დიად სანაოაობას. მაგრამ ამ დროს „ცამდის ასული ზღვაც შუა გაიპო. ქვესკნელის ჯურღმულებმა ხახა დააღეს. მოღიმარ სახეზე ბედნიერების კოცნის კვალდაშთენილი ჭაბუკი ძირს დაითრიეს“. განა განვლილი ცამეტი წელი ზღვის ტალღებივით ასე არ ატრიალებდა წალმაუკუღმა ქიაჩელის ცხოვრების გემსაც?

ყველაფერი ეს ის ეპქები და წინათგრძნობებია, რომლებიც არალეგალურად სატრფოსკენ მომავალ, დიდი ხნის შეყვარებულ ადამიანს თავისთავად, ყოველგვარი სიმბოლისტური „რეცეპტების“ გარეშე გაუჩნდებოდა როგორც ადამიანური შინაგანი ღელვის, შინაგანი შიშის და დიდი ტრფობის გამოხატულება.

ვერა კაკაბაძე და ლეო ქიაჩელი 1916 წლის ზაფხულის დასაწყისში პირველად ერთმანეთს ჩერქეზოვის (ახლანდელი საბჭოს) ქუჩაზე მდებარე № 77 სახლში შეხვდნენ. აქ ცხოვრობდა ვერას ძმა, ოფიცერი კონსტანტინე თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად. ეს ბინა ქიაჩელის საიმედო საკონსპირაციო ადგილი იყო. დღე უმეტესად წვერებმოშვებული დადიოდა, რათა არავის ეცნო და არ დაებეზღებინა ჟანდარმერიაში. რედაქციების შემოვლის, ჟენევაში ამხანაგებთან წერილების გაგზავნის, ალექსანდრე კანდელაკთან საუბრებით გულმოჯერების შემდეგ ვერამ ურჩია ლეოს ზაფხულის დღეები ბაკურიანში გაეტარებინა, გაცლოდა ქალაქს და იქ ბუნების უმშვენიერეს ლანდშაფტებში დაესვენა. ეს აუცილებელი იყო მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. „ტარიელ გოლუას“ პირველი ჰონორარიც ამის საშუალებას იძლეოდა. და აი, სწორედ ბაკურიანიდან დაბრუნების მერე. 1916 წლის ოქტომბერში, ქორწინების ოფიციალური ცერემონიის გარეშე, შინაურთა ფარულ წრეში ჩუმად მოხდა მათი შეუღლება. მაშინ სახელმწიფო დოკუმენტში ნამდვილი ვინაობის გამჟღავნება საშიში იყო.

ამიერიდან ვერა კაკაბაძე იქცა ქიაჩელის ნამდვილ მეგობრად, მისი ოჯახის ბურჯად, ერთგულ დამცველად. ვერა იყო არა მხოლოდ სამედიცინო დარგის შესანიშნავი სპეციალისტი, არამედ შესანიშნავი მეოჯახეც, პრაქტიკული უნარით დაჯილდოებული, სტუმართმოყვარე, მზრუნველი, მოალერსე და მოსიყვარულე დედა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ქიაჩელს მართლაც აჰყარა „არალეგალობის ბორკილები“ და სამშობლოში „თავისუფა-

ლი ცხოვრების“ შესაძლებლობა მისცა, ფართოდ გაიშალა მწერლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა. ვერა კაკაბაძე ქიაჩელის უაღრესად ხელისშემწყობი და დამხმარე იყო მთელ ამ საქმიანობაში. მისი, როგორც ექიმის, დამსახურებისა და დაფასების ნიშანი იყო ალექსანდრე ჰავჰავაძის ქუჩაზე მდებარე №23 სახლში 1918 წელს იმ ხუთოთახიანი ბინის მიღება, რომელშიც გაატარა ქიაჩელმა თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე. ხსენებული სახლის ფასადზე მოთავსებული მემორიალური დაფა გვამცნობს: „ამ სახლში 1918—1962 წლებში ცხოვრობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლეო ქიაჩელი“.

და სწორედ მაშინ, როდესაც დაიწყო ლეო ქიაჩელის დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, როცა პირადად ვერასათვის სიცოცხლის ნამდვილი გაზაფხული დგებოდა, 1933 წლის 20 ივნისს, 47 წლის ასაკში განუკურნებელი სენისგან—ღვიძლის კიბოსაგან გარდაიცვალა ვერა მოსეს ასული კაკაბაძე — ქიაჩელის მეუღლე და მეგობარი. მხოლოდ ჩვიდმეტი წელი იცხოვრეს მათ ერთად. ვერა მაშინ დაასაფლავეს ვერის ახალ სასაფლაოზე. დაახლოებით დედის ასაკისა გარდაიცვალა ლეოს ქალიშვილი ნათელა (დაბადებული 1919 წელს). სიკვდილის წინა ხანებში თავის ერთადერთ ვაჟს. ნოდარს, მან ანდერძად დაუბარა: „დედა მომიწვინეთ გვერდით, დედა გადმოასვენეთ ჩემთან“. ეს ნატვრა აუსრულდა — დედა და შვილი 1958 წლიდან საბურთალოს სასაფლაოზე ერთად განისვენებენ.

„იგი ყველას ეკუთვნის“

1917 წელი მწერლის ცხოვრებაში ორი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა: — ვაჟიშვილის შეძენით და „ტარიელ გოლუას“ ცალკე წიგნად გამოცემით. რომანის ოთხი ათასი ეგზემპლარი მთელ საქართველოს მოედო. ეს ის დრო იყო, როცა ეპიკური ჟანრის ჰორიზონტზე ჯერ კიდევ არ ჩანდა არც ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“ და არც შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“, როცა ილიას, აკაკის და ვაჟას სიკვდილის შემდეგ ჩამომდგარი „ლიტერატურული კრიზისი“ ჯერ ისევ „ბოგინობდა“, როცა თავისუფლებისათვის ახალ ზარებად მხოლოდ გალაკტიონის „დროშები ჩქარა“ გუგუნებდა, იგი ეწეოდა ცალუღლად ხალხის რევოლუციურ განწყობილებას მაღლა, სულ მაღლა.

ასეთ ვითარებაში ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ წიგნად გამოსვლას, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი სულისკვეთება სავსებით და მთლიანად ეხმიანებოდა ამ ისტორიული ეპოქის მღელვარე პოლიტიკურ სიტუაციებს, ნაპერწკლიდან ანთებულ ალს ქარიშხლის ფრთებს ასხამდა და იმ „ცეცხლის მზეს“ უერთდებოდა, რომელიც გალაკტიონის ოცნების ლაჟვარდოვან ცაზე მიცურავდა.

წიგნის პირველი რეცენზენტი კონსტანტინე გამსახურდია (კ. აბაშისპირელი) 1918 წელს გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე წერდა: „არასოდეს ეპატიებოდა ქართველ მწერალს, რომ ქართული ხელოვნების ნეგატივზე ერთის ხაზგასმით მაინც არ აღნიშნულიყო ის ღელვანი და ტანჯვა-სიხარული, რომელიც ინტენსიურად იგრძნო ქართველმა ხალხმა 1905 წლის რევოლუციის დროს, ლეო ქიაჩელმა ეს მიუტევებელი ცოდო ქართველი ხელოვანისა გამოისყიდა... ტარიელი და ლევანი ინსტიქტურად გრძნობენ, რომ ერთობა ქართველ ხალხს პოლიტიკურ თავისუფლებას მოუტანს... შეიშმუშნა ქართველი ხალხი და იღვიძებს ის წინააღმდეგობის გენია, რომელიც მზად ჰქონდა ელგუჯებს და ტარიელ გოლუებს, გარეშე მტრის წინ დასახვედრებლად“.[1]

აქედან ჩანს, თუ რა უაღრესად დიდი იყო ნაწარმოების საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი როლი ქართველი ხალხის მოწინავე პროგრესული იდეალების აღორძინების, მისი წინააღმდეგობრივი „გენიის გამოღვიძებისა“ და „შეშმუშვნის“, მისი ძალების დარაზმვისა და კონსოლიდაციის საქმეში. ამან განაპირობა რომანის გაერცელება და პოპულარობა, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტარიელ გოლუას, ლევანს, ბეჟანს და სხვ. დადებით პერსონაჟებს ასობით და ათასობით მიმბაძველი გამოუჩნდა. მეორე მხრივ, ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებთან „ტარიელ გოლუას“ კომპაქტური ურთიერთობა, „ცისფერყანწელების“ მოდერნისტული გატაცებისათვის გვერდის ავლით ევროპის ქვეყნიდან პირდაპირ ქართული ლიტერატურის მოწინავე მაგისტრალურ ხაზზე გასვლა და რეალიზმის „გაწყვეტილი ძაფების“ შეერთებით მისი სტაბილიზატორის ფუნქციის შესრულება სახელს უხვევდა ქიაჩელს, როგორც მწერალს, ადამიანს და მოქალაქეს.

---

[1] კ. აბაშისპირელი, „ტარიელ გოლუა“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, № 166.

1917 წელი მის ცხოვრებაში აღინიშნა ამ სახელის საყოველთაო აღიარებითაც.

ეს დასტურდება ამ წელს საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსების ცნობილი ისტორიული ფაქტით. ქიაჩელი იყო ამ კავშირის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი, მისი პირველი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის პირველი მოადგილე, და, მაშასადამე, ერთ-ერთი ფუძემდებელი მწერალთა იმ რესპუბლიკური ორგანიზაციული გაერთიანებისა, რომელიც დღესაც არსებობს. ეს კავშირი თანდათან თავის გარშემო იკრებდა ქართველ მწერალთა სხვადასხვა დაჯგუფებას და ამით თანდათან ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების მებაირახტრედ გამოდიოდა. თუ როგორ იკიდებდა ფეხს მწერალთა კავშირი, როგორც ქართველი ხალხის სულიერი ენერგიის გამაერთიანებელი ცენტრი, მოწმობს გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული ინფორმაცია 1919 წლის 9 ნოემბერს პოეტ ვარლამ რუხაძის ბინაზე ჩატარებული ერთ-ერთი კრების შესახებ. ინფორმაციის მიხედვით ამ კრებას, რომელსაც ესწრებოდნენ: ვ. რუხაძე, ალ. აბაშელი, ობოლი მუშა, ივ. გომართელი და პ. ირეთელი, გადაუწყვეტია „შევიდეს ქართველ მწერალთა საერთო კავშირში, როგორც განსაკუთრებული ჯგუფი"[1].

ამრიგად, ქიაჩელის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობის ფართოდ გაშლისათვის შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები. 1917 წლის სექტემბრიდან თბილისის ქალთა გიმნაზიაში მას ეკავა ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლის ადგილი, რაც ახალშექმნილი ოჯახის საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფდა. მაგრამ ქიაჩელის გზა სხვა მიმართულებით წარიმართა.

საქმე ეხება 1917-1921 წლებში მწერლის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, ლიტერატურის სფეროდან ისევ პარტიული მუშაობის სფეროში დაბრუნების, შემოქმედებითი მრწამსიდან გადახვევის იმ ფაქტს, რომელსაც აქამდე ჩვენს სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში, სრულიად უსაფუძვლოდ, არავინ შეხებია.

განა ცნობილი არ არის მეოცე საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიისათვის მაქსიმ გორკის დაბნეულობისა და გაურკვევლობის ცალკეული მომენტები ოქტომბრის რევოლუციის პირველი

[1] გაზეთი „ერთობა", 1919, № 259.

ხანების მატიანედან? განა გორკის არ ეკუთვნის ნახევრად მენშევიკური გაზეთის „ახალი ცხოვრების“ 1917-1918 წლების ნომრებში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების სერია საერთო სათაურით „არადროული აზრი“, რომელშიც დამახინჯებულად იყო გაშუქებული ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორული როლი ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და ჩატარებაში? განა ამ წერილებმა ლენინის სასტიკი გაკიცხვა არ დაიმსახურეს? განა უფრო ადრე, 1908 წელს, გორკი ა. ბოგდანოვის ემპირიული ფილოსოფიის გავლენით „ღვთისმშენებლობის“ თეორიით არ იყო გატაცებული?! განა მაშინაც მთელი პირდაპირობით არ ამხელდა ლენინი მის შეცდომებს?

მაგრამ, მიუხედავად ამისა, განა იგივე ლენინი მაღალ შეფასებას არ აძლევდა გორკის, როგორც ისეთ „უზარმაზარ მხატვრულ ტალანტს“, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა და მომავალშიც მოუტანს? განა ჰოლა ლომთათიძის მხატვრული შემოქმედების ღირსეულ დაფასებას ხელი შეუშალა მისმა ოპორტუნისტულმა სოციალურ-პოლიტიკურმა შეხედულებებმა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გზებისა და ფორმების, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე? დაბოლოს, განა ლენინის კლასიკური წერილები ლევ ტოლსტოის შესახებ არ წარმოადგენს ჩვენთვის დღესაც იმის იშვიათ ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა გავთქვიფოთ ერთმანეთში მწერლის მცდარი პოლიტიკური მსოფლმხედველობა მის უდიადეს მხატვრულ შემოქმედებასთან, როგორ უნდა დავგმოთ და უკუვაგდოთ ის, რაც მიუღებელია მასში, რაც დავიწყებას ეძლევა და როგორ უნდა ვაჩვენოთ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ი უ დ გ ო მ ლ ო ბ ი თ ხელოვანის შემოქმედებითი ევოლუციის ძირითადი განმსაზღვრელი ეტაპები.

ამიტომ ჭიაჩელის ბიოგრაფიის ამ რთულ პერიოდს გვერდის ავლა კი არ სჭირდება, არამედ კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში საფუძვლიანი ახსნა და გაანალიზება, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინება და აღწუსხვა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ 1916 წელს თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დაწერილ ნოველაში „ესკალადე“ („ნიღაბოსანი“) მან თავისებური მსჯავრი გამოუტანა საკუთარ პოლიტიკურ კრედოსაც, როცა საზოგადოებრივი, საერთო, საკაცობრიო იდეებისათვის ბრძოლას ამ პასქვილით ასამარებდა. ეს იყო ამავე დროს ბებერი ევროპისა-

გან განშორების ნიშნად მისი ბალმასკარადებისა და კარნავალებისადმი, ილუზიებისა და ფრივოლური ფანტასმაგორიებისადმი ზიზღის გამოხატულებაც.

მართალია, ეს ნაწარმოები შორეულად ეხმიანებოდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი ფილოსოფოსის მაქს შტირნერის ანტისაზოგადოებრივ, ეგოისტურ ფილოსოფიას, რომელთანაც ერთგვარი ნათესაური კავშირის დამყარებას ცდილობდა 1910-იან წლებში დეკადენტური ლიტერატურა და მათ შორის ქართული სიმბოლიზმიც, მაგრამ მასში ნიღბოსანი ქალის სიტყვებში გამოხატული აზრი მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ადეკვატურად მწერლის იმ განწყობილებისა, რომელიც შეექმნა მას ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ.

ქალის მიერ ხეზე დატოვებული ნიღაბ-მოსასხამისადმი ხალხის ფუჭ ლტოლვას მწერალი ადარებს უკეთესი მერმისისათვის კაცობრიობის ბრძოლის იდეალს და იმავე ქალის სიტყვებით ასეთი დასკვნა გამოაქვს: „არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას. მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? განა ასე ტყუილა არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი“[1].

აქ თითქოს მხატვარი ქიაჩელი დასცინის რევოლუციონერ შენგელაიას. იგი თითქოს უკანასკნელ ხარკს უხდის მთელ მის წარსულს და ღიმილგარეული სარკაზმით ემშვიდობება კიდეც მას. ერთი წლის შემდეგ კი იგივე ქიაჩელი თავის თავში ამარცხებს მხატვარს და ხელოვანს და როგორც კი თავისუფლდება სვეიკისა სახელისა და გვარის ტარების „მძიმე“ ტვირთისაგან, როგორც კი იბრუნებს თავის თითქოს დავიწყებულ ვინაობასთან ერთად პიროვნულ მეობას და ღირსებას, თავის ლიტერატურულ ფსევდონიმსაც იცილებს და მენშევიკური პარტიის აქტიურ მოღვაწეთა წინა რიგებში დგება.

რამ აიძულა ქიაჩელი განშორებოდა თბილისში გაცნობილ და დამეგობრებულ თანამოკალმეებს, ლიტერატურულ წრეს და საზოგადოებას, დაეთმო თბილი ოჯახური კერა, ახალშერთული მეუღლე ძუძუმწოვარა ბავშვით და ზუგდიდის ერობის თავმჯდომარის პოსტზე გაეცვალა ქართული ლიტერატურის სარბიელზე „ტარიელ გოლუას“ ავტორობით შექმნილი სახელი? აკი ზუგდიდის საპატიმრო ის

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 112.

ჯოჯოხეთი იყო, სადაც მან პირველად იგემა ბორკილების საშინელება? ნუთუ მწერლობა მხოლოდ „თავშესაქცევი“ გართობა იყო? სად გაჰქრა ქუთაისის ციხეში დავით სულიაშვილთან დადებული პირობა? აკი ერთმანეთს შეჰფიცეს არასოდეს დაბრუნებოდნენ პარტიულ საქმიანობას და მხოლოდ მწერლობით გაეწიათ სამსახური სამშობლოსათვის? რა პოზიციაზე დგას ახლა დავით სულიაშვილი?

იგი დაბრუნდა საქართველოში და, სრულიად მოულოდნელად, ერობის თანამშრომლად მოევლინა ხაშურის მაზრას. ემიგრაციიდან ჩამოვიდნენ ქიაჩელის სხვა მეგობრებიც. პავლე საყვარელიძემ „ალიონის“ ფურცლებიდან ეროვნული გრძნობის გამღვივებელი და გამაცოცხლებელი იდეების ქადაგება დაიწყო. ამიერკავკასიის „სეიმის“ მსგავსად საქართველოში 1917 წლის 26 მაისიდან შეიქმნა „ეროვნული საბჭო“ (შემდეგ აქედან „ეროვნული კრება“, ხოლო 1919 წლიდან „დამფუძნებელი კრება“), რომელიც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრად იქცა. ქიაჩელი ინტენსიურად ჩაება ამ საბჭოს მუშაობაში, ხოლო როცა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა „კულტურული ავტონომიისა“ და ცენტრალიზმის იდეიდან გეზი საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ აიღეს, იგი მთლიანად შეუერთდა ამ პლატფორმას და მის სამსახურში ჩადგა. განვიხილოთ ქიაჩელის სულიერი მეტამორფოზის პროცესი მოვლენების განვითარების კვალდაკვალ.

1918 წლის მარტში ზუგდიდში ჩავიდა ამიერკავკასიის „სეიმის“ წარმომადგენელი გენერალ-გუბერნატორის უფლებით ბ. თევზაია და საქართველოს ეროვნული კრების რწმუნებული ლეო შენგელაია (ქიაჩელი). მათ მიზანს შეადგენდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხის ძალების მობილიზება და მოხალისეთა რაზმების შედგენა. მაგრამ მთელი წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივი აპარატის მოშლის შედეგად ზუგდიდის მაზრაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ანარქია იყო გამეფებული. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ფაქტიურად ხელისუფლების რაიმე მმართველი ორგანო არ არსებობდა. ამის გამო ყველგან აპათიური განწყობილება სუფევდა. სწორედ ამ დროს შეხვდნენ, 1907 წელს ქუთაისის ციხეში დაშორების შემდეგ კატორღიდან ახალდაბრუნებული ალექსანდრე ჩხეტია და ლეო ქიაჩელი — ყოფილი ემიგრანტი — ერთმანეთს.

„ერთ დღეს ქალაქის ბულვარში შევხვდი ლეო ქიაჩელს, — გად-

მოგვცემს ამ დროის მწერლის განწყობილებას პოლიტკატორღელი ა. ჩხეტია,—ლეო მეუბნება: როცა „ტარიელ გოლუას“ ვწერდი, ვიგონებდი ხალხის ენთუზიაზმს, მეც განვიცდიდი ალმაფრენას, ვიყავი ბედნიერი. ახლა კი ჩვენ ხალხს ვერა ვცნობ. ის რაღაც ინერტიულია, თითქოს სრულიად არ ესმის, არ გაუგია ის უბედურება, ის შავი დღე, რაც ცხვირწინაა მოსული. მდგომარეობა უნუგეშოა. ორსამ კვირაში ჩვენი ქვეყანა თურქებით გაივსება ძველებურად. აწი შეიძლება ერთმანეთი ვერ ვნახოთ. მშვიდობით, ძმაო!— მითხრა და გამომემშვიდობა“[1].

სხვა მრავალ ფაქტორთა შორის იქნებ სადღაც ა ქ ა რ ი ს ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი მწერლის პარტიულ-პოლიტიკური ინტერესების გამოცოცხლებისა და სამუშაოდ ზუგდიდში გადასვლის მიზეზი. მას უეჭველად თაუის ხალხში ჩამკვდარი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს კ ე თ ი ლ ი სურვილი ამოძრავებდა, როცა გულისტკივილით ლაპარაკობდა მის ინერტიულობაზე. ამიტომ გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ თავისი ნაწარმოების გმირი ტარიელ გოლუა გაეხადა ამ დროს მისაბაძ იდეალად, მისი შთაგონებით გადაეწყვიტა სათავეში ჩადგომოდა იმ კუთხეს, სადაც 1905-იან წლებში რევოლუციური მოძრაობის წინამძღოლად და, როგორც ცარიზმის აგენტები ეძახდნენ, „ბელადად“ ითვლებოდა.

ზუგდიდიდან თბილისისაკენ მიმავალს, გზაზე, ტარიელი და მისი თანამებრძოლები ფიქრებში თითქოს ედავებოდნენ კიდეც: „გახსოვს, ერთობის თაობაზე მოხსენებებს რომ გვიტარებდი? მიტინგებზე ბრძოლისაკენ რომ მოგვიწოდებდი? შენ წინ მიგვიძღოდი მაშინ და ჩვენც უკან მოგყვებოდით. გვჯეროდა შენი. აჰა, მეფე იმპერატორის ტახტი დაემხო. უმთავრობოდ და უპატრონოდ დავრჩით. გაგვიძეხ და გვიმეთაურე ისევ! სად მიდიხარ... შენ კუთხეს ვის უტოვებ, შენს ხალხს, შენს თანამებრძოლებს რას ეუბნები?!“.

და მართლაც, როგორც კი მოგერიებულ იქნა ოსმალეთის საფრთხე, როგორც კი შეიქმნა ცენტრალური მენშევიკური ხელისუფლება დამფუძნებელი კრების სახით, როგორც კი ე რ ო ბ ა გამოცხადდა მის ადმინისტრაციულ ქვემდებარე ორგანოდ სამაზრო მასშტაბით, ლეო ქიაჩელმა უყოყმანოდ მიიღო მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელთა წინადადება და დაუყოვნებლივ გაემგზავრა ზუგდიდში

[1] სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი 2394, გე. 275.

ერობის თავმჯდომარის მოვალეობის შესასრულებლად. ფსიქოლოგიურად იგი ამისთვის წინასწარ იყო მომზადებული.

ეს მოხდა 1918 წლის შემოდგომაზე, როცა ოთხი თვის წინათ შექმნილი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტების დასაშლელად და ერობის ხმოსანთა არჩევნებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ზუგდიდში იმყოფებოდა ამიერკავკასიის „სეიმის“ ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი ევგენი გეგეჭკორი.

1919 წლის იანვრამდე ქიაჩელი მიწვევით ასრულებდა ერობის თავმჯდომარის მოვალეობას, ხოლო ამ წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ხმოსანთა არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უმრავლესობა მიიღო, ეს თანამდებობა, როგორც პარტიის საბაზრო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, არჩევის გზით ეკავა. ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობის მიღება კი მის სურვილზე იყო დამოკიდებული. ამდენად, სურვილი და დავალება ამ შემთხვევაში საესებით შეესაბამებოდა ერთმანეთს.

პირველი ინფორმაცია ლეო ქიაჩელის ზუგდიდში „მოღვაწეობის“ შესახებ გაზეთ „ერთობაში“ მოთავსებულია 1919 წლის 5 ივნისის ნომერში. იგი მიძღვნილია საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის აღნიშვნისადმი. „26 მაისს მშვენიერი ამინდი იდგა, — ვკითხულობთ ინფორმაციაში, — დილის ათ საათზე ხალხმა თავი მოიყარა ყოფილი „მინგრელსკის“ მთავრის სასახლის წინ. აქ ერობის თავმჯდომარემ ლეო შენგელაიამ განუმარტა ხალხს ამ დღის მნიშვნელობა და სიდიდე“[1]. შემდეგ კარნავალით, „დემონსტრაცია ქალაქის ცენტრისკენ გაემართა“. — ნათქვამია იქვე.

საკმაო კონტრასტია თითქოს. „ესკალადეში“ ქიაჩელის მიერ დაგმობილი ევროპული კარნავალი რაღაც ორიოდე წლის შემდეგ ზუგდიდში, ლეო შენგელაიას ხელმძღვანელობით, საზეიმო ელფერს იღებს. უფრო საინტერესოა ამ ინფორმაციის მეორე ასპექტი. 1905 წლის 21 ოქტომბერს, როგორც წინა თავებიდან ვიცით, სტუდენტი-რევოლუციონერი ლეონიდ შენგელაია აქ, ზუგდიდში, ხალხს განუმარტავდა: „თავისუფალი რესპუბლიკის დროს ყველა თანასწორი უფლებით იქნება აღჭურვილი, აღარ იქნება ქონების უსაფუძვლო განაწილება, სათავეში იქნება არა მეფე, არამედ ხალხის მიერ არჩე-

[1] გაზეთი „ერთობა“, 1919, № 122.

ული პრეზიდენტი"[1]. იმ დროს ის პასუხისგებაში მისცეს არარსებული „ზუგდიდის რესპუბლიკის" საქმეზე. და რამდენი ტანჯვა, წვალება, დევნა და შიში გამოიარა. ახლა კი ერობა თითქოს თავისებურ „რესპუბლიკად" ქცეულა, სამეგრელოს მთავრის სასახლე მის „რეზიდენციად", ხოლო თვითონ ის — ქიაჩელი — ამ პატარა რესპუბლიკის „პრეზიდენტად". დგას ახლა, თოთხმეტი წლის შემდეგ, ეს „პრეზიდენტი" ტრიბუნაზე და იმავე ხალხს დამოუკიდებელი საქართველოს „მნიშვნელობასა და სიდიადეზე" ცლაპარაკება.

ამ ფაქტში ქიაჩელი მაშინ რაღაც თავისებურ სილამაზეს ხედავდა, მოვლენების რაღაც იშვიათი თანადამთხვევის მაგალითი ეჩვენებოდა, მიზნისაკენ სწრაფვის და მიზნის მიღწევის რაღაც ზღაპრულ მთლიანობას ჰვრეტდა. ყოველივე ეს შინაგანად სიამაყის გრძნობით ავსებდა. და აქ იყო ჩამარხული მისი შ ე ც დ ო მ ი ს ღვესვიც.

მაგრამ იქნებ თავიდანვე მართლაც ხიბლავდა და იზიდავდა „პრეზიდენტობის" სავარძელი? იქნებ სამეგრელოს მთავრისადმი სიძულვილი, მის წინააღმდეგ ბრძოლა მის სასახლეში შეჭრის ოცნებად ჰქონდა გადაქცეული? როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი ჰიპოთეზა, ერთი რამ მაინც ცხადია:

ქიაჩელს ამ დროს სჯეროდა და სწამდა მენშევიკური „დემოკრატიის" სტაბილურობა და თავისი პოლიტიკური კურსი აქეთ ჰქონდა აღებული. იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მენშევიკური მიმდინარეობის მხოლოდ პრაქტიკული მიმდევარი იყო ყოველთვის და რაიმე თეორიული სტატია ამ მიმდინარეობის პრინციპულ-მსოფლმხედველობრივ საკითხებზე არასოდეს არსად არ გამოუქვეყნებია.

საერობო თვითმმართველობისათვის ბრძოლის ისტორია მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. საარჩევნო პრინციპზე აგებული თვითმმართველობის ადგილობრივი საერობო ორგანოები მეფის რუსეთის მთელ რიგ შიდა გუბერნიებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გარკვეულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს ატარებდნენ სოფლებსა და ქალაქებში მოსახლეობის განათლების და ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის, გზების, ტრანსპორტის და კოოპერაციულ-საკრედიტო ორგანიზაციების განვითარებისათვის.

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 113, ანაწერი 2, საქმე 435, ტ. I, გვ. 40.

მართალია, თავისი ბატონობის მთელ პერიოდში მენშევიკების მთავრობას ხალხის სასარგებლოდ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გაუტარებია, მაგრამ არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ზუგდიდში ერობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს ქიაჩელმა გარკვეული ამაგი დასდო მაზრის მოსახლეობას კულტურის და განათლების საქმეში. ერობის დადგენილებით თავად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკის — სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის და მისი სიძის მიურატის ადგილ-მამულების და სასახლეების კონფისკაციის ბაზაზე ზუგდიდში გაიხსნა მუზეუმი, სამეურნეო სკოლა, საავადმყოფო;[1] დაარსდა ქართული გიმნაზია და გაიხსნა ახალი სკოლები ბეჟაშღალში, ნაჭვში, სარაჭონში, ულურიაში, ქალაღალში, ლეშამგეჩქვალერში, ზემოწალენჯიხაში[2]; მოეწყო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ექვსთვიანი პედაგოგიური კურსები,[3] სადაც ლექციებს ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე კითხულობდა თეიმურაზ ქიაჩელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს მიხეილ იონას ძე მეუნარგიას სწავლის დამთავრებამდე დაენიშნა ერობის სტიპენდია[4] და სხვ.

მაგრამ რაც უფრო ღრმად ეფლობოდა „ტარიელ გოლუას" ავტორი „პარლამენტარული" მართვა-გამგეობის მოჩვენებითი „სამოთხის" ილუზიაში, მით უფრო შორდებოდა მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესებს და მასთან მწვავე კონფლიქტში ექცეოდა. ისე როგორც სხვა მაზრებში, ზუგდიდშიც მიწის რეფორმის გატარება ჰიანურდებოდა. ღარიბი გლეხობა მაინც უმიწოდ რჩებოდა. ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენა მასებზე სულ უფრო ფართოედებოდა და ძლიერდებოდა.

* * *

1921 წლის 5 მარტს სოხუმის გზით ზუგდიდში წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. ლეო შენგელაია ამ დროს ბათუმში იყო.

18 მარტს მან გააცილა გემ „ჯოზეფ ფერენს მერლით" ევროპი-

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ზუგდიდის ფილიალი, ფონდი 1, საქმე 32, ფურცელი 4—5.

[2] იქვე, ფონდი 1, საქმე 33, ფურც. 125.

[3] იქვე, გვ. 122.

[4] იქვე, გვ. 145.

საკენ მიმავალი ნოე ჟორდანია. იგი არ გაჰყვა მას. არ უნდოდა კვლავ განეცადა ემიგრანტობის მწარე ხვედრი, არც რაიმე კავშირის დამყარება უნდოდა მის „ამალასთან". ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. მაგრამ საით წავიდეს?

პრობლემა, რომელიც მის წინაშე იდგა მაშინ, ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმწვავესი პრობლემა იყო მთელ მის ცხოვრებაში. ოცდამეჩვიდმეტე გაზაფხული ატმების კვირტებდახეთქილი რტოებით ნაღვლიანად შემოსცქეროდა ბათუმელთა ეზოებიდან. იგი გრძნობდა, რომ უკანასკნელი სამი წელი დამღუპველი გამოდგა.

ეს იყო შემოქმედებითი დაქვეითების, მოდუნების, უნაყოფობის წლები[1]. შემოქმედებითი პრინციპებისა და მრწამსისაგან განდგომის წლები. არასწორი პოლიტიკური ორიენტაციისა და ევროპული „პარლამენტარიზმის" ილუზიებით გატაცების წლები. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1903 წლიდან დაწყებული საქმიანობის უკანასკნელი დამამთავრებელი წლები[2].

ყველაფერი ეს ამიერიდან დავიწყებას უნდა მისცემოდა. ყველაფერი ეს ქარს უნდა ვაჰყოლოდა. მაგრამ საით წავიდეს თვითონ?

* * *

ბათუმის ზღვისპირზე მარტის გრილი ზღვაური ჰქროდა. დიდხანს იდგა ნავსადგურის წინ, პალმის ხეს მიყრდნობილი. გარინდებით გასცქეროდა ზღვის ჰორიზონტს და ფიქრებში გართულს, გემის გაცილების შემდეგ, თავზე ქუდის დახურვაც დავიწყებოდა. მოშვებულ-მოდუნებული ხელიდან ისე დაუვარდა, არც კი შეუტყვია.

---

[1] 1917—1921 წლებში ქიაჩელს დაწერილი აქვს მხოლოდ ორი მცირე მოცულობის ნაწარმოები: „მკვლელობა კოხტა გორაზე" და „შეურაცხყოფილი".

[2] 1956 წელს საკუთარი ხელით დაწერილ უკანასკნელ ავტობიოგრაფიაში ქიაჩელი პირველად მიუთითებს, რომ „1919 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ვმუშაობდი ერობაში ზუგდიდის მაზრაში", ხოლო იქვე დართულ საანკეტო პირადი ბარათის მე-13 კითხვაზე: „იყო თუ არა სხვა პარტიაში", იგი უპასუხებს: „სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1903 წლიდან საბჭოთა წყობილებამდე" (იხ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 22668). ამ ჭვეთაში მოცემული სხვა ფაქტები და მასალები ემყარება საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის ზუგდიდის ფილიალში დაცულ დოკუმენტურ წყაროებს, ერობისა და რეკომის ოქმებს (იხ. ფონდი 1, საქმე 31, 32, 33).

უეცრივ თმაზე გადაისვა ხელი. სიცივეს აებურძგნა. ძირს დაიხარა, დაგდებული შლიაპა მძიმედ ასწია, გაბერტყა, გაისწორა და დაიხურა. გეზი ისევ თავისი მშობლიური კუთხისკენ აიღო.

* * *

1921 წლის 30 მარტს ციხის კარები იღება და საკანში შედის ზუგდიდის რევკომის წარმომადგენელი გიორგი სოსელია (შემდეგში პროფესორი) და რევკომის სახელით პატიმარს უცხადებს:

— ზუგდიდის რევოლუციურმა კომიტეტმა გრიგოლ შამილის ძე როგავას თავმჯდომარეობით...

— მაპატიეთ, მაპატიეთ, — აწყვეტინებს პატიმარი — ეს, თუ არ ვცდები...

— დიახ, სწორედ ის, თქვენ რომ გაათავისუფლეთ ამავე ციხიდან 1919 წელს, ბოლშევიკი გრიგოლ როგავა, ახლა ის არის ჩვენი რევკომი — უპასუხებს წარმომადგენელი.

— დიახ! — განაგრძო მშვიდად წარმომადგენელმა, — ზუგდიდის რევოლუციურმა კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. იმის გამო, რომ „ტარიელ გოლუა", დღიდან გამოქვეყნებისა, თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით აღანთებდა მშრომელ ხალხს და გვერდში ედგა მის ბრძოლას მენშევიკების ავანტიურისტული ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი ავტორი ლეო ჭიაჩელი გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

2. თანახმად საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული ამნისტიისა[1], ზუგდიდის ერობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია, რომელიც არ გაჰყვა უცხოეთში გამყიდველ მთავრობას და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მასთან, განთავისუფლებულ იქნას პატიმრობიდან.

თქვენ დამნაშავე არა ხართ, თქვენ შეცდით. როცა მენშევიკური იდეალის ხორცშესხმა განიზრახეთ და მსხვერპლად შესწირეთ მას საკუთარი ოჯახისა და ქართული ლიტერატურის ინტერესები. არასოდეს მიიხედოთ უკან, ერობის ჩაბნელებული დარაბებისაკენ. ისტორია ქრონოლოგიას მისდევს. იგი გადაშლის ამ ფურცელს, და როცა დაინახავს, რომ თქვენ დიდი მწერალი გახდით, ისევ დახუ-

[1] გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი", 1921, № 22, (26 მარტი).

რავს მას და შთამომავლობას ეტყვის: ერობის თავმჯდომარე შენგელაია დავიწყებას მიეცა. დარჩა ქიაჩელი — მხატვარი, ხელოვანი, შემოქმედი. დარჩა მისი სულის აღსარება — მარად უჭკნობი ყვავილების, „ოქროს ვარდების“ ბაღი.

იგი ყველას ეკუთვნის.

„ს ი ს ხ ლ ი“

1921 წლის აპრილის დასაწყისიდან ქიაჩელი მუდმივ საცხოვრებლად კვლავ დაუბრუნდა თბილისს. ამ დროიდან ის ისევ აქტიურად ჩაება ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში, ლიტერატურული მოძრაობის ახალი მიმართულებით გაშლისათვის ბრძოლაში. საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ბეჭდვითი ორგანოს ჟურნალ „ხომალდის“ პირველი ნომერი 1921 წლის დეკემბერში გამოვიდა. მასში ალერტის ფსევდონიმით მოთავსებული იყო ლეო ქიაჩელის საპროგრამო ხასიათის წერილი „ჩვენი მწერლობის შორიახლო“, რომელშიც ის განსაზღვრავდა ახალ ვითარებასთან დაკავშირებით ქართული მწერლობის ამოცანებს, ანალიზს უკეთებდა ლიტერატურაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა ფილოსოფიურ-ესთეტიკურ საფუძვლებს და იცავდა რეალისტური ხელოვნების თეორიას.

„ახალი მწერლობის ერთ ფრთას — წერდა ქიაჩელი ამ წერილში,—დასჩემდა ზოგი რამ, რაც ბოდვიანი დეკადანსის გავლენის ნაყოფია და მისი კოშმარების წინამორბედი.. ახლის ძიების პროცესი სუფევს. ნიშანი აღებულია და მას დიდი მიღწევებისაკენ მივყავართ. ჩვენ გვაქვს იმედი ახლისა — თავდებია: ჩვენი მწერლობის მარად რძიანი ძუძუმკერდი. რუსთაველი იყო უდიდესი მოვლენა ქართული შემოქმედებისა. ასეთად დარჩება იგი მარად. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის განმეორება არ იქნება, ქართულმა მწერლობამ უნდა თქვას სიტყვა ახალი, სიტყვა რუსთაველური“[1].

ასეთი ესთეტიკური კონცეფციით, შემოქმედების ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიებისათვის გარკვეული მიზანსწრაფვით

---

[1] ა ლ ე რ ტ ი, ჩვენი მწერლობის შორიახლო, ჟურნალი „ხომალდი“, 1921, № 1, გვ. 36.

შეუდგა ქიაჩელი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ახალ გზას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე. მაგრამ ეს ახალი გზა მისგან მოითხოვდა ძველი მსოფლმხედველობის უკუგდებას, სიმბოლიზმის გავლენისაგან სრულ განთავისუფლებას, სოციალისტურ სინამდვილესთან მტკიცედ მისვლას. რევოლუციის „თანამგზავრობიდან“ საბჭოთა ქვეყნის მოწინავე მწერლამდე განვლილი გზა ქიაჩელისათვის როდი იყო ერთფეროვანი, პირდაპირი, სწორხაზოვანი.

ამას ადასტურებს იმავე „ხომალდის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნებული მისი მოთხრობა „შეურაცხყოფა“ („შეურაცხყოფილი“), რომელიც თავისი შინაარსით აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ზემოთ ნახსენები წერილის ძირითად დებულებას ახლის ძიების პროცესში „ბოდვიანი დეკადანსის“ ხორკლებისაგან ქართული მწერლობის გაწმენდის აუცილებლობის შესახებ. ფაქტიურად თვით ეს ნაწარმოები იყო დაშძიმებული ასეთი „ხორკლოვანი“ გარსით. სამართლიანად მიუთითებდა ჟურნალ „ლომისის“ 1922 წლის პირველ ნომერში „ხომალდის“ ბიბლიოგრაფიული მიმომხილველი კ. გ. (კონსტანტინე გამსახურდია), რომ ცნობილი მწერლის ლეო ქიაჩელის მოთხრობა „შეურაცხყოფა“ მისი უკანასკნელი ეპოქის პირმშო არაა“, რომ „ქიაჩელი რეალისტური წერის მანერაზე უფრო შორს წავიდა“, რომ „მისი ახალი გზა არის დარღვევა რეალური რეალობისა“[1].

გაზეთ „ლომისის“ რედაქტორი ქიაჩელი ამ გაზეთის 1922 წლის 3 სექტემბრის ნომერში ავითარებს სწორ შეხედულებას ერის კულტურული ცხოვრების ისტორიაში ლიტერატურის როლის საკითხზე. მისი აზრით, „ახალი იდეებისა და სახეების ჩირაღდანი შეუწყვეტლად უნდა უნათებდეს ხალხს ცხოვრების გზას და მწერლის უაღრესი განცდებით უნდა პოხიერდებოდეს ერის სული“[2]. აქ ის გვევლინება „ეროვნული კულტურის სადარაჯოზე“ მდგომ ისეთ ჯარისკაცად, რომელიც „დაუზოგველი შეტევით“, ყოველგვარი „პარტიობის გარეშე“ იბრძვის კულტურული ძალების ერთ „ფრონტად“ გაერთიანებისათვის. მაგრამ იმავე 1922 წელს, ჟურნალ „ლომისის“ პირველსავე ნომერში, იგი აქვეყნებს სიმბოლისტურ-დეკადენტური ხასიათის

[1] კ. გ., ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ჟურნალი „ლომისი“, 1922, № 1, გვ. 14.

[2] გაზეთი „ლ ო მ ი ს ი“, 1922, № 1.

ისეთ ნოველას, როგორიცაა „მე და ჩემი ორი მე“, რომელიც არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს „ახალი იდეებისა და სახეების ჩირაღდნად“. მასში კვლავ გამოჩნდა გაორებისა და წინააღმდეგობრიობის ნიშნები.

აქ ხანებში პუბლიცისტი ჭიაჩელი წინ უსწრებდა მწერალ ჭიაჩელს. მის მიერ შექმნილი ლიტერატურული პორტრეტები, წერილები და სტატიები დანტე ალიგიერზე (1922), რომენ როლანის „ჟან კრისტოფზე“ (1922), დიმიტრი ყიფიანზე (1922), ქართული წიგნის პოლიგრაფიული გაფორმების პრობლემაზე (1922), შიო მღვიმელზე (1923), ილია ნაკაშიძეზე (1924) და სხვ. უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნოველები „რაც იყო და არ იყო“ და „ისკანდერი“, რომელშიც სიკვდილის აპოლოგია უკიდურეს სიმახინჯეს აღწევდა. რით აიხსნება ეს?

ცნობილია, რომ 1921-1925 წლებში მწვავე კლასობრივ-იდეოლოგიური ბრძოლა წარმოებდა რევოლუციის მიერ დამარცხებულ და რევოლუციაში გამარჯვებულ სოციალურ და ინტელექტუალურ ძალებს შორის. „აკადემიური“, „ცისფერყანწელების“, ფუტურისტების და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიტერატურული დაჯგუფებანი ცალ-ცალკე, ერთმანეთისადმი დაპირისპირებით და ერთმანეთისაგან გამოთიშულად, ეწეოდნენ ლიტერატურული ცხოვრების მძიმე უღელს. ასეთ ვითარებაში ჭიაჩელის მხატვრული შემოქმედება არ ხასიათდებოდა რაიმე საზოგადოებრივი აქტუალობით. იგი თითქოს ერთგვარ პასიურობასაც იჩენდა ამ მხრივ. მწერლის შემოქმედებით ცხოვრებაში ეს იყო ხანა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში იგი ჯერ კიდევ ვერ პოულობდა სოციალისტურ სინამდვილესთან ორგანულად დაშაკავშირებელ რგოლს, როცა ბევრი რამ მისთვის ჯერ კიდევ ბურუსით და გაურკვევლობით იყო მოცული, როცა მის შინაგან არსებაში კვლავ გრძელდებოდა მერყეობის, ორი „მეს“ დაპირისპირების, შინაგანი სულიერი ბრძოლის პროცესი.

რეალისტური ტრადიციებისაკენ ჭიაჩელის ხელახალ მობრუნებას ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში მოპოვებულმა წარმატებებმა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის დადგენილებამ „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“. პარტიამ გამოაცხადა თავისუფალი შემოქმედებითი შეჯიბრება ახალი და ძველი თაობის მწერლებს შო-

რის. პარტიის ამ პოლიტიკის განხორციელებას უნდა ეუმადლოდეთ 1927 წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ლეო ქიაჩელის მეორე დიდი რომანის „სისხლის“ გამოქვეყნებას.[1] ეს იყო შემობრუნების ახალი პუნქტი ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი განვითარების ისტორიაში.

„სისხლის“ შინაარსი, თემატური აქტუალობა და მრავალფეროვნება, მასში გაშუქებული საზოგადოებრივი მოვლენები უეჭველად აახლოებს ამ ნაწარმოებს „ტარიელ გოლუასთან“ და მასთან ერთად XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ქმნის ერთგვარ „მხატვრულ ანსამბლს“ 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო პერიოდის თემაზე. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდი და მღელვარე თემა ლეო ქიაჩელმა ამ ორი ნაწარმოებით ამოწურა. ამ თემას იგი არა ერთხელ დაბრუნებია შემდეგაც, უფრო გვიანდელ პერიოდში, დიდი სამამულო ომის დღეებშიც კი. 1941-44 წლებში დაწერილი მოთხრობები „წინამორბედნი“, „მოქცევა“ და „უჩინარა“ თითქოს ავსებენ წარსულის რევოლუციური ბრძოლის ისტორიიდან მწერლის შემოქმედებაში დარჩენილ ხარვეზებს და უფრო სრულ, ამომწურავ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, თუ რამდენად ახლობელი და განუყრელი იყო ლეო ქიაჩელისათვის თვით ეს თემა.

მაგრამ „ტარიელ გოლუა“ და „სისხლი“ თავისთავად ამომწურავად აშუქებენ ამ თემისადმი მწერლის დამოკიდებულების საკითხს. ისინი მკაფიოდ გვიჩვენებენ იმას, თუ რაოდენ სასარგებლო გამოდგა XX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის მწერლის მიერ განვლილი რევოლუციური ცხოვრების გზა, თუ როგორ აირეკლა მის მხატვრულ შემოქმედებაში სწორედ ის 1903-1907 წლების „ფარდაშეებული ხანა“, რომელიც ქუთაისის ციხიდან გაქცეულ, დამარცხებულ და სულიერად დაცემულ ახალგაზრდა მებრძოლს უკვალოდ და უნაყოფოდ გამქრალ ხანად ეჩვენებოდა. არა, იგი კი არ დაიკარგა მწერლის სულიერ სამყაროში, არამედ დროთა ვითარებაში გარდაიქმნა მხატვრული სურათების მოდელად და საფუძვლად დაედო იმ ორი ნაწარმოების შექმნას, რომელთაც ისეთივე მჭიდრო, ლოგიკური და უშუალო კავშირი აქვთ ერთმანეთთან, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციას ამავე წლების რეაქციასთან. პირველმა განაპირობა მეორის წარმოშობა, ხოლო ორივემ ერთად ლეო ქიაჩელის მიერ „ტარიელ გოლუასა“ და „სისხლის“ შექმნა. აქ ცხოვრებისეული და მწერ-

[1] „მ ნ ა თ ო ბ ი“, 1927 წ., №№ 1, 2, 3, 4, 5—6, 8—9, 10, 11—12.

ლისეული შეერწყო ერთმანეთს, შეერთდა და შეზავდა ერთ მთლიანობაში.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ „სისხლში“ ძლიერად იგრძნობა ავტობიოგრაფიული მომენტები. არჩილ დადიშიანის ცხოვრების ისტორია რომანში ნიშნეულია მწერლის ბიოგრაფიისათვის. 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობა თავისი დაწყების, განვითარებისა და დამარცხების დეტალებით კარგად იყო ცნობილი მწერლისათვის. როგორც ზემოთ მოტანილი საარქივო წყაროებიდან დავინახეთ, თვით მას საკუთარიც ჰქონდა გამოცდილი ის მძიმე რეპრესიული ღონისძიებანი, რომლითაც უსწორდებოდა მეფის მთავრობა რევოლუციურ ინტელიგენციას. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა რომანის იმ ადგილებში, რომლებიც იდეურად და მხატვრულად ყველაზე ძლიერია (პოლიტიკურ პატიმართა გაქცევა ციხიდან, პატიმართა განცდები ციხეში, დადიშიანის შეხვედრა დედასთან და სხვა).

მაგრამ გარდა ავტობიოგრაფიული ელემენტების გამოყენებისა, მწერალი, კლასიკოსების მსგავსად, უხვად სარგებლობს ცხოვრების რეალური ფაქტებითა და მის გარშემო შემოკრებილი იმ ადამიანების პროტოტიპული მონაცემებით, რომლებთანაც მას ჰქონდა არა მხოლოდ საქმიანი, არამედ უაღრესად მჭიდრო ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა. 1906 წლის 30 ივლისს ფოთსა და ჭალადიდს შორის მართლაც ჰოხდა თავდასხმა სატვირთო მატარებელზე, რომლიდანაც გატაცებული იქნა საბრძოლო იარაღი. ამის თაობაზე 1906 წლის 7 აგვისტოს ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი საგანგებო წარდგინებას უგზავნის ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოს და მოითხოვს საქმის ერთობლივ გამოძიებას.[1] ციხის უფროსის მელიტონ აბლანდიას სისასტიკე და შემდგომ მისი მკვლელობის ეპიზოდი ემთხვევა 1907 წელს ქუთაისის ციხის ნამდვილი უფროსის ილია დავითის ძე აბშილავას მოქმედებას და ამავე წლის ნოემბერში, პოლიტიკურ პატიმართა გაქცევის შემდეგ, ციხეში დარჩენილებისადმი ველური მოპყრობის პასუხად მისი მოკვლის ისტორიულ ფაქტს[2]. „დიდი ვასოს“ პროტოტიპია ბარონ ბიბინეიშვილი — იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი 1905-

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 114, საქმე 443, ფურცელი 1.

[2] სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი 2394, გვ. 129.

იან წლებში. არჩილის დედის — სალომეს ხასიათი, განცდები და ბუნება მწერალს მისი დედის — მართას ნატურიდან აქვს გადმოღებული. შალვა რამაძეში ადვილად შეიცნობა მისი გიმნაზიელი მეგობრის — ალექსანდრე კანდელაკის კეთილი პიროვნება, ხოლო ცაცა რამაძის მხატვრული სახის შექმნას მთლიანად და სავსებით საფუძვლად უდევს ის რომანულ-სატრფიალო ისტორია, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია ვერა კაკაბაძისა და ლეო შენგელაიას ახალგაზრდობის წლებიდან.

ამიტომ შემთხვევითი როდია ისიც, რომ რომანის პრობლემატიკა, ისე როგორც „ტარიელ გოლუაში“, მარტოოდენ სოციალური მოტივით როდი ისაზღვრება, თუმცა იგი აქაც მთავარს, ძირითადს, მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს. რომანში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე სიყვარულისა და მეგობრობის მოტივს, როგორც დაქვემდებარებულს. მაგრამ აქ უმთავრესი ის არის, რომ რომანის შინაარსი იშლება თავისთავად დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ეპოქაში, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელ პერიოდში, რომელიც ამ რომანის გამოქვეყნებამდე ისევე ნაკლებად იყო გამოსახული ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც თვით 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების ხანა. ჩვენს ლიტერატურაში ამ ცარიელი ადგილის შევსებაც ლეო ქიაჩელს ხვდა წილად. ამით „სისხლის“ შემეცნებითი მნიშვნელობა უეჭველად დიდია.

ყოველი მწერლის შემოქმედება, მისი ყოველი ნაწარმოები უნდა განვიხილოთ იმ კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქასთან მჭიდრო კავშირში, რომელიც ასახულია მასში. ვ. ი. ლენინის ცნობილი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის სტატიები ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ წარმოადგენენ ლიტერატურისადმი ისტორიული თვალსაზრისით მიდგომის კლასიკურ ნიმუშს. ლენინი არა ერთხელ მიუთითებდა, რომ წინააღმდეგობრიობა ტოლსტოის მოძღვრებასა და მხატვრულ შემოქმედებას შორის შედეგია იმ წინააღმდეგობრივი მდგომარეობისა, რომლითაც ხასიათდებოდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება 1861-1904 წლებში.

„სისხლის“ წარმატებაც და წარუმატებლობაც განპირობებულია იმ წინააღდეგობრივი მდგომარეობით, რომელიც დამახასიათებელი იყო 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდგომი პერიოდის, რეაქციის ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილისათვის. ამი-

ტომ შეცდომა იქნებოდა მოგვეთხოვა მწერლისაგან ცხოვრების ზედმეტად შელამაზება იმის, რომ შეუძლებელი გამხდარიყო სინამდვილის არსის გაგება.

რომანში ძირითადი ამბავი არსებითად მეოთხე თავიდან იწყება. მანამდე მწერალი გვაცნობს რევოლუციონერი გლეხის ანდრო ქარიყაძესა და ვარდო ვარაძეს შორის სიყვარულის ნიადაგზე დაშყარებული მეგობრული ურთიერთობის გაწყვეტის მოკლე ისტორიას. ქუთაისის საგუბერნიო ციხის უფროსმა, ჟანდარმმა მელიტონ აბლანდამ, ისარგებლა რა თავისი პრივილეგიური მდგომარეობით, სოფელში ანდროს არყოფნის დროს მოახერხა ვარდოს სურვილის საწინააღმდეგოდ მისი დანიშვნაც და ცოლად წაყვანაც. ამით ანდროს ზიზღი არსებული სინამდვილისადმი უფრო ძლიერდება. ახალგაზრდა გლეხი მისი თანასოფლელის, რევოლუციონერი ინტელიგენტის, არჩილ დადიშიანის ზეგავლენით დიდი სოციალური მოძრაობის გზაზე დგება.

ამ ექსპოზიციური ფონის მოხაზვის შემდეგ ნაწარმოების მეოთხე თავი იწყება ასე:

„დიდი რეაქციის თარეში იდგა საქართველოში. სამხედრო წესები. საველე სასამართლოები. სახრჩობელები. ეკზეკუციები. მასობრივი გადასახლება. ხვრეტა. დარბევა.

აჭრობდნენ 1905 წლის რევოლუციის ცეცხლს. მაგრამ ხალხი მაინც არ ნებდებოდა, ბორგავდა, შფოთს განაგრძობდა.

ბევრი შეხიზნებოდა ტყესა და მთებს. უმთავრესად წითელრაზმელები. პროფესიონალ რევოლუციონერებს და პარტიულ მუშებს კიდევ ქალაქებში გაეჩინათ საიდუმლო ბინები. არ სცხრებოდნენ. ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

დაიწყო ტერორი და ექსპროპრიაცია. თავდაპირველად ამ ბრძოლას დისციპლინის უღელი ედგა. მიზანშეწონილობის აზრი ჰქონდა. „გამოსვლების“ სადავე პარტიებს ეჭირათ ხელთ.

მაგრამ გამარჯვებული რეაქცია ფართო შემოტევას აწარმოებდა. გაშლილი ფრონტით მოდიოდა. თანდათან შეიზღუდა რევოლუციონური პარტიების გავლენის ფარგალი და ორგანიზაციული კავშირის თოკიც პარტიათა, ჯგუფთა და ცალკე პირთა შორის დამოკლდა“[1].

ამ სიტყვებით ლეო ქიაჩელი, სწორად გვიხატავს რა რეაქციის სუსხიანი ეპოქის კონკრეტულ მხატვრულ სურათს, მკითხველს წინასწარ ამზადებს მომდევნო დიდი მოვლენებისათვის.

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 208—209.

არჩილ დადიშიანი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ფოთის რევოლუციონერი მუშებისაგან ფარულ წრეს აყალიბებს და სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა მათ შორის. ამ ფარულ წრეში არჩილის შთაგონებით შედის ახალგაზრდა გლეხი ანდრო ქარავაძე, რომელიც უმეგობრდება ქალაქის მოწინავე მუშებს და მათთან ერთად აქტიური რევოლუციური ბრძოლის ფერხულში ებმება. წრეში თავიდანვე განხეთქილებამ იჩინა თავი.

ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება ორი ხაზი, ბრძოლის ორი ტაქტიკა. პირველის იდეური სულისჩამდგმელია არჩილ დადიშიანი, რომანის მთავარი გმირი, რომელიც თავიდანვე ჩვენს წინაშე ყალიბდება როგორც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მენშევიკური იდეოლოგიის გამომხატველი. მეორე ხაზი წარმოდგენილია ნიკოს სახით, რომელიც ბოლშევიკური შემტევი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და „რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი ბურჯთაგანი იყო". მათ შორის დავამ მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მიიღო. რა იყო დავის საგანი? რევოლუციის დამარცხების შემდეგ პარტიის მთლიანობისა და ორგანიზაციული ერთიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი გახდა მთელი რიგი საგანგებო ღონისძიებების გატარება. ნიკო გადაჭრით მოითხოვს წრე აგიტაციიდან და პროპაგანდიდან გადავიდეს გაბედულ მოქმედებაზე, რომელიც, მართალია, დაკავშირებულია რისკთან და მსხვერპლთან, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია როგორც „თავისთავადი აგიტაცია", რომელიც „ხალხს ერთხელ კიდევ მოაგონებდა რევოლუციონერების სიძლიერეს".

ასეთ გაბედულ მოქმედებად ნიკოს მიაჩნია წრის წევრთა მონაწილეობით ჭალადიდის რაიონში, პატარა ფოთსა და ჭალადიდს შუა, საფოსტო მატარებელზე თავდასხმის მოწყობა და სახაზინო ფულის გატაცება. ამგვარ ოპერაციებში არა ერთხელ უსახელებია ნიკოს თავი. მან არ იცის შიში და უკანდახევა გადაწყვეტილების მიღებისას და მისი პრაქტიკული განხორციელებისას.

ამიტომ იგი ოდნავადაც ვერ ურიგდება არჩილ დადიშიანის აზრს, რომელიც რეაქციის მხრივ შემოტევის გაძლიერების შიშით ყოველგვარი აქტიური მოქმედების წინააღმდეგია. ამ საკითხზე არჩილსა და ნიკოს შორის კამათის სცენა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა რეაქციის პერიოდში მენშევიკებისა და ბოლშევიკების ტაქტიკურ ხაზზე

და ისტორიული სისწორით ნათელყოფს ამ უკანასკნელის ნამდვილ რევოლუციონურ მიმართულებას.

არჩილის პოლიტიკური პროფილის ამომწურავ დახასიათებას იძლევა თვით ნიკო. აი, როგორ მიმართავს იგი, არჩილის სიტყვებით გაოცებული, დავის დამსწრე წრის წევრებს:

„— გესმით, ხალხო, ეს კაცი რას ამბობს? — ვითომ გაოცებით მიმართა მან თავის მეგობრებს — და ასეთი კაცი ათასზე მეტი მუშის ხელმძღვანელად გვეველინება! ჩვენ გარეშე მტერს ვებრძვით და შიგნით კი უარესი გვყოლია. — მერე ისევ მოუბრუნდა არჩილს.— ამხანაგო, ჩვენ კი, მუშებს, გვგონია, რომ მტერს ტერორზე ტერორითე უნდა გაეცეს პასუხი და ინტელიგენტურ ქანაობასა და წაჯექ-უკუჯექობას პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს! მე გეუბნებით თქვენ იმ მუშების აზრს, რომელთა ხელმძღვანელად თავი მოგაქვთ... თქვენ, ინტელიგენტები, ჯერ კიდევ შორს ხართ მუშებისაგან! მაშ! ჩვენი სისხლი იღვრება, და თქვენ კი წამომჯდარხართ აქ, კაბინეტებში და რაღაცას მიედ-მოედებით... პროგრამაო, პრინციპიო, გვაშინებთ! ალბათ, ჩუმჩუმად ნაციონალიზმის შხაპითაც სწამლავენ ხალხს. კმარა. გადმოგვეცით სადაეები, ბატონებო, და იცოდეთ, რომ რევოლუცია ჯერ კიდევ არ დამარცხებულა"[1].

ეს ადგილი მხატვრული რეალიზმის შესანიშნავი ნიმუშია ნაწარმოებში. მას საფუძვლად უდევს ეპოქის სინამდვილიდან აღებული სიმართლე. მაგრამ თუ პირველ ხანებში ნიკოსა და არჩილის პოლიტიკური შეხედულებანი ასე მკვეთრად არიან დაპირისპირებული ერთმანეთისაში, თუ ასე მკაფიოდ იგრძნობა მათ შორის იდეური და ტაქტიკური გამიჯნულობა, შემდეგ, ნაწარმოების მომდევნო სცენებსა და ფურცლებზე ეს კონტრასტული დაპირისპირება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს შორის ნელ-ნელა ჰქრება, ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორული როლი ახალი რეეოლუციისათვის მასების დასარაზმავად მწერალს მხედველობის არედან ეკარგება და რომანის მეტი ნაწილი დათმობილი აქვს არჩილისა და ცაცა რამაძის ინტიმური ურთიერთობის ისტორიას, დაუსრულებელ მსჯელობებს, კამათს ფილოსოფიურ-თეორიულ საკითხებზე.

ამაშია ამ ნაწარმოების მთავარი და არსებითი ნაკლი. მწერალმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა რეალიზმის ის მტკიცე პოზი-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, 1947, გვ. 220.

ციები, რომლითაც მან მოქმედების დასაწყისი მდგომარეობა გვიჩვენა. ამის შედეგად ზოგჯერ ამბები და სიტუაციები ნაწარმოებში ერთმანეთისაგან გაწყვეტილის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ არასაკმაოდ ემჩნევათ ლოგიკური მთლიანობა, თანმიმდევრულობა, ბუნებრიობა. სიუჟეტი იხლართება და იკლაკნება სოციალური და ინტიმური მოვლენების ორომტრიალში და ნაწარმოების საერთო არქიტექტონიკა, კომპოზიცია ვერ დგას იმ სიმაღლეზე, რომელზედაც მისი წინამორბედი ნაწარმოები „ტარიელ გოლუა“ იდგა. აქედან ხასიათების არასაკმაო სრულყოფილობა, არასაკმაო სიცხადე.

მაგრამ იდეური თვალსაზრისით რომანის ამ წარუმატებლობის მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ უნდა ვეძებოთ იმ წინააღმდეგობრივ ხასიათში, რომლითაც სტოლიპინის რეაქციის პერიოდი ხასიათდებოდა, მეორე მხრივ, თვით მწერლის დამოკიდებულებაში იმ მოვლენებისადმი, რომელთაც იგი გამოხატავს ნაწარმოებში. იგი რევოლუციასთან მივიდა, როგორც ინტელიგენტი, რომელიც ცხოვრებას მხოლოდ წიგნებიდან უცქეროდა. საკმარისი იყო მარცხი განეცადა რევოლუციას, რომ ასეთ ინტელიგენტ-რევოლუციონერებს რწმენა დაეკარგათ მომავლისადმი, მოელდნებინათ შეტევითი სულისკვეთება.

მწერლის მსოფლმხედველობის ასეთმა შეზღუდულობამ ეპოქის თავისებურებასთან შეფარდებით უეჭველად მოახდინა გავლენა „სისხლის“ გმირების ხასიათზე. გავყვეთ ნაწარმოების ძირითად სიუჟეტურ ხაზს.

ნიკოსგან განაწყენებული არჩილი ქუთაისში ჩადის იმის დასადგენად, თუ რა კონსპირაციული დავალება მისცა ქუთაისის კომიტეტმა ნიკოს. მაგრამ ქუთაისში არჩილის წამოსვლის დღესვე ნიკომ სისრულეში მოიყვანა თავისი გადაწყვეტილება. ანდროს, სამსონის, დათიელა-იმერლის და სხვა მოწინავე რევოლუციონერი მუშების მხარდაჭერითა და მონაწილეობით იგი თავს ესხმის მატარებელს. მაგრამ ამჯერად ეს თავდასხმა საბედისწერო გამოდგა. თავდამსხმელებს დროზე გაუგეს და სასტიკი ბრძოლა გაიმართა მატარებლის შეიარაღებულ დაცვასა და ნიკოს ჯგუფს შორის. თავდამსხმელებმა ჭალადიდის უდაბურ და გაუვალ ტყეს შეაფარეს თავი. სამსონი მძიმედ დაიჭრა ამ თავდასხმისას და მწვავე ტკივილებისაგან დატანჯული ტყეშივე გარდაიცვალა. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო თავდამსხმელების შესაპყრობად. ანდრომ და ნიკომ ძლივს დააღწიეს

თავი საფრთხეს, ტყეში რამდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ. დიდი კონსპირაციული შენიღბვით ქუთაისში ჩავიდნენ. დათიელა იმერელი კი გზაში შეიპყრეს. ქუთაისში ნიკოს ჩამოსვლამდე 1904 წლის ქუთაისის სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი არჩილ დადიშიანი, აგიტატორ-პროპაგანდისტი, მუშის ტანსაცმელში გადაცმული, მისი მეგობრის შალვა რამაძის ბინიდან გამოსვლისთანავე დააპატიმრა ქუთაისის ჟანდარმერიამ. მას ბრალად დებენ აგრეთვე ჭალადიდთან მატარებელზე თავდასხმის მოწყობას, რითაც პოლიტიკური დანაშაული ურთულდება და სასჯელი უმძიმდება.

არჩილ დადიშიანის, გოგიას და სხვა პოლიტიკური პატიმრების ციხიდან გასათავისუფლებლად ქუთაისის კომიტეტი ვასოს მეთაურობით აწყობს კონსპირაციულ ორგანიზაციას, რომელშიც აქტიურ როლს ასრულებს არჩილის ნათესავი ანდრო. საიდუმლო გვირაბი ციხეში გაჰყავთ სწორედ ციხის უფროსის მელიტონ აბლანდიას სახლის გვერდით, რომლის კომენდანტად დაინიშნა კონსპირაციული ორგანიზაციის წევრი დათო. ასე მოხდენილად, მოხერხებულად ახდენენ გარეთ დარჩენილი ამხანაგები თავიანთი მეგობრების დახსნას გარდუვალი დაღუპვისაგან.

ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ორგანიზაციას აბლანდიას ცოლმა და ანდროს შეყვარებულმა ვარდომ. ვარდო არჩილის დედის — სალომეს თხოვნით ენერგიას არ ზოგავს არჩილის გადასარჩენად. იგი ხარობს იმით, რომ ამ დიდ საქმეში ანდროსაც ხელავს და მისი დავალებების შესრულება ფარულ სიხარულს ანიჭებს. მაგრამ ეს სიხარული წუთიერი აღმოჩნდა. ქმარმა დაიჭირა სწორედ იმ მომენტში, როცა თეთრი ცხვირსახოცით არჩილს რაღაც საიდუმლო ნიშანს აძლევდა. აღნიშნული ქმრის უხეში, არაადამიანური მოპყრობით შეურაცხყოფილი ვარდო მდინარეში იხრჩობს თავს. ეს საზარელი ფაქტი დიდად მოქმედებს განსაკუთრებით ანდროზე. მისი რევოლუციური სულისკვეთება ამით კიდევ უფრო ძლიერდება. იგი დათოს დახმარებით შურს იძიებს აბლანდიაზე და ციხიდან განთავისუფლებულ სხვა პატიმრებთან ერთად ქუთაისიდან გაიპარება.

ამის შემდეგ ორგანიზაცია იქსაქსება. არჩილი შალვა და ცაცა რამაძეებთან ერთად არალეგალურად მიემგზავრება მოსკოვს და იქ განაგრძობს ცხოვრებას. იგი ამის შემდეგ მთლიანად მოწყდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. რა საერთოა არჩილსა და შალვა რამა-

ძეს შორის? ვინ არის იგი? შალვა რამაძე შორს დგას რევოლუციის ინტერესებისაგან. მისი პოლიტიკური ორიენტაცია დიდად განსხვავდება არჩილის შეხედულებებისაგან, მაგრამ არჩილთან მას აახლოებს მეგობრული გრძნობა, ჩასახული და განმტკიცებული გიმნაზიაში ერთად სწავლის დროიდან. შალვა ობივატელური განწყობილების ინტელიგენტია. ასეთივე ელფერი დაკრავს ცაცა რამაძესაც, რომელიც თავისი ცვალებადი ხასიათით ზოგჯერ უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოქმედი პირების მრავალრიცხოვნობა, სიუჟეტური დახლართულობა, სიტუაციების სწრაფი ცვალებადობა, ამბების განვითარების არათანმიმდევრობა ბოჭავს მწერალს ნაწარმოებში ხასიათები გამოკვეთოს მისთვის დამახასიათებელი სრულყოფილებით.

ეს მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში მწერალმა ვერ შეძლო დიდი სოციალური შინაარსის სათანადო მხატვრულ ფორმაში ჩამოყალიბება, მოვლენებისა და ფაქტების სათანადო მხატვრული განზოგადება. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, „სისხლი“ მაინც რეალისტური ნაწარმოებია თავიდან ბოლომდე და იგი მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ჭიაჩელის შემოქმედებითი განვითარების გზაზე, არამედ 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა პროზაშიც.

„ჰაკი აძბა“

1930-იანი წლების პერიოდის ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში რეალიზმის გამარჯვების ბრწყინვალე ნიმუშებად ითვლება ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, როგორიცაა: „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“ და „ჰაკი აძბა“. ამ ნაწარმოებებში „ტარიელ გოლუას“ შემდეგ ლეო ქიაჩელი პირველად გამოჩნდა, როგორც უტყუარი რეალისტი მწერალი, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი, ადამიანის სულის ღრმა მცოდნე და იშვიათი მესაიდუმლე. რას გვიჩვენებს „ჰაკი აძბას“ იდეური შინაარსის ანალიზი? რით არის ეს ნაწარმოები განსაკუთრებით საინტერესო?

თუ ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ლოგიკით ვიმსჯელებთ, 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობისა და რეაქციის პერიოდის შემდეგ, სამოქალაქო ომის ხანას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. უაღრესად კრიტიკული მდგომარეობა იყო შექმნილი თებერვლის რევოლუციის

მომდევნო ეტაპზე საქართველოში. გლეხთა რევოლუციური და საბ-ხედრო-რევოლუციური დროებითი კომიტეტების შექმნას შემდგომ მოჰყვა ერობის ბაზაზე მენშევიკური ხელისუფლების დამკვიდრება. 1918 წელი ერთგვარი გარდამავალი ხანა იყო მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე. დროის აი ეს კონკრეტული მონაკვეთია „ჰაკი აძბაში“ მოქმედების ჩარჩოდ აღებული. ლეო ქიაჩელმა ამ დროს ერთგვარი მხატვრული მატიანეც შექმნა.

„ჰაკი აძბა“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ 1933 წელს (იხ. № 11). 1934 წელს იგი უკვე ცნობილი იყო რუსი მკითხველებისათვის. ამ წელს გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ მოსკოვში ვ. გოლცევის რედაქციით და შენიშვნებით გამოსცა ქიაჩელის ნოველების წიგნი. მასში პირველად იყო მოთავსებული ამ ნაწარმოების რუსული თარგმანი. ამავე პერიოდში ეს ნოველა ითარგმნა ფრანგულ და ინგლისურ ენებზეც. რუსი კრიტიკოსებიდან ვ. გოლცევის გარდა ნოველას დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ გრიშკინი („ზვეზდა“, 1941, № 5), სიკარი („ნოვიი მირ“, 1941, № 1) და სხვ.

ნაწარმოებში მოქმედება იწყება კრეისერ „შმიდტის“ გამოჩენით, რომელმაც უჩვეულო გამოცოცხლება შეიტანა ქალაქის ჩამკვდარ ცხოვრებაში. სამხედრო კრეისერი „შმიდტი“ და მისი უფროსი ბოლშევიკი კუზმა-კილგა, კუზმა-მრისხანედ წოდებული, შიშის ზარს სცემდნენ სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა რუსეთის მტრებს და დაუზოგავად ებრძოდნენ კონტრრევოლუციურ აგენტებს. კუზმა-კილგა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში შავ ზღვაზე შმიდტის მეთაურობით მოწყობილ მეზღვაურთა დიდი ამბოხებისა. იგი ითვლებოდა სახელგანთქმული შმიდტის უახლოეს და ერთგულ თანამებრძოლად, რომელიც მეფის მთავრობის მიერ მისჯილ სამუდამო კატორღისაგან იხსნა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებმა კუზმა-კილგაში აღზარდეს შეუპოვარი, მტკიცე, უდრეკი, ძლიერი ხასიათი, ფოლადისებური ნებისყოფა, ულმობელობა და მრისხანება ყოველგვარი მტრების მიმართ და ამავე დროს ის დიადი, კეთილშობილური გრძნობები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ყოველი რევოლუციონერი ბოლშევიკისათვის. ეს უკანასკნელი საფუძვლად უდევს კუზმა-მრისხანეს ჰუმანიზმს, მის დიდ სიყვარულს ყველა დაჩაგრულისადმი, პროლეტარული რევოლუციის საქმის ყველა ერთგულისადმი.

ბოლშევიკების სამხედრო ხომალდის „შმიდტისა“ და მისი სახელგანთქმული მეთაურის კუზმა-მრისხანეს გამოჩენა მენშევიკურ სოხუმში მოვლენების რაღაც გრიგალისებურ დატრიალებას ნიშნავდა. მწერალს სწორედ იმ მომენტიდან შეუყავს მკითხველი საქმის ვითარებაში. უწინარეს, ჩვენს წინაშე სახიერდება ქალაქის თავის, მენშევიკ სამსონ დავანაძის შეშფოთებული და დაბნეული სახე. იგი მოგვაგონებს იმ მშიშარა და „მკვეხარა“ თაგუნას, რომელიც შეჩვეულია დიასახლისის ფეხის ბაკუნს და სამზარეულოს შუაგულში კაკლის ნაჭუჭებს უდარდელად შეექცევა, მაგრამ როგორც კი შორიდან დაინახავს კატის აჩრდილს, უმალვე სოროში მიძვრება. დავანაძეს თავი მოჰქონდა თავისი „რევოლუციური“ წარსულით. იგი თითქოს „ხალხის რჩეულთა“ წარმომადგენლად ითვლებოდა ქალაქის საბჭოში, მაგრამ როგორც კი თავისი „რეზიდენციის“ ფანჯრებიდან ბინოკლით დალანდა ბოლშევიკების კრეისერის გემბანიდან ქალაქისაკენ გამოშვერილი ზარბაზნების ლულები, როგორც კი წარმოიდგინა ქალაქში ბოლშევიკების შემოსელის მოსალოდნელი შედეგი, უმალ უფსკრული წარმოიშვა მის მოჩვენებითს „რევოლუციურ“ წარსულსა და საზოგადოებრივ საქმიანობას შორის, უმალ იგრძნო სიშორე ხალხისაგან და მშრომელთა წარმომადგენლის ნაცვლად ხელში გერჩება მხოლოდ გაკოტრებულ თავადაზნაურთა ნაშიერი. გაუწიოს წინააღმდეგობა? ვისი იმედით? ასეთი კითხვები აღიმართა შიშით შემკრთალ სამსონ დავანაძის წინაშე ქალაქის ნავსადგურში კრეისერ „შმიდტის“ შესვლის შესახებ ცნობის მიღების პირველ წუთებშივე. მწერალი დიდი მხატვრული ტაქტით აგვიწერს ქალაქის თავის აფორიაქებულ მდგომარეობას შექმნილ ვითარებაში.

„საგონებელში ჩავარდა ქალაქის თავი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა წინასწარ, რომ დროზე არავინ უპასუხებდა, ან თუ მიიღებდა მაინც რასმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა.

მეორე ნაბიჯი კი ნამდვილ გამოსავალს წარმოადგენდა შექმნილ მდგომარეობიდან“[1].

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 304—305.

რას მოასწავებდა ეს მეორე ნაბიჯი? მხოლოდ ამ წუთებში მოაგონდა სამსონ დავანაძეს, რომ სოხუმში ჯერ კიდევ განაგრძობდა უმოქმედოდ არსებობას გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციური საბჭო, რომლის თავმჯდომარედ მისი მეგობარი ნარიქ ეშბა ითვლებოდა. „ამ ბოლო დროს ამ ორგანიზაციის მოვალეობას ისღა შეადგენდა, — მოგვითხრობს მწერალი, — რომ დროგამოშვებით, როცა მდგომარეობის სირთულე მოითხოვდა, მომენტის შესაფერის რეზოლუციას მიაღებინებდნენ და გაზეთებში გამოაცხადებინებდნენ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ჯერ კიდევ ამ ორგანიზაციას რევოლუციონური ავტორიტეტი ჰქონდა შერჩენილი და მისი გვერდის აცლა არ შეიძლებოდა“[1]. სამსონ დავანაძის წინაშე ახლა მოქმედების მთელი გეგმა გადაიშალა. როგორც თვით მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო, ისე მისი თავმჯდომარე ქალაქის თავს ახლა იმ სახით წარმოუდგნენ, თითქოს ისინი თავიდანვე ამ ქვეყნად მხოლოდ იმიტომ ყოფილიყვნენ გაჩენილები, რომ 1918 წლის 27 თებერვლის დილით სოხუმში შექმნილი მდგომარეობისათვის მოეღოთ და ეპატრონათ.

მიაგნო რა ამ დიპლომატიურ „ხრახნს“, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, სამსონ დავანაძემ მყისვე მოიწვია პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა ნარიქ ეშბას მონაწილეობით, რომელზეც გადაწყდა ქალაქის აოხრების თავიდან აცილების მიზნით საზეიმო შეხვედრა მოეწყოთ ბოლშევიკების კრეისერისათვის. მალე ქალაქმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო. ქუჩებში წითელი დროშები და რევოლუციური ლოზუნგები გამოფინეს. გემის კაპიტნისა და მეზღვაურთა საპატივცემლოდ სათანადო ბანკეტის მომზადების თადარიგს შეუდგნენ. ამავე დროს გემზე შესახვედრად. ორკესტრის გუგუნში, გაემგზავრა ქალაქის დელეგაცია, როგორც ბოლშევიკებისადმი სიყვარულის დემონსტრაციის გამოხატულება. ასე ვითარდება სიუჟეტი პირველ ხანებში. კუზმა-კილგა მოწონებით ხვდება ქალაქის დელეგაციის მიპატიჟებას. იგი ამ საზეიმო განწყობილებაში ხედავს პროლეტარული რევოლუციის ტრიუმფალურ გამარჯვებას მაგრამ ამავე დროს იჩენს საჭირო სიფხიზლეს, სიფრთხილეს და წინდახედულობას. იგი თვითონ არ ტოვებს გემს. რჩება მის პოსტზე, როგორც რევოლუციის საქმის ფხიზელი გუშაგი, მტრის ყოველგ-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 305.

ვარი მაქინაციების წინასწარ განმჭვრეტი. ხომალდის კაპიტნის ნებართვით ქალაქის დასათვალიერებლად ნაპირზე გადმოდის ხუთი რჩეული მეზღვაური. ასე ხვდება ერთმანეთს ორი მოპირდაპირე ძალა: ერთი დრომოჭმული, უფერული, უბადრუკი და მომაკვდავი სამსონ დავანაძის სახით, მეორე — ახალი და მზარდი, ძლიერი და ნათელი მომავლის განსახიერება საღი და შეუპოვარი კუზმა-კილგას სახით.

ეს დაპირისპირება ნაწარმოების მიმდევნო ფურცლებზე უფრო კონკრეტულ, უფრო მკვეთრ და მწვავე ხასიათს ღებულობს. მალე ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ქალაქი, რომელსაც სამსონ დავანაძე მეთაურობს, წარმოადგენს კონტრრევოლუციონერთა და ყოველგვარ ნაძირალათა ბნელ თავშესაფარს; ისინი სასტუმროს ერთ ოთახში ბანქოს თამაშით ირთობენ თავს ჯერ კიდევ მანამ, სანამ კრეისერი „შმიდტი“ უშუალოდ არ მიადგება სოხუმის ნავსადგურს. მათ შორისაა რევოლუციის დაუძინებელი მტერი, მეფის დაშლილი ჯარის ყოფილი ოფიცერი, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი უჯუშ ემხა, რომელიც წითლების იერიშებს გამოქცეოდა სამოქალაქო ომის ფრონტებიდან და თავისი უერთგულესი ძიძიშვილის ჰაკი აძბას დახმარებით, ათასი განსაცდელისა და საფრთხისაგან თავდაღწეული, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებულიყო. უჯუშ ემხა და ჰაკი აძბა აფხაზური ადათ-ტრადიციის მიხედვით სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ჰაკი აძბა მონური მორჩილების შიშით არის აღზრდილი თავადაზნაურული არისტოკრატიის კარზე და გამსჭვალულია ბრმა რელიგიური რწმენით. მას სწამს, რომ გაკოტრებული და გადაგვარებული თავადის უჯუშ ემხას სიცოცხლე ღვთიური ძალით ჩაბარებული აქვს და მისი დაცვა ხელყოფისაგან მიაჩნია საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის, საკუთარი არსებობის საფუძვლად.

მწერალი დიდი ოსტატობით, ფსიქოლოგიური სიმართლით, დამაჯერებლობითა და სიცხადით გადმოგვცემს ჰაკი აძბას არსებაში ღრმად გამჯდარ ცრურწმენის ნიშნებს და შედეგებს, ძველ და ახალ შეხედულებებს შორის შეჯახებათა ისტორიულ აუცილებლობას და არაჩვეულებრივი ვირტუოზობით ხატავს მოქმედ პირთა რთულ ფსიქოლოგიურ ხასიათებს. ჰაკის შთაგონებული ჰქონდა რაღაც მისტიური ძალით, რომ თუ ყოველთვის თან იქნებოდა უჯუშ ემხასთან, ამით ემხას სიცოცხლე ყოველგვარი განსაცდელის ჟამს მუდამ დაზღვეული იყო. მაგრამ, აი, დაბრუნდა უჯუში მშობლიურ ქალაქში,

სადაც მას არ ემუქრება „წითლებისაგან“ დევნა და განსაცდელი. ჰაკიმაც დასტოვა ის თავისი „ამფსონების“ წრეში და ამ საბედისწერო წუთიერმა დაშორებამ თითქოს განაპირობა თვით ემხას და ჰაკის სიკვდილიც.

უჯუშ ემხა ბოლშევიკებისადმი შეურიგებელი ზიზღის ნიშნად სრულიად მოულოდნელად კლავს ქალაქში მოსეირნე მეზღვაურს ვასკა-პირატს, მასთან ერთად დაჭრის რამდენიმეს და თვითონ მიიმალება. ამ ამბავმა შესძრა მთელი ქალაქის მოსახლეობა. ისინიც კი, ვინც ბოლშევიკებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი, უჯუშ ემხას საქციელში ხედავდნენ მომენტის შეუფერებელ და დამღუპველ მოქმედებას.

ეს მოასწავებდა წინააღმდეგობის გამწვავებას და სამხედრო ხომალდის მიერ ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტას. კუზმა-მრისხანე დაუყოვნებლივ მოითხოვს მკვლელის შეპყრობას. იგი მძელად იტოვებს გემზე ქალაქის დელეგაციის მეთაურს ბექირბი ჩამჩას, რომლის ავტორიტეტი და გავლენა, როგორც ბრწყინვალე არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლისა, დიდია და განუზომელი ქალაქის მმართველ წრეებსა და თავადაზნაურულ საზოგადოებაში.

ჰაკი აძბა გვიან გაიგებს ძიძიშვილის განსაცდელს. იგი დაუყოვნებლივ გადაწყვეტს თავი გასწიროს მისთვის, არ დაუთმოს მტერს, გადაარჩინოს გარდუვალ სიკვდილს. ემხას აპატიმრებენ. ჰაკი კი თავის თავს აცხადებს ნამდვილ მკვლელად და გადაეფარება წინ ემხას, რათა იხსნას იგი. ჰაკიმ იცის, რომ თეთრგვარდიელი ოფიცრის წარდგენა კუზმა-მრისხანეს წინაშე, როგორც მეზღვაურის მკვლელისა, უჯუშ ემხას სიკვდილს უდრის. და, აი, მზად არის იგი შეენაცვლოს მას, ტყვია გაიკრას გულზე მისდამი ერთგულების ნიშნად.

— „მე ვარ ჰაკი აძბა, ბატონო უფროსო, — მიმართავს იგი იმ კაცს, ვინც უჯუშ ემხა უნდა მიგვაროს ცოცხლად გემის კაპიტანს, — უჯუშ ემხას ძიძიშვილი, რომელსაც აქ ყველა იცნობს, ვისაც ემხას ბრწყინვალე სახელი გაუგონია. მაპატიე, რომ შეგაჩერე, მაგრამ განცხადება მაქვს ფიცის ქვეშ მოსაცემი და გთხოვთ მომისმინოთ. უჯუშ ემხას მე ვახლდი იმ დროს, როცა მას მეზღვაურები თავს დაესხნენ. იმისათვის ვატარებ იარაღს და დედაჩემის გაზრდილს იმისათვის ვახლავარ დღედაღამ, რომ ის ყოველი ხიფათისაგან დავიცვა. თავდამსხმელებს მე ვესროლე რევოლვერი და ჩემმა ტყვიამ ორი მათგანი იმსხვერპლა. უჯუშ ემხას კი იარაღისთვის ხელიც არ

უსლია. დიას, მე ვარ მკვლელი იმ მეზღვაურების, ბატონო უფროსო. დამიპირეთ და წარმადგინეთ, სადაც საჭიროა. ჰა, ჩემი თოფი, ეს რევოლვერიც და ესეც ჩემი სატევარი, ჩაიბარეთ. უჯუშ ემხას კი არა დაუშავებია რა. გთხოვთ, მას ხელი არ ახლოთ"[1].

ჰაკი აძბა რელიგიური ფანატიზმით გაჟღენთილი ადამიანია; იგი უკიდურესად ჩამორჩენილი პიროვნებაა და გადაქცეულია თავადაზნაურთა ინტერესების დაცვის ბრმა იარაღად. რამ მიიყვანა აქამდე, ჰაკი, უღარიბესი გლეხის შვილი, შრომასა და ტანჯვაში გაზრდილი? საუკუნეობრივმა ტრადიციამ, რაც მტკიცედ აკავშირებდა ერთმანეთთან ძიძიშვილებს. ეს ტრადიცია კიდევ უფრო ძლიერად მოჩანს იმ წუთებში, როცა კუზმა-მრისხანე ოქტომბრის რევოლუციის სახელით შურს იძიებს ხომალდის მეზღვაურის მკვლელზე, თეთრგვარდიელ ოფიცერზე და სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს მას. ამ წუთში ჰაკი კარგავს ყოველგვარ ადამიანურ სახეს. იგი ბოროტად იყენებს კუზმას ჰუმანურ და მეგობრულ დამოკიდებულებას მისდამი, მის რჩევა-დარიგებებს, ხელაღებით უარყოფს იმ სინამდვილეს, რომელსაც უხატავს მას ჰაკი აძბასავით დამონებული მილიონობით მშრომელი ხალხის მხსნელი კუზმა-კილგა და ლამობს ხომალდიდან გადავარდნას, რათა უჯუშ ემხასთან ერთად ზღვის ფსკერზე ჰპოვოს თავისი ცხოვრების დასასრული. კუზმა-კილგა უკიდურესად აღაშფოთა აძბას ასეთმა მოქმედებამ.

„— გაუშვით — სთქვა შემდეგ.

ჰაკის ხელი შეუშვეს.

იგი ერთი ნახტომით მოაჯირთან გაჩნდა.

ცხადი იყო მისი განზრახვა.

— შესდექ! — დაიგმინა უცებ კუზმამ და მარჯვენა ხელი რევოლვერისაკენ გააქანა. ჰაკი არ შესდგა. მაგრამ სანამ ტანს მოაჯირზე გადასახტომად მოიმარჯვებდა, კუზმასაკენ მოიხედა შეღრინებით.

— შენ სიკვდილი გეკუთვნის ჩემგან! — შესძახა კუზმამ და ამავე წამს მისი რევოლვერიც გავარდა.

შუბლგანგმირული ჰაკი აძბა იატაკზე გაიშხლართა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა.. აიღეთ, გადააგდეთ.

---

[1] ლეო ქიაჩელი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 348—349.

დამშვიდებული ხმით წარმოსთქვა კუზმამ და მოკლე, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით თავის კაბინისკენ გაემართა“[1].

ასე მთავრდება ეს უაღრესად დაძაბული სიუჟეტისა და ღრმა შინაარსის ნაწარმოები. ლეო ქიაჩელმა ნაწარმოების ამ ტრაგიკულ ფინალში ჩააქსოვა დიდი სოციალური აზრი: ძველი ტრადიციისა და ადათ-წესების დამსხვრევის, ჩამორჩენილ ადამიანთა შეგნებიდან წარსულის ნაშთების ძირფესვიანი აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას ახალი სინამდვილე, ახალი სოციალისტური შეგნება.

„ჰაკი აძბა“ სიუჟეტურად ემყარება სოხუმში მომხდარ ნამდვილ ამბავს, რომლის შესახებაც 1918 წელს გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ინფორმაცია გამოაქვეყნა.[2] როგორც „ტარიელ გოლუას“ და „სისხლის“ შექმნისას, აქაც მწერალი ცხოვრებისეულ მასალას ისეთ მხატვრულ სამოსელში ხვევს, რომელშიც არსებითად შენარჩუნებულია ისტორიული სინამდვილის სიზუსტე და სისწორე, მაგრამ იგი იმდენად იერშეცვლილი და გადასხვაფერებულია, რომ გვესახება როგორც სრულიად ახალი განზოგადებული სინამდვილე, რომლის მხატვრული ძალა და სიმართლე მისი მოქმედი პირების მძაფრ ფსიქოლოგიურ ხასიათებშია ჩაქსოვილი.

სწორედ ადამიანური ხასიათების ოსტატური კონკრეტიზაცია, დიდი სოციალური მოვლენის ღრმა ისტორიული სისწორით განჭვრეტა, გამომსახველობის ემოციურობა, დამაჯერებლობა და სიცხადე, თემისა და იდეის სრულყოფა — აი, ის ძირითადი ნიშნები, რითაც ხასიათდება ნოველა „ჰაკი აძბა“. მასში საქართველოში მენშევიკების ბატონობის ერთი მეტად საგულისხმო პერიოდია გამოსახული. მწერალი გვიხატავს, თუ ვის ხელში იყო ფაქტიურად ხელისუფლება მაშინ და რა ინტერესები ამოძრავებდა ე. წ. „დემოკრატიული მთავრობის“ მუსვეურებს. ეს პირადად მისთვის, როგორც ზემოთ დავინახეთ, უველაზე კარგად იყო ცნობილი.

მწერალმა მოგვცა დროისა და ეპოქის შესატყვისი კოლორიტული ხასიათები, გვიჩვენა ცხოვრების რეალისტური, სწორი სურათები, გადაგვიშალა დიდი სოციალური მოვლენების მართალი პანორამა. ნაწარმოებში არ არის არც ერთი ყალბი სახე, ზედმეტი საღებავი, უადგილო ფრაზა, სიუჟეტის მომდუნებელი და ყურადღების მომქანცველი გაჭიანურებული სცენა. მისი კომპოზიცია გრანი-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 365—366.

[2] იხ. „სახალხო საქმე“, 1918, № 176.

ტივით მკვრივია და ერთიანი. ნაწარმოების კომპოზიციური სიმტკიცე განპირობებულია ხასიათების მთლიანობით, სრულყოფით, მოქმედებათა და მოვლენათა დინამიკური, მიზეზ-შედეგობრივი განვითარების კანონზომიერებით. ეს მხატვრული თავისებურება მეტნაკლებად ახასიათებს ლეო ქიაჩელის ამ პერიოდის ყველა დანარჩენ საუკეთესო ნოველას.

„გვადი ბიგვა"

სოციალისტური მშენებლობის სწრაფმა და განუწყვეტლივ მზარდმა პროცესებმა დააჩქარეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია, მათი იდეური ზრდა. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ", რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა მთელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ამ დადგენილებამ ბოლო მოუღო დაჯგუფებათა უპრინციპო ბრძოლას ლიტერატურულ ორგანიზაციებში, მოხსნა ყოველგვარი დაყოფა „მოკავშირეებად", „თანამგზავრებად", „პროლეტფელებლად", რომელთა საფარქვეშ „ავერბახელები" (რაპპელები) ატარებდნენ ანტიპარტიულ პოლიტიკას და ნამდვილი, სწორი, თავისუფალი შემოქმედებითი განვითარების გზა გაუხსნა ყოველ ჭეშმარიტ საბჭოთა მწერალს.

1934 წლის 17 — 30 აგვისტოს ქიაჩელი სხვა ქართველ საბჭოთა მწერლებთან ერთად ესწრებოდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პირველ ყრილობას, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა მაქსიმ გორკი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ლეო ქიაჩელის იდეურ-შემოქმედებითი განვითარების ახალი, ყველაზე შესანიშნავი, ბრწყინვალე ეტაპი. ამ დროიდან იგი ხელს ჰკიდებს სოციალისტური სინამდვილის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებების შექმნას. კინოსცენარის შექმნის მიზნით რეჟისორ ნ. შენგელაიასთან ერთად 1934 წელს ლეო ქიაჩელი მიემგზავრება შემოქმედებითს მივლინებაში და პირადად ეცნობა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს. სოფლიდან სოფელში, რაიონიდან რაიონში მოგზაურობამ, კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში მიღწეული წარმატებების ახლო გაცნო-

ბამ, ცხოვრების სინამდვილის ღრმად შესწავლამ და, რაც მთავარია, ახლის გრძნობის ძვირფასმა თვისებებმა, რითაც ასე დაჯილდოებული იყო ქიაჩელი, შესაძლებლობა მისცეს მწერალს 1936 — 37 წლებში კინოსცენარის „ნარინჯის ველის“ მასალებზე შეექმნა ახალი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოები „გვადი ბიგვა“, რომელმაც სახელი გაუთქვა არა მხოლოდ ლეო ქიაჩელს, არამედ მთელს ჩვენ ქართულ საბჭოთა პროზას.

ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა მეოცე საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში რაღაც უჩვეულო, მხატვრული ნაწარმოებიდან კინოსცენარის შექმნის ნაცვლად კინოსცენარიდან ნაწარმოების „აღმოცენების“ მეტად საინტერესო, ერთგვარი „ექსპერიმენტული“ ხასიათის ფაქტთან. „გვადი ბიგვამ“ ფართოდ, მტკიცედ და ურყევად გაიკაფა გზა ლიტერატურის მსოფლიო „სივრცეებისაკენ“.

ნაწარმოების მთავარი გმირი გვადი ბიგვა უაღრესად ფსიქოლოგიური ტიპია. ლეო ქიაჩელის მხატვრული ნიჭი ყველაზე მკვეთრად სწორედ ფსიქოლოგიზმში მჟღავნდება. იგი მხატვრული დეტალების, ადამიანის რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობის დახატვის ოსტატია. იშვიათია ქიაჩელის ნაწარმოებებში გმირის ისეთი მოქმედება, რომელსაც მოტივირება, გამართლება, საფუძველი არ ჰქონდეს. ეს ანიჭებს მის მხატვრულ შემოქმედებას დიდ დამაჯერებლობას და ზემოქმედების ძალას. გვადის უარყოფითი თვისებების წარმომშობი ფესვები ძველი მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების წიაღშია ჩამარხული. გაიძვერობის, თაღლითობის, იოლი გზით თავის გატანის რწმენით არის გაჟღენთილი მისი გლეხური ბუნება.

„—ამ ორპირ ადამიანებთან ლელოს გატანა ტყუილითა და მამაძაღლობით თუ შეიძლება, ჩემო ბიძია გვადი!“[1] — ასე მიმართავს იგი თავის თავს, როცა ბაზრისკენ მიმავალი არჩილ ფორია თვალთაგან გაუქრება. ძველი დროის ეს ნაშთები ბოქავს გვადის, გასაქანს არ აძლევს აქტიურად ჩაებას ახალ საკოლმეურნეო შრომაში, უნდობლობით შესცქერის ცხოვრებას. ცუღლუტობასა და ქურდობას, სიზარმაცესა და ენის ლაქლაქს შეჩვეული გვადი თავისუფლად ნავარდს ამჯობინებს კოლმეურნეობაში მუშაობას. ის ჯერ კიდევ განთავისუფლებული არ არის კოლმეურნეობაში შეპარული კლასობრივი მტრის არჩილ ფორიას კლანჭებისაგან. ასე გვესახება ჩვენ გვა-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. III, 1950, გვ. 37.

დის ცხოვრების პირველი პერიოდი სწორედ სანარიელებისა და ორკეთელების ურთიერთ საზეიმო შეხვედრის მომენტამდე, როცა მას ამ ორ კოლმეურნეობას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემმოწმებელი კომისიის წევრად ირჩევენ. აქედან (23-ე თავი) იწყება გვადის სულიერ ცხოვრებაში დიდი მეტამორფოზა. ამის შემდეგ მართლაც ერთბაშად იცვლება იგი. იცვლის შეხედულებას საზოგადოებაზე, ცხოვრებაზე, ადამიანებზე.

მაგრამ ეს მომენტი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს გვადის სულიერი გარდაქმნის გადამწყვეტ მომენტად, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს. აქ არ არის და არც შეიძლება იყოს გვადის ფსიქოლოგიური გარდაქმნის დასაწყისი. საკითხის ასე გადაჭრა ცალმხრივი, არასწორი იქნებოდა.

გვადი მძიმე შინაგანი სულიერი ბრძოლის გზით თავისუფლდება ძველი დროის მახინჯი თვისებებისაგან. ის თვითონ გრძნობს თავისი მახინჯი თვისებების (ქურდობა, მატყუარობა, სიზარმაცე) შეუთავსებლობას ახალ სოციალურ გარემოსთან. იგი გრძნობს, თუ რა უდანაშაულოდ ტუქსავს ბარდღუნია თავის პატარა ძმებს ვითომდა მანდარინების მოკრეფისათვის. ეს მანდარინები ხომ თვითონ გვადიმ მოიპარა იმ დილით? ახლა კი ბავშვები ისჯებიან მისი დანაშაულისათვის. გვადი ხედავს, რომ მთელი ეს სცენა ბარდღუნიამ მხოლოდ იმისათვის გაითამაშა, რომ მამა ჩაეხედებინა თავის უღირს და შეუფერებელ საქციელში. პიონერ-მოსწავლის ალღო და მოსაზრებულობა პირველ სასტიკ ლახვარს სცემს გვადის უსინდისობას. მასში იღვიძებს სინანულის, დანაშაულის შეგრძნების, საკუთარ სულში ჩახედვის გრძნობა. ხითხითსა და უდარდელობას შეჩვეული გვადი ვერ ახერხებს თვალები პირდაპირ გაუსწოროს „დიდი მომავლის“ მჭონე ბარდღუნიას. „უველამ ყურადღება მიაქცია ამას, — მოგვითხრობს მწერალი, — კიტუნიამ კი გვერდიდან ფრთხილად ჩახედა ბაბაიას სახეში, რა ემართებათ. ნახა, რომ მამას ორივე თვალიდან ცრემლი ჩამოსდიოდა. გაუკვირდა. მერე უცებ ჰოსწყდა ... ვის ადგილს და ბარდღუნიას მივარდა, ხელი ბაბაიასაკენ გაიშვირა და მიმართა: — აი, ბაბა ... ა სტირის, შენ რომ გეცემა... ახლა: — ჭარხალივით გაწ ... ღდა და ძმას მამხილებელი თვალები შეაშტერა“[1].

ამ სცენაში (მე-14 თავი) გვადის ხასიათის მძიმე ფსიქოლოგი-

[1] ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. III 1950, გვ. 115.

ური სურათია გადმოცემული, ნაჩვენებია გმირის შინაგანი განცდების ჭიდილი, შეჯახება, ბრძოლა საკუთარ „მე“-ში მოცემულ დადებით და უარყოფით თვისებებს შორის. ამ შინაგან წინააღმდეგობებში, ფსიქოლოგიურ ნიუანსებში, გოჩასთან, გერასთან, მარიამთან, ფორიასთან ურთიერთობასა და კავშირში მწერალი ჩვენს წინაშე დიდი ოსტატობით აქანდაკებს ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ რეალისტურ, ცოცხალ სახეს, გვიჩვენებს ადამიანთა შეგნებიდან ძველი გადმონაშთების თანდათანობითი დაძლევის რთულ პროცესს, რაც ესოდენ ტიპიური და დამახასიათებელი იყო ჩვენი სოციალისტური საზოგადოების 1930-იანი წლების სინამდვილისათვის.[1]

ადამიანთა შეგნებიდან ამ გადმონაშთების აღმოფხვრა, ადამიანის ფსიქოლოგიური გარდაქმნა რთულია და ხანგრძლივ დროს მოითხოვს. უჩვენო ადამიანის ფსიქოლოგიური გარდაქმნის რთუ-

---

[1] ამ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის, მისი ამ ძირითადი ნიშნის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია გვადის სახის სწორი გაგება. ი პ. ვ ა რ თ ა გ ა ე ვ ა ლეო ქიაჩელისადმი მიძღვნილი თავისი წიგნის (1966) 134—139-ე გვერდებზე ტენდენციურად, უკიდურესი ცალმხრიობით აფასებდა მთელ ნაწარმოებს და მის მთავარ გმირსაც. იგი წერდა: „რომანი... არ შეიძლება ჩაითვალოს მაღალი თვისებებით შემკულ მხატვრულ ნაწარმოებად“... — „სახებანჯგვლიანი, ტყლიპისაგან „მუცელგამობერილი“, „ჩოხაჩამოგლეჯილი“, „ჩერებით შეფუნთულ ფეხებიანი“, „შებანდალებული ნაბიჯით“ მოსიარულე გვადი არასოდეს არ ყოფილა, არ არის და არც იქნება კოლექტიური შრომის დედა-ბოძი, მისაბაძი მშრომელი“ და ა. შ. შესაძლოა ამასვე განიმეორებდა იგი კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ ცენტრალურ ფიგურაზე მექი ეაშაკიძეზე, რომელსაც მოჯამაგირეობის მძიმე წლებმა დაუმახინჯეს ფიზიკური გარეგნობა და „დახუნდარას“ მეტსახელით სოფლის ბიჭების სასაცილოდაც კი გადააქციეს.

მაგრამ, მიუხედავად წარსულის ამ „გადმონაშთებისა“, მექის ტრაქტორისტად და გვადის მოწინავე ადამიანად აღზრდა-გარდაქმნა განა დაუჯერებელი და ყალბია იმ ეპოქასთან შეფარდებით, რომელშიც გვიჩვენებენ მათ კ. ლორთქიფანიძე და ლ. ქიაჩელი? განა კოლექტიური შრომის მთავარი პათოსი ასეთი ღარიბი, ძველი დროისაგან სულიერად და ფიზიკურად დამახინჯებული ადამიანების ადამიანებად ქცევისაკენ არ იყო მიმართული? განა გვადის უარყოფითი თვისებების ჩვენება მაშინდელი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების დამალვას ნიშნავდა? და განა ამ უარყოფითი თვისებების გამოსწორებისათვის ერთიანი ბრძოლა არ იყო 30-იანი წლების ეპოქის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი? ამიტომ არა მარტო „გვადის თავგადასავალი აინტერესებს თანამედროვე მკითხველს“, არამედ იმ ახალი სოციალური გარემოს „კარკასებიც“, რომლის შიდა ფენებში ხდებოდა ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმების „მოპირკეთება“, ახალი ადამიანების აღზრდა და ჩამოყალიბება.

ლი პროცესი, ეს ნიშნავს უჩვენო იმ გარემოს, სოციალური წრის, იმ სოციალური პირობების გარდაქმნის პროცესი, რომელშიც ცხოვრება უხდება თვით ამ ადამიანს.

გვადი ბიგვა გარკვეული სოციალური გარემოს პროდუქტია. მისი ფსიქოლოგიური გარდაქმნის პროცესი ფაქტიურად იწყება ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, იმ დროიდან, როცა ძირფესვიანად შეიცვალა სოციალურ-კლასობრივი საფუძვლები და შეიქმნა ახალი ერა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ახალი სოციალისტური საზოგადოების პირველი დღეებიდანვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი ღონისძიებანი სოფლად მიმართული იყო გლეხური, კერძომესაკუთრული, ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის გარდაქმნისაკენ. ამ გარდაქმნის ერთ-ერთ სწორ საფუძველს პარტია ხედავდა ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამაღლებაში. ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ქვეყანას გადასულიყო მეურნეობის სოციალისტურ სისტემაზე, განხორციელებულიყო სოფლად „უღრმესი რევოლუციური გადატრიალება“, რის საფუძველზედაც გადაიჭრა სოციალისტური მშენებლობის დიდი ამოცანები.

ლეო ქაიჩელი თავის ნაწარმოებში აგვისახავს საკოლმეურნეო მშენებლობის არა პირველ ეტაპს, არამედ იმ პერიოდს, როცა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა საფუძველზე (1933 წ.) ბრძოლა გაიშალა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, როცა კოლმეურნეობები იწმინდებოდნენ კულაკური ელემენტების, კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნაშთებისაგან და ამკარად იგრძნობოდა, თუ როგორ მიჰყავდა საკოლმეურნეო მშენებლობას გლეხობა ახალი ცხოვრებისაკენ.

ლეო ქიაჩელის ოსტატობა, როგორც სოციალისტური რეალიზმის მეთოდს დაუფლებული მწერლისა, იმაშია, რომ იგი სწორად გვიჩვენებს პირველ რიგში სოციალური გარემოს, ახალი საკოლმეურნეო სოფლის, ამ სოფლის ადამიანების შეცვლის ყველაზე დამახასიათებელ, ტიპიურ მომენტებს. განა გვადის თვალწინ არ შეიცვალა თავისი სახე სოფელმა ორკეთმა?! გვადი ბიგვას ცხოვრება და არსებობა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე სწორედ ამ ახალ

სამყაროში უხდება. ამის შედეგად მასში მძლავრი შინაგანი ჰიდილია ძველ, დახავსებულ ზნე-ჩვეულებებსა და ახალს შორის. იგი უსუსურია ახალთან ბრძოლაში. თანდათანობით გრძნობს, რომ მის გარშემო ყველაფერი იცვლება, ხელახლა იბადება, იზრდება, იფურჩქნება, ვითარდება, რომ მხოლოდ თვითონ დარჩა ისევ სახებანჯგვლიანი, გაცვეთილი ახალუხისა და ქალამნების ამარა, ცუღლუტი და მატყუარა. გვადი ხედავს, რომ სულ სხვა აზრებითა და გრძნობებით იზრდებიან პატარაობიდანვე მისი შვილები. პიონერი ბარდღუნია მტკიცე დისციპლინის, პატიოსნებისა და სიმართლის პრინციპებზე წრთვნის თავის პატარა ძმებს. გვადის ეს სინდისის ქენჯნას უღვიძებს, თავის საქციელს, წარსულს, საკუთარ ორეულს აძულებს.

„— არ გავიგონო, ბაბაია, თქვენი ჭურდობა და ტყუილის თქმა! არამც და არამც გულშიც კი არ უნდა გაივლოთ არც ერთი და არც მეორე. არასოდეს...“ — ასე არიგებს ქალაქიდან დაბრუნებული გვადი თავის შვილებს.

აქ უკვე მკაფიოდ იგრძნობა, თუ რა დიდი გარდატეხაა მომხდარი გვადის სულიერ ცხოვრებაში. ეს გარდაქმნა წინასწარვე განაპირობა სოციალისტური სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდამ. ორკეთის კოლმეურნეთა ოჯახები ელექტროშუქითაა გაჩირაღდნებული; სოფელს აქვს სკოლა, საბავშვო ბაღი. ბაგა. კლუბი, სამკითხველო; თავისთავისათვის მუშაობიდან ადამიანები გადასულან მუშაობაზე ყველასათვის; დანერგილია სოფლად შრომის ახალი, სოციალისტური ფორმები და მეთოდები, დამკვიდრებულია ყოფა-ცხოვრების ახალი ნორმები და ჩვეულებები, დამყარებულია მეგობრული დამოკიდებულება არა მარტო ცალკეულ მეზობლებსა. ინდივიდებსა. არამედ მთელ სოფლებს შორის; შრომა კოლმეურნეობაში გადაქცეულა სახელისა და დიდების საქმედ; გვადი ბიგვა გრძნობს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ გულისხმიერებას, ადამიანურ, სათუთ, გულთბილ დამოკიდებულებას: გერა ფრთხილი და გამოზომილი ტაქტით ადევნებს თვალს გვადის ყოველ ნაბიჯს, თანდათან იახლოებს, იზიდავს მას საკოლმეურნეო ცხოვრების ცენტრისკენ. ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს გვადის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაზე, აღვივებს მასში იმ დადებით ადამიანურ თვისებებს, რომლებიც ადრიდანვე გამოყოლია მას ძველი დროის სიმახინჯესთან ერთად. ის უსაზღვროდ მოყვარულია თავისი შვილების, იჩენს მათდამი მამობრივ მზრუნველობას, ამავე

დროს გვადის ძლიერ უყვარს თავის გამოჩენა ხალხში. გერას, მთელი საკოლმეურნეო მასის ზეგავლენით თანდათან ძლიერდება გვადის სულიერ ცხოვრებაში ეს დადებითი თვისებები, მასში თანდათან მზდდება ნიადაგი დიდი სულიერი მეტამორფოზისათვის.

და, აი, საკმარისი იყო ხალხმრავალ მიტინგზე გერას დაესახელებინა გვადი ბიგვა, დაეყენებინა იგი მოწინავე კოლმეურნეთა გვერდით, რომ ერთბაშად, რევოლუციური ნახტომის მსგავსად, გვადის ეგრძნო დიდი შინაგანი სულიერი აღფრთოვანება, ეცნო თავისი თავი ახალი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ წევრად და ამაღლებულიყო მოწინავე, წარჩინებული, სახელოვანი საბჭოთა ადამიანების შეგნების დონემდე.

და ჩვენ ნაწარმოებში ვხედავთ რა ამაყი, მხნე, თავისი ძალების რწმენის მქონე, დაჯერებული ნაბიჯებით ბრუნდება გვადი ბიგვა ხალხმრავალი კრებიდან, რომლისკენაც ცუნცულით, მალვით მიიპარებოდა რამდენიმე საათის წინ! რა მამაცურად, სახელოვნად აპობს წასწრებულ დანაშაულზე არჩილ ფორიას გულმკერდს, კლავს მოღალატეს, რომლის საეჭვო განზრახვათა „მორევში“ ასე ღრმად იყო ჩაფლული დიდი ხნის მანძილზე! სილაჩრიდან — ვაჟკაცობამდე, ჯარგვალიდან — ოდამდე, — ასეთია გვადი ბიგვას ცხოვრების უკანასკნელი გზა, ერთადერთი სწორი გზა, რომელზედაც მტკიცედ დააყენა ის ომამდელი დროის სოციალისტურმა გარემომ, ახალმა საკოლმეურნეო სოფელმა, ამ სოფლის ახალ ადამიანთა კოლექტივმა.

ამრიგად, კრებაზე კომისიის წევრად არჩევის მომენტმა მხოლოდ დააჩქარა დროთა განმავლობაში, საკოლმეურნეო სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწრაფი ზრდის შედეგად, გვადის სულიერ ცხოვრებაში თანდათანობით მომხდარ ცვლილებათა გამოვლენა, დასაწყისი მისცა გვადის პირადი ცხოვრების ახალ ეტაპს, რომლის პირობები მზადდებოდა ადრიდანვე, სოფლად მომხდარი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცვლილებების პირველი დღეებიდანვე, მოვლენათა ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა სრული შესაბამისობით. ამ ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა სწორად და ოსტატურად ჩვენებაშია მწერლის გამარჯვება.

ასეთივე თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ გოჩა სალანდიას ხასიათის გახსნასაც. არასწორი იქნებოდა გოჩას შემობრუნება კოლმეურნეობისაკენ აგვეხსნა მხოლოდ იმ პირადული მოტივის ჩაშლით,

რაც ასე აკავშირებდა გოჩას არჩილ ფორიასთან, როგორც სასიძოსთან.

ასეთი განმარტება ცალმხრივი და არასწორი იქნებოდა. ვთქვათ, არ შეემჩნია გოჩას არჩილის გაიძვერობა, სანამდე გასტანდა მისი „ჯიდილი“ კოლმეურნეობასთან, სანამ იდგომებოდა იგი განზე? ისტორიულად აუცილებელი იყო გოჩას ჯიუტი, კერძომესაკუთრული ინსტინქტების დამსხვრევა, საზოგადოებრივის გამარჯვება პიროვნულზე, თუ ამ შემთხვევითმა, პიროვნულმა, პირადულმა გრძნობებმა გადაწყვიტეს კოლმეურნეობასთან საშუალო გლეხის შერიგების ბედი? ასეთია საკითხის მეორე მხარე. ნაწარმოებში დიდი ხელოვანის მახვილი თვალით არის განჭვრეტილი ეს მოვლენაც.

გოჩას ხასიათის გაგება შეუძლებელია, თუ არ ვიცნობთ საშუალო გლეხის მერყევი ბუნების შესახებ თანმიმდევრულ სწორ მოძღვრებას და საკოლმეურნეო მშენებლობის ადრეულ პერიოდში საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში პარტიის პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებს.

ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, საშუალო გლეხობასთან შეთანხმების გზით პარტიამ მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების საფუძველზე განახორციელა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა. მაგრამ კოლმეურნეობებში კულაკური აგენტების ნაშთები საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ პერიოდში ჯერ კიდევ განაგრძობდნენ არსებობას. ისინი დასაყრდენს სწორედ საშუალო გლეხობაში პოულობდნენ. საშუალო გლეხობას, რომელიც ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის საფუძველზე კოლმეურნეობებში შედიოდა როგორც მშრომელი, როგორც მესაკუთრეს, ჯერ კიდევ დარჩენილი ჰქონდა კერძომესაკუთრული ინსტინქტები. საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე მათთან ურთიერთობაში, დაჯერებისა და დარწმუნების მეთოდის სწორად და თანმიმდევრულად გამოყენება, რათა საბოლოოდ გადმოგვებირებინა საშუალო გლეხობა სოციალისტური ეკონომიკის მხარეზე.

ლეო ქიაჩელის ნაწარმოებში გოჩა სალანდია სწორედ გლეხთა ამ ფენის ტიპიური წარმომადგენელია. მწერალმა შეძლო რელიეფურად გამოეხატა საშუალო გლეხის სახე. გოჩა, როგორც მშრომელი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულია; ის ზოსიმეს ბრიგადასთან პირველი და გადამწყვეტი შეჯახებისას ყველაზე უფრო თავს დამცირებულად იმით გრძნობს, რომ ვიღაცამ წამოიძახა: „მართალი

რომ თქვას კაცმა. გოჩას ცოტა კუდი აქვს გაბარებული კულაკებშიო“. ეს მისთვის უფრო აუტანელი შეიქნა, ვიდრე მის დაუკითხავად კამეჩის შებმა უღელში. მაგრამ, მეორე მხრივ, გოჩა ვერ შერიგებია ძვალ-რბილში ათეული წლების მანძილზე მტკიცედ გამჯდარი კერძომესაკუთრული ჩვეულებების მოსპობას, უქნარა და არაფრის მქონე გვადისთან გათანაბრებას, „შვილებივით ნაზარდი უღელი ხარის“ კოლმეურნეობაში შეყვანას. იგი თავის უკმაყოფილებას იმით ამჟღავნებს, რომ განზე დგას საკოლმეურნეო ცხოვრებიდან, სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას, საკუთარი ოდის აშენებასაა გადაყოლილი. არჩილ ფორია მოხერხებულად იყენებს გოჩას ჯიუტ და თავისებურ ხასიათს თავისი ბნელი მიზნებისათვის. ის ცდილობს ძირი გამოუთხაროს კოლმეურნეობას, შიგნიდან შეარყიოს მისი საძირკვლები, ათასნაირ მოგონილ ხმებს ავრცელებს, ყურში აწვეთებს გოჩას, აქეზებს და კოლმეურნეობის წინააღმდეგ ამხედრებს მას.

გოჩასთან არჩილის ურთიერთობაში ნათლად იგრძნობა ის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ კლასობრივი მტრის აგენტები კოლმეურნეობებში პირველ წლებში. ამასთან ნაწარმოებიდან მკითხველს ბუნებრივად გამოაქვს დასკვნა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია ინდივიდის, პიროვნების ყოფნა საზოგადოების, კოლექტივის, მასების გარეშე, რომ სწორედ ამის შედეგია ის სასტიკი მარცხი, რომელიც განიცადა გოჩამ ზოსიმეს ბრიგადასთან პირველსავე შეჯახებაში, საკოლმეურნეო მასასთან პირველსავე ჭიდილში.

—„ვის ეჯიბრები, ყაზახო,ა? ვის მეთქი! კარგად გამოიხედე თვალებში... კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩაო, ხომ გაგიგონია, კოლექტივი ვართ, კოლექტივი, გაიგე“[1].—ასეთია ონისეს გადაჭრილი და მტკიცე პასუხი გაგულისებულ გოჩასადმი. რაღაც ურღვევი კედელივითაა აღმართული მთელი ბრიგადა, მთელი კოლმეურნეობა გოჩას წინაშე. ბრაზმორეული გოჩა „ჰკუაზე შერყეულივით ხან აქ მივარდებოდა მის წინ გალავანივით ამართულ ხალხის უძრავ კედელს, ხან იქ, — აგვიწერს მწერალი გოჩას განცდებს, — მაგრამ ასხლეტილივით ყოველთვის უმალვე უკან იხევდა“[2]. აქ მთელი თავისი

[1] ლეო ქიაჩელი, თხზულებანი, ტ. III, 1950, გვ. 79.

[2] იქვე, გვ. 81.

სისავსით იგრძნობა კოლექტივიზმის, ერთიანი სულისკვეთებით შეერთებული ხალხის ძალა და სიდიადე.

გამწვავებულ სიტუაციაში გერას გამოჩენა, მისი წინდახედული, დინჯი მოქმედება ამ დაძაბულ ვითარებაში, მის მიერ გოჩას გაღიზიანებაში კლასობრივი მტრის ხელის გამოცნობა და სათანადო ზომების მიღება მასთან ურთიერთობის აღსადგენად, წარმოადგენს საშუალო გლეხობის მიმართ პარტიის პოლიტიკის გატარების საუცხოო მხატვრულ ილუსტრაციას. გერას და გიორგის სახით ნაწარმოებში განსახიერებულია პარტიის ორგანიზატორული, მამობილიზებელი როლი საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამაშია პარტიული კრების გადაწყვეტილების აზრი და მნიშვნელობა. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევა, დაჯერებისა და დარწმუნების მეთოდი — ასეთი იყო პარტიის პოლიტიკა საშუალო გლეხობის მიმართ. ამ პოლიტიკის განუხრელად და თანმიმდევრულად განხორციელებამ უზრუნველყო საშუალო გლეხობის მრავალმილიონიანი მასების შემობრუნება კოლმეურნეობისაკენ. ამ პოლიტიკამ გადაწყვიტა გოჩა სალანდიას კერძომესაკუთრული ინსტინქტების დაძლევის ბედიც.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ გოჩა სალანდიას ჩადგომა მოწინავე კოლმეურნეთა გვერდით (სანარიელებთან შეხვედრისას) ისტორიულად პირობადებული და განსაზღვრული იყო თვით სოციალისტური სისტემის ბუნებით, საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების მზარდი ტენდენციებით.

„ტარიელ გოლუასა“ და „ჰაკი აძბას“ შემდეგ ქიაჩელის შემოქმედებაში „გვადი ბიგვა“ პირველი ნაწარმოებია, რომელიც განსაკუთრებული კომპოზიციური სიმკვრივით ხასიათდება. „გვადი ბიგვაში“ კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის მოქმედებისა და დიალოგის სიცხოველე, სიუჟეტის დინამიკურობა, მსუბუქი იუმორი და სხვა მხატვრული ატრიბუტები.

სად იკვრება მთავარი სიუჟეტური კვანძი „გვადი ბიგვაში“?

იქ, სადაც გვადი პირველად ხვდება ბაზრისკენ ცხენით მიმავალ არჩილ ფორიას და საიდუმლო დავალებას ღებულობს მისგან (მე-4 თავი). წინა სამი თავი ნაწარმოების ექსპოზიციური ნაწილია, რომელშიც თანდათან მზადდება ნიადაგი დრამატული კვანძის შესაკვრელად. ამ მომენტამდე გვადი თითქოს ემალება, გაურბის სოფლის სწორ და პირდაპირ გზაზე სიარულს. მაგრამ, აი, ფორიასთან

წუთიერი შეხვედრა სულ სხვა განწყობილებაზე აყენებს მას. ადამიანი თითქოს ერთბაშად გამოიცვალა.

„...ახლავე სულ სირბილით იარე, იცოდე. თორემ ვაი შენს დღეს. საქმეა გესმის? შენს ამბავსაც იქ გეტყვი... გაგახარებ". არჩილის ამ სიტყვებით სახეგაბრწყინებული გვადი უფრო წელგამართულად. თამამად მიიმართება ბაზრისაკენ. რა საერთო აქვს ღარიბ-ღატაკ გვადის ნააზნაურალ ფორიასთან? რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან? რით უნდა გაახაროს გვადი ფორიამ? ასეთია კითხვები, რომლებიც გვებადება ჩვენ ამ ორი პერსონაჟის ურთიერთშეხვედრის ეპიზოდის გაცნობისას.

და მართლაც. ამის შემდეგ ირკვევა გვადის ბნელი კავშირი კოლმეურნეობაში შეპარული მტრის — არჩილ ფორიას ანტისაზოგადოებრივ საქმეებთან. აქედან იწყება მოქმედებათა და მოვლენათა წინააღმდეგობრივი განვითარება, რომელიც თავის მაღალ, კულმინაციურ წერტილს აღწევს იმ მომენტში, როცა მარიამისაგან დაბრუნებული გვადი გადაჭრით უარყოფს ფორიას ახალ მავნებლურ წინადადებას და საბოლოო კავშირს წყვეტს მასთან.

ლეო ქიაჩელის მდიდარი და დაუშრეტელი ლექსიკა, თხრობის სისადავე და სტილის ლაპიდარობა, ქართული ენის კანონების ცოდნა და მისდამი ფაქიზი და მაღალგემოვნებითი დამოკიდებულება განსაკუთრებული სიცხადით მოჩანს „გვადი ბიგვაში". ეს ნაწარმოები ჩვენ გვიზიდავს არა მარტო თავისი ღრმა იდეური შინაარსით, არამედ მაღალმხატვრული ფორმითაც, რომლის საშუალებით გვიადვილდება მასში გამოსახულ მოვლენათა მკაფიოდ წარმოდგენა. ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მწერლის დახვეწილი ლიტერატურული ენა, რომელიც სხვადასხვა პერსონაჟის მეტყველებაში კი არ კარგავს თავის ესთეტიკურ მშვენიერებას, არამედ უფრო მთლიანი და მონოლითური ხდება.

აქედანაა სწორედ ის ლაკონიზმი, აზრებისა და სახეების ის ერთიანობა და ბუნებრიობა, რაც ასე დამახასიათებელია ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი სტილისთვის საერთოდ.

სწორედ ასეთი იდეურ-მხატვრული, ჰუმანისტური და ოპტიმისტური სიდიადის გამო მიენიჭა „გვადი ბიგვას" ავტორს 1940 წელს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

სამამულო ომის ეპოქა

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი გამოცდა იყო. ამ ომმა გამოავლინა გმირი საბჭოთა ხალხის დაუშრეტელი ძალა და ენერგია, ნებისყოფა და ფოლადისებური ერთიანობა, ხალხთა დიადი მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობის უძლეველობა და სიდიადე. მთელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა სამამულო ომის პერიოდში სამშობლოს დაცვის სამსახურში ჩადგა. კომუნისტური პარტიის მოწოდებისამებრ საბჭოთა ხალხთან ერთად ხიშტითა და კალმით იბრძოდა საბჭოთა მწერლობა. საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებები, შექმნილი სამამულო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში, წარმტაც მხატვრულ ფერებში გამოსახავენ ისტორიაში უმაგალითო გმირობას, რომელსაც იჩენდნენ საბჭოთა ადამიანები ფრონტზე და ზურგში მტერზე გამარჯვებისათვის.

ამ პერიოდში ლეო ქიაჩელი, სხვა მოწინავე საბჭოთა მწერლების მსგავსად, ქმნის მთელ რიგ მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა დიადი მეგობრობის თემა განსაკუთრებული სიმძაფრით არის წამოწეული წინა პლანზე. 1941 წელს, სამამულო ომის გაჩაღების პირველ ხანებშივე, ლეო ქიაჩელის მიერ დაწერილი ნოველა „მამა და შვილი“ ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია საბჭოთა პატრიოტიზმის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. იგი ერთგვარი პრელუდიაა იმ დიდი ეპოპეისა, რომელიც გამოსახულია ამავე თემაზე შემდგომ დაწერილ სქელტანიან ნაწარმოებში „მთისკაცი“, ხოლო ამათ შუალედში 1943 წელს დაიწერა მოთხრობა „და-ძმა“.

მიუხედავად იმისა, რომ ნოველის შემზღუდველი ჩარჩო მწერალს გასაქანს არ აძლევს სრულად წარმოგვიდგინოს საბჭოთა მეომრის ჯეგეს თავგანწირული გმირობა ფრონტზე, მკითხველს მაინც დიდი შთაბეჭდილება რჩება თვით ჯეგეზე და მის ვაჟკაცურ ხასიათზე, მის გმირულ სულსა და თავდადებულ ბრძოლაზე. ჩვენს ცნობიერებაში წამოიმართება ჯეგეს მამის — ბათაყვას გოლიათური პიროვნება, მის წარმოსადეგ გარეგნულ შესახედაობასთან ერთად მი-

!ი შინაგანი სულიერი სიდიადე, რითაც იგი უკიდურესი განსაცღელის დროსაც ინარჩუნებს წონასწორობას.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირულ-ჰეროიკული ბრძოლის თემისადმია მიძღვნილი ლეო ქიაჩელის ომისშემდგომი პერიოდის ვრცელი რომანი „მთისკაცი“, რომელიც ცალკე წიგნად პირველად 1948 წელს გამოქვეყნდა. იგი ასახავს კავკასიის გმირული დაცვის ეპოპეას და გვიჩვენებს ხალხთა დიადი მეგობრობის ურღვევ ძალას, რომელმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვებაში. ამ ნაწარმოებში დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილი კომუნისტი კირილე გორაკოვი, ძველი პარტიზანელი, საბჭოთა სამშობლოსადმი-ერთგულების და სიმამაცის დაუვიწყარ მაგალითს აძლევს მაცი ზურუბაიას, ბათუ ქარდუას, მანუჩას და სხვ., რაზმავს სოფლის კოლმეურნე გლეხობას ვერაგი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. კომკავშირელი ლია გარსია თავისი უფროსი დების ზოია კოსმოდემიანსკაიას, ჩაიკინას და სხვათა მიბაძვით სიცოცხლეს სწირავს დედა-სამშობლოს. მოწინავე საბჭოთა ადამიანების ყველა ეს სახე ლეო ქიაჩელს შექმნილი აქვს დიდი რეალისტური ფერებით. ისინი დიდი ხანია შევიდნენ საუკეთესო ლიტერატურულ გმირთა გალერეაში. როგორც დაუვიწყარნი და ახალი საგმირო საქმეების შთამაგონებელნი.

მაგრამ „მთისკაცის“ მთავარი გმირის ბათუ ქარდუას სახეს მაინც არ ემჩნევა ის ცხოველმყოფელობა, შინაგანი მთლიანობა და დამაჯერებლობა, რაც ტარიელ გოლუას, ჰაკი აძბას და გვადი ბიგვას ახასიათებს. ის მდიდარი შემოქმედებითი გზა, რომელიც მწერალმა ტარიელ გოლუადან ბათუ ქარდუას სახის შექმნამდე განვლო, ძალაუნებურად გვაიძულებს უფრო მეტი მოთხოვნა წავუყენოთ მას, დავინახოთ ბათუ ქარდუაში მისი მხატვრული შესაძლებლობის მაქსიმალური გამოვლინება. სინამდვილეში თავისი შემოქმედებითი ენერგიის მაქსიმალური დახარჯვის მიუხედავად, ნაწარმოები მაინც შედარებით რაღაც დამძიმებული, ცივი, რაღაც შინაგან სითბოს მოკლებული აღმოჩნდა. ამას შესანიშნავად გრძნობდა თვით მწერალიც.

მაგრამ რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს ქიაჩელის ამ რომანს, მან მაინც, როგორც სამართლიანად შენიშნავს აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, „პირველი დიდი მხატვრული სიტყვა თქვა ჩვენს ლიტერატურაში კავკასიის დაცვის თემაზე და ამიტომ ეს ნაწარმოები ყო-

ველთვის მიმზიდველი იქნება, როგორც სანატრელი ადგილის პირველი ხილვა დაუვიწყარია ხოლმე ადამიანისათვის"[1].

შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი მხარე

თუ დაკვირვებით გადავხედავთ მწერლის მთელ ლიტერატურულ-შემოქმედებით გზას, დავინახავთ, რომ მიუხედავად ზოგიერთი იდეურ-ლიტერატურული გადახვევისა, იგი ყოველთვის იდგა ეპოქის მთავარ მოთხოვნათა მოწოდების სიმაღლეზე. ასეთებია მისი „ტარიელ გოლუა", „სისხლი", „ჰაკი აძბა", „გვადი ბიგვა", „მთისკაცი". დიდი სოციალური ეპოქების (1905-1907 წლები, საოქალაქო პერიოდი, საკოლმეურნეო ცხოვრება, სამამულო ომი) გამომხატველ ამ ნაწარმოებებში ლეო ქიაჩელის მხატვრული ინდივიდუალობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია: განცდათა სიწრფელე და სიღრმე, დეტალების სიზუსტე და სიცხადე, სახეთა სურათოვნება და მიმზიდველობა, ფრაზების მოკვეთილობა და ლაკონიზმი, ტიპებისა და ხასიათების მძაფრი ფსიქოლოგიური დრამატიზმი და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი განვითარების კანონზომიერება. მხატვრული, ენობრივი სამკაულის სისადავე და უბრალოება, სინამდვილის გამოსახვაში დიდი დამაჯერებლობა, იდეურობა და ბუნებრიობა.

სწორედ ეს შინაგანი და გარეგნული „სამკაულები" ჰქონდა მხედველობაში თავის დღემდე გამოუქვეყნებელ „ქალმის ნაცელქარში" სოფრომ მგალობლიშვილს, როცა წერდა: „სხვისა არ ვიცით, მე კი. ბერიკაცს, ლეო ქიაჩელის ნაწერი — მოთხრობა თუ ნოველა, ქვესკნელიდან ზესკნელზე ამაგდებს ხოლმე, გაყინულს. სიბერისაგან შემდგარ სისხლს ამიჩუხჩუხებს. ზე აღმაფრენს. ასეთი ლამაზი, სურნელოვანი სიტყვა, გუნდრუკსავით საამო არსად არ შემხვედრია, როგორც ლეოს ნოველებში... ერთი სიტყვით, მეფეა სიტყვისა... იგი პროზის ბატონია[2]".

---

[1] გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III. 1959, გვ. 259

[2] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 15707, ფურც. 4.

ცხოვრებისეული მასალა მხოლოდ მაშინ იძენს მხატვრულ-ესთეტიკურ მნიშვნელობას, როცა იგი მწერლის შემოქმედებითს პროცესში გარდაიქმნება და მისი სათანადო იდეურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამომხატველად იქცევა. მწერალი, აგვისახავს რა ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ ამა თუ იმ გმირის სულიერ მდგომარეობას, პირველ რიგში თვითონ განიცდის ყოველივე ამას, შემდეგ გადააქვს რა იგი მხატვრულ ტილოზე, ამით ჩვენც, მკითხველებსაც, გვაღელვებს, გვაინტერესებს, გვაფიქრებს, გვახედებს მათ სულიერ სამყაროში. საერთოდ დიდი და ძლიერი შემოქმედება არ არსებობს დიდი და ძლიერი განცდების გარეშე. ეს შემოქმედებითი ფსიქოლოგიის კანონზომიერებაა.

ლეო ქიაჩელი მწერალთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც, როგორც ცხოვრების დამკვირვებლებს, არასოდეს ერთი სტრიქონიც არ დაუწერიათ მოვლენათა საკუთარი განცდის, საკუთარი ხილვის გარეშე. ცხოვრებაში საკუთრივ ნანახი და განცდილი, — აი ის, რაც საფუძვლად უდევს მისი რეალიზმის ესთეტიკას საერთოდ. ზოგჯერ ეს ნანახი და განცდილი ესკიზივით, უმნიშვნელო წერტილივით მოჩანს მის შემოქმედებაში. მაგრამ ის, რაც ერთ შემთხვევაში მწერალს უთქმელი რჩება, გაშლილი და გაფართოებული სახით წარმოგვიდგება სხვა ნაწარმოებში: იგი არ ივიწყებს მას, თან ატარებს, როგორც ძვირფას საუნჯეს და თითქოს ეძებს მოხერხებულ მომენტს თავის სულსა და გულში ხანგრძლივი ფიქრის შედეგად დაგუბებული გრძნობების, აზრების, სახეების გამოსახატავად.

ამით აიხსნება, რომ ერთი სახე, საგანი, მოქმედი პირის სახელი და გარეგნობაც კი სხვადასხვა ვარიაციით, სხვადასხვა მიმართებითა და მიმზიდველობით გაიელვებს ხოლმე მის სხვადასხვა ნაწარმოებში. მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში.

როგორც მწერლის და მის თანამედროვეთა ზემომოტანილ მოგონებებიდან დავინახეთ, მწერალს მშობლიურმა გარემომ დიდი შთაგონება მისცა. ბავშვობისა და ყრმობის წლები მთელი თავისი მრავალფეროვნებით გაცოცხლდნენ შემდგომ, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, მის ცნობიერებაში. თანასოფლელი მუნჯის სახე დიდ ხანს გამხდარა მწერლისათვის ერთგვარი ლიტერატურული შთაგონების წყაროდ. შემოქმედების ადრინდელ პერიოდში, როცა იგი მოსკოვში ყოფნისას სიმბოლისტთა ლიტერატურულ წრეში მოხვდა,

ნამდვილად არსებული მუნჯი ძიკი იქცა სიმბოლისტურ-დეკადენტური სახის — ძოკოს („სტეფანეში“, 1910 წ.) პროტოტიპად და ნაწარმოებმა დაკარგა თავისი საზოგადოებრივი ღირებულება. 3-4 წლის შემდეგ, დეკადენტიზმთან შინაგანი ბრძოლის პერიოდში, იგივე ძიკი იქცა დიდი სოციალური მოვლენისა და საზოგადოებრივი იდეების გამოსახვის პირველ ხელშემწყობ წყაროდ და ნაწარმოებში ბაჩუას დაუვიწყარ, შესაბრალის და საყვარელ სახედ წარმოგვიდგა. შესანიშნავად ამბობს მწერალი: ბაჩუას თემაზე ფიქრმა ტარიელ გოლუას სახეს მიმაგნებინაო.

მწერლის მშობლიური სოფლის — ობუჯის ერთ-ერთ უბანში (სამესხიოში) მართლაც იდგა სამი დიდი ცაცხვი, რომლის კალთებქვეშ, ტყით დაფარულ მიდამოში, 1905-იან წლებში ნამდვილად ტარდებოდა ერთობის რაზმების პირველი კრებები მოწინავე რევოლუციონერი გლეხების ხელმძღვანელობით. ისტორიული „ნოჯიხურის“ ნანგრევი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესაც გადმოყურებს მაღლიდან მთელ სოფელს. მწერალი ახლოს იცნობდა ყოველივე ამას, რაც ასე მშვენივრად გამოისახა შემდგომ მის ნაწარმოებებში.

აქედან ჩანს, რომ მწერალი თავის მშობლიურ, ნაცნობ ადგილებს, სოფლიდან გამოყოლილ შთაბეჭდილებებს წარმოსახვათა და ასოციაციათა გზით ოსტატურად იყენებდა, როგორც უშრეტ წყაროს, შემოქმედებით პროცესში ცოცხალი მხატვრული სახეების შესაქმნელად, საქართველოს ლამაზი ლანშაფტების თუ წარმოსადეგი ქართველი გლეხების გარეგნული იერის დასახატად.

მართლაცდა, რაოდენი მსგავსება იგრძნობა, ერთი მხრივ, ტარიელ გოლუასა და გოჩა სალანდიას გარეგნობასა და, მეორე მხრივ, ტარიელისა და ბათუ ქარდუას მტკიცე და ამაღელვებელ ხასიათებს შორის. ბათუ ქარდუა სოუში გადმოსახლებულია სწორედ იმ ლაკადიდან, სადაც ტარიელის წინაპრები უტუ მიქავას მეთაურობით შიშის ზარს სცემდნენ სამეგრელოს თავადებს, სადაც 1905 წელს თვით ტარიელის ხელმძღვანელობით გლეხობა გაბედულად დგებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. „გვადი ბიგვაში“ წარმოდგენილი სოფლების — სანარიისა და ორკეთის მიდამოების აღწერა ძალიან მოგვაგონებს ზუგდიდისა და მისი ახლომდებარე სოფლების ადგილმდებარეობას, სადაც მწერალს თავისი ყრმობისა და ახალგაზრდობის წლები გაუტარებია.

როგორც გოჩა სალანდია, ისე ბათუ ქარდუა ჩვენ გვესახება ახალ ვითარებაში შექმნილ ლიტერატურულ ტიპებად, რომელთაც შთაგონების ერთი გარკვეული წყარო აქვთ. ტარიელ გოლუას შთამომავალს, მის მემკვიდრეს არ შეიძლებოდა ისე არ შეეწირა სიცოცხლე ბრძოლით მოპოვებული თავისუფლებისათვის, როგორც ეს ბათუ ქარდუამ ჩაიდინა დიდ სამამულო ომში. რაც შეეხება გოჩას კერძომესაკუთრული ინსტინქტების შინაგან ჰიდილს და მის პირველ შეხლა-შემოხლას საკოლმეურნეო წყობილების ინტერესებთან, ამას აქვს თავისი გამართლება საშუალო გლეხის ფსიქოლოგიის ლენინურ დახასიათებაში. გოჩა შინაგანად წინააღმდეგი როდია სოფლად ახალი საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებისა, იგი მხოლოდ დროებით იმყოფება კერძო ინსტინქტებისა და კლასობრივი მტრის არჩილ ფორიას ტყვეობაში და თვითონვე მალე უერთდება ახალ სოციალისტურ გზას. ჩვენს ქვეყანაში მომხდარი იდეური და სოციალური გარდაქმნების დიდ პროცესს გოჩა ბუნებრივად უნდა აემაღლებინა ბათუ ქარდუას შეგნების დონემდე. ასე ვღებულობთ ჩვენ ლეო ქიაჩელის შემოქმედებით სამყაროში მხატვრული სახეების თანდათანობით, ევოლუციურ განვითარებას.

ნოველაში „წუთისოფელი" პირველად ვეცნობით ახალგაზრდა გლეხ ანდროს, რომელსაც ქალაქში უხდება ცხოვრება. მაგრამ ნოველის ჩარჩო იმდენად ვიწროა და შეზღუდული, რომ ანდროს სახე ფაქტიურად არც ჩანს ნაწარმოებში, იგი მხოლოდ ესკიზია სახის, მაგრამ ამ ესკიზიდან შედარებით ძლიერი სახე გამოკვეთა მწერალმა შემდგომ ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხის ანდრო ქარივაძის სახით რომანში „სისხლი". პირველი დაწერილია 1913 წელს, მეორე 1926 წელს. ამ ხნის მანძილზე მწერლის მეხსიერებიდან არ ამოვარდნილა არც სახელი ანდრო და არც მისი პროტოტიპის ცხოვრებასთან დაკავშირებული რეალისტური მომენტები.

„მამა და შვილის" მთავარი პერსონაჟი ბათაყვა, 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, წარმოსადეგი გლეხია. ასეთ გლეხებს, როგორც მწერალი აღნიშნავს, ბევრს იცნობდა პირადად, ურთიერთობა და კავშირი ჰქონდა მათთან. და აი, 1905-იან წლებში ნახული და განცდილი, ერთი მხრივ, „ტარიელ გოლუაში" გადმოიშალა და, მეორე მხრივ, „სისხლში" და ნოველებში: „წინამორბედნი", „მოქცევა" და „მამა და შვილი". ახლო ნათესაური კავშირია, ერთი მხრივ, ბათაყვასა და ბათუ ქარდუას გარეგნობასა

და, მეორე მხრივ, ზალიკასა და გაიოზ გადალენდიას ბოროტ ხასიათებს შორის. „ტარიელ გოლუაში“ გაიოზის მიერ ლევანის მკვლელობის სცენა ძლიერ გვაგონებს „მამა და შვილში“ ზალიკასა და ბათაევას შორეულ მთაში ერთად მგზავრობის სცენას. ხოლო ორივე ამ მხატვრულ სურათს საფუძვლად უდევს ბუნების რეალისტური პროტოტიპი — სოფლების ობუჯისა და ჯაღრას ადგილმდებარეობა, რასაც ის სხვადასხვა ვარიაციით სხვადასხვა ნაწარმოებში ასე მოხდენილად და დიდი ოსტატობით იყენებს. ბაადური „ჯიუტიდან“ ესკიზური ლიტერატურული პროტოტიპია გამოკვეთილი მხატვრული სახის გოჩა სალანდიასი და ა. შ. ასეთი ხერხი ლეო ქიაჩელის მხატვრული ინდივიდუალობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

მეორე მხრივ, მისი შემოქმედებითი მუშაობისათვის დამახასიათებელი იყო სიდინჯე და სიძუნწე, რაც დაეტყო მის საერთო ნაყოფიერებასაც. ამ მოვლენის ახსნას თვით მწერალი იძლევა. „წერით მე ძალიან ცოტას ვწერ, — უმხელს თავის „საიდუმლოებას“ ლევან ასათიანს, — ეს იმიტომ, რომ თვითონ წერის პროცესს დიდხანს ვუნდები. მაგალითად, „ჰაკი აძბას“, ამ პატარა მოთხრობას, მთელი ერთი წლის განმავლობაში ვწერდი. ასეთი ჩვეულება მაქვს: სანამ ყოველმხრივ სრულყოფილად არ მივიჩნევ იმას, რაც უკვე დავწერე, მანამდე წინ არ მივდივარ. დავწერ ერთ გვერდს, მერე შესწორებები შემაქვს. მერე იმ გვერდს ისევ გადავწერ, ისევ ვასწორებ, შემდეგ ისევ გადავწერ იმავეს და ასე და ამგვარად, ხშირად ერთსა და იმავე გვერდს ათჯერ ვაკეთებ. ამიტომ ვწერ ასე ნელა და ენერგიაც ბევრი მეხარჯება.“[1]

ბავშვების საყვარელი მწერალი

ლეო ქიაჩელის სახელი არანაკლები სიდიადით ამშვენებს ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელთა რიგებს. იგი ამ ლიტერატურის წარმოშობის სათავეებთან დგას ნინო ნაკაშიძესთან, შიო მღვიმელთან, გიორგი ქუჩიშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან და სხვებთან ერთად. ლეო ქიაჩელი თავის საბავშვო მხატვრულ შემოქმედებაში არათუ იცავს საბავშვო ნაწარ-

[1] ლ ე ვ ა ნ ა ს ა თ ი ა ნ ი, უბის წიგნაკიდან, „ცისკარი“, 1966, № 6, გვ. 117.

მოების შექმნის შესახებ ბესარიონ ბელიწსკის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაყობ გოგებაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს, არამედ თავისი მრავალფეროვანი და მდიდარი მხატვრული პროდუქციით ფართო საშუალებას იძლევა ამ პრინციპების შემდგომი გაშლა-გაღრმავებისათვის.

ქიაჩელის საბავშვო ნაწარმოებებიდან პირველ რიგში ჩვენ ვგრძნობთ მწერლის უსაზღვრო სიყვარულს ბავშვებისადმი, მოზარდი თაობისადმი. იგი დახელოვნებული პედაგოგის მსგავსად ღრმად იყო ჩახედული მოზარდის უსათუთეს და ურთულეს სულიერ სამყაროში, კარგად იცნობდა ბავშვთა ასაკობრივ და ფსიქიკურ თავისებურებებს, მათ ინტერესებსა და მისწრაფებებს, მათი განცდებისა და მოთხოვნების მრავალმხრიობას.

ამიტომაც არის, რომ ქიაჩელის საბავშვო შემოქმედება თემატურად მრავალფეროვანია. იგი მიძღვნილია მოზარდი თაობის სხვადასხვა ასაკისადმი. ასე, მაგალითად, ქიაჩელი ავტორია ოცამდე შედარებით დიდი თუ მცირე მოცულობის საბავშვო ნაწარმოებისა, რომელთა შორის „პატარა ბიძინა და დიდი ქუჩა“, „იოთამის ფრთები,“ „დიტოს ჯარისკაცი“, „ზღვა, მზე და ოთარიკო“, „თიხის მონადირე“, „გაზაფხული საბავშვო ბაღში“ — სკოლამდელი ასაკისათვისაა განკუთვნილი; „ნათელა-ოთხი“, „პატარა ნუცას თვითმფრინავი“, „ფაცურა და გიშერა“, „ძაღლი და კატა“, „პატარა ვანო და დიდი ქალაქი“, „მეგობრები“, „ჭინკა ბიჭი“, „არსენა“, „ბაჭია და მელა“, „გულწითელა და მიმინო“, „ნატვრისთვალი“, „არსენას სიხარული“ — უმცროსი და საშუალო ასაკისათვის, ხოლო „ერთი თავგადასავალი“, „ხეთიანის საიდუმლოება“ და „დათუჩა“ — უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

ყველა ამ ნაწარმოებს ძირითადად საფუძვლად უდევს გარკვეული დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი პრინციპი. მათში მთავარი ადგილი უჭირავს პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, მეგობრობის, კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობის, პატიოსნების, თავაზიანობის და სხვა ძვირფას გრძნობათა და მორალურ-ეთიკურ თვისებათა აღზრდას, მოსწავლე ახალგაზრდობაში მტკიცე ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბებას. ლეო ქიაჩელის საბავშვო ნაწარმოებები ხელს უწყობენ ბავშვებში წარმოსახვითი უნარის, მდიდარი და მრავალფეროვანი ემოციებისა და შთაბეჭდილებების გაღვიძება-განვითარებას, უფართოებენ მათ ცოდნას ცხოვრებისეული გამო-

ცდილებით, განუმტკიცებენ რწმენას საკუთარი ძალებისადმი, უღვივებენ სიყვარულს წიგნისადმი, სწავლისადმი, უძლიერებენ ინტერესს ბუნების მოვლენებში ღრმად ჩაწვდომისადმი, უმუშავებენ შეხედულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების, გარემო სინამდვილის მიმართ. ყოველივე ამით ლეო ქიაჩელის საბავშვო ნაწარმოებები, უდავოა, დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური და მორალურ-ეთიკური აღზრდის, მათში თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული მსოფლმხედველობის გამომუშავების საქმეში.

ქიაჩელის საბავშვო მოთხრობების ენა უაღრესად სადა და ემოციურია. მის თხრობას ახასიათებს თავისუფალი, ბუნებრივი მდინარება, მიმზიდველობა, დამაჯერებლობა, სიცხადე და სინათლე. მწერალი კარგად ფლობდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის დაუშრეტელ სიმდიდრეს, მის გრამატიკულ წესებს და კანონებს და საამისოდ იყენებდა მათ კონტექსტში ფრაზების ზედმიწევნით სწორად შერჩევისა და განლაგებისას.

როცა ამ თვალსაზრისით ვაკვირდებით ლეო ქიაჩელის ზოგიერთი საბავშვო ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემას, ვრწმუნდებით, რომ ყოველი ახალი გამოცემისას მწერალი მეტისმეტ პასუხისმგებლობას გრძნობდა. განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობდა იგი ტექსტების ენობრივ დახვეწაზე. ერთ სიტყვას ცვლიდა უფრო ნათელი შინაარსის ზუსტად გამომხატველი მეორე სიტყვით, უფრო კამკამას, სახოვანს, უფრო წარმტაცს და მომხიბვლელს ხდიდა სურათს. ამ მხრივ ევფემისტური პრინციპი ლეო ქიაჩელის საბავშვო ნაწარმოებებშიაც შესამჩნევად წინა პლანზეა წამოწეული. იშვიათად წააწყდებით მის საბავშვო მოთხრობებში პერსონაჟების ისეთ სახელს, რომელიც ტლანქ, უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევდეს, ამით მწერალი გარკვეულ ემოციურ ფუნქციას ანიჭებდა ყოველი მოქმედი პირის, საგნის, ნივთის, ადგილმდებარეობის. თვით ცხოველების სახელწოდებასაც კი, ეს იქნება იოთამი, მალხაზი, თენგიზი თუ დათო, ეს იქნება ფაცურა, გიშერა, ჯეგე თუ ქოჩორა, ეს იქნება მაშენი, ხეთიანი, ეწერი თუ რუანკარა. ყოველივე ეს განაპირობებს ნორჩ მკითხველებში მის პოპულარობას, მისდამი დიდ სიყვარულსა და ინტერესს.

მარადისობის ბინადარი

ლეო ქიაჩელი 1921 წლიდან შეუცვლელად იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი. 1932 წლიდან 1947 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციას, აქტიურად მონაწილეობდა შემოქმედებით დისპუტებსა და საიუბილეო საღამოებში, მწერალთა კავშირის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეხმარებოდა და ზრდიდა ახალგაზრდა შემოქმედებით კადრებს. 1952 წლამდე იგი ითვლებოდა ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში“.

1954 წელს მწერალს შეუსრულდა დაბადების სამოცდაათი და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლისთავი. ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ეს თარიღი. საიუბილეო დღეების ჩასატარებლად შეიქმნა საქართველოს სსრ მთავრობის სპეციალური კომისია. 1954 წლის 29 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა ლეო ქიაჩელის დაბადების სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო. იმავე წლის 9 ოქტომბერს ქიაჩელი ეწვია თავის მშობლიურ კუთხეს. მწერლის იუბილესთან დაკავშირებით სოფელ ობუჯის ბიბლიოთეკას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიეკუთვნა ლეო ქიაჩელის სახელი. თანასოფლელებთან ქიაჩელის ამ შეხვედრის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ 1954 წლის 29 ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ:

„მხცოვანი მწერალი მშობლიურ სოფელს ეწვია. რამაც დიდი სიხარული გამოიწვია მოსახლეობაში. ლეო ქიაჩელთან ერთად სოფელ ობუჯში ჩავიდა ქართველ მწერალთა ჯგუფი.

ობუჯის მშრომელებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლე ახალგაზდობამ სასოფლო კლუბში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სახელოვან იუბილარს. მეორე დღეს სოფლის ცენტრში ქართველი მწერლებისა და ობუჯის მშრომელთა მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა ლ. ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკის ახალ შენობას, რომელსაც მწერალი თავისი სახსრებით აგებს. ამ ბიბლიოთეკით წა-

ლენჯიხის რაიონის მშრომელებს შეემატება ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა“.[1] და მართლაც, დღეს იგი სოფლის ცენტრში დგას, როგორც მისი მშვენება და სიამაყე.

ქიაჩელის მომხიბვლელი ნიშანი უბრალოება და თავმდაბლობა იყო. ეს ყველაფერში ვლინდებოდა, თვით „სპორტულ სტილიაში“ — ჯადრაკშიც კი. „ლეოს ძლიერ უყვარდა ჯადრაკის თამაში, — იგონებს ლავროსი კალანდაძე, — ერთ დროს პირდაპირ დაბარებულივით მოვიდოდა მწერალთა კავშირში, სადაც მე ვმუშაობდი, და თვალს ჩამიკრავდა. ერთი ხელი ვითამაშოთო. ო, რა გამომეტყველი. რა ადამიანური იყო ეს თვალის ჩაკვრა, სავსე რაღაც უთქმელი ეშმაკური სხივით, ჭკუით, იუმორით... ლეოს საოცრად სწყინდა წაგება, მოგება კი ნამდვილად ფრთას ასხამდა. თუ მეტოქეს დააშამათებდა, სარკასტულად ჩაიცინებდა და რაღაც გამოგონილ უცნაურ ფრაზას დააყოლებდა: „მატიკუს-მურმულიკოს“. მწერლის ადამიანური ჩასიათის ამ სრულიად უმნიშვნელო შტრიხს ლავროსი კალანდაძე სავსებით სწორად უკავშირებს მის ადამიანურ სტილს, რომელიც, მისი აზრით, „ძალიან ჰგავს მის შემოქმედებითს სტილს, მის კომპოზიციურ ხერხებს, კერძოდ მის ჟანრობრივ მიდრეკილებას“[2].

ქართველ მწერალთა რიგებიდან ლეო ქიაჩელს განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა ჰქონდა გერონტი ქიქოძესთან, რომელსაც ის ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროიდან იცნობდა და დავით სულიაშვილთან, რომლის შესახებ ზემოთ არაერთხელ გვაქვს მითითებული. ადრე მათ წრეს გამოეცალა ვალერიან გაფრინდაშვილი. ისინი ხშირად იყრიდნენ თავს ოჯახებში, ერთმანეთს იწვევდნენ და ეპატიჟებოდნენ სუფრაზე. უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ უველაზე გულითად გრძნობებს და აზრებს. სამი სპეტაკი, უმწიკვლო და უანგარო ადამიანის მაღალი მოქალაქეობრივი თვისებები შერწყმული და შეხამებული იყო მათი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის კრისტალურ ნიშნებთან. უველაზე ადრე ამ სამეულიდან გერონტი ქიქოძე წავიდა. მისი სიკვდილი ლეო ქიაჩელმა ქობულეთში დასვენების დროს გაიგო. მწვავედ განიცადა. დიდი წუხილით გამოეთხოვა იგი გალაკტიონს და შალვა დადიანს. ლეო თით-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1954. 29 ოქტომბერი.

[2] ლავროსი კალანდაძე. ლიტერატურული წერილები. „მერანი“, 1972, გვ. 251—252.

ჭოს გრძნობდა ამ ქვეყნიდან განშორების მოახლოებას. თავის ძველ ბინაში ყოფნა როგორღაც უმძიმდა, ეძნელებოდა. ორმოცდაოთხი წელი მის კედლებში ჰქონდა გატარებული. ეს კედლები განუწყვეტლივ აგონებდა დაკარგული შვილის და ადრე გარდაცვლილი მეუღლის დაუვიწყარ სახეებს...

და აი, ლეო ქიაჩელი 1962 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩიდან საცხოვრებლად გადავიდა პლეხანოვის პროსპექტზე (№181ა). მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოამზადა და გამოსცა თავის თხზულებათა ხუთტომეული. სულ რაღაც ერთი წელიწადი მოუხდა მას ახალ ბინაში ცხოვრება. 1963 წლის 23 დეკემბერს, განთიადისას, იგი გარდაიცვალა. გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ ამავე წლის 27 დეკემბრის ნომერში ორი შიდა გვერდი მთლიანად მის გარდაცვალებას მიუძღვნა. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამგლოვიარო განცხადებაში ნათქვამი იყო: „ქართველმა ხალხმა დაჰკარგა თავისი გმირული ცხოვრების ჭეშმარიტი მხატვარი, დიდი რეალისტი, დიდი მოქალაქე და პატრიოტი“[1].

ქიაჩელი დასაფლავებულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, შალვა დადიანის გვერდით. მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. 1966 წლის 27 ნოემბერს საფლავზე გაიხსნა მწერლის ძეგლი. ძეგლში გამოსახული მისი მშვიდი სახე მზისა და ვარსკვლავების შუქზე ელვარებს როგორც მარადისობის უკვდავი ბინადარი.

[1] „ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 52.

მოკლე ბიბლიოგრაფია

1. ლეო ქიაჩელის თხზულებანი

1. „ტარიელ გოლუა“, პირველი ავტორისეული გამოცემა, 1917.
2. იგივე, გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“, 1925.
3. იგივე, სახელგამი, 1932.
4. იგივე, გამომცემლობა „ფედერაცია“, 1933.
5. იგივე, სახელგამი, 1937.
6. იგივე, სახელგამი, 1944.
7. იგივე, გამომცემლობა „ნაკადული“, 1965.
8. იგივე, რუსულ ენაზე, გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“, 1925.
9. იგივე, რუსულ ენაზე, გამომცემლობა „ეკაგიზ“, 1934.
10. იგივე, ოსურ ენაზე, ცხინვალი, 1955.
11. იგივე, ფრანგულ ენაზე, პარიზი, 1959.
12. „გვადი ბიგვა“, გამომცემლობა „ფედერაცია“, 1938.
13. იგივე, სახელგამი, 1942.
14. იგივე, სერიით „თანამედროვე ქართული რომანი“, 1963.
15. იგივე, სერიით „მოსწავლის ბიბლიოთეკა“, „განათლება“, 1959.
16. იგივე, რუსულ ენაზე, „გოსლიტიზდატი“, მოსკოვი, 1940.
17. იგივე, რუსულ ენაზე, „რომან-გაზეტას“ გამოცემა, მოსკოვი, 1941.
18. იგივე, რუსულ ენაზე, „გოსლიტიზდატის“ გამოცემა, მოსკოვი, 1941.
19. იგივე, ესტონურ ენაზე, ტალინი, 1947.
20. იგივე, ინგლისურ ენაზე, ლონდონი, 1946.
21. იგივე, ინგლისურ ენაზე, სიდნეი (ავსტრალია), 1948.
22. იგივე, ესპანურ ენაზე, ბუენოს-აირესი (არგენტინა), 1949.
23. იგივე, ბულგარულ ენაზე, სოფია, 1942.
24. იგივე, ჩინურ ენაზე, პეკინი, 1955.
25. იგივე, გერმანულ ენაზე, ბერლინი, 1957.
26. იგივე, რუსულ ენაზე, „ზარია ვოსტოკას“ გამოცემა, თბილისი, 1948.
27. „სისხლი“, სახელგამი, 1929.
28. იგივე, სახელგამი, 1945.
29. იგივე, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1930.
30. „ჰაკი აძბა“, თბილისი, 1934.
31. იგივე, თბილისი, 1938.
32. „თავადის ქალი მაია“, „ნაკადული“, 1965.
33. ნოველები, თბილისი, 1934.
34. რჩეული თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, მოს-

კოვი, 1948 (მოთავსებულია „ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“, „ალმასგირ კიბულან-, „მამა და შვილი“).
35. საბავშვო ზღაპარი „ნატვრისთვალი“, გამომცემლობა „ნორჩი საქართველო“, 1920.
36. საბავშვო მოთხრობები, წიგნი 2, 1924.
37. საბავშვო მოთხრობები, წიგნი 3, 1925.
38. „ზღვა, მზე და ოთარიკო“, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1929.
39. „ნათელა — ოთხი“, საბავშვო მოთხრობების კრებული, საბლიტგამი, 1935.
40. „ჰინკა-ბინჰი“, საბლიტგამი, 1941.
41. „ხეთიანის საიდუმლოება“, საბლიტგამი, 1949.
42. „დათუჩა“, საბლიტგამი, 1954.
43. საბავშვო მოთხრობები, სრული კრებული, საბლიტგამი, 1959.
44. თხზულებანი ოთხ ტომად, სახელგამი, ტ. 1, 1946.
45. იგივე, სახელგამი, ტ. 2, 1947.
46. იგივე, სახელგამი, ტ. 3, 1950.
47. იგივე, სახელგამი, ტ. 4, 1955.
48. რჩეული, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1956 (მოთავსებულია „ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“, „მთისკაცი“).
49. თხზულებანი ხუთ ტომად, „საბჭოთა საქართველო“, ტ. 1, ბესარიონ ჟღენტის შესავალი წერილით „ლეო ქიაჩელი“, 1960.
50. იგივე, „საბჭოთა საქართველო“, ტ. 2, 1961.
51. იგივე, „საბჭოთა საქართველო“, ტ. 3, 1961.
52. იგივე, „საბჭოთა საქართველო“, ტ. 4, 1962.
53. იგივე, „საბჭოთა საქართველო“, ტ. 5, 1964.

ლ. ლეო ქიაჩელის შესახებ

1. ასათიანი ლევან, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1958, გვ. 595—612.
2. ბენაშვილი დიმიტრი, კრიტიკული ნარკვევები მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, „საბჭოთა საქართველო“, 1967, გვ. 335—389.
3. ბეროძე რუთო, ლეო ქიაჩელი და რუსეთის პირველი რევოლუცია, ჟურნალი „მნათობი“, 1964, № 6, გვ. 150—157.
4. გამსახურდია კონსტანტინე, „ტარიელ გოლუა“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, № 166, შდრ: თხზულებანი, ტ. 8, 1967, გვ. 150—158.
5. გვერდწითელი გურამ, წერილები ლიტერატურაზე, „საბჭოთა საქართველო“, 1961, გვ. 83—99.
6. ვართაგავა იპოლიტე, ლეო ქიაჩელი, თბილისი, 1966.
7. თევზაძე დავით, სამი რომანი საკოლმეურნეო სოფელზე, სოხუმი, 1956, გვ. 84—118.
8. თოფურია აკაკი, ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში (მეორე შევსებული გამოცემა), თბ., 1956.

9. მისიკვე, სოციალისტური რეალიზმის საწყისები ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში, ჟურნალი „მნათობი", 1954, № 8, გვ. 144—158.
10. მისიკვე, ქიაჩელის ფსევდონიმის საკითხისათვის, „მნათობი", 1967, № 7, გვ. 161—164.
11. კალანდაძე ლავროსი, ლიტერატურული წერილები, „მერანი". 1972, გვ. 251—255.
12. კვანჭილაშვილი ტარიელ, ლეო ქიაჩელი, სახელგამი, 1955.
13. ლომიძე გიორგი, სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში, თბილისი, 1952, გვ. 169—190.
14. მერკვილაძე გიორგი, რომანი და ეპოქა, „საბჭოთა საქართველო", 1973, გვ. 227—248.
15. ქენტი ბესარიონ, თანამედროვეობა და მწერლობა, „მერანი". 1976, გვ. 301—348.
16. რადიანი შალვა, თანამედროვენი, თბილისი, 1959, გვ. 53—101.
17. ქარელიშვილი ერემია, სამოქალაქო ომის თემა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ჟურნალი „მნათობი", 1937, № 10, გვ. 300—316.
18. ჩიჩუა შალვა, ლეო ქიაჩელი, თბილისი, 1965.
19. ჭილაია სერგი, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ნაწილი მეორე, 1959, გვ. 127—187.
20. ჭოლოკავა ნოდარი, ტიპიურობის პრობლემა ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში, თბილისი, 1957.
21. ჯიბლაძე გიორგი, კრიტიკული ეტიუდები, ტ. 3, თბილისი, 1959, გვ. 218—263.
22. ჯიბუტი ვლადიმერ, ლეო ქიაჩელი, თბილისი, 1963.
23. Гольцев В., «Гвади Бигва», «Литературное обозрение», 1940, № 1, стр. 135 — 139.
24. Его же, Мастер грузинской прозы, «Правда», 1941, 5/II.
25. Грушкин А., Л. Киачели, «Звезда», 1941, № 5, стр. 147—153.
26. Евгеньев С., Новый роман Киачели, «Новый мир», 1949, № 11, стр. 221 — 249.
27. Ломидзе Г., Художник и время, «Вопросы литературы», 1958, № 1, стр. 64—79.

საკუთარ სახელთა საძიებელი[1]

აბაშა 29
აბაშელი ალექსანდრე (ჩოჩია) 94, 181
აბაშისპირელი (იხ. კ. გამსახურდია) 137
აბშილავა ილია დაეითის ძე 66, 195
ავლაძე ილია 175
ავსტრალია 3
აზია 3
აკობია პაველ 52, 68
ალანია სოლომონ 15, 55, 59, 68
ალიხანოვ-ავარსკი 53, 54, 56
ალშიბაია ვასილ დიმიტრის ძე 15, 49, 54, 55, 68
ამერიკა 3
ამიერკავკასია 51, 168, 184, 186
ანაკლია 15, 53, 172
ანაკრია (იხ. ანაკლია) 98
ანდრეევი ლეონიდ 8, 102
ანჯაფარიძე (ანჯა) 15, 16
არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) შიო 94 135, 179
არაჩემია ანტონია 16, 17, 25
არაჩემია გიორგი 16, 17, 25
არაჩემია თედორე 16, 17, 25, 26
არაჩემია კაინა 16, 25
არაჩემია პაველ 16, 24, 25, 28
არაჩემია ქესე 16, 17
არაჩემია ცაცა 17
არგენტინა 3
აროსია 15
არჩილია ა. 71
არქიელის გორა 86
არციბაშევი მ. 102, 103, 107, 109
ასათიანი ლევან 174, 175, 227
ასათიანი ჭ. 15
აფხაზეთი 22, 97, 98, 206
აქუბარდია პაველ 66, 71
ახალსენაკი 25, 65
ახობაძე არხიპო 39

ბაგრატ მეფე (დიდი) 20, 57
ბათუმი 37, 48, 49, 176, 188, 189
ბაირონი 117
ბაკურიანი 178
ბალანჩივაძე ნესტორ 15, 17, 38, 39, 89, 90
ბალახვანი 40
ბარათაშვილი სიკოლოზ 78, 232
ბარელი (რცხილაძე) გრიგოლ 114
ბარსოვი ვასილ 135, 179
ბახტაძე ილია 38, 39, 73, 76–77
ბახტინი შ. 155
ბებელი აგუსტ 58
ბედნი დემიან (ე. ა. პროდეოროვი) 94
ბეიტლერი შოსე 80, 86
ბელი ა. 102
ბელინსკი ბესარიონ 228
ბენანიშვილი პოლიო 63
ბენაშლალი 188
ბერგენი 174
ბერლინი 173
ბერნი 117
ბიბინეიშვილი ბარონ 73, 75, 77, 79, 86, 87, 93, 195
ბლოკი ა. 104
ბოგდანოვი ა. 181
ბოჭორიძე მარო 75
ბრიუსელი 172
ბრიუსოვი ვ. 102, 104
ბროსე მარი 95
ბუაჩიძე ბათუ 66
ბუენოს-აირესი 3, 4
ბულგარეთი 3

გამსახურდია კონსტანტინე 126, 180, 192
გაფრინდაშვილი ვალერიან 176, 231
გაფრინდაშვილი ვარიჩკა 176
გრაკხი კაიუს 35
გეგეჭკორი ევგენი 186

[1] შეადგინა ჯ. ქ ი რ ი ა მ

გეგუთი 30, 41
გედევანიშვილი იოსებ 175
გეთია დიმიტრი 53, 55, 124, 127, 131
გეთია ვასილ 53, 124, 127
გელათი 15, 87
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 3
გიორგი მეფე (ბრწყინვალე) 98
გიორგი I (იმერეთის მეფე) 98
გიპიუსი 8, 102
გობეჩია მელიტონ 53, 54, 68, 177
გოგებაშვილი იაკობ 228
გოგიაშვილი პ. 15
გოდოგანი 15, 85—87
გოეთე 7, 117
გოლცევი ე. 203
გომართელი ივ. 181
გორკი მაქსიმ (ა. მ. პეშკოვი) 53, 94, 102, 104, 156—158, 146, 164—169, 180, 182, 210
გრიშაშვილი იოსებ 137, 175, 227
გრიშკინი 203
გურია 43, 63, 65, 72, 127
გურული ხაქარია 72, 74, 75, 82, 84, 85

დადიანი ლევან 97
დადიანი ნიკო (მინგრელსკი) 51
დადიანი შალვა 34, 35, 135, 231, 232
დავითაშვილი მიხეილ 117
დალაქიშვილი აკაკი 76
დანი 117
დანტე ალიგიერი 193
დიდი ბრიტანეთი 173
დიმიშვილი დ. 137
დიუნაკი ალფონს 58
Достоевский 155
დუშეთი 77

ებანოიძე ლევან 51
ევდოშვილი იროდიონ (ი. ხოსიტაშვილი) 94, 135
ევროპა 3, 5, 115, 172, 180, 188, 188
ენგელსი ფრ. 37, 58, 63
ენგური 97
ერისთავი გიორგი 7
ერისთავი დავით 35
ერისთავი კოწია 86
ერისთავი რაფიელ 28
ესვანჯია ლავრენტი 68, 86

ვართაგავა ივ. 213
ვეკუა ლადო 58, 59
ვერლი მ. 7
ვიატკა 72, 74, 75
ვოლტერი 117
ვოროვსკი პ. 104, 117
ვესესიატსკოე 90

ზალომოვი პეტრე 53, 157
ზარდალიშვილი იუზა 34
ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გიორგი 77
ზესტაფონი 72
ზუგდიდი 15—17, 19—21, 25, 27—29, 34, 43—45, 47—51, 53—59, 65—72, 92, 95, 96, 98, 99, 172, 183—190, 225
ზუმი 55, 56

თაგორი რაბინდრანათ 120—121
თარჩია 23
თაყაიშვილი ეკვთიმე 95, 96, 98
თბილისი 11, 13, 14, 27, 39, 51, 54—56, 61, 62, 64, 67, 69—71, 79, 81, 98, 136, 160, 168, 171, 173—177, 181—183, 185, 188, 191, 204, 230
თევზაია ბ. 184
თეკლათი 16, 25
თელია გიორგი 65
თოლორდავა სიმონ 55, 56, 124
თოფურია აკაკი 125
თოფურია სამსონ 17

იავორსკი 60, 65, 66
იაპონია 39
იმერეთი 29,
იმერეთ-სამეგრელო 37, 39, 44, 47, 49, 54, 66, 75, 176, 195, 198
ინგირი 51
ინგლისი 173, 174
იონინი ლ. 71
იოსელიანი ბუჯა 15—17, 30, 31, 40
იოსელიანი მარიამ კონსტანტინეს ასული 15, 16, 30—32
ირეთელი პ. 181
იუნგი კ. გ. 7
იურიევი 54

კავკასია 39, 169, 222, 230
კავკასიონი 19
კაკაბაძე დავით 176
კაკაბაძე ელისაბედ 176
კაკაბაძე ვერა მოსეს ასული 175, 176, 178, 179, 196
კაკაბაძე კონსტანტინე 176, 178
კაკაბაძე ს. 13, 96—98
კაკაჩია გამახადი 97, 98
კაკაჩია იოსებ ბახვას ძე 46, 130

კაკაჩია ფარნა 127
კაკულია პახეილ 68
კალანდაძე ლაეროსი 231
კალანდაძე ნატაშა 75
კამენსკი ა. 102
კანდელაკი ალექსანდრე 40, 89, 176, 178, 196
კანდელაკი ვ. 15
კარპინსკი 117
კაუცკი კარლ 58
კაჭარავა გედეონა 86
კედია სპირიდონ 49, 54, 55
კედია პეტრე 49
კვარაცხელია ეფიმ 50
კეესელავა მიხეილ 5
კიკნაძე ნიკო 117
კილასონია პლატონ 77, 86
კირცხი 124, 131
კლდიაშვილი დავით 121
კლდიაშვილი სერგო 13
კოდარია ანტონ 53, 68
კოლხეთი 19, 29
კონსტახი ბენეამენ 117
კოსმოდემიანსკაია ზოია 222
კოჟუაშვილი შ. 71
კუპრაშვილი ბაჭუა 76
კუხი 175

ლათათია ლუკა 128—131
ლაკადა 19, 23, 26, 55, 225
ლამბერტი არქანჯელო 98
ლასხიშვილი გიორგი 36
ლაღიძე მიტროფანე 86
ლაღიძე ხოე 86, 87
ლევიცკი კ. 71
ლენინი ვ. ი. 37, 48, 58, 104, 117, 119, 157—160, 167, 168, 182, 196
ლეონიძე გ. 36, 44, 46, 117, 130, 189, 223
ლეშამგეჩქვალერი 188
ლიხი 15
ლოკი ჯონ 58
ლომთათიძე ერემია 75, 76
ლომთათიძე ჰოლა 38, 135, 182
ლომიძე გ. ი. 5
ლონდონი 3, 173, 177
ლორთქიფანიძე დ. ა. 71
ლორთქიფანიძე კ. 213
ლუნაჩარსკი ა. 104, 117

მამფორია ილია 39
მარი ნიკო 36
მარტოვი 117
მარქსი კარლ 37.
მაღხარაძე გ. 49
მაყაშვილი კოტე 181
მახარაძე ფ. 51
მგალობლიშვილი სოფრომ 223
მგელაძე ეპიფანე სიკოლოზის ძე 87, 93
მგელაძე მიტრო 38
მედემი ა. ა. 71
მეილახი ბორის 122
მელქაძე ილია 39, 54, 66
მერკვილაძე 61
მესხია გუჯა 130
მესხია ისიდორე პახვალის ძე 126
მესხია ლევან 126, 127, 129—131
მესხია მათე 126, 128—130
მესხია მაქსიმე 126—132
მესხია სანდრო 47
მესხია ძაკა 127
მესხი კოტე 34
მესხიშვილი ლადო 34
მეუნარგია იოსა 7
მეუნარგია მიხეილ იონას ძე 188
მეტერლინკი მორის 103—107
მინგრელსკი ნიკოლოზ ნიკოლიზის ძე (იხ. დადიანი ნიკო) 188
მირიანაშვილი პეტრე 36
მირცხულავა ანდრია პიტეს ძე 15, 44, 45, 99, 131
მიურატი 28, 188
მიქავა უტუ 124, 139, 225
მიქაია კარლო 49
მიქაძე ნატალია ივანეს ასული 82
მიქელაძე დათიკო 17
მიხაძე ლ. (ლ. ქიაჩელის ფსევდონიმი) 100
მოსკოვი 3, 15—17, 38, 87—91, 103—105, 107, 109, 114—116, 121, 170, 171, 176, 201, 203, 224
მუხიანი 86
მუხური 55, 124
მღვიმელი შიო 193, 227
მხეიძე ლევან 51

ნაკაშიძე ილია 193
ნაკაშიძე ნინო 170, 227
ნაჭვი 186
ნინოშვილი ეგნატე (ე. ნგოროყვა) 94, 108, 121
ნიკარაძე ლ. 71
ნიჟნი ნოვგოროდი 53
ნიუკასტლი 173
ნიცშე ფრ. 102
ნოდია აპოლონ 68
ნორაკია ბოტო 46
ნორაკიძე კოწია 15, 49, 55, 58
ნორვეგია 173, 174

ობოლი მუშა 181
ობუჯი 15, 16, 19, 20, 22, 28, 30, 44, 46, 55, 56, 94—100, 123—127, 129—131, 134, 225, 227, 230
ოდესა 87
ოდიში 97, 98
ოზურგეთი 86
ორბელიანი ვარაგოლ 7
ორლოვსკი ვ. 71
ოსმალეთი 184, 185
ოჩიტალე 130

პარიზი 173, 177
პატრიკეთი 71
პეტალოცი 117
პეტერბურგი 27, 29, 30, 84, 89, 176
პლეხანოვი გ. ვ. 104, 117, 232
პოლონეთი 173
პრესნია 90
პუშკინი ა. 122, 155

ქვანია ბაბულია 25
ქვანია ელენე (ლენა) 24—26
ქელეზნოვი ვ. 58
ქენევა 15, 16, 114—119, 121, 123, 133, 136, 170—174, 176, 177
ქორდანია თედო 15, 20
ქორდანია ნოე 189
ქღენტი ვლადიმერ 12
ქღენტი თენგიზ 53, 69

რაზმაძე დანიელ 66
რაჭა 66
რაჭა-ლეჩხუმი 43
რიონი 29
როგავა გრიგოლ შალილის ძე 49, 190
როლანი რომენ 193
როტშილდი 37
რუმინეთი 3
რუსეთი 15, 36, 39, 58, 64, 68, 77, 90, 91, 102, 115, 119, 157, 158, 160, 167, 168, 172, 173, 187, 196, 203
რუსთაველი 191
რუსო 117
რუხაძე ვლადიმერ 39, 181
რუხი 17, 21, 25

საბურთალო 179
სავანე 23
საქეგრელო 15, 17, 19, 26, 28, 30, 51, 53, 56, 69, 95, 96, 98, 124, 136, 139, 187, 188, 225
სამეხიო 225
სამიქაო 82
სამტრედია 53, 69, 70
სარატოვი 168
სარაჭონი 131, 188
საფიჩხია 39
საფრანგეთი 173
საქართველო 15, 19, 27, 31, 32, 35, 37—39, 43, 50—52, 54 60, 62, 64, 66, 69, 70—74, 79, 91, 95, 115, 117, 130—132, 136, 139, 142, 167—175, 177, 179, 184, 186—193, 195, 197, 203, 210, 225, 230, 232
საყვარელიძე პაულე 38, 117, 184
სახოკია თედო 22, 172—174
სევასტოპოლი 11—13
სენაკი 29, 72
სენკოვიჩი 65
„სვანოსანი შტეგერი" 82, 84
სიკარი 203
სიმპეროგი 84
სკულსკი 67
სობოგა 19, 23—28, 31, 61.
სოლოგუბი ფ. 102
სოფობნა 30
სოსელია გიორგი 190
სოფოროვი 52, 57, 58

სოსუში 172, 186, 204—206, 209
სსრ კავშირი 5, 210
სტაიანოვი 15
სტაროსელსკი ვ. 81
სტეპანოვი საშა 15, 86
სტოლიპინი 59
სულაშვილი დავით 15, 50, 61—63, 65—67, 74, 77, 86, 115—120, 135, 171, 172, 174, 176, 184, 231
სულუხია 15

ტაბიძე გალაკტიონ 179, 180, 231, 232
ტაბიძე ტიციან 137
ტამბოვი 168
ტენი იპოლიტე 7
ტოლსტოი ლ. ნ. 9, 104, 182, 196
ტრუბეცკოი ს. ნ. 52
ტურგენევი 134
ტყიბული 84

უთნელოვი ი. 71
ულურია 188
უორდროპი მარჯორი 174
უორდროპი ოლივერ 174
ურუშაძე ა. 38

ფალიაშვილი ზ. 230
ფანცხავა ვარლამ 73—78, 80—83
ფანცხავა იაკობ 77
ფანცხავა მატრონა 73
ფარეიშვილი-ჟღენტი ქეთევან 12, 175
ფარჯანაძე კოსტა 76
ფეტი ა. 9
ფილია მელიტონ 117
ფინეთი 173
ფირცხალავა სამსონ 175
ფიფია ბაჩუა 131—132
ფიფია ეგვენი ბუჩუნას ძე 56, 130
ფიფია ძიკი 132, 225
ფლობერი გუსტავ 145
ფოთი 15, 41, 48, 87, 172, 176, 195, 198
ფრანგულიანი ივანე 38
ფრებელი 31
ფშაველა ვაჟა (ლუკა რაზიკაშვილი) 94, 179, 232
ფხაკაძე ნიკო 63

ქავთარაძე ბიქტორ 50
ქავთარაძე სერგო 38, 65
ქალაქალი 188
ქაცარავა ა. 38
ქეთევან წამებული 35
ქიქოძე გერონტი 117, 172, 231
ქობულეთი 231
ქუთაისი 15—17, 20, 27—32, 34—39, 41—48, 54—60, 62, 64—68, 70—73, 75, 77, 78, 81, 82, 85—87, 90, 91, 93, 99, 113, 116, 136, 168, 175, 176, 184, 194, 195, 197, 200, 201, 231
ქუთათელაძე ვალოდია 38
ქუჩიშვილი გიორგი 227

ყაზბეგი ალექსანდრე 121, 136
ყვირილა 83
ყვირილა-ბელაგორი 43, 62, 65
ყირიმი 11
ყიფიანი დიმიტრი 193
ყულისკარი 51

შავი ზღვა 203
შალიკაშვილი ვალერიან 91, 110
შანშიაშვილი ს. 137
შარვაშიძე საუსტან 97
შენგელაია აკაკი 15, 16, 21, 46, 93
შენგელაია ბიჭია 15
შენგელაია გრიგოლ დავითის ძე 127—131, 134
შენგელაია გრიგოლ ჯუკუს ძე 130, 134
შენგელაია ზურაბ 15, 16
შენგელაია კაზიხანი 16
შენგელაია კერანდუხტი 15
შენგელაია მიხეილ 15, 20, 21, 27, 28, 30, 32, 46, 67
შენგელაია ნათელა ლეოს ასული 18, 179
შენგელაია ნანა ოთარის ასული 11, 14, 210
შენგელაია ოთარ ლეონის ძე 11—13, 17, 18
შენგელაია რაჟდენ კოსტას ძე 47, 93
შენგელაია სოლომონ 47, 131
შენგელაია ქინა 127, 128, 130, 132
შენგელაია ქიჯი 15
შენგელაია ცაცა 21, 28, 46

შენგელი შალუა 44
შერგელაია (შერგილაძე) მაშაში 97, 98
შერგილაძე 15
შერგილაძე მათე 20
შერგილაძე ჯაკვა 20
შეროზია ნესტორ 129
შეფიცარია 15, 58, 70, 115, 117, 159, 170
შვეცია 173
შმიდტი 203
შილერი 137
შონია ი. 96
შოპენჰაუერი არტურ 58, 102
შორაპანი 61, 77
შოტლანდია 173
შტირნერი მაქს 183

ჩაიკინა 222
ჩებიში 15
ჩერნიგოვი 168
ჩელალე 131
ჩეხოსლოვაკია 3
ჩილაჩავა დიმიტრი 17
ჩინეთი 3
ჩიქავა ალექსანდრე 15, 49, 59, 68, 86
ჩიქვანი ვარლამ 15, 16, 55, 56, 128, 129, 131, 132
ჩიქვანი კაცია 97
ჩიქოვანი ბადუა 86
ჩიჩუა გრიგოლ 59
ჩიჩუა იასონ 49
ჩუბინაშვილი გ. 96
ჩუბინიძე თომა 15. 61, 77, 80, 86
ჩხეიძე დავით (თურდოსპირელი) 94
ჩხეტია ალექსანდრე 36, 49, 55, 58—60, 68, 69, 77, 184, 185
ჩხოროწყუ 55, 95, 124, 131
ჩხოუშია 15, 28, 29

ცაგარელი ეღერ ივანეს ასული 11, 14
ცაიში 29
ციმბირი 71, 172
ცინცაძე კოტე 72, 24—76, 79
ციურიხი 159
ცხაკაია დავით 49
ცხაკაია შიხა 38, 117, 171
წალენჯიხა 19, 46, 55, 95, 96, 124, 131, 188, 230—231
წერეთელი აკაკი 7, 22, 23, 121, 146, 179, 228, 232
წიფა 54, 84
წულუკიძე 38, 77, 175
წყალწითელა 38, 86, 87

ჭაჭავაძე ალექსანდრე 7, 179, 232
ჭაჭავაძე ილია 6, 7, 121, 134, 179, 228, 232
ჭალადიდელი (ქოჩაკიძე) გიორგი 30, 94
ჭალადიდი 195, 198, 200, 201
ჭანისწყალი (წენწყარი) 19, 23, 24, 125, 130
ჭანტურია ა. 96
ჭაქინჯი 15, 16, 23, 25, 44, 55, 124, 131
ჭაჭიაშვილი ილიკო 76
ჭეიშვილი კოლია 38
ჭიათურა 72, 76, 77, 84
ჭკადუაში 55
ჭუმბურიძე ისმაილა 61, 80

ხარაგოული 66
ხარკოვი 15—17, 40, 43, 48, 58, 59, 99 115, 118, 124,
ხაშური 184
ხეთა 29
ხვცია კიტი 129
ხვიტია გოჩა 16
ხვიტია დავით ბახვას ძე 21
ხვიტია კეღუცა 15, 16, 28, 29
ხვიტია მართა კეღუცას ასული 15, 20, 21, 67, 196
ხიბულა 131
ხიმშიაშვილი 35
ხობი 29
ხობისწყალი 19
ხოდხინსკი 55
ხონი 175
ხორშა 46
ხოფი 98
ხუნდაძე სილოვან 36

ჯავახიშვილი მიხეილ 125—126, 135
ჯამბაკურ-ორბელიანი ეახტანგ ეასტანგის ძე 6
ჯაფარიძე ალიოშა (პროკოფი) 16, 17 37, 40, 43, 47
ჯაფარიძე უჩა 12—13
ჯაჯრა 124, 125, 129—131, 227
ჯიბლაძე გიორგი 222, 223
ჯიხაშკარი 19, 23, 46
ჯოხაძე კოტე 56

ჰარტმანი ე. 102

შ ი ნ ა ა რ ს ი

კელეის გზა 3
კელეის პრინციპი 6
კელეის სიძნელე 10
მწერლისეული „გეგმა-ვარიანტები“ 14
ბ ა ვ შ ვ ო ბ ა 18
პირველი მგზავრობა 27
„მაშო-მასწავლებელი“ 30
კლასიკურ გიმნაზიაში 31
მოძრაობის სათავესთან, მისი მედროშე 43
საბედისწერო შეცდომა 54
ციხის კოშმარები, გამოძიება და ბრალდება 60
კონსპირაციის საოცრება 72
გაქცევის დრო და ორგანიზაცია 78
პირველი გამოძახილი პრესაში 81
გოდოგნიდან ჩრდილოეთის ცენტრისკენ 85
ორი პასპორტის ნიღბით 88
ფსევდონიმის საკითხისათვის 93
ლიტერატურული წრთობის წლები 101
ემიგრანტად ყენეაში 114
„ტარიელ გოლუა“ 121
გენეზისური საფუძვლები 121
სახეთა სისტემა 138
სტრუქტურული აგებულება 144
ენობრივი ფენომენი 154
სოციალისტური რეალიზმის საწყისები 156
დაბრუნება სამშობლოში 169
„იგი ყველას ეკუთვნის“ 179
„სისხლი“ 191
„ჰაკი აძბა“ 202
„გვადი ბიგვა“ 210
სამამულო ომის ექო 221
შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი მხარე 223
ბავშვების საყვარელი მწერალი 227
მარადისობის ბინადარი 230
მოკლე ბიბლიოგრაფია 233
საკუთარ სახელთა საძიებელი 236

გამომცემლობის რედაქტორი ჯ. ქ ო რ ი ა
ტექრედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ე. თ ო ფ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 3/II-77 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VI-77 წ.
ქაღალდის ფორმატი 60×84 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 15.25.
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,1.
შეკვეთა 210 უე 01586 ტირაჟი 5000
სბ. 118.
ფ ა ს ი 1 მ ა ნ. 58 კ ა პ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი. 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის სტამბა № 1. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1 Государственного комитета Совета
Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии
и книжной торговли. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.